საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა

2018-2021

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სარჩევი

I. მოკლე შინაარსი 6
II. წინასიტყვაობა 18
II.1. შესავალი 18
II.2. სამართლებრივი დებულებები 18
II.3. პროგრამირების სისტემა 19
II.4. რეგიონული პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩო 20
II.5. დონორების და განვითარების პარტნიორების მხარდაჭერა 22
III. ტერიტორიულ უთანაბრობასა და კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებული მდგომარეობა და ტენდენციები 23
III.1. ზოგადი კონტექსტი 23
III.2. ტერიტორიული უთანაბრობები 32
III.3. ეკონომიკური უთანაბრობები 34
III.3.1. ბიზნეს სექტორი 34
III.3.2. მცირე და საშუალო საწარმოები 36
III.3.3 ინოვაციები და ტექნოლოგიები 37
III.3.4. ტურიზმი 38
III.3.5 კულტურული მემკვიდრეობა 38
III.3.6 სოფლის მეურნეობა 38
III.4. სოციალური უთანაბრობები 39
III.4.1. სამუშაო ძალა 39
III.4.2 სიღარიბე 41
III.4.3 საბაზისო სოციალური სერვისები 42
III.5. საჯარო მმართველობა 43
III.5.1. ადგილობრივი თვითმმართველობა 43
III.5.2. ფისკალური მდგრადობა 43
IV. ტერიტორიული განვითარების საჭიროებანი და პოტენციალი 45
IV.1. შესავალი 45
IV.2. SWOT ანალიზი 46
IV.3. განვითარების ძირითადი გამოწვევები, საჭიროებები და პოტენციალი 58
IV.3.1. საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ჰორიზონტალური გამოწვევები 58
IV.3.2. ცალკეული ტერიტორიების საჭიროებები და პოტენციალი 63
IV.3.3. პოლიტიკის საჭიროებანი 67
V. საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ფართო ხედვა. რეგიონული პოლიტიკის მიზნები და პრინციპები 71
V.1. რეგიონული პოლიტიკის საფუძველი და მნიშვნელობა 71
V.2. საქართველოს რეგიონული პოლიტიკის პრინციპები 72
V.3. საქართველოს რეგიონული პოლიტიკის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნები 2030 წლისთვის 73
VI. რეგიონული განვითარების პროგრამის მიზნები და პრიორიტეტები 75
VI.1. რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიზნები საშუალოვადიან პერსპექტივაში 75
VI.2. 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის როლი 76
VI.2.1. პრიორიტეტი 1. ქვეყნის და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 80
VI.2.2 პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო საწარმოების, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორების და ექსპორტის ხელშეწყობის მხარდაჭერა 81
VI.2.3 პრიორიტეტი 3. ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესება 83
VI.2.4. პრიორიტეტი 4. ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე 84
VI.2.5. პრიორიტეტი 5. რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდა და საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამების მომზადება 86
VII. პროგრამის ღონისძიებები და ინსტრუმენტები 88
VII.1. **პრიორიტეტი 1 -** ქვეყნის და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 88

VII.1.1. ღონისძიება 1.1. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება 88
VII.1.2. ღონისძიება 1.2. საავტომობილო გზების გარდა, სხვა სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება 89
VII.1.3. ღონისძიება 1.3. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარება 91
VII.1.4. ღონისძიება 1.4. ენერგო-ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალის გაფართოება 94
VII.1.5. ღონისძიება 1.5. ბუნებრივი კატასტროფებისგან დამცავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 94
VII.1.6. ღონისძიება 1.6. წყალმომარაგების, წყალარინების და ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება 96
VII.1.7. ღონისძიება 1.7. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია 97
VII.1.8. ღონისძიება 1.8. ბუნებრივი მემკვიდრეობის (ეროვნული პარკები, ნაკრძალები და სხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიები) შენარჩუნება და პოპულარიზაცია 98
VII.1.9. ღონისძიება 1.9. ინტეგრირებული მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება 99
VII.2. **პრიორიტეტი 2** - მცირე და საშუალო ბიზნესის, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორების და ექსპორტის ხელშეწყობის მხარდაჭერა 100
VII.2.1. ღონისძიება 2.1. საწარმოების, მათ შორის მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა 100
VII.2.2. ღონისძიება 2.2. ინოვაციების მხარდაჭერა 101
VII.2.3. ღონისძიება 2.3. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: ტურიზმი 102
VII.2.4. ღონისძიება 2.4. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: სოფლის მეურნეობა 103
VII.2.5. ღონისძიება 2.5. ექსპორტის ხელშეწყობა 104
VII.2.6. ღონისძიება 2.6. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა 105
VII.3. **პრიორიტეტი 3** - ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესება 106
VII.3.1. ღონისძიება 3.1. ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა 106
VII.3.2. ღონისძიება 3.2. პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესება 107
VII.3.3. ღონისძიება 3.3. უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდა 108
VII.3.4. ღონისძიება 3.4 კვლევითი სექტორის მხარდაჭერა 109
VII.3.5. ღონისძიება 3.5. შრომის ბაზრისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა 110
VII.3.6. ღონისძიება 3.6. მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა 111
VII.3.7. ღონისძიება 3.7. სოციალური ინკლუზია 113
VII.4. **პრიორიტეტი 4** - ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე 114
VII.4.1. ღონისძიება 4.1. რეგიონების განვითარების სტრატეგიების განხორციელების ხელშეწყობა: მცირე ზომის ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება 114
VII.4.2. ღონისძიება 4.2. სოფლის განვითარება 116
VII.4.3. ღონისძიება 4.3. მაღალმთიანი რეგიონების განვითარება 116
VII.4.4. ღონისძიება 4.4. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მიმდებარე ტერიტორიის განვითარების ხელშეწყობა 117
VII.4.5. ღონისძიება 4.5. საზღვრისპირა და მაკრო-რეგიონული თანამშრომლობა 119
VII.4.6. ღონისძიება 4.6. საქართველოს ურბანული ტერიტორიების ფუნქციური ინტეგრაციის ხელშეწყობა 120
VII.5. **პრიორიტეტი 5** - რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდა, საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამების მომზადება 121
VII.5.1. ღონისძიება 5.1. რეგიონული განვითარების ინსტიტუციების შესაძლებლობათა გაძლიერება ცენტრალურ დონეზე 121
VII.5.2. ღონისძიება 5.2. ანალიტიკური ბაზის გაძლიერება მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისათვის 122
VII.5.3. ღონისძიება 5.3. ადგილობრივი ხელისუფლებების აქტიური ჩართულობა და პარტნიორობისა და განვითარების პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა 124
VII.5.4. ღონისძიება 5.4. რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავება: განვითარების პროგრამების მომზადება ორი საპილოტე რეგიონისთვის 125
VIII. ფინანსური გეგმა 128
IX. განხორციელების მექანიზმები 129
გამოყენებული ძირითადი წყაროები 135
X. დანართები 136
დანართი 1: დონორების მხარდაჭერა 136
დანართი 2: დამატებითი სტატისტიკური მონაცემები 149
დანართი 3: 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ძირითადი მიღწევები 152
დანართი 4: ფინანსური გეგმა 153

რუკების ჩამონათვალი

რუკა 1. საქართველოს რეგიონები....24
რუკა 2. მუნიციპალიტეტებისა და ურბანული ტერიტორიების მოსახლეობა....26
რუკა 3. მოსახლეობის სიმჭიდროვე....27
რუკა 4. მშპ ერთ სულ მოსახლეზე, მდღ და ბიზნეს სექტორის ბრუნვა რეგიონების მიხედვით, 2015 წ....31
რუკა 5. დასაქმება რეგიონების მიხედვით, 2016 წ.....40
რუკა 6. საავადმყოფოებისა და ექიმების რაოდენობა მოსახლეობის მიხედვით, თითოეულ რეგიონში....42
რუკა 7. მაღალმთიანი რეგიონები....151
რუკა 8. სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობა რეგიონებში, 2016-2017 წლები....151
რუკა 9. ფუნქციური სივრცეები....151

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, მილიონი აშშ დოლარი....29
ცხრილი 2. საქონლისა და მომსახურების ექსპორტის პროცენტი მშპ-ში - საერთაშორისო შედარება....30
ცხრილი 3. გზების სიგრძე რეგიონების მიხედვით წლის ბოლოს, კმ....32
ცხრილი 4. ცენტრალური გაზმომარაგებით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა (%)....33
ცხრილი 5. ჯამური ინვესტიცია, როგორც მშპ-ს პროცენტი....35
ცხრილი 6. ბრუნვის წილი საწარმოთა ზომის მიხედვით, რეგიონულ ჭრილში 2016 წ.....36
ცხრილი 7. დასაქმებულთა წილი საწარმოთა ზომის მიხედვით, რეგიონულ ჭრილში 2016 წ.(%)....36
ცხრილი 8. ინტერნეტის გამოყენება ფიზიკური პირების მიერ, ქვეყნების და ქვეყნის ჯგუფების მიხედვით, %....37
ცხრილი 9. უმუშევრობა, % (საერთაშორისო შედარება)....41
ცხრილი 10. აბსოლუტური სიღარიბე საქართველოს რეგიონებში, 2013-2016 წწ. %....41
ცხრილი 11. მუნიციპალური შემოსავლების სტრუქტურა, რეგიონების მიხედვით, 2014-2016 წწ, მლნ ლარი....44
ცხრილი 12. SWOT ანალიზი....46
ცხრილი 13. საჭიროებები და პოტენციალი, რომელიც უნდა განვითარდეს (ძირითადი მიმართულებების მიხედვით)....60
ცხრილი 14. საჭიროებები და პოტენციალი დაგეგმვის (გეგმარებითი) რეგიონების დონეზე....64
ცხრილი 15. სტრატეგიული ინდიკატორები....74
ცხრილი 16. „საქართველო 2020“ პოლიტიკის პრინციპები....76
ცხრილი 17. რეგიონული განვითარების სტრატეგია - მიზნები და პრიორიტეტები....77
ცხრილი 18. ქალაქად მცხოვრები მოსახლეობა – საერთაშორისო შედარება (% მთლიანი რიცხვიდან)....149
ცხრილი 19. მოსახლეობა საქართველოს რეგიონებში აღწერებს შორის, ათასი კაცი....149
ცხრილი 20. მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილება აღწერებს შორის – საერთაშორისო შედარება....149
ცხრილი 21. ნომინალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე, აშშ დოლარი....149
ცხრილი 22. რეალური მშპ-ს ზრდა, %....149
ცხრილი 23. ბიზნესის ბრუნვა რეგიონების მიხედვით, მლნ ლარი....150
ცხრილი 24. მრეწველობის სექტორში წარმოებული დამატებითი ღირებულების წილი მშპ-ში, %....150
ცხრილი 25. მოსახლეობის წილი სასმელ წყალთან გაუმჯობესებული წვდომით, %....150
ცხრილი 26. ფინანსური გეგმა....153

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1. ურბანული მოსახლეობა (საერთო რაოდენობის %) - საერთაშორისო შედარება....24
დიაგრამა 2. მოსახლეობის ცვლილება (უკანასკნელი 2 აღწერის შედეგები) - საერთაშორისო შედარება....25
დიაგრამა 3. საქართველოს მოსახლეობის პროცენტული გადანაწილება რეგიონების მიხედვით, 2014 წელი....26
დიაგრამა 4. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა....28
დიაგრამა 5. მშპ სტრუქტურა სექტორების მიხედვით 2016 წელს, %....29
დიაგრამა 6. მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ნომინალური), აშშ დოლარი - საერთაშორისო შედარება....29
დიაგრამა 7. რეალური მშპ-ს ზრდა 2011-2016, აშშ დოლარი - საერთაშორისო შედარება....30
დიაგრამა 8. მშპ ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს რეგიონებში, 2015 წ, ლარი....31
დიაგრამა 9. გაუმჯობესებული წყალმომარაგება, 2015 წ.(მოსახლეობის % რომელსაც აქვს ხელმისაწვდომობა)....34
დიაგრამა 10. ბიზნეს სექტორის ბრუნვა რეგიონების მიხედვით, 2015 წ, მლნ ლარი....34
დიაგრამა 11. სამრეწველო დამატებული ღირებულება, როგორც მშპ-ს პროცენტი 2016 – საერთაშორისო შედარება....35
დიაგრამა 12. უმუშევრობის მაჩვენებელი რეგიონებში, 2016 წ....40
დიაგრამა 13. 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა, ინტერვენციის ლოგიკა....79
დიაგრამა 14. პროგრამის სტრუქტურა....79
დიაგრამა 15. 2017-2020 წლების ევროკავშირის ერთიანი მხარდაჭერის ჩარჩოს ფარგლებში განსაზღვრული სექტორები....125
დიაგრამა 16. განხორციელების სტრუქტურა....132

შემოკლებები

არ	ავტონომიური რესპუბლიკა
გკი	გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI)
თეზ	თავისუფალი ეკონომიკური ზონა (FEZ)
თიზ	თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (FIZ)
თტზ	თავისუფალი ტურიზმის ზონა (FTZ)
მდღ	მთლიანი დამატებული ღირებულება (GVA)
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP)
მგეს	მთის განვითარების ეროვნული საბჭო (NCMD)
სრგსკ	საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია (GCRD)
სგუსს	სოფლის განვითარების უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (Geostat)
სმს	სოციალური მომსახურების სააგენტო (SSA)
რგპფ	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი
სსს	სამხარეო საკონსულტაციო საბჭო (RCC)
რგსს	რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია (SSRD)
AA	საქართველოსა და ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს ასოცირების შეთანხმება
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
DG Near	ევროკომისიის გენერალური დირექტორატის აღმოსავლეთის კეთილმეზობლობის საკითხებში
DG Regio	ევროკომისიის გენერალური დირექტორატის რეგიონული და ურბანული პოლიტიკის საკითხებში
EC	ევროკომისია
ENPI	ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის მექანიზმი
EUD	ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში
CLLD	თემის მიერ მართული ადგილობრივი განვითარება
ENPARD	სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა
FDI	უცხოური პირდაპირი ინვესტიციები
FTA	თავისუფალი ვაჭრობის შეთანხება
ITI	ინტეგრირებული ტერიტორიული ინვესტიციები
NEET	დაუსაქმებელი, არ არის ჩართული განათლებისა და სწავლების პროცესში
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PPS	მსყიდველობითი უნარის სტანდარტები
R&D	კვლევა & განვითარება
SSF	ევროკავშირის ერთიანი დახმარების ჩარჩო დოკუმენტი
SWOT	ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები

I. მოკლე შინაარსი

საქართველოს რეგიონული განვითარების 2018-2021 წლების პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) არის საშუალოვადიანი სამთავრობო დოკუმენტი, რომელიც 2018-2021 წლების პერიოდში საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ძირითად მიზნებს, ამოცანებს, შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს განსაზღვრავს. ადგენს რა საჭირო პირობებს ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული განვითარებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის, პროგრამა ეყრდნობა ეროვნული დაგეგმვის ისეთ დოკუმენტებს, როგორებიცაა: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - "საქართველო 2020", საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა. ამავდროულად, რეგიონული განვითარების სტრატეგიული ხედვა ეფუძნება ევროკავშირის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური გათანაბრების (კოჰეზიის) პოლიტიკის უახლეს მიდგომებს, რაც გულისხმობს განვითარების ინტეგრირებული და ტერიტორიაზე მორგებული სტრატეგიების ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებას.

პროგრამა უზრუნველყოფს თანმიმდევრულ ჩარჩოს იმ საჯარო და კერძო ინვესტიციებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონულ განვითარებას, აძლევს საშუალებას ყველა დაინტერესებულ მხარეს მოახდინოს რესურსების კონცენტრირება ერთიანი, საერთო სტრატეგიის მიხედვით, რათა მიღწეულ იქნეს ინტერვენციის მაქსიმალური ეფექტიანობა.

ტერიტორიულ უთანაბრობებთან და კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებული მდგომარეობა და ტენდენციები

საქართველო, მდებარეობს რა სამხრეთ კავკასიაში, ევროპისა და აზიის გასაყარზე, შავ და კასპიის ზღვებს შორის, გამოირჩევა განსაკუთრებით მრავალფეროვანი ლანდშაფტით, რელიეფითა და უნიკალური შესაძლებლობებით. აღნიშნული, ამავდროულად, უკავშირდება მნიშვნელოვან გამოწვევებს კომუნიკაციის, ტრანსპორტისა და ხელმისაწვდომობის ფაქტორების გაუმჯობესების კუთხით. ისტორიულად, საქართველო საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვან გზაჯვარედინს წარმოადგენდა და დღესაც, ნავთობისა და გაზის ტრანზიტის ერთ-ერთი სტრატეგიული დერეფანია. თვალწარმტაცი ბუნება, ხელსაყრელი კლიმატი და ნიადაგი, ასევე, ქმნის მზარდ შესაძლებლობებს დივერსიფიცირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ტურიზმის განვითარებისათვის, რაც, თავის მხრივ, მდიდარ ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობას ეფუძნება.

საქართველო დაყოფილია 12 ისტორიულ-სტატისტიკურ რეგიონად, რომლებიც განსხვავდება ტერიტორიული, სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლებით. ზომით ყველაზე დიდი რეგიონი თითქმის 5.6-ჯერ აღემატება ყველაზე პატარას. მოსახლეობის მიხედვით, ყველაზე პატარა რეგიონში, ყველაზე დიდ რეგიონთან შედარებით, თითქმის 17-ჯერ ნაკლები მაცხოვრებელია (არ იგულისხმება თბილისი). საქართველოში ერთ კვადრატულ კილომეტრზე მოსახლეობის სიმჭიდროვე 65.2-ს შეადგენს. თუმცა, თბილისში მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 2,210 მაცხოვრებლით (გათვალისწინებულია ქალაქის ურბანული და ასევე, მიმდებარე არაურბანული ტერიტორიები) განისაზღვრება. თბილისი ყველაზე დიდი ურბანული ზონაა, სადაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის თითქმის 1/3 ცხოვრობს. ბათუმი - მეორე ყველაზე დიდი ქალაქი, თითქმის 7-ჯერ მცირეა თბილისზე. უზარმაზარი განსხვავება დედაქალაქსა და სხვა ურბანულ ზონებს შორის არსებითად ამძაფრებს ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებად დაყოფას - ქვეყნის ურბანული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხოლოდ თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არის თავმოყრილი, ხოლო ყველა სხვა რეგიონში სოფლის მოსახლეობა დომინირებს. საშუალო ზომის ურბანული ტერიტორიების ნაკლებობა (ან მათი წარმომადგენლობის ნაკლებობა) იწვევს უთანაბრობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

ქვეყნის სოციალური უთანაბრობების კუთხით, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დეპოპულაციის მაღალი მაჩვენებელია. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, მოსახლეობის რაოდენობის დადებითი ბუნებრივი მატების მიუხედავად, საქართველოში მოსახლეობა 30%-ზე მეტით შემცირდა. ზოგიერთ რეგიონში დეპოპულაციის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია. მოსახლეობის აღწერის 2002 წლის შედეგებთან მიმართებაში, 2014 წლის აღწერის შედეგებით, სამეგრელო - ზემო სვანეთში მოსახლეობა 29%-ით, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 39%-ით შემცირდა. მნიშვნელოვნად მაღალია მოსახლეობის საშუალო ასაკი აღნიშნულ რეგიონებსა და გურიაში, საქართველოში არსებულ საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. ასევე, მაღალია იმ პირთა წილი, რომლებიც იღებენ პენსიას და სოციალური დახმარებების პაკეტს (2016 წლის მონაცემებით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობის

დაახლ. 38% დამოკიდებული იყო სოციალურ დახმარებაზე[1]). აღნიშნული მიუთითებს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურების კუთხით არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევებზე, მითუმეტეს, თუ მხედველობაში იქნება მიღებული სიღარიბის შედარებით მაღალი დონე, რაც ჯერ კიდევ აღინიშნება სოფლის მოსახლეობაში. მაშინ, როდესაც სოფელში სიღარიბის დონე თითქმის უცვლელი რჩება, ურბანულ დასახლებებში სიღარიბის დონე მცირდება. ეს, უპირატესად, ხდება ურბანული სივრცეების გაფართოების ხარჯზე და ასევე, ქალაქის ტიპის დასახლებებში შემოსავლების, კაპიტალისა და მუშახელის კონცენტრირების გამო.

დასაქმებული მოსახლეობის მხოლოდ 42.3% არის დაქირავებული (84.5% - თბილისში, 45.6% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ყველა სხვა რეგიონში, დაქირავებულ დასაქმებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია). საქართველოში, დაქირავებით დასაქმებულებთან შედარებით, მეტია თვითდასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა გურიაში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთსა და შიდა ქართლში, სადაც დაქირავებული მუშახელი დასაქმებულთა სრული რაოდენობის 1/3-ზე ნაკლებია. ასევე, შეინიშნება უთანაბრობები სახელფასო შემოსავლებში (მათ შორის, ვინც დაქირავებულ სამსახურში იმყოფება). თბილისის გარეთ, საშუალო ხელფასი, დედაქალაქში არსებული ხელფასის 40-60%-ს შეადგენს.

სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა დიდი რაოდენობის გამო, საქართველოში უმუშევრობის საერთო მაჩვენებელი 11.8%-ს შეადგენს. სიაში ლიდერობს თბილისი, სადაც უმუშევრობის მაჩვენებელი 22%-ია, ხოლო უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები (4-5%), ძირითადად, დაფიქსირებულია სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. თბილისში, ასევე, ფიქსირდება მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე დაბალი ეკონომიკური აქტივობა და დასაქმების მაჩვენებელი. ეს გარკვეულწილად შეიძლება აიხსნას წარმოებისა და მომსახურეობის სექტორის შედარებით ნელი განვითარებითა და ბიზნესის მდგრადობის დაბალი მაჩვენებლებით.

მკაფიო რეგიონული განსხვავება შეინიშნება საბაზისო საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მაგალითად, ისეთის როგორებიცაა: ბუნებრივი აირი (მიეწოდება ოჯახების მხოლოდ 66.9%-ს), წყალმომარაგება (ზოგიერთ რეგიონში ხელმისაწვდომია ოჯახების მხოლოდ 34%-თვის) და ნარჩენი წყლის გამწმენდი სისტემები (ქალაქური დასახლებების გარეთ გამწმენდის სისტემები ცუდ ან ძალიან ცუდ მდგომარეობაშია). მყარი ნარჩენების შეგროვების სისტემა მხოლოდ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არსებობს და საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას. თითქმის ყველა ოჯახისათვის ხელმისაწვდომია ელექტროენერგია, მაგრამ სისტემა საჭიროებს მოდერნიზებას და ახალი ობიექტების შექმნას.

რეგიონებში ჯერ კიდევ შეინიშნება ძირითადი სოციალური სერვისის არათანაბარი ხელმისაწვდომობა. ჯანდაცვის სისტემა საჭიროებს შემდგომ ოპტიმიზაციას, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურისა და ცალკეულ სერვისებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. განათლების კუთხით, ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს პროფესიული განათლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაბალი ხელმისაწვდომობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა მდებარეობს თბილისში და რამდენიმე სხვა დიდ ქალაქში. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისხელმისაწვდომობის პრობლემა ყველაზე მკვეთრად ვლინდება ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

საქართველო დაბალი-საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყანაა, რომლის მშპ ერთ სულ მოსახლეზე 3.8 ათას აშშ დოლარს შეადგენს (2016 წლის მონაცემები). ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების შედეგად, საქართველოს რეიტინგმა ეკონომიკური თავისუფლების თვალსაზრისით საკმაოდ მოიმატა (Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო მე-13 ადგილზეა, ხვდება რა კატეგორიაში "უმეტესად თავისუფალი"; მსოფლიო ბანკის ჯგუფი საქართველოს მე-9 ადგილს ანიჭებს ბიზნესის თავისუფლების თვალსაზრისით, ხოლო 21-ე ადგილს საინვესტიციო თავისუფლების თვალსაზრისით, “Doing Business” კვლევის შეფასებით). მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის შემდეგ ადგილი ჰქონდა რეგიონულ ეკონომიკურ რყევებს, საერთაშორისო სუვერენული საკრედიტო რეიტინგები ადასტურებს სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოს (2017 წელს სარეიტინგო კომპანიამ Moody's Investors Service-მა საქართველოსთვის საკრედიტო რეიტინგი Ba3 დონიდან Ba2 დონემდე ასწია; ხოლო კომპანიებმა Standard & Poor და Fitch rating საქართველოს მიანიჭა “BB-” კატეგორია). საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა ეყრდნობა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს.

[1] ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში მომზადებული კვლევა „სოციალ-ეკონომიკური და ტერიტორიული უთანაბრობები“ http://www.regpol.ge/images/Socio-economic%20and%20territorial%20disparities_Georgia_Report_final%2012.12.2017.compressed.pdf

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2015-2016 წლების ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი განსაზღვრა 5%-ით, 2017 წლისთვის - 4%-ით, ხოლო 2018 წლისთვის - 3%-ით.

მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლიდან საქართველოში ფიქსირდება მშპ-ს ზრდის მაღალი მაჩვენებელი, ბოლო წლებში მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი შენელდა და 2016 წელს მიაღწია 2.8%-იან ნიშნულს, რაც 2011 წლიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო. ამავდროულად, მშპ-ს მნიშვნელოვანი უთანაბრობა ფიქსირდება ერთ სულ მოსახლეზე: უმდიდრეს და უღარიბეს რეგიონებს შორის ერთ სულ მოსახლეზე მშპ 2.7-ჯერ განსხვავებულია, ხოლო უმდიდრეს და სიმდიდრის მიხედვით მე-2 ადგილზე მყოფ რეგიონს შორის - 1.8-ჯერ. ქვეყნის მშპ-ში ყველაზე დიდი წილი თბილისს ეკუთვნის, რაც 49%-ს შეადგენს. დედაქალაქის ასეთი მნიშვნელოვანი წილი ეროვნულ მდღ-ის წარმოებაში არ არის უჩვეულო, მაგრამ თუკი აღნიშნულს განვიხილავთ გეოგრაფიულ და ხელმისაწვდომობის პრობლემებთან ბმაში, მეტროპოლიის და მისი ეკონომიკის ასეთი კონცენტრაცია არის საქართველოს და მისი რეგიონების ყველაზე დიდი გამოწვევა. მდღ ერთ სულ მოსახლეზე (ამჟამად არსებული ფასების პირობებში), თბილისში თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

უღარიბეს რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი) მდღ ერთ სულ მოსახლეზე 5 000 ლარზე ნაკლებია. შეინიშნება მზარდი სხვაობა თბილისს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქვეყნის დანარჩენ რეგიონებს შორის. ბიზნესსექტორის მთლიანი ბრუნვის 72% მოდის თბილისში დაფუძნებულ კომპანიებზე, რაც 2,5-ჯერ აღემატება საქართველოს ყველა სხვა რეგიონებში მომუშავე კომპანიების ბრუნვას. თბილისის კომპანიები საქართველოში არსებული სამუშაო ადგილების 63%-ს ქმნიან (ეს ეხება მხოლოდ თბილისის კომპანიებს). გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რიცხვიდან, მხოლოდ 1%-ია დასაქმებული .

საქართველოს ეკონომიკა სტრუქტურულად დივერსიფიცირებულია. მრეწველობისა და ვაჭრობის წილზე, შესაბამისად, მოდის ეკონომიკის 17 და 16 %, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის წილი განისაზღვრება 10%-ით, სოფლის მეურნეობის წილი - 9%-ით, მშენებლობის - 8%-ით, ხოლო უძრავი ქონების წილი - 7%-ით. ვაჭრობა, ავტომობილების, პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის შეკეთება, ტრანსპორტი და საკომუნიკაციო საშუალებები, სამშენებლო სექტორთან ერთად, წარმოადგენენ ეკონომიკური ზრდის გადამწყვეტ ფაქტორებს თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. მრეწველობა და წარმოება ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური აქტივობის სექტორებს წარმოადგენს ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში, ქმნის რა შესაბამისად მდღ-ის 31 და 25%. აჭარის ა/რ, გურია და სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ყველაზე ნაკლებად ინდუსტრიული ტერიტორიებია, რომელთა რეგიონული მდღ, საერთო მდღ-ის 5 და 8 %-ს შორის მერყეობს.

თბილისის ეკონომიკა ყველაზე კონკურენტუნარიანია საქართველოში, იზიდავს რა ინვესტიციებს და ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს (მის წილზე მოდის ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ყველა ინვესტიციის 76% და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 86%). ამავე დროს, ინვესტიციის დონე და ტენდენციები ბევრ რეგიონში (გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი) მცირდება. თუმცა, სპეციალიზებული ღირებულებათა ჯაჭვების ნაკლებობა და შრომის დაბალი პროდუქტიულობა, ისევე, როგორც ბიზნესსექტორის დაბალი ინოვაციურობა, დედაქალაქის შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის მთავარ ბარიერებს ქმნიან.

ინოვაციური და ტექნოლოგიური სტატისტიკა, როგორც ასეთი, ჯერჯერობით არ იწარმოება საქართველოში. ზოგიერთი მონაცემები ხელმისაწვდომია, მაგრამ მათი უდიდესი უმრავლესობა არ არის წარმოდგენილი რეგიონულ დონეზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული ინოვაციების კვლევის თანახმად, 2013-2015 წლის განმავლობაში, საინოვაციო საქმიანობაში ჩართული ქართული საწარმოების 48,8%-მა წარმოადგინა ახალი და მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტები, ხოლო 51.2%-მა ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული სერვისები. 2016-2017 წლებში 138 ქვეყნიდან, რომელიც შეფასდა გკი-ით საქართველომ 113-ე ადგილი დაიკავა ინოვაციებისა და განვითარების ფაქტორებში, 65-ე ადგილი - ტექნოლოგიურ მზაობაში, 116-ე ადგილი - ინოვაციებში, ხოლო 100-ე ადგილი - ინოვაციურ პოტენციალში. იმისათვის, რომ გარდაიქმნას ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებად, საქართველომ უნდა გააძლიეროს ადგილობრივი კომპანიების ინოვაციური შესაძლებლობები და მათი თანამშრომლობა სამეცნიერო სექტორთან.

ქვეყნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, მისი ეროვნული რესურსების, კლიმატური პირობების, ასევე, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გამო, ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია. 2006-2016 წლებში ტურიზმის ინდუსტრიის საერთო შემოსავალი 6.9-ჯერ გაიზარდა, შეადგინა რა 2.2 მლრდ აშშ დოლარი. ქვეყანაში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჩამოსვლის წლიური ზრდის მაჩვენებელმა 2016-2017 წლებს შორის

18,8% შეადგინა. აღნიშნული წარმოადგენს უცხოური ვალუტის შემოდინებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელოვან წყაროს, მათ შორის, ცენტრიდან დაცილებულ და ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში. სამწუხაროდ, სტატისტიკა ჯერჯერობით არ ასახავს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობას რეგიონების მიხედვით. რეგიონულ დონეზე ხელმისაწვდომია მხოლოდ ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა.

საქართველო და მისი რეგიონები ინტერნეტის ზომიერი მომხმარებლები არიან. საწარმოების 97.5%-ს აქვს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, საწარმოების 44.3%-ს აქვს საკუთარი ვებგვერდი, თუმცა კომპანიების მხოლოდ 9.5% იღებს პროდუქციისა და მომსახურეობის შეკვეთებს ვებგვერდის მეშვეობით. 6 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის თითქმის 60% სარგებლობს ინტერნეტით, თუმცა, აქაც შეიძლება დაფიქსირდეს უთანასწორობა რეგიონებს შორის: თბილისისათვის ეს მაჩვენებელი 76.7%-ია, აჭარის ა/რ-სა და სამცხე-ჯავახეთისთვის - 57-58%, ხოლო ყველა დანარჩენი რეგიონისათვის - 40% და 50%. ინტერნეტი ხელმისაწვდომია საქართველოს ოჯახების 71,5%-თვის.

ბოლო პერიოდში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების მიუხედავად, საგზაო ქსელი ჯერ კიდევ დაბალ გამტარუნარიანია, განსაკუთრებით ისეთ რეგიონში, როგორიცაა კახეთი. ის საჭიროებს მნიშვნელოვან განახლებას ზედაპირის ხარისხსა და სიგანესთან მიმართებაში. 1.342 კილომეტრიანი სარკინიგზო ქსელი მხოლოდ 294 კილომეტრის მანძილზე არის ორლიანდაგიანი, ელექტრიფიცირებულია 100%. სარკინიგზო ქსელის 80% გადაკვეთს მთიან რელიეფს, სადაც ნებისმიერი განვითარება არის რთული და ძვირადღირებული. რადგან ადგილობრივი მოსახლეობის სატრანსპორტო საშუალებები, თითქმის, მთლიანად გზასთან არის დაკავშირებული, ცუდი ინფრასტრუქტურა გავლენას ახდენს კავშირსა და მობილობაზე - არასაკმარისად ეფექტური სატრანსპორტო საშუალებები, თბილისის ფარგლებს გარეთ ეკონომიკურ ღირებულებათა დაბალ დონესთან ერთად, უმუშევრობის მაღალი დონის გამომწვევ ძირითად ფაქტორად ითვლება.

სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს, უზრუნველყოფს რა მშპ-ს 9%-ს. ამავდროულად, სოფლის მეურნეობაში დაკავებულია ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ზოგიერთ რეგიონში სამუშაო ძალის 70%-ზე მეტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, მაშინ როცა სასოფლო მეურნეობების 77% ერთ ჰექტარზე ნაკლები მიწით სარგებლობს.

ყველაზე პოპულარულ მარცვლეულ კულტურებს წარმოადგენს სიმინდი, ხორბალი და ქერი. ხილი და თხილეული, ძირითადად, შიდა ქართლში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში იზრდება. მეცხოველეობისა და რძის პროდუქტების წარმოების ყველაზე მსხვილ რეგიონებს წარმოადგენენ სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი და ქვემო ქართლი, მაგრამ სექტორის დაბალი პროდუქტიულობის გამო, ასევე, რძის დაბალი ხარისხისა და საკვების უვნებლობის არასაკმარისი სტანდარტების გათვალისწინებით, რძის სექტორს განვითარებას ბარიერები ექმნება. საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ღვინის მწარმოებელია. ქვეყნის ლანდშაფტის, სიმაღლის, ნიადაგის დრენირებისა და მზის შუქის კომბინაცია უზრუნველყოფს მევენახეობის ოპტიმალურ პირობებს. კახეთის რეგიონი საქართველოში ყურძნის წამყვანი მწარმოებელია (ეროვნული წარმოების დაახლოებით 70%).

საქართველო, ფისკალურად, ჯერ კიდევ ცენტრალიზებული ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ფისკალური მდგრადობის მაჩვენებელი (გადასახადებითა და მოსაკრებლებით მიღებული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე) გაიზარდა და 2016 წლისთვის თბილისში შეადგინა 422 ლარი, ხოლო შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში - 86 ლარი, ეს მაჩვენებელი ჯერაც მნიშვნელოვნად დაბალია ყველაზე ნაკლებად განვითარებული ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსთან შედარებით, რაც ხელს არ უწყობს რეგიონების განვითარების პოტენციალის სრულად გამოყენებას.

რიგი მნიშვნელოვანი რეფორმების მიუხედავად, რომელიც განხორციელდა საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის სისტემაში, ჯერაც სახეზეა ინფორმაციის ნაკლებობა ადგილობრივი ეკონომიკის, კონკურენტუნარიანობის, ვაჭრობის, მიგრაციის, ინოვაციების, შრომის ბაზრისა და სხვა რეგიონული მონაცემების შესახებ. მუნიციპალური სტატისტიკა კი თითქმის მიუწვდომელია.

ტერიტორიული განვითარების საჭიროებები და პოტენციალი

ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ საქართველოს, ერთი მხრივ, აქვს მრავალი გამოწვევა და საჭიროება შემდგომი განვითარებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი, რაც შეიძლება ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ეკონომიკური განვითარების გაღრმავებისა და მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ბევრ საჭიროებასა და პოტენციალს აქვს მკაფიო ტერიტორიული კუთვნილება - ზოგიერთი მათგანი სპეციფიურია მხოლოდ კონკრეტული ადგილმდებარეობისათვის ან ტერიტორიის ტიპისათვის.

ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ **სამი ჰორიზონტალური საჭიროება**.

პირველი და ძირითადი საჭიროება არის ქვეყნის **ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება,** რამდენადაც საქართველოს ეკონომიკის რიგი უმნიშვნელოვანესი ასპექტები საერთაშორისო შეფასებებში კვლავ დაბალ ნიშნულებზე რჩება. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებთან დაკავშირებული კონკურენტუნარიანობისა და ზრდის ფაქტორები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. შესაბამისად, ამ ფაქტორების ეფექტიანი გამოვლენა და გამოყენება მოითხოვს ტერიტორიებზე მორგებული ინტეგრირებული განვითარების პოლიტიკას და მის თანმიმდევრულ განხორციელებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მეორე გამოვლენილი ჰორიზონტალური საჭიროება, რომელსაც უნდა პასუხობდეს რეგიონული პოლიტიკა, არის რეგიონებს შორის მკვეთრი განსხვავებებისა და **უთანაბრობების შემცირება** ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით (უკანასკნელი წლების მნიშვნელოვანი ძალისხმევის მიუხედავად, აღნიშნული უთანაბრობები ვერ იქნა არსებითად დაძლეული, ხოლო ხშირ შემთხვევაში გაღრმავდა კიდეც). ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება ჯერაც კონცენტრირებულია თბილისის ფუნქციურ არეალში, ხოლო დედაქალაქის დომინანტური პოზიცია გავლენას ახდენს თითქმის ყველა ეკონომიკურ ფაქტორზე. ამასთან, დასაქმების დაბალი აქტივობა და დასაქმების დაბალი მაჩვენებელი თბილისში მიგვანიშნებს, რომ დედაქალაქის სოციალური პრობლემების გაუმჯობესება ცალკე სამიზნეს უნდა წარმოადგენდეს. ეკონომიკური მაჩვენებლები და სტრუქტურა გავლენას ახდენს სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების სოციალურ უთანაბრობაზე და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თბილისსა და სხვა რეგიონებს შორის სიღარიბის დონის მყარ (ხშირად კი მზარდ) სხვაობას. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ დედაქალაქთან შედარებით რეგიონებში სიღარიბის გაცილებით მაღალ დონეს, შემდეგია: თბილისის გარეთ სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმების მაღალი მაჩვენებელი; მაღალშემოსავლიანი სამუშაო ადგილების ნაკლებობა; დეპოპულაცია და მოსახლეობის ხანდაზმულობა (ძირითადად სოფლად); მოსახლეობის დიდი პროცენტი, რომელიც ცხოვრობს სოციალური დახმარებით და ასევე, ზოგიერთ რეგიონში პენსიონერთა ძალიან მაღალი წილი. მნიშვნელოვანი ტერიტორიული უთანაბრობა მომსახურეობის ხელმისაწვდომობის კუთხით კიდევ ერთი ფაქტორია, რაც გავლენას ახდენს მოქალაქეთა ცხოვრების დონეზე.

მესამე ჰორიზონტალურ საჭიროებას წარმოადგენს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ინსტრუმენტების შემდგომი გაუმჯობესება, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გაძლიერება საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით და რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართული სტრუქტურების **ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება.** არსებული პროგრამული ბაზა, რომელიც აერთიანებს 2010-2017 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიას, ცალკეული რეგიონების სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს, შესაძლებელია საჭიროებდეს მეტ სინქრონიზაციას განვითარების ეროვნულ პოლიტიკასთან. საჭიროა განმტკიცდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მაკოორდინირებელი ფუნქცია რეგიონული განვითარების პოლიტიკის უფრო ქმედითი განხორციელებისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მოქმედი სხვა ინსტიტუციებისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობები, რათა მათ შეძლონ ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამების განხორციელება, საწყის ეტაპზე - ცალკეულ საპილოტე რეგიონებში.

გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილება მოითხოვს კომპლექსური და ამბიციური რეგიონული განვითარების პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მდგრადი კონკურენტუნარიანობის ფაქტორების ეფექტიანი გამოყენებისკენ და ამავე დროს, ხელს შეუწყობს ქვეყნის უფრო დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ და ტერიტორიულ განვითარებას. პოლიტიკის შერჩევისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს გლობალიზაციის კონტექსტი, ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური გარემო, განხორციელების მოკლევადიანი დრო (3-4 წელი), ასევე, შეზღუდული ინსტიტუციური და ფინანსური რესურსები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება რეგიონული განვითარების პროგრამა. სექტორული მიდგომით გამოვლენილი ჰორიზონტალური საჭიროებები და პოტენციალი შეიძლება გადანაწილდეს 5 ძირითად ჯგუფში, მათ შორის:

- <u>ძირითადი ინფრასტრუქტურა</u> - ძირითადი სტრატეგიული ფიზიკური ინფრასტრუქტურა, როგორიცაა ავტომაგისტრალები სატრანსპორტო დერეფნებში, რკინიგზა, აეროპორტები და საზღვაო პორტები; გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და განვითარება (წყალმომარაგების სისტემა, მყარი ნარჩენების მართვა, ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის სისტემა); ენერგეტიკისა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურა; კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა; ურბანული ტრანსპორტის ინტეგრირებული გადაწყვეტილებების ხელშეწყობა.
- <u>ეკონომიკა</u> - მეწარმეების მხარდაჭერა, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის; ინოვაციური ფირმების დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა და არსებული კვლევითი და აკადემიური ინსტიტუტების ჩართულობის გაუმჯობესება ბიზნესის სფეროში, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ინოვაციური პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში; ექსპორტის მოცულობისა და სტრუქტურის გაზრდა; ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების მრეწველობის პოტენციალის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა; ინვესტიციების ზრდა, პირველ რიგში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.
- <u>ადამიანური რესურსები</u> - შემდგომი რეფორმების განხორციელება განათლებისა და ჯანდაცვის სექტორში, ადეკვატური საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, კულტურული, სპორტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა ქვეყნის რეგიონებსა და დედაქალაქში; პროფესიული განათლების სისტემის რეფორმის გაგრძელება; სკოლამდელი, ზოგადი, უმაღლესი, პროფესიული განათლების სისტემის დახვეწა; სკოლამდელ, ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში კვალიფიკაციის ამაღლება, სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, უცხოელი სტუდენტებისა და ლექტორების რაოდენობის გაზრდა; არაფორმალური განათლების ხელშეწყობა; საქართველოში კვლევასა და განვითარებაზე ორიენტირებული ინსტიტუტების ხელშეწყობა, რათა მოხდეს მათი მხრიდან ინოვაციებისა და ბიზნესსექტორთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, საერთაშორისო სამეცნიერო დაწესებულებებთან კავშირების გაზრდა; შრომის ბაზრის რეფორმა, რათა შემცირდეს შეუსაბამობა ბაზარზე არსებულ მოთხოვნებსა და მუშა მოსამსახურეების უნარ-ჩვევებს შორის; შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; პროაქტიული დასაქმების პოლიტიკა, რომელიც მიმართულია რეგიონებში მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნისა და ახალგაზრდა კადრების მოზიდვისკენ, ღარიბი რეგიონების ეკონომიკური აქტივობის ზრდისკენ და უმუშევარი და ეკონომიკურად დაუცველი ჯგუფებისაკენ.
- <u>ენდოგენური განვითარება</u> - მოქალაქეების მაღალი ჩართულობა მუნიციპალიტეტების დონეზე ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად; ადგილობრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია, მათ შორის - სოფლებში; ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაცია; მაღალმთიან რეგიონებში ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და საჯარო მომსახურეობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (განათლება, ჯანდაცვა, ძირითადი ინფრასტრუქტურა და ა.შ.); შავი ზღვის პორტების განვითარების ხელშეწყობა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალის გაღრმავების მიზნით; საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება ურბანული ტერიტორიების ფუნქციური ინტეგრაციის გზით.
- <u>ინსტიტუციური განვითარება</u> - ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაძლებლობათა ზრდა, რათა მათ ხელი შეუწყონ რეგიონული განვითარების პოლიტიკის წარმატებულ განხორციელებას; სამინისტროებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება; საქსტატის შესაძლებლობების ზრდა, რათა ხელმისაწვდომი იყოს გამოვლენილი ტენდენციების უფრო სრულფასოვანი ანალიზი და ეროვნული და რეგიონული განვითარების პოლიტიკის დაგეგმვისა და შეფასებისათვის საჭირო მონაცემები; პოლიტიკურ ციკლში თანამშრომლობის პრინციპების განვითარება; რეგიონული განვითარების პილოტური, ინტეგრირებული პროგრამების მომზადება და განხორციელება, რომელიც თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

რეგიონული უთანაბრობების კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ანალიზმა, SWOT ანალიზმა და რეგიონების განვითარების სტრატეგიების ფარგლებში განხორციელებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ქვეყნის ცალკეულ რეგიონებს აქვთ მსგავსი ძირითადი საჭიროებები და გამოწვევები, ბიზნესის ხელშეწყობის სქემები და აუცილებელი საჯარო სერვისები. თუმცა, ამავდროულად, თითოეული რეგიონი და მისი განვითარების დაგეგმვა ხასიათდება მრავალი უნიკალური ნიშან-თვისებით, რომელიც სპეციფიურია მოცემული ტერიტორიის ან რეგიონების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობისათვის. *ცხრილში 13* მოცემულია ის კონკრეტული ბარიერები, რომლებიც დაძლეულ უნდა იქნეს თითოეული რეგიონის დონეზე, აგრეთვე, ის შესაძლებლობები და პოტენციალი, რომელთა გამოყენება აუცილებელია მათი შემდგომი განვითარებისთვის. ანალიზი, აგრეთვე, იძლევა საშუალებას გამოვლინდეს რამდენიმე რეგიონი, სადაც ევროკავშირის მხარდაჭერით, ამ ეტაპზე, ყველაზე ეფექტიანი იქნებოდა ინტეგრირებული რეგიონული განვითარების საპილოტე პროგრამების განხორციელება. ეს რეგიონებია: სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და კახეთი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით, ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და არსებული პოტენციალი, აუცილებლად არ ემთხვევა ადმინისტრაციული თუ გეგმარებითი რეგიონების საზღვრებს. პოტენციურად, საქართველოში სამი განსხვავებული **ფუნქციური** რეგიონი შეიძლება გამოიყოს: *შავი ზღვის სანაპირო ზოლი, თბილისის ფუნქციური ზონა და მწირად დასახლებული მთიანი რეგიონი.*

სტრატეგიული გამოწვევები საქართველოსთვის

საქართველო ებრძვის არსებულ ტერიტორიულ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს, მაგრამ, ამავე დროს, მას გააჩნია განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომელიც არ არის სრულფასოვნად გამოყენებული. ამ პოტენციალის გამოყენებისათვის საჭიროა სტაბილური საერთო პოლიტიკური სიტუაციის შენარჩუნება, კარგი მაკროეკონომიკური პოლიტიკა და ძირითადი პრობლემებისა და ბარიერების გადალახვა სტრუქტურული ცვლილებების მეშვეობით. აღნიშნული პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ძლიერი მხარეებისა და არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურ და რაციონალურ გამოყენებას.

გლობალიზაცია იძლევა მნიშვნელოვან შესაძლებლობებს, მაგალითად: ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდა, ქართული პროდუქციის ექსპორტი და ევროკავშირთან მზარდი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის პროცესის სრულფასოვანი გამოყენება. ბაზრების გახსნა, კანონმდებლობების ჰარმონიზება, ცოდნის გაზიარება და ფინანსური მხარდაჭერა ევროკავშირის მხრიდან ხელს შეუწყობს სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ამ შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებისათვის საქართველოს სჭირდება ამბიციური, მაგრამ, ამავე დროს, რეალისტური და **პასუხისმგებლიანი განვითარების სტრატეგია**, რომელიც ეფუძნება ქვეყნის დაგეგმვის დოკუმენტებს („საქართველო 2020“, სხვა სექტორული და რეგიონული განვითარების სტრატეგიები) და ასევე, ასოცირების შეთანხმების დებულებებსა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების სტრატეგიას. ეს გულისხმობს მნიშვნელოვან სტრუქტურულ გარდაქმნებს, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით თითოეული რეგიონის განსხვავებულ გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. სტრუქტურული ცვლილებებისა და კონკურენტუნარიანობის პოლიტიკა შერწყმული უნდა იყოს სოციალური და ტერიტორიული ჩართულობისაკენ ძლიერ სწრაფვასთან. მხოლოდ ინკლუზიურმა განვითარებამ შეიძლება გაზარდოს ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები მდგრადად და აამაღლოს მოქალაქეთა კეთილდღეობა.

იმისათვის, რომ შეიტანოს ქმედითი წვლილი ეროვნული განვითარების სტრატეგიის მთავარი მიზნების განხორციელებაში, რეგიონული განვითარების პოლიტიკა მართული უნდა იყოს შემდეგი 3 პრინციპით:

- ეროვნული, დარგობრივი და რეგიონული განვითარების პოლიტიკა და სტრატეგიები ყალიბდება რეგიონებისა და ტერიტორიების საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის გათვალისწინებით. შესაბამისი მიდგომები მოიცავს ყოვლისმომცველ ტერიტორიულ ანალიზს და ახორციელებს დიფერენცირებულ საკანონმდებლო ჩარევასა და საჯარო ინვესტიციებს ტერიტორიული პრინციპით.
- სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკისა და საინვესტიციო საშუალებების კოორდინირებულობა. ამასთან, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე განხორციელებული საჯარო ინიციატივების თანმიმდევრულობის გაუმჯობესება აუცილებელია პოლიტიკის ციკლის ყველა ეტაპზე.
- პარტნიორობა და მრავალდონიანი მმართველობა განიხილება, როგორც რეგიონული განვითარების პოლიტიკის ქვაკუთხედი.

ზემოხსენებული პრინციპები წარმოადგენს განვითარების უფრო ფართო, ინტეგრირებული ტერიტორიული მიდგომის ნაწილს. ის იძლევა დაინტერესებულ მხარეთა ცოდნისა და ინტერესების ინტეგრაციის საშუალებას საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე. შედეგად, იქმნება გამართულად ფუნქციონირებადი მრავალდონიანი მართვის სისტემა, რომელიც ეფუძნება ადგილობრივ ცოდნას, შემოქმედებითობასა და ინოვაციებს.

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის მიმდინარე პროცესი საშუალებას იძლევა რეგიონული პოლიტიკის შემუშავების პროცესში გამოყენებულ იქნეს საუკეთესო საერთაშორისო მაგალითები.

ამგვარად, რეგიონული განვითარების პროგრამაში აისახა მთელი რიგი ჰორიზონტალური საჭიროებები. ეს საჭიროებებია: რესურსების ფოკუსირება ინვესტიციების მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად; პოლიტიკის იმ მიზნების გათვალისწინება, რომლებიც დაკავშირებულია მდგრად განვითარებასთან, თანაბარ შესაძლებლობებთან და სოციალურ ჩართულობასთან. ამასთან, პროგრამაში ასახულია რეგიონული პოლიტიკის ახალი გამოწვევები, რაც დემოგრაფიული განვითარებისა და კლიმატის ცვლილების შედეგია.

პროგრამის სტრატეგიული მიზნები

საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბებისას, გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო გამოცდილება, ქვეყნის მიერ გაკეთებული პოლიტიკური არჩევანი (ევროინტეგრაციის პროცესი) და განვითარების საერთო მიზნები.

საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ეროვნული პოლიტიკის მიზნების განხორციელებას ტერიტორიული ერთეულების შესაძლებლობების გამოყენებისა და განვითარების ბარიერების აღმოფხვრის გზით („საქართველო 2020“: ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა ეროვნულ დონეზე). ამ მიზნის მისაღწევად, საჭიროა კანონმდებლობისა და ინსტიტუციების შექმნის პროცესში კოორდინირებული საქმიანობა და ასევე, ინვესტიციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითად საზოგადოებრივ დოვლათსა და მომსახურეობას (მაგ. მნიშვნელოვანი სატრანსპორტო პროექტები, ჯანდაცვა, განათლება, შრომის ბაზარი და ა.შ.). ამასთან, უმნიშვნელოვანესია კერძო ინვესტიციებისა და დასაქმების დონის მატების ხელშეწყობა, ინოვაციების ხელშეწყობა, საწარმოების (განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის), ბიზნესორგანიზაციებისა და ადამიანური რესურსების განვითარების მხარდაჭერა.

სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს და მისი რეგიონების განვითარების დონის დაახლოება ევროკავშირთან და სხვა, განვითარებული ეკონომიკის მქონე სუბიექტებთან. ამისათვის, აუცილებელია თითოეული რეგიონის (ტერიტორიის) პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და მათი განვითარება, რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ საერთო ეროვნული წარმატების მიღწევასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდაში (პროდუქტიულობის საერთო ზრდა). ამგვარი სტრატეგიული მიდგომა გავლენას მოახდენს შიდა უთანაბრობების შემცირებასა და აღმოფხვრაზეც. უკვე განვითარებულ რეგიონებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ სარგებელი ევროპული ინტეგრაციისა და ბაზრების გახსნის შედეგად. გრძელვადიანი შედეგი იმ ქმედებებისა, რომლებიც მიზნად ისახავს - საჭირო ინფრასტრუქტურის მიწოდებას, ადამიანური რესურსების ხარისხის გაუმჯობესებას, სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას, ასევე, ინსტიტუციების განმტკიცებას და ენდოგენური განვითარების ხელშეწყობას, - იქნება ღარიბი რეგიონების განვითარება.

რეგიონული განვითარების პოლიტიკის გრძელვადიანი ზემოქმედების შეფასების მიზნით, შეირჩა რამდენიმე ინდიკატორი, როგორიცაა: *მშპ ერთ სულ მოსახლეზე ეროვნულ დონეზე, საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, როგორც მშპ-ის პროცენტული წილი, თბილისის წილი საერთო მთლიან დამატებულ ღირებულებაში (მდღ), სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის წილი (ეროვნულ დონეზე) და ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების წილი, როგორც მშპ-ს პროცენტი (რეგიონული დონე).*

პროგრამის მიზნები და პრიორიტეტები

საქართველოს განვითარების მხარდასაჭერად, მომავალი 10-15 წლის მანძილზე უნდა განხორციელდეს ამბიციური, განვითარებისაკენ მიმართული და ყოვლისმომცველი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, ძლიერი ტერიტორიული კომპონენტით, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიულ ასპექტებს და ხელს უწყობს განვითარების სტრატეგიის საერთო მიზნების მიღწევას.

საშუალოვადიან პერსპექტივაში პოლიტიკა ფოკუსირებული იქნება ძირითადი მიზნების შეზღუდულ რაოდენობაზე, რომლებიც განსაზღვრული იქნება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. შესაბამის მიზნებთან ერთად, გამოიკვეთება მოსალოდნელი შედეგები, რომლებიც გულისხმობენ კონკურენტუნარიანობის ზრდას და სხვადასხვა გამოვლენილი ხარვეზის შემცირებას (ინფრასტრუქტურული, ადამიანური რესურსების, პროდუქტიულობის, ფინანსების). გრძელვადიან პერსპექტივაში ეს გამოიწვევს საქართველოს, მის რეგიონებსა და ევროკავშირს შორის არსებული უთანაბრობის შემცირებას და ქვეყნის შიდა ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული გათანაბრების მიღწევას.

გამოიკვეთა საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემდეგი სტრატეგიული საშუალოვადიანი ამოცანები, რომელიც პასუხობს საჭიროებებს და ითვალისწინებს გამოვლენილ პოტენციალს:

- **ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა,** ყველა რეგიონის პოტენციალის გამოყენებით და მათი სპეციფიური შესაძლებლობების შესაბამისად, რასაც მოჰყვება შემდეგი მოსალოდნელი (გრძელვადიანი) შედეგები: პროდუქტიულობის დონის ამაღლება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით ყველა რეგიონისათვის; თბილისის გარე რეგიონების გაზრდილი წვლილი ეროვნულ მშპ-სა და მდღ-ში; ყველა რეგიონში უმუშევრობის დონის შემცირება / დასაქმების დონის ზრდა; ყველა რეგიონში კერძო ინვესტიციების დონის მატება - განსაკუთრებით ინვესტიციების მატება თბილისს გარეთ და დანახარჯების ზრდა ინოვაციებზე (მშპ-ს %).
- **სოციალური თანასწორობისა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა მოქალაქეთათვის, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა.** საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელი შედეგები: ყველა რეგიონში სიღარიბის დონის შემცირება; ბავშვთა ზრუნვის დონის ამაღლება; თვითდასაქმებულთა რაოდენობის შემცირება, განსაკუთრებით,- თბილისში; ყველა რეგიონში სკოლების დაწყებითი საფეხურებიდან მოსწავლეთა განთესვის შემცირება; საჯარო მომსახურეობის ხელმისაწვდომობის ამაღლება, განსაკუთრებით, დეპრესიულ რეგიონებში (ჯანდაცვა, ზოგადი განათლება, სოციალური დახმარება, პროფესიული განათლება).
- **ტერიტორიულად დაბალანსებული მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.** მოსალოდნელია შემდეგი საშუალო და გრძელვადიანი შედეგები: საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული ხელმისაწვდომობის ზრდა; ინფრასტრუქტურული უთანაბრობების შემცირება დაგეგმვის (გეგმარებით) რეგიონებსა და ფუნქციურ ტერიტორიებს შორის (მაღალმთიანი და სოფლის ტიპის დასახლებებისგან შემდგარი რეგიონები); ქვეყნის დასახლებული პუნქტების უმეტესობის დაფარვა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტინფრასტრუქტურით; ეკონომიკური აქტივობის ზრდა რეგიონების საშუალო ზომის ქალაქებსა და ცენტრებში (იზომება კომპანიების ბრუნვით).

2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის ამოცანები, რომელიც შემუშავებულია შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილია მე-2 თავში. ასევე, საუბარია "საქართველო 2020"-ის ფარგლებში განსაზღვრულ 3 საჭიროებაზე: სწრაფი და ეფექტური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რასაც განაპირობებს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება (წარმოება); ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას; გარემოს უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილება. 2010-2017 წლების რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის (ამოიწურა 2017 წლის ბოლოს) საერთო და სპეციფიური ამოცანებია: რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მოსახლეობის საცხოვრებელი სტანდარტებისა და პირობების გაუმჯობესება რეგიონების დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზით; კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სოციალურ-ეკონომიკური დისბალანსის შემცირება რეგიონებს შორის. გათვალისწინებულია პირველი, 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება.

ამ მიზნების მისაღწევად, იკვეთება შესაბამისი საკანონმდებლო, ინსტიტუციური და საინვესტიციო ღონისძიებების გატარების საჭიროება ეროვნული, დარგობრივი და რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში, იმ ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელიც დაფინანსებულია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ევროკავშირის მიერ.

საქართველომ უნდა გააგრძელოს დაჩქარებული ეკონომიკური ზრდა, რაც მოითხოვს ეკონომიკის შემდგომ დივერსიფიკაციას, მაგრამ, ასევე, უნდა მოახდინოს გონივრული სპეციალიზაცია იმ სექტორებში, რომლებიც მეტად წარმოაჩენენ საქართველოს უპირატესობას. როგორც საქართველოს რეგიონებს შორის, ასევე, თითოეული რეგიონის ფარგლებში არსებული მკვეთრი დისბალანსიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება ინკლუზიური ზრდის საჭიროება - არასასურველი დემოგრაფიული სიტუაცია, განსაკუთრებით სოფლად და განვითარების სპეციფიური პრობლემები მთიან რეგიონებში მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ასევე მრავალრიცხოვანი იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა, რომელთაც დაკარგეს საცხოვრებელი სახლები რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად, რასაც მოჰყვა ქართული ტერიტორიების ოკუპაცია.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადამიანური რესურსების განვითარებას, რაც გულისხმობს ზოგად განათლებას, პროფესიულ განათლებასა და უწყვეტი სწავლების სისტემას. ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციამ და განვითარებამ უნდა შეინარჩუნოს პრიორიტეტული სტატუსი. მათ შორის, ძალიან მნიშვნელოვანია სატელეკომუნიკაციო და სატრანსპორტო ქსელების განვითარება, რადგან მთელ საქართველოში ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის გაზრდა პირდაპირ გავლენას ახდენს ინვესტიციების გაფართოებაზე (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჩათვლით) ქალაქის აგლომერაციების გარეთ.

გარდა ამისა, გარემოს დაცვის თვალსაზრისით, აუცილებელია გაუმჯობესდეს ტრანსპორტის ტიპებად დაყოფა, რათა გაიზარდოს ინვესტიციები რკინიგზის ქსელსა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის „ჭკვიან“ სისტემებში. აგრეთვე, აუცილებელია ენერგეტიკის, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაცია-გაფართოება და მყარი ნარჩენების მართვის სისტემების შემდგომი გაუმჯობესება.

მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრამული რესურსებისა, ჩამოთვლილი სფეროების სრულფასოვანი დაფარვა შეუძლებელია. საჭიროა მოხდეს რესურსების კონცენტრირება სექტორული რეფორმის პრიორიტეტების მიხედვით. ასევე, მოხდეს თითოეული რეგიონის სპეციფიური რესურსების თანმიმდევრული და ეფექტიანი გამოყენება.

ანალიზი, რომელიც ჩატარდა წინამდებარე პროგრამის მოსამზადებელ ფაზაში, კონცენტრირებული იყო თითოეულ სექტორში არსებულ ბუნებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ უთანაბრობებზე ტერიტორიულ ჭრილში. გაძლიერებული ტერიტორიული მიდგომა უნდა წარმოადგენდეს ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს როგორც ამ რეგიონული უთანაბრობების დაძლევისას, ასევე, საინვესტიციო ღონისძიებების შერჩევისას, მათ შორის, რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში. ძირითადი საჯარო საინვესტიციო პროექტები ხელს შეუწყობს უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას და ამავდროულად, ყველა რეგიონში შექმნის საბაზო ინფრასტრუქტურულ პირობებს მათ განსახორციელებლად.

ინტეგრირებული ტერიტორიული საინვესტიციო ღონისძიებები (ITI) მიმართული უნდა იყოს ერთის მხრივ, სხვადასხვა ტერიტორიების განსხვავებული საჭიროებების ეფექტიანი დაკმაყოფილებისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ტერიტორიების სპეციფიური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებისაკენ. ეს მიღწეულ უნდა იქნეს რეგიონული განვითარების პროგრამების მეშვეობით, რომლებიც აერთიანებენ როგორც სხვადასხვა სექტორების, ისე სხვადასხვა ტერიტორიების არსებულ რესურსებსა და ძალისხმევას.

რეგიონული განვითარების პროგრამის მმართველ და მაკოორდინირებელ ორგანოებს წარმოადგენენ საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. გაძლიერებული მანდატები მათ საშუალებას მისცემს განახორციელონ უფრო ეფექტიანი დარგთაშორისი კოორდინაცია და ასევე, აწარმოონ უწყვეტი დიალოგი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ამასთან, მათ აქვთ შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა ხელი შეუწყონ პროექტების შერჩევისა და განხორციელების პროცესის მართვას რეგიონული განვითარების პროგრამის საერთო მიდგომების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის საერთო მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, რეგიონული უთანაბრობების შემცირებასა და ტერიტორიულ განვითარებას. საერთო მიზანი მოიცავს პროგრამის შემდეგი **სამი კონკრეტული მიზნის** მიღწევას:

1. **სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა,** დინამიურ საერთაშორისო კონტექსტში საქართველოს შედარებითი უპირატესობების სისტემური გამოყენების, მმართველობის სხვადასხვა დონეზე შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ხელშემშლელი ბარიერების აღმოფხვრის გზით;
2. ინფრასტრუქტურის, ენერგო და საკომუნიკაციო ქსელებისა და კომუნალური სერვისების **მდგრადი განვითარება**, რეაბილიტაცია და გაფართოება უსაფრთხო გზებით;
3. **სოციალური და ტერიტორიული უთანაბრობების დაძლევის ხელშეწყობა** - თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველა მოქალაქისათვის, მათი სოციალური კუთვნილებისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ამ მიზნების განხორციელებისათვის, პროგრამა იყენებს სტრუქტურას, რომელიც ეფუძნება **5 პრიორიტეტს:**

- **პრიორიტეტი 1.** ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- **პრიორიტეტი 2.** მცირე და საშუალო საწარმოების, ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკის სექტორებისა და ექსპორტის ხელშეწყობის მხარდაჭერა;
- **პრიორიტეტი 3.** ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა;
- **პრიორიტეტი 4.** ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე;
- **პრიორიტეტი 5.** რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდა, საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამების მომზადება.

აღნიშნული პრიორიტეტების დასაბუთება და მათი დეტალური აღწერილობა მოცემულია წინამდებარე პროგრამის მე-6 თავში, ხოლო მათი განხორციელებისთვის განსაზღვრული შესაბამისი ღონისძიებები, აქტივობები და ინსტრუმენტები - პროგრამის მე-7 თავში.

ფინანსური გეგმა

პროგრამით გათვალიწინებული ღონისძიებების (მთლიანი სავარაუდო ბიუჯეტი: დაახლოებით **18** მილიარდი ლარი) განხორციელება ფინანსდება 2018-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დონორი ორგანიზაციებიდან და ასევე, რეგიონული განვითარების პროგრამის მხარდასაჭერად ბენეფიციართა მიერ გაღებული თანადაფინანსებიდან. (დონორი ორგანიზაციები და ფონდები დაეხმარებიან სახელმწიფო ბიუჯეტს და შესაბამისად, თანხის ხარჯვა მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით. დონორთა დახმარება, ასევე, შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის გვერდის ავლით, უშუალოდ, დონორების მიერ ან კონტრაქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტების მეშვეობით).

ასიგნებების ინდიკატური მაჩვენებლები შეტანილია პროგრამის ღონისძიებების აღწერაში და ფინანსურ ცხრილში, რომელიც წარმოადგენს რეგიონული განვითარების პროგრამის დანართს. ცხრილი მოიცავს რეგიონული განვითარების პროგრამისთვის სპეციფიურ ასიგნებებს, რომელიც ასახული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტში მისი ყოველწლიური დაგეგმვის დროს. ცხრილი, ასევე, მოიცავს ინფორმაციას დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხების მოცულობაზე; ნებისმიერ ფინანსურ ინფორმაციას დამატებით დონორულ დაფინანსებასთან დაკავშირებით; დონორთა იმ პროგრამის დასახელებას, რომელიც უზრუნველყოფს დაფინანსებას რეგიონული განვითარების პროგრამის მეშვეობით ან მის პარალელურად; მოლოდინებს იმ დაფინანსების შესახებ, რაც შესაძლებელია განხორციელდეს რეგიონული განვითარების პროგრამის დასახმარებლად ბენეფიციართა მხრიდან.

ნებისმიერი იმ უწყების ფინანსური პასუხისმგებლობა, რომელიც მონაწილეობს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელებაში, განსაზღვრულია საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობითა და დამატებითი შეთანხმებებით დონორებთან. პროგრამული ღონისძიებების განხორციელების დაფინანსება ეყრდნობა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს (BDD), რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური რესურსების გაცემის მიმართულებას და ასევე, სხვა წყაროებს.

განხორციელების პირობები და მოსამზადებელი ღონისძიებები

2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელება ეფუძნება მჭიდრო კოორდინაციის, უწყვეტობისა და პარტნიორობის პრინციპებს, ასევე, პროგნოზირებადობას, გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას, შესაძლებლობების კომპლექსურ ამაღლებასა და პროპორციულობას. პროგრამის განხორციელების სისტემა ეფუძნება საქართველოში უკვე დანერგილ ახალ პრაქტიკას და ამავდროულად, შემოაქვს რიგი დამატებითი ახალი ელემენტებისა, რომელიც ეყრდნობა საუკეთესო ევროპულ მაგალითებს.

პროგრამის განხორციელების სისტემა მოიცავს შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს:

- რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობისა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის წინადადებების წარდგენა. კომისია თავდაპირველად იწონებს ან განიხილავს ყველა სტრატეგიულ და მეთოდოლოგიურ დოკუმენტს, რომელიც დაკავშირებულია რეგიონული განვითარების პროგრამის დაგეგმვასთან, მონიტორინგთან, ანგარიშგებასთან და შეფასებასთან. ამასთან, კომისია ხელს უწყობს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან და განვითარების მხარდამჭერ პარტნიორებთან (მ.შ. ახალი დონორები) თემატურ კოორდინაციას, განიხილავს რა პროგრამირების შესაბამის ასპექტებს და განხორციელების მოსამზადებელ ღონისძიებებს (მ.შ. სპეციფიური პროექტების შერჩევის კრიტერიუმები).
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას, ამყარებს კავშირს დარგობრივ სამინისტროებთან პროგრამული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით. ასევე, ამყარებს კავშირს პროგრამის სხვა ხელმძღვანელობასა და ძირითად ბენეფიციარებთან; უზრუნველყოფს იმ ამომწურავი ინფორმაციისა და ანგარიშების შეგროვებას, დამუშავებას და ხელმისაწვდომობას, რომელიც პროგრამის პროგრესის შესახებ ინფორმაციას აწვდის რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას, საქართველოს მთავრობასა და ზოგადად, საზოგადოებას.

- ტექნიკური საკოორდინაციო ერთეული - პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული უწყებათაშორისი გაფართოებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც ანგარიშვალდებულია რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის წინაშე. იგი იკრიბება პერიოდულად, რათა განიხილოს პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროგრესი, მათ შორის, მეთოდოლოგიური საკითხები, ოპერაციული დაგეგმარება, ასევე, რგპ-ს ყოველდღიური მართვისა და პროგრამირების საკითხები.
- დონორული პროგრამების საკოორდინაციო ერთეული - წარმოადგენს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის ფარგლებში შექმნილ სპეციალურ სამუშაო ჯგუფს, რომელიც რგპ-ის განხორციელების მიზნებისთვის, უფლებამოსილია აწარმოოს თემატური კონსულტაციები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან და განვითარების მხარდამჭერ პარტნიორებთან, - მოამზადოს წინადადებები პროგრამირების შესაბამის ასპექტებზე და განხორციელების მოსამზადებელ ღონისძიებებზე (მ.შ. სპეციფიური პროექტების შერჩევის კრიტერიუმები).
- შუალედური ორგანოები - პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, პასუხისმგებელი დარგობრივი უწყება, რომელიც მისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს პროგრამულ ღონისძიებებს და შესაბამის ანგარიშგებას, რგპ-ით განსაზღვრული დებულებების საფუძველზე. შუალედური ორგანოები პერიოდულად აწვდიან ინფორმაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, შესაბამისი პროგრამული ღონისძიებების განხორციელების შესახებ.
- მუნიციპალიტეტებისორგანოები და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციები, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისას, შესაძლოა ჩართულნი იყვნენ რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის ან მისი საკოორდინაციო ერთეულების სამუშაოებში, საჭიროებიდან გამომდინარე. სახელმწიფო რწმუნებული-უბერნატორის ადმინისტრაციები და მუნიციპალიტეტები, ასევე, შეიძლება პირდაპირ ჩაერთონ პროექტის გარკვეული ღონისძიებების განხორციელებაში, პროექტის შერჩევაში მონაწილეობის გზით.
- საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწმებს განმახორციელებელი უწყებების მიერ ბიუჯეტების შესრულებასა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვას.
- პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენს ინსტიტუტების ფართო სპექტრი, რომელიც ოპერირებს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, ასევე, საწარმოები და მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ ადამიანური რესურსების განვითარების ან სხვა რაიმე სოციალურ ღონისძიებებში.

პროგრამის მონიტორინგი და შეფასება. პროგრამის განხორციელებისა და ანგარიშგების პროცედურები განისაზღვრება სახელმძღვანელოში, რომლის პროექტი მომზადდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ წინა პროგრამის განხორციელების დროს მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

II. წინასიტყვაობა

II.1. შესავალი

საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა (შემდგომში: პროგრამა) წარმოადგენს საქართველოს მთავრობის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ("საქართველოს 2020") საფუძველზე მომზადებულ **საშუალოვადიან სამთავრობო დოკუმენტს.** ეყრდნობა რა არსებულ სახელწიფო პოლიტიკას, პროგრამა განსაზღვრავს ქვეყნის რეგიონული და ტერიტორიული განვითარების ძირითად მიზნებს, ასევე, სამოქმედო პრიორიტეტებსა და განვითარების შესაბამის ღონისძიებებს 2018-2021 წლების პერიოდში. ამასთან, პროგრამა წარმოადგენს წინა ეროვნული დაგეგმვის დოკუმენტების, კერძოდ, 2010-2017 წლების რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მომდევნო ფაზას.

პრაქტიკული თვალსაზრისით, **პროგრამა წარმოადგენს რეგიონული განვითარების ხელშეწყობისათვის საჯარო და კერძო ინვესტიციების თანმიმდევრულ ჩარჩოს,** რაც საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ მხარეს, რესურსების შეზღუდულობის გათვალისწინებით, მოახდინოს მათი კონცენტრირება საერთო სტრატეგიული მიზნების გარშემო. თავის მხრივ, აღნიშნული განაპირობებს ინვესტიციების მაქსიმალურ ეფექტიანობასა და ეფექტურობას. პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებები ემსახურება საქართველოს და მისი ყველა რეგიონის დაბალანსებულ განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებას. აღნიშნული ღონისძიებები სტრატეგიული ხასიათისაა, პასუხობენ გამოვლენილ საჭიროებებს და იყენებენ არსებულ შესაძლებლობებსა და ფარდობით უპირატესობებს გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროკავშირის უახლესი პრაქტიკის შესაბამისად, პროგრამა ეფუძნება **ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების** ძირითად მიდგომებს. ამ თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს ნიმუშს სხვა ეროვნული და დარგობრივი სტრატეგიებისათვის, რათა განვითარების ტერიტორიულ ასპექტებს და ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული გათანაბრების ხელშეწყობას მომავალში მეტი ყურადღება დაეთმოს სახელმწიფო პოლიტიკის ნებისმიერ ასპექტში.

II.2. სამართლებრივი დებულებები

საქართველო წარმოადგენს უნიტარულ სახელმწიფოს ორი ავტონომიური რესპუბლიკით - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკითა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკით. ეს უკანასკნელი, ამჟამად, ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ და იმყოფება საქართველოს დე-ფაქტო იურისდიქციის ფარგლებს გარეთ. იგივე ეხება ყოფილ "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს", რომელიც, ძირითადად, შიდა ქართლის ნაწილი იყო, ამჟამად კი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სტატუსი აქვს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრული აღდგენის შემდეგ, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა გადაიხედება, რაც დაეფუძნება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე უფლებამოსილებათა გამიჯვნას.

ამჟამად, საქართველოს კანონმდებლობა არ განმარტავს ტერმინს "რეგიონი". ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი ძირითადი ეროვნული დაგეგმვის დოკუმენტი - 2010-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია განიხილავს მოცემულ ტერმინს სახელმწიფოს მდგრადი განვითარების პოლიტიკის განხორციელების კონტექსტში. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი ტერმინს „რეგიონი“ განიხილავს, როგორც დაგეგმვის ერთეულს, რომელიც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ჯგუფს წარმოადგენს და შეესაბამება სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის[2] სამოქმედო ტერიტორიას. სახელმწიფო სტრატეგია, ასევე, რეგიონის სტატუსს ანიჭებს თბილისის მუნიციპალიტეტს, ავტონომიურ რესპუბლიკებს და დროებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და თბილისის მუნიციპალიტეტის გარდა, **საქართველოს რეგიონები არ არიან ადმინისტრაციული ერთეულები,** ანუ მათ არ გააჩნიათ უფლებამოსილება შეიმუშაონ ან განახორციელონ პოლიტიკა და მიიღონ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გადაწყვეტილებები.

[2] თავი 1.1. ძირითადი ცნებები - გვერდი 4, პარაგრაფი 3

ამავდროულად, "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონმა შემოიღო ფუნქციური ტერიტორიის სპეციფიური კატეგორია, რომლის მიზანია ამ ტერიტორიების სოციალური და ეკონომიკური პროგრესისადმი მიძღვნილი ღონისძიებების წახალისება მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაბამისად.

საქართველოს სამხარეო ადმინისტრაციების სტრუქტურა საშუალო ან გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის პრაქტიკას. ქვეყნის რეგიონები ძალიან მრავალფეროვანია მათი ტერიტორიის, მოსახლეობისა და დემოგრაფიის თვალსაზრისით. ზომით, ისინი მეტად შეესაბამებიან ევროკავშირის NUTS 3 დონეს ან არიან უფრო მცირენი. თბილისის მოსახლეობა NUTS 2-სთვის დაწესებულ მინიმალურ ზღვარზე მაღალია.

II.3. პროგრამირების სისტემა

უკანასკნელ პერიოდამდე, რეგიონის პოლიტიკის დაგეგმვის ძირითად ეროვნულ დოკუმენტს წარმოადგენდა რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია (რგსს).

რგსს მიღების შემდეგ ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა და შესაბამისად, შეიცვალა სახელმწიფო პოლიტიკაც, დარგობრივი პოლიტიკის ჩათვლით. მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ძალაში შევიდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, მიღებულ იქნა პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია[3], რათა გაძლიერებულიყო პოლიტიკის განვითარების სისტემა. ამ უკანასკნელის შედეგად, განვითარების პოლიტიკის პროგრამირება თანდათან უახლოვდება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკას.

ამ ფონზე, წინამდებარე 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა მოწოდებულია რათაგანსაზღვროს რეგიონული პოლიტიკის საშუალოვადიანი პერიოდის გამოწვევები, საჭიროებები, ამოცანები და პრიორიტეტები საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ მთელ ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ამჟამინდელ ეროვნულ პრიორიტეტებს, 2016-2020 წწ. სამთავრობო პროგრამა[4] მოიცავს **ოთხ პუნქტიანი რეფორმის გეგმას**, რომელიც ყურადღებას ამახვილებს შემდეგ მიმართულებებზე:

- ეკონომიკური ზრდა;
- განათლება;
- სივრცითი მოწყობა;
- სახელმწიფო მართვა.

უფრო კონკრეტულად, ეკონომიკური რეფორმა ყურადღებას ამახვილებს კერძო სექტორის ხელშეწყობასა და გაძლიერებაზე. ამ მიმართულებით, მთავრობას აქვს ინიციატივების მთელი პაკეტი, რომელიც ქვეყანაში ბიზნესის კეთებას უფრო მიმზიდველს და მომგებიანს გახდის. ბიზნესისათვის კიდევ უფრო ხელსაყრელი საგადასახადო კანონმდებლობის ფონზე, საქართველოს მთავრობის მიზანია ინვესტიციების, ახალი ბიზნესების წამოწყებისა და ინოვაციების მხარდაჭერა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კერძო სექტორში დასაქმების ზრდას.

სივრცითი მოწყობის რეფორმის საშუალებით, მთავრობა მიზნად ისახავს უზრუნველყოს ქვეყნის მდგრადი განვითარების საერთო ჩარჩო. მოცემული რეფორმის შედეგად, უნდა მოხდეს ქალაქებისა და სოფლების განვითარების უფრო ეფექტიანი რეგულირება. გარდა ამისა, მთელ საქართველოში უნდა გაუმჯობესდეს სატრანსპორტო ქსელი. შედეგად, გეოგრაფიული მდებარეობა აღარ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას ბიზნესის განვითარებისათვის. გაუმჯობესებული ტრანსპორტი ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას ისევე, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარებას ქვეყნის მაღალმთიან და შორეულ რაიონებში. საბოლოო ჯამში, საქართველომ სრულად უნდა გააცნობიეროს საკუთარი მდგრადი განვითარების პოტენციალი და ქვეყნის, როგორც სატრანზიტო კვანძის პოზიცია მეტად უნდა გაძლიერდეს.

ამავდროულად, ისევე, როგორც რიგ სხვა სფეროებში, ევროკავშირთან ურთიერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონული განვითარების პოლიტიკაზე. კერძოდ, ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს ხელისუფლებისა და ევროკავშირის ერთობლივ საქმიანობას შემდეგ სფეროებში:

[3] http://gov.ge/files/425_49310_540377_PolicyPlanningSystemReformStrategyandActionPlan.pdf

[4] „თავისუფლება, სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა 2016-2020”, გვერდი 4 – http://gov.ge/files/41_61087_816118_GoG_Platfor m_LKF_19_05_2017.pdf

- რეგიონული განვითარების პოლიტიკის სფეროში ურთიერთგაგების და ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობა, რეგიონული პოლიტიკის ფორმულირებისა და განხორციელების მეთოდების, მრავალდონიანი მმართველობის და პარტნიორობის ჩათვლით;
- თანამშრომლობა საქართველოს ინსტიტუციების ოპერატიული შესაძლებლობების კონსოლიდაციისათვის (ცენტრალური და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ურთიერთობის მექანიზმების ჩათვლით);
- რეგიონული განვითარების პოლიტიკის შესახებ ცოდნის, ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება;
- სასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება და გაძლიერება.

ევროკავშირთან თანამშრომლობა მოიცავს ფინანსურ დახმარებას, საბიუჯეტო და სექტორული დახმარების ფორმით. 2014-2016 წლებში ფინანსური თანამშრომლობის პრიორიტეტები მიმართული იყო სახელწიფო მმართველობის რეფორმის, სოფლის მეურნეობისა და მართლმსაჯულებისკენ. 2017-2020 წლების განმავლობაში მოსალოდნელია პრიორიტეტული იყოს ეკონომიკური და ტერიტორიული განვითარება და ბაზრის შესაძლებლობების ამაღლება; ინსტიტუციების განმტკიცება და კარგი მმართველობა; სატრანსპორტო ქსელის განვითარება, ენერგოეფექტურობა, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება; მობილობა და ხალხთა შორის ურთიერთობები. გარდა ამისა, მომდევნო დაგეგმვის პერიოდში, რეგიონულ განვითარებაზე მიმართული პროგრამული ღონისძიებები განხორციელდება შერჩეულ "საპილოტე" რეგიონებშიც, რაც შესაძლებელს გახდის ინტეგრირებულ განვითარებაზე დაფუძნებული ახალი ტიპის მიდგომების ტესტირებას. ამასთან, საპილოტე რეგიონების შერჩევა არ ნიშნავს, რომ ევროკავშირის დახმარება მხოლოდ ამ ტერიტორიებით შემოიფარგლება.

II.4. რეგიონული პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩო

დარგთაშორისი კოორდინაცია

საქართველოში პოლიტიკის საერთო კოორდინაცია არის პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა. ამ პროცესში მათ მხარს უჭერენ შესაბამისი სამინისტროები.

რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე, განხორციელებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელ სამინისტროს წარმოადგეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. აღნიშნული სამინისტრო, ასევე, კოორდინაციას უწევს პროგრამაში მონაწილე სხვა სამინისტროებისა და ეროვნული უწყებების მუშაობას.

ამჟამად, ასევე, არსებობს რამდენიმე უწყებათაშორისი კომისია, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოში რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელებასა და კოორდინაციას, მათ შორის:

- საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია;
- მთის განვითარების ეროვნული საბჭო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის კომისია.

ზემოაღნიშნული ორგანოების კოორდინაცია ხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ (გარდა სგუსს-ისა, რომელსაც კოორდინაციას და მხარდაჭერას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო).

სექტორული დონე

სექტორული პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს რეგიონულ განვითარებას ფორმულირდება და ხორციელდება დარგობრივი სამინისტროების ეგიდით. თუმცა, რეგიონული განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მათი მონაწილეობის მექანიზმები სრულად არ არის მოწესრიგებული.

რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულნი არიან რიგი დარგობრივი სამინისტროების საქვეუწყებო დაწესებულებები, რომელთა ამოცანაა საინვესტიციო პროექტების მომზადება და განხორციელება. მათ შორის, ამ პროგრამის მიზნებისთვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შემდეგი ორგანიზაციების მონაწილეობა:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
- შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“;

- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“;
- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- სსიპ - “აწარმოე საქართველოში“;
- სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო;
- სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

გარდა ამისა, დამატებითი ექსპერტიზისა და რეგიონული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობისათვის შექმნილია ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ის, ასევე, აქტიურად არის ჩართული ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე საჯარო მოსამსახურეების შესაძლებლობების განვითარებაში.

დაგეგმვის რეგიონის დონე

ავტონომიური რესპუბლიკების გარდა, საქართველოში რეგიონები არ წარმოადგენენ თვითმმართველობის დონეს. რეგიონულ ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, რომელიც ინიშნება საქართველოს მთავრობის მიერ. გუბერნატორს, აგრეთვე, აქვს სამინისტროების რეგიონული დეკონცენტრირებული ორგანოების კოორდინაციის ფუნქცია. ის ხელს უწყობს კოორდინაციას როგორც ეროვნულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს, ისე მუნიციპალიტეტებს შორის. რეგიონული განვითარების თვალსაზრისით, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლის უფლება-მოვალეობებია:

- საქართველოს მთავრობის დავალებით, შესაბამისი ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში შეიმუშავებს ან/და ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებს და მონაწილეობს რეგიონული განვითარების ღონისძიებებში;
- საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად ამზადებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს შესაბამისი სამოქმედო ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დავალებით კოორდინაციას უწევს რეგიონული პოლიტიკის განხორციელებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ცალკეულ ღონისძიებებს;
- კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფო უწყებების ურთიერთობას მუნიციპალიტეტების ორგანოებთან;
- საქართველოს მთავრობის დავალებით კოორდინაციას უწევს საქართველოს სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას.

თითოეული სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის საქმიანობას დახმარებას უწევს საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე შექმნილი *სამხარეო საკონსულტაციო საბჭო (სსს).* საბჭოს მიზანია რეგიონული განვითარების პროცესში მუნიციპალიტეტების ინტერესების წარმოდგენა და განხილვა. საბჭო შედგება სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორისა და რეგიონის ტერიტორიულ საზღვრებში არსებული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლისაგან.

ადგილობრივი დონე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებს საკმაოდ ფართოდ განსაზღვრავს. კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტები კანონმდებლობით დადგენილი წესით მართავენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივ რესურსებს (მათ შორის წყლის, ტყისა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსებს); უზრუნველყოფენ სივრცით და ტერიტორიულ მოწყობას; ავითარებენ მუნიციპალურ ინფრასტრუქტურას (პარკები, სკვერები, გზები, განათების სისტემები და ა.შ.); მართავენ მუნიციპალურ ნარჩენებს; უზრუნველყოფენ წყალმომარაგებასა და წყალარინებას; უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნასა და ფუნქციონირებას; ორგანიზებას უწევენ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობას; ავითარებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, სათანადო ინფრასტრუქტურას ბავშვებისა და მოხუცებისათვის; ასევე, ხელს უწყობენ დასაქმებას, სოფლის მეურნეობას, ტურიზმს; უზრუნველყოფენ სოციალურ დახმარებას და ჯანდაცვას, ახალგაზრდულ პოლიტიკას, გენდერულ თანასწორობას, გარემოს დაცვას, საჯარო განათლებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვას, ინოვაციურ განვითარებას და ა.შ. მუნიციპალიტეტის კონკრეტული როლი საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში განისაზღვრება დარგობრივი კანონმდებლობით.

II.5. დონორების და განვითარების პარტნიორების მხარდაჭერა

საქართველო საერთაშორისო დონორებისგან და განვითარების პარტნიორებისგან მნიშვნელოვან მხარდაჭერას იღებს. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან:

- აზიის განვითარების ბანკი;
- ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტო;
- ავსტრიის განვითარების სააგენტო;
- გაეროს განვითარების პროგრამა;
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება;
- გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი;
- დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო;
- ევროკავშირი - ორმხრივი, რეგიონული და თემატური პროგრამების მეშვეობით;
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი;
- ევროპის საინვესტიციო ბანკი;
- ევროპის საბჭო;
- იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო;
- რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი;
- საფრანგეთის განვითარების სააგენტო;
- მსოფლიო ბანკი;
- შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო;
- შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო.

დანართში X.1. იხ. დონორთა იმ პროგრამების მიმოხილვა, რომლებიც უკავშირდება საქართველოს რეგიონულ განვითარებას.

III. ტერიტორიულ უთანაბრობასა და კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებული მდგომარეობა და ტენდენციები

III.1. ზოგადი კონტექსტი

III.1.1. ბუნებრივი პირობები

საქართველო მდებარეობს სამხრეთ კავკასიაში, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის. მისი ტერიტორია 69.7 ათასი კვადრატული კილომეტრია. სახელმწიფო საზღვრის საერთო სიგრძე 2,148 კილომეტრია. საქართველო ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკას, თურქეთის რესუპუბლიკას, რუსეთის ფედერაციას და სომხეთის რესპუბლიკას.

ქვეყანა გამოირჩევა განსაკუთრებით დივერსიფიცირებული ტოპოგრაფიით, რაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სატრანსპორტო და კომუნიკაციის სისტემების თვალსაზრისით. შედეგად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთ კრიტიკულ ფაქტორს წარმოადგენს ამ სისტემების გამართულობისა და მათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

კლიმატი განისაზღვრება კავკასიონის მთებითა და ორი ზღვის სიახლოვით. დასავლეთი ნოტიო და სუბტროპიკულია, ხოლო აღმოსავლეთ რეგიონები უფრო კონტინენტურია - ძირითადად, ზომიერი, მშრალი კლიმატით. დასავლეთში საშუალო წლიური ნალექი 2,800 მმ-ია, აღმოსავლეთ რაიონებში კი დაახლოებით 300 მმ. მაღალ მთაში არის თოვლი და მყინვარები. საერთო ჯამში, კლიმატი და კარგი ხარისხის ნიადაგები ქმნის შესაძლებლობებს დივერსიფიცირებული სოფლის მეურნეობისთვის.

საქართველოს ლანდშაფტები მდიდარია ტყეებითა და ზედაპირული წყლებით. გარდა ამისა, არსებობს დაახლოებით 26 ათასი მდინარე და შენაკადი, რომელთაგან 18 ათასი დასავლეთ საქართველოშია. საქართველოში, ასევე, არის 860 ტბა, რომელთა უმეტესობა მაღალმთიან რეგიონებში მდებარეობს. საპირისპიროდ, ტბა პალიასტომი ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს. საქართველოს, ასევე, აქვს ფართო და მოცულობითი ჭაობები. ორ მათგანს - ფოთისა და ოჩხამურის ჭაობებს - რამსარის[5] ტერიტორიის სახელი აქვს მინიჭებული, მათი საერთო ფართობი 34,480 ჰექტარს შეადგენს. საქართველო, ასევე, მდიდარია მიწისქვეშა წყლებით.

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკოს) მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, დღეისათვის, შეტანილია კულტურული მემკვიდრეობის სამი ძეგლი: მცხეთის ისტორიული ძეგლები, გელათის სამონასტრო კომპლექსი, ზემო სვანეთი. ასევე, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო ნუსხაში ნომინირებულია სამი ძეგლი: ქართული მრავალხმიანობა, ქართული ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული მეთოდი, ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა, ხოლო წარმომადგენლობით სიაში შეტანის მიზნით, წარდგენილია „ქართული ჭიდაობა“.

III.1.2. ადმინისტრაციული დაყოფა

საქართველო მოიცავს 2 ადმინისტრაციულ ერთეულს (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები), ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილ დროებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს და 10 სტატისტიკურ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონს (სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, იმერეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი და თბილისი), რომლებსაც (გარდა თბილისისა) არ გააჩნიათ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სტატუსი.

[5] რამსარის კონვენციის შესაბამისად, რამსარის ტერიტორია არის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭაობი.

რუკა 1. საქართველოს რეგიონები

საქართველოს რეგიონების რუკა
ბაათუმი
ფოთი
ზუგდიდი
ბორჯომი
ახალციხე
ოზურგეთი
ქუთაისი
ზესტაფონი
ონი
ამბროლაური
ცაგერი
ლაგოდეხი
ახმეტა
ყვარელი
ბოლნისი
ხაშური
ჯავა
ცხინვალი
ალაგირი
ფასანაური
ბაზალეთი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიან

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო მოსახლეობის დადებითი ბუნებრივი მატება, საქართველომ დაკარგა მოსახლეობის დაახლოებით 31%. ამის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო გარე მიგრაცია, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვება. 2002 წლიდან 2014 წლამდე ყველა რეგიონმა, გარდა თბილისისა (სადაც აღინიშნა 3%-იანი ზრდა), განიცადა დეპოპულაცია. ყველაზე მეტად დაზარალდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სადაც დეპოპულაციამ (შესაბამისად) 29% და 39%-ს მიაღწია. ყველაზე ნაკლებად შემცირდა აჭარის მოსახლეობა (-10,6%). დეპოპულაცია იწვევს დიდ შეშფოთებას, ვინაიდან შეიძლება მოხდეს: მნიშვნელოვანი პოტენციალის გადინება, თავდაცვისუნარიანობის შემცირება, მოსახლეობის სწრაფი დაბერება, ქონების ღირებულების შემცირება (ისევე, როგორც მიტოვებული ობიექტების ღირებულების შემცირება) და დაზარალებული მუნიციპალიტეტების შემოსავლების შემცირება.

დიაგრამა 2. მოსახლეობის ცვლილება (უკანასკნელი 2 აღწერის შედეგები) - საერთაშორისო შედარება



წყარო: საქსტატი, მსოფლიო ბანკი

ქართველები, ეთნიკურად, ქვეყნის მოსახლეობის 86.8%-ს (2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები) შეადგენენ. ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობა აზერბაიჯანელები (6.2%) და სომხები (4.5%) არიან, შემდეგ - რუსები (0.7%), ოსები (0.38%) და ქურთები (0.32%). აზერბაიჯანელი მოსახლეობის 76% ქვემო ქართლში ცხოვრობს, ხოლო სომხების 48% - სამცხე-ჯავახეთში. თბილისში ცხოვრობს ქვეყანაში მცხოვრები სომხების 32% და რუსების 50%.

გარდა ამისა, 90-იან წლებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ქართველების ეთნოწმენდამ, ასევე, 2008 წელს რუსეთის ფედერაციის აგრესიამ გაზარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვი. 2017 წლის ნოემბრის მონაცემებით, იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო რაოდენობა 278 ათასს აღემატება, რაც ქვეყნის მოსახლეობის 7%-ს შეადგენს. დევნილთა დაახლოებით 2/3 თბილისსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში დასახლდნენ.

რუკა 2. მუნიციპალიტეტებისა და ურბანული ტერიტორიების მოსახლეობა

საქართველოს დედაქალაქში ქვეყნის მოსახლეობის 30% ცხოვრობს. მოსახლეობის რაოდენობით, თბილისის შემდეგ პირველ ადგილზეა იმერეთი (529.7 ათასი). ყველაზე მცირერიცხოვანი მოსახლეობაა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სადაც მხოლოდ 31 ათასი მოსახლეა (ანუ თითქმის 17-ჯერ ნაკლები). თბილისის მოსახლეობა აღემატება საქართველოს ყველა სხვა ქალაქისას. რუსთავთან ერთად (მეოთხე უდიდესი ქალაქი), თბილისი ქმნის ფუნქციურ ურბანულ სივრცეს, რომელიც ბაქოს შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში მეორეა. მოსახლეობის სიდიდით მეორე ქართული ქალაქი - ბათუმი, დედაქალაქზე თითქმის შვიდჯერ მცირეა.

დიაგრამა 3. საქართველოს მოსახლეობის პროცენტული გადანაწილება რეგიონების მიხედვით, 2014 წელი.



წყარო: საქსტატი, * საქართველოს ადმინისტრირების ქვეშ მყოფი ტერიტორია

საქართველოს მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე შეადგენს 65.2 მოსახლეს ერთ კვადრატულ კილომეტრზე, რაც ბულგარეთისა და ირლანდიის მსგავსია (შესაბამისად, 69 და 65 მოსახლე კვადრატულ კილომეტრზე). მოსახლეობის სიმჭიდროვე თბილისში შეადგენს 2,210 მოსახლეს ერთ კვადრატულ კილომეტრზე. გამოთვლის დროს გათვალისწინებული იყო ქალაქის ურბანული და ასევე, მიმდებარე არაურბანული ტერიტორიები. ყველაზე დაბალი მოსახლეობის სიმჭიდროვე - 6.7 მოსახლე კვადრატულ კილომეტრზე არის რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, რაც ევროპის ჩრდილოეთ რეგიონების მაჩვენებლს მსგავსია.

რუკა 3. მოსახლეობის სიმჭიდროვე



საერთო ჯამში, **საქართველო ევროპაში ყველაზე მონოცენტრული ქვეყანაა,** რაც უარყოფითად აისახება რეგიონების ფართო განვითარების შესაძლებლობებზე. საშუალო ზომის ურბანული ერთეულების ნაკლებობა ქვეყნის შიგნით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის უთანასწორობას წარმოშობს. ქალაქისა და სოფლის გაყოფა ძალიან გამოხატულია. სინამდვილეში, მხოლოდ თბილისისა და აჭარის მოსახლეობა არის სოფლის მთელ მოსახლეობაზე მეტი. ყველა სხვა რეგიონი, ძირითადად, სასოფლო ტიპისაა, მათ შორის: სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონები ყველაზე მეტად არის სოფლის ტიპის ისეთი დასახლებებით წარმოდგენილი, სადაც სოფელში მხოლოდ 8-დან 10 მოსახლემდე ცხოვრობს (ჩამოთვლილი რეგიონები მდებარეობს მაღალ მთაში).

მოსახლეობის დაბერება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. საშუალო ასაკის მიხედვით, რაც ქვეყანაში 38,1 წელს უტოლდება, ქართველები ჯერ კიდევ ახალგაზრდა ერს წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნების სხვადასხვა ეროვნებებთან შედარებით. თუმცა, გურია და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში საშუალო ასაკი (შესაბამისად, 41.8 და 48.2 წელი) განიხილება როგორც პოტენციური სოციალური პრობლემა. ამ უკანასკნელ რეგიონში, ასევე, პრობლემას წარმოადგენს ოჯახის მოცულობა, რადგან ოჯახი საშუალოდ შედგება 2.5 პირისაგან, მაშინ როდესაც მთელ საქართველოში ოჯახის საშუალო შემადგენლობა 3.3 პირია[6]. ამის საპირისპიროდ, აჭარაში ოჯახის მოცულობა ყველაზე დიდია, შეადგენს რა საშუალოდ 4 ადამიანს.

[6] ოჯახების ზომა მცირდება და სავარაუდოდ ზეგავლენას ახდენს საბინაო საჭიროებებზე და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურაზე, განსაკუთრებით ურბანულ დასახლებებში (წყალი, საკანალიზაციო ქსელი, პარკინგი და ა.შ.)

დიაგრამა 4. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა[7]



წყარო: საქსტატი

III.1.4. მაკროეკონომიკა

მსოფლიო ბანკის 2015 წელს გამოქვეყნებული მონაცემებით, შემოსავლის მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაციის თვალსაზრისით, საქართველომ საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების სიიდან საშუალო და მაღალი შემოსავლის ქვეყნების სიაში გადაინაცვლა. 2016 წლის მდგომარეობით, მშპ ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 3.800 აშშ დოლარი. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, ქვეყანამ განახორციელა ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები, რამაც გამოიწვია კაპიტალის მზარდი შემოდინება. 2007 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი 12.6%-მდე გაიზარდა და პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია (მშპ-ს თითქმის 20%).

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა ეყრდნობა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2015-2016 წლების ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი განსაზღვრა 5%-ით, 2017 წლისთვის - 4%-ით, ხოლო 2018 წლისთვის - 3%-ით.

2017 წლის სექტემბერში სარეიტინგო კომპანიამ Moody's Investors Service-მა საქართველოსთვის საკრედიტო რეიტინგი Ba3 დონიდან Ba2 დონემდე ასწია, ხოლო კომპანიებმა Standard & Poor და Fitch rating საქართველოს მიანიჭა "BB-" კატეგორია [8]. რეიტინგის და მისი პერსპექტივის გაუმჯობესება განაპირობა სტაბილურმა მაკროეკონომიკურმა გარემომ, მიუხედავად 2014 წლის შემდეგ რეგიონში არსებული ეკონომიკური რყევებისა. საქართველოს რეიტინგების სტაბილურობა ასახავს ქვეყნის ეკონომიკური მოწყვლადობის შემცირებას და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, 2018 წელს საქართველო მე-16 ადგილზეა და ხვდება კატეგორიაში - "უმეტესად თავისუფალი"; მსოფლიო ბანკის "Doing Business" რეიტინგში, საქართველოს 2018 წელს მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით მე-9 ადგილს იკავებს.

ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2017-ის" (Open Budget Survey 2017) მიხედვით, საქართველომ 82 ქულით მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის, მე-5 ადგილი დაიკავა. საქართველო რეგიონიდან ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ამ კატეგორიაში გადავიდა და რომლის სტანდარტსაც, ბოლო კვლევით, მხოლოდ 5 ქვეყანა აკმაყოფილებს მსოფლიოში. შესაბამისად, საქართველო იკავებს ადგილს საჯარო ფინანსების მართვის სფეროში განსაკუთრებული წარმატების მქონე ისეთ ქვეყნებთან ერთად როგორიცაა: ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, შვედეთი და ნორვეგია.

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა მისი მშპ-ის შედარებით დივერსიფიცირებული სტრუქტურა. ის არ არის დამოკიდებული ერთ სექტორზე, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ან სავაჭრო ბაზარზე.

[7] http://www.indexmundi.com/georgia/age_structure.html
[8] http://www.economy.ge/uploads/publications/economy_9029680559e5e371037115.21245915.pdf

დიაგრამა 5. მშპ სტრუქტურა სექტორების მიხედვით 2016 წელს, %



წყარო: საკუთარი გამოთვლა, რომელიც ეყრდნობა საქსტატის მონაცემებს

მთლიანი შიდა პროდუქტის შედარებით დაბალანსებულმა შემადგენლობამ ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკურ ზრდას ვაჭრობაზე ემბარგოს მიუხედავად, რომელიც 2006 წელს ცალმხრივად შემოიღო რუსეთის ფედერაციამ ყველა ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე.

დიაგრამა 6. მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ნომინალური), აშშ დოლარი - საერთაშორისო შედარება



წყარო: საქსტატი, მსოფლიო ბანკი

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკამ შეძლო გამკლავებოდა რთულ საგარეო ვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის განვითარების ტემპი შენელდა და ასევე, აღინიშნებოდა მაკროეკონომიკური დისბალანსი. აღნიშნული განსაკუთრებით აისახა უარყოფით სავაჭრო ბალანსში, რაც მნიშვნელოვანწილად, ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას.

ცხრილი 1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, მილიონი აშშ დოლარი

პუნქტი	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
• ბრუნვა	5,609	6,913	9,259	10,433	10,933	11,463	9,505	9,407	10,709
• ექსპორტი	1,134	1,677	2,186	2,377	2,910	2,861	2,205	2,113	2,728
• იმპორტი	4,479	5,236	7,072	8,056	8,023	8,602	7,300	7,294	7,981
• ბალანსი	-3,342	-3,559	-4,886	-5,680	-5,112	-5,741	-5,096	-5,181	-5,253
• ნეგატიური ბალანსი, როგორც ბრუნვის პროცენტი	59.5%	51.5%	52.7%	54.4%	46.7%	50%	53.6%	55%	49%

წყარო: საქსტატი

უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და ექსპორტის დაბალი მაჩვენებლები ნათლად ასახავს საქართველოს ეკონომიკის ჯერ კიდევ შედარებით მცირე კონკურენტუნარიანობას.

ცხრილი 2. საქონლისა და მომსახურების ექსპორტის პროცენტი მშპ-ში - საერთაშორისო შედარება

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2016
საქართველო	36,2	38,1	44,6	42,9	44,7	43,4
სომხეთი	23,7	27,5	28,3	28,5	29,7	33,1
მოლდოვა	44,9	43,4	43,3	41,5	42,8	43,6
ალბანეთი	34.0	33,3	35,4	28,2	27,2	28,7
ესტონეთი	86,5	86.0	84,5	83.0	79,2	79,5
ლატვია	57,8	61,3	60,3	59,5	58,9	58.0
სლოვაკეთი	85.0	91,4	93,8	91,8	93,4	93,8

წყარო: მსოფლიო ბანკი

რეგიონული ეკონომიკური შოკების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა კვლავაც აგრძელებს ზრდას, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში ზრდის მაჩვენებელი დაბალია. 2016 წელს რეალური მშპ-ის ზრდა იყო 2.7% (წინასწარი მონაცემები), რაც ყველაზე დაბალია 2011 წლიდან. 2017 წლის პირველი თერთმეტი თვის საშუალო რეალურმა ზრდამ 4,8% შეადგინა, ხოლო 2018 წლისთვის, მსოფლიო ბანკის პროგნოზით, ეს მაჩვენებელი მოსალოდნელია 4.2%-ს გაუტოლდეს.

დიაგრამა 7. რეალური მშპ-ს ზრდა 2011-2016, აშშ დოლარი - საერთაშორისო შედარება



წყარო : IMF * წინასწარი მონაცემები

თბილისს ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს მთლიან დამატებულ ღირებულებაში (49%). დედაქალაქის მნიშვნელოვანი წილი ეროვნულ მდღ-ში არ არის უჩვეულო, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ან ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებისათვის, მაგ. ერევნის, ბაქოსა ან სკოპიეს წილი მდღ-ში კიდევ უფრო მაღალია, ვიდრე თბილისის შემთხვევაში. თუმცა, აგლომერაციისა და მისი ეკონომიკის ასეთი კონცენტრაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც საქართველოს რეგიონების განვითარების ყველაზე დიდი გამოწვევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს დაკავშირებულია რთულ ტოპოგრაფიასთან, ნაკლებად განვითარებულ ინფრასტრუქტურასთან და საკომუნიკაციო სისტემების განუვითარებლობასთან, რაც იწვევს მოსახლეობის მიგრაციას ურბანულ დასახლებებში.

რუკა 4. მშპ ერთ სულ მოსახლეზე, მდღ და ბიზნეს სექტორის ბრუნვა რეგიონების მიხედვით, 2015 წ


მშპ ერთ სულ მოსახლეზე, მდღ და ბიზნეს სექტორის ბრუნვა რეგიონების მიხედვით
2015 წელი
N
W
E
S
აფხაზეთის არ
ზღვა
ეროვნული
სვანეთი
რაჭა-ლეჩხუმი და
ქვემო სვანეთი
548.1
1957.7
22.7
50.6
ოდიში
836.5
2591.4
ბურია
113.4
355
აბარის არ
117
4155.5
ზემო
ქართლი
249.3
1196.3
ბაკურიანი
1538.6
4007.6
250
730.7
260.7
963.4
ალაზანი
ველი
ქვემო ქართლი
799.5
3347.4
226.9
709.7
ბორჯომი
ადმინისტრაციულ-
ტერიტორიული
ერთეული
ბაკურიანი
ბორჯომი
ბაკურიანი
ბორჯომი
ბაკურიანი
ბორჯომი

III.2. ტერიტორიული უთანაბრობები

2.1. ზოგადი ინფრასტრუქტურა

საქართველო წარმოადგენს ხიდს, რომელიც აკავშირებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეგიონებს, მათ შორის: ევროკავშირს, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას. საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს უფრო მნიშვნელოვანი რეგიონული მოთამაშის ფუნქციისა და ეკონომიკური აქტივობების გეოგრაფიული არეალის განვითარების მისაღწევად. ეს არის უმნიშვნელოვანესი რგოლი უმოკლეს სატრანზიტო მარშრუტში დასავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისთვის, ისევე, როგორც მშრალი ტვირთის ტრანსპორტირებისათვის.

საქართველოს სატრანსპორტო სისტემა მოიცავს 5 ტიპის ტრანსპორტს: საგზაო, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო და ასევე, მილსადენებს. ყველა მათგანი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ქვეყნის ეკონომიკისათვის. რეფორმებმა ხელი შეუწყო კერძო კაპიტალის მოზიდვას საავტომობილო ტრანსპორტის, მილსადენების, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის სექტორში. რკინიგზა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიაა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა მოიზიდოს კაპიტალი ღია ბაზარზე. როგორც ასეთი, იგი რჩება ერთადერთ სატრანსპორტო მოდალობად, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია და მისგან იმართება. საავტომობილო გზები საქართველოს კანონმდებლობით კლასიფიცირდება როგორც საერთო სარგებლობის და საუწყებო გზებად, ხოლო საერთო სარგებლობის გზები, თავის მხრივ, იყოფა საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებად.

საქართველოს ნავთობისა და გაზის მილსადენები, შავი ზღვის პორტები, სარკინიგზო სისტემა და აეროპორტები (სამი საერთაშორისო აეროპორტის ჩათვლით - თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ევროპისა და აზიის დასაკავშირებლად. ამავე დროს, საქართველო ფუნქციონირებს, როგორც ვერტიკალური, ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფანი. ქვეყნის მასშტაბით, ყველა საერთაშორისო სახმელეთო გადაზიდვის დაახლოებით 60% არის ტრანზიტული.[9]

საქართველოს ტოპოგრაფია ფაქტიურად ზღუდავს სატრანსპორტო დერეფნებს. ქვეყნის მასშტაბით საგზაო ინფრასტრუქტურა არათანაბრად არის გადანაწილებული, რისი ძირითადი მიზეზიც საქართველოს ტოპოლოგიაა. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს 2015 წლის ბოლოს საქართველოს რეგიონების საგზაო ინფრასტრუქტურას კილომეტრებში.

ცხრილი 3. გზების სიგრძე რეგიონების მიხედვით წლის ბოლოს, კმ

	2011	2012	2013	2014	2015
თბილისი	_	52,0*	52,0*	52,0*	52,0*
აჭარის არ	1593,3	1556,3	1556,3	1565,9	1565,9
აფხაზეთის არ	594,6	605,6	605,6	605,6	605,6
გურია	881,0	881,0	881,0	884,5	884,4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1276,3	1282,3	1645,8	1645,8	1645,8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2789,2	2742,4	2742,4	2765,7	3685,6
იმერეთი	2647,0	2647,0	2656,0	2648,7	2767,4
კახეთი	2523,3	2580,3	2625,3	2645,3	2630,9
მცხეთა-მთიანეთი	1476,6	1476,6	1476,6	1456,6	1514,7
სამცხე-ჯავახეთი	1508,8	1514,8	1514,8	1519,7	1519,7
ქვემო ქართლი	1980,5	2023,6	2028,1	1998,4	2033,0
შიდა ქართლი	1583,6	1582,8	1596,3	1640,9	1648,0
მთელი საქართველო	18854,2	18944,7	19380,2	19429,1	20553

წყარო: საქსტატი, * საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

მიუხედავად ბოლო დროს განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციებისა, საავტომობილო გზების ქსელი ჯერ კიდევ დაბალი სიმჭიდროვისაა, განსაკუთრებით ისეთ რეგიონში, როგორიცაა კახეთი (230 კმ ყოველ 1000 კვადრატულ კილომეტრზე) და საჭიროებს ხარისხისა და სხვა პარამეტრების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. რადგან ქვეყნის მოსახლეობის შიდა გადაადგილება თითქმის მთლიანად საგზაო ტრანსპორტით ხორციელდება, არასაკმარისად კარგი საგზაო ინფრასტრუქტურა გავლენას ახდენს კავშირსა და მობილობაზე. 1342 კილომეტრიანი სარკინიგზო ქსელიდან მხოლოდ 294 კილომეტრი არის ორლიანდაგიანი, ელექტრიფიცირებულია 100%. ქსელის დაახლოებით 80% გადის მთიან რელიეფზე, სადაც ნებისმიერი გაფართოება რთული და ძვირია. საქართველოს

[9] საქართველო სატრანსპორტო სექტორის შეფასება, სტრატეგია და გზების რუკა, აზიის განვითარების ბანკი, მეტრო მანილა, ფილიპინები, 2014

რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების 75% მოდის სხვა ქვეყნებზე, რაც საქართველოს რკინიგზის უდიდეს ტრანზიტულ პოტენციალს გვიჩვენებს. ეფექტური სატრანსპორტო საშუალებების ნაკლებობა, თბილისის გარეთ შექმნილ დაბალ დამატებით ღირებულებასთან ერთად, უმუშევრობის მაღალი დონის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად ითვლება.

2.2. ენერგეტიკის, წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა

თითქმის ყველა ოჯახი საქართველოში უზრუნველყოფილია ელექტრომომარაგებით. ერთადერთი რეგიონი, სადაც ელექტროენერგიის დაფარვა 100%-ზე ნაკლებია, არის კახეთი.

ამის საპირისპიროდ, 2016 წლის მონაცემებით გაზი მხოლოდ ოჯახების 66.9%-ს მიეწოდება. სამეგრელო-ზემო სვანეთში, გაზიფიკაციის ყველზე დაბალი მაჩვენებელი აღინიშნება. შემდეგ ადგილზეა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. ამის მიუხედავად, გაცილებით მეტი ოჯახია დაკავშირებული გაზსადენთან, ვიდრე წყალმომარაგების სისტემასთან. გაზის დისტრიბუციის ინფრასტრუქტურა გაფართოვდა ბოლო 5 წლის განმავლობაში და გაზის მიწოდების სისტემასთან დაკავშირებული ოჯახების პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა 43.8%-დან 66.9%-მდე. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია თბილისში, სადაც ოჯახების 98.4% უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით, შემდეგ მოდის ქვემო ქართლი და კახეთი. ყველაზე ნაკლებადაა გაზიფიცირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამეგრელო-ზემო სვანეთი, სადაც ოჯახების მხოლოდ 40.4% და 25.8% შეუძლიათ გამოიყენონ გაზი საკვების მოსამზადებლად და გასათბობად.

ცხრილი 4. ცენტრალური გაზმომარაგებით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა (%)

	2011	2012	2013	2014	2015	2016
• კახეთი	37,5	37,2	43,0	49,4	60,0	68,1
• თბილისი	91,5	93,1	96,0	96,2	97,6	98,4
• შიდა ქართლი	24,7	31,8	38,7	39,5	52,2	63,5
• ქვემო ქართლი	46,0	50,8	58,3	64,5	71,3	81,2
• აჭარის არ	12,1	17,7	24,8	30,5	36,5	40,4
• სამეგრელო-ზემო სვანეთი	3,1	2,9	5,1	10,5	15,5	25,8
• იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	31,3	34,5	41,2	43,1	45,9	52,2
• სხვა რეგიონები*	19,2	19,4	34,4	46,1	50,4	59,6
• საქართველო	43,8	45,9	51,9	55,6	60,6	66,9

წყარო: საქსტატი, * მოიცავს სამცხე-ჯავახეთის, გურიის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს

თბილისის ტერიტორიაზე თითქმის ყველა ოჯახი სარგებლობს სასმელი წყლის მომარაგების ცენტრალური სისტემის მომსახურებით. დედაქალაქის გარეთ იმ ოჯახების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც სასმელ წყალს საცხოვრებელ სივრცეში გაყვანილი წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით იღებენ მცირეა. კახეთში ეს ციფრი 34.2%-ს უტოლდება, ხოლო ქვემო ქართლში 43,7%-ს. აღნიშნული მონაცემები, რეგიონებში, თბილისთან შედარებით, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის ნაკლებ განვითარებას უსვამს ხაზს.

ზოგადად, წყალმომარაგების ჯერ კიდევ განუვითარებელი ინფრასტრუქტურის მიუხედავად, ქვეყნის მოსახლეობა სარგებლობს გაუმჯობესებული წყალმომარაგების სხვადასხვა წყაროებით (სლოვაკეთისა და სომხეთის რესპუბლიკების მსგავსად).

დიაგრამა 9. გაუმჯობესებული წყალმომარაგება, 2015 (მოსახლეობის % რომელსაც აქვს ხელმისაწვდომობა)



წყარო: მსოფლიო ბანკი

წყალარინების სისტემის ხელმისაწვდომობა ურბანული ტერიტორიების გარეთ, ხშირად ჯერ კიდევ არასახარბიელო, ცუდი ან ძალიან ცუდია.

III.3. ეკონომიკური უთანაბრობები

III.3.1. ბიზნესის სექტორი

ქართული საწარმოების გადანაწილება აისახება მშპ-ზე, ხოლო ბიზნესის ბრუნვა ნათლად აჩვენებს სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას: მთელი ბიზნესსექტორის ბრუნვის **72%** მოდის თბილისში დაფუძნებულ კომპანიებზე, მაშინ როდესაც გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ჯამური ბრუნვა არის ქვეყნის მთლიანი ბრუნვის **1%-ზე** ნაკლები. მხოლოდ თბილისის კომპანიების ბრუნვა **2.5-ჯერ** მეტია, ვიდრე იმ კომპანიებისა, რომლებიც საქართველოს ყველა სხვა რეგიონში ფუნქციონირებენ.

დიაგრამა 10. ბიზნესსექტორის ბრუნვა რეგიონების მიხედვით, 2015, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი

ვაჭრობა, სატრანსპორტო საშუალებების, პირადი და საყოფაცხოვრებო ნივთების შეკეთება, ტრანსპორტი და კომუნიკაცია, მშენებლობასთან ერთად, წარმოადგენენ თბილისსა და აჭარის რეგიონში ზრდის ძირითად ფაქტორებს. არსად სხვაგან ამ სექტორებს არ გააჩნიათ ასეთი მნიშვნელოვანი წვლილი რეგიონულ მთლიან დამატებულ ღირებულებაში (მდღ). მაგალითად, თბილისში მდღ-ს 67%-ს ქმნის: ვაჭრობა, ტრანსპორტი და კომუნიკაცია, მრეწველობა და მშენებლობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკა უფრო

დივერსიფიცირებულია, თუმცა მთლიან დამატებულ ღირებულებას კვლავ იგივე 4 სექტორის უფრო დაბალანსებული განაწილება ქმნის. თბილისში იწარმოება ყველა პროდუქციისა და მომსახურების **67%.**

მრეწველობა და წარმოება ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ სექტორებს წარმოადგენენ და ქმნიან მთლიანი დამატებული ღირებულების 31% და 25%. საპირისპიროდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, გურია და სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ყველაზე ნაკლებად ინდუსტრიული ტერიტორიებია. ამ რეგიონებში ინდუსტრიული მთლიანი დამატებული ღირებულების წილი საერთო მთლიან დამატებულ ღირებულებაში შედარებით მწირია და შესაბამისად შეადგენს 8%, 6% და 5%-ს.

დიაგრამა 11. სამრეწველო დამატებული ღირებულება, როგორც მშპ-ს პროცენტი 2016 – საერთაშორისო შედარება



წყარო: მსოფლიო ბანკი

დასაქმების თვალსაზრისით, დასაქმებულთა **63%** მოდის თბილისში მოქმედ საწარმოებზე, მაშინ როდესაც გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ქვეყანაში დაქირავებით დასაქმებულთა საერთო რაოდენობის **1%-ზე** ნაკლებია დასაქმებული.

თბილისი წარმოადგენს უმსხვილეს მიზიდულობის ცენტრს იზიდავს რა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების **86%-ს,** ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - 6%-ს. დანარჩენი რეგიონები ინაწილებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 8%-ს, მათ შორის, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი - 0.16%-ს და კახეთი - 0,12%-ს. ეს რეგიონები ყველაზე მეტად მოწყვლადია. ცალსახაა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოტენციური შედინება ქვეყნის რეგიონებში ხელს შეუწყობდა ქართულ საწარმოებში პროდუქტიულობისა და ინოვაციების ზრდას. საშუალოდ, საქართველოში ინვესტიციები მშპ-ს მნიშვნელოვან წილს შეადგენს, რაც ბოლო წლების განმავლობაში უტოლდება დაახლ. 30%-ს ან მეტს. ეს მაჩვენებელი უფრო მეტია, ვიდრე რამდენიმე სხვა ქვეყანაში, რომლებიც ფართობით საქართველოს მსგავსია. აღნიშნული ადასტურებს, რომ საშუალოვადიანი ეკონომიკური პერსპექტივები გარკვეულწილად პოზიტიურია და განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის ოპტიმისტურ რეიტინგებს.

ცხრილი 5. ჯამური ინვესტიცია, როგორც მშპ-ს პროცენტი

	2011	2012	2013	2014	2015	2016
საქართველო	26,1	28,9	24,7	29,8	32	31,8
სომხეთი	27.0	22,7	20,7	20,8	20,9	21,1
მოლდოვა	24,1	23,6	24,6	26	22,9	19,0
ალბანეთი	33,4	29,8	27,1	25,9	24,5	26,8
ესტონეთი	25,1	29.0	28.0	27,1	24,7	23,9
ლატვია	25,1	26,1	23,9	23,1	22.0	19,8
სლოვაკეთი	24,9	20,9	20,9	21,6	23,2	21,5

წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში კიდევ ერთი მაჩვენებელია, რომელიც ნათლად წარმოაჩენს თბილისის განსხვავებას დანარჩენი ქვეყნისაგან. დედაქალაქზე მოდის ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების **76%**, რასაც მოჰყვება ქვემო ქართლი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. მხოლოდ ამ სამ რეგიონში შეინიშნება ინვესტიციების ზრდა ბოლო 5 წლის მანძილზე. პირიქით, ინვესტიციის დონე და მისი ტენდენციები გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში მცირდება.

III.3.2. მცირე და საშუალო საწარმოები

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, 2016 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ბიზნესის მთლიან ბრუნვაში შეადგენდა **17.8%**-ს.[10] რაც შეეხება საქართველოს რეგიონებს, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთლიანი ბიზნესის ბრუნვაში 82%-ს შეადგენს, ხოლო თბილისში მცირე და საშუალო ბიზნესის წილი 13.2%-ია. ეს ნათლად აჩვენებს, რომ დედაქალაქში, ძირითადად, კონცენტრირებულია მსხვილი ინდუსტრიები.

ცხრილი 6. ბრუნვის წილი საწარმოთა ზომის მიხედვით, რეგიონულ ჭრილში 2016 (%)

რეგიონი	მსხვილი	საშუალო	მცირე
მთელი საქართველო	44,1	21,9	34
თბილისი	50,6	21,3	28
აჭარის არ	25,1	24,2	50,7
გურია	7,7	30,9	61,4
იმერეთი	24,6	17,8	57,6
კახეთი	5,2	25,1	69,6
მცხეთა-მთიანეთი	45,5	17,1	37,3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი		19,8	80,2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	17	35,3	47,7
სამცხე-ჯავახეთი	34,2	17,5	48,3
ქვემო ქართლი	42,2	23,4	34,5
შიდა ქართლი	28,5	16,1	55,4

წყარო: საქსტატი

რაც შეეხება დასაქმებას, 2016 წელს მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა წილი მთლიანი რეგისტრირებული დასაქმების 41.6%-ს შეადგენდა. მცირე და საშუალო საწარმოების მიერ დასაქმების თვალსაზრისით, არსებობს მნიშვნელოვანი რეგიონული დისპროპორცია: მაგ. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულები არიან რეგისტრირებულ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 91.2%, ხოლო თბილისში - 31.7%.

ცხრილი 7. დასაქმებულთა წილი საწარმოთა ზომის მიხედვით, რეგიონულ ჭრილში 2016 (%)

რეგიონი	მსხვილი	საშუალო	მცირე
მთელი საქართველო	32,7	21,4	46
თბილისი	41,1	21,8	37,1
აჭარის არ	23,2	19,8	57
გურია	10,2	15,5	74,3
იმერეთი	23,9	16,1	60
კახეთი	4,8	28,7	66,6
მცხეთა-მთიანეთი	23,2	20,8	56,1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი		17,5	82,5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	11,6	25,1	63,3
სამცხე-ჯავახეთი	5,7	22	72,3
ქვემო ქართლი	24,9	22,2	52,9
შიდა ქართლი	13,9	18,5	67,6

[10] აღნიშნული მონაცემები ემყარება საწარმოთა ზომის განსაზღვრის 2017 წლამდე არსებულ მეთოდოლოგიას, რომელიც ახალ მეთოდოლოგიასთან ერთად, დღემდე გამოიყენება საქსტატის მიერ. საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი კრიტერიუმებით ეს მაჩვენებელი შეადგენს 56%-ს, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 358 მლნ ლარს მთელი ქვეყნის მასშტაბით (მხოლოდ 1.1 % მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით).

III.3.3 ინოვაციები და ტექნოლოგიები

2017-2018 წლებში 137 ქვეყნიდან, რომელიც შეფასდა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით“ (GCI), საქართველომ 112-ე ადგილი დაიკავა ინოვაციისა და განვითარების ფაქტორში, თავის მხრივ 118-ე ადგილი - ინოვაციებში, ხოლო 99-ე ადგილი - საინოვაციო პოტენციალში, ასევე 70-ე ადგილი დაიკავა ტექნოლოგიურ მზაობაში.

კვლევებისა და განვითარების (R&D), ინოვაციებისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილი სტატისტიკა საქართველოში არ იწარმოება. ზოგიერთი მონაცემი ხელმისაწვდომია, მაგრამ მათი უდიდესი უმრავლესობა არ არის წარმოდგენილი რეგიონულ დონეზე. ტექნოლოგიურ/ინოვაციურ სექტორს, ევროკავშირის ეკონომიკური საქმიანობის სახეების სტატისტიკური კლასიფიკატორის მეორე რედაქციის მიხედვით (NACE Rev. 2), შემდეგი სპეციფიურ ჯგუფებს მიეკუთვნება: კომპიუტერული, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქტების წარმოება; ელექტრომოწყობილობების წარმოება; საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების საბითუმო ვაჭრობა; პროგრამული უზრუნველყოფა; ტელეკომუნიკაცია, კომპიუტერული პროგრამირება, საკონსულტაციო და მასთან დაკავშირებული საქმიანობა; საინფორმაციო სამსახურის საქმიანობა; სამეცნიერო კვლევა და განვითარება; სხვა პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა; კომპიუტერის და ასევე, პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის შეკეთება. ჩამოთვლილ ქვე-სექტორებში აქტიური ბიზნესის საერთო რაოდენობა ათასს აჭარბებს. 2013 წლიდან 2015 წლამდე (ბოლო მონაცემებით) მოცემული ქვე-სექტორების მთლიანი ბრუნვა 24%-ით გაიზარდა და შეადგინა 2,068 მლრდ ლარი, რაც მთლიანი ბიზნეს ბრუნვის 3.6%-ია. ყველაზე დიდი ზრდა იყო პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობაში (258%), რასაც მოჰყვება კომპიუტერული პროგრამირება, საკონსულტაციო და მასთან დაკავშირებული საქმიანობა (144%), შემდეგ კომპიუტერული, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქტების წარმოება (135%). ელექტრომოწყობილობების წარმოება, ამავე პერიოდში, 24%-ით შემცირდა.

საერთო ჯამში, კვლევებსა და განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობა, რაც კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს, საქართველოში ჯერ კიდევ სუსტი და ფრაგმენტულია.

საქსტატის მიერ ჩატარებული სპეციალური ინოვაციების კვლევის თანახმად, 2013-2015 წლებში საინოვაციო საქმიანობაში ჩართული ქართული საწარმოების 48.8%-მა წარმოადგინა ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქცია, ხოლო კომპანიების 51.2% ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული სერვისები. გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ინოვაციური საქმიანობის 23.1% შეწყდა დასრულებამდე, ხოლო 76.9% ჯერაც მიმდინარეობს. იმავე კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საწარმოების 97.5%-ს აქვს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, ხოლო საწარმოების 44.3%-ს აქვს საკუთარი ვებგვერდი. კომპანიების 32.9% იყენებს სოციალურ ქსელებს (როგორიცაა facebook, linkedin), ხოლო მხოლოდ 5% სარგებლობს ბლოგებით ან მიკრობლოგებით (მაგალითად twitter), 8.9% იყენებს საიტებს მულტიმედიური მასალების გაზიარებისათვის (youtube, flickr, myvideo). საწარმოების 48.7% საერთოდ არ იყენებს ზემოაღნიშნულ სოციალურ მედიას ან იყენებს მას მხოლოდ ფასიანი რეკლამის განთავსების მიზნით. ელექტრონული კომერციის თვალსაზრისით, კომპანიების მხოლოდ 9.5% იღებს საქონლის ან მომსახურების შეკვეთებს ვებგვერდების მეშვეობით.

ინტერნეტის მოხმარების კუთხით შინამეურნეობების ინტეგრირებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ 2017 წლის ივნისის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის ინტერნეტწვდომა 71.5%-ს აღწევდა. იგივე, 2016 წლის ივნისისთვის, ინტერნეტწვდომა 70.7% იყო. 6 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, რომელიც ინტერნეტით სარგებლობს 59.3%-ია. აღნიშნული უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში (34.3%), მაგრამ ოდნავ დაბალია დსთ-ს ქვეყნებზე (65.1%) და ევროპაზე (77.9%). თბილისი, ინტერნეტის მოხმარების კუთხით, აღემატება ყველა სხვა რეგიონს, მოიხმარს რა ინტერნეტს მისი მოსახლეობის 76.7%, შემდეგ მოდის აჭარა და სამცხე-ჯავახეთი, შესაბამისად - 57% და 58%. ყველა დანარჩენი რეგიონის მოსახლეობის მიერ ინტერნეტის ქსელის გამოყენება 40% და 50% შორის მერყეობს.

ცხრილი 8. ინტერნეტის გამოყენება ფიზიკური პირების მიერ, ქვეყნების და ქვეყნის ჯგუფების მიხედვით, %

Country	2011	2012	2013	2014	2015	2016
განვითარებული ქვეყნები	72,9	75,4	78,5	79,1	80,3	81,5
განვითარებადი ქვეყნები	25,3	27,3	29,4	31,3	32,9	34,3
მსოფლიო	38,1	40,2	42,4	43,9	45,3	46,6
ნაკლებად განვითარებული ქვეყნები	3,8	4,4	5.0	5,8	6.0	7,6
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)	39,5	49,4	54,4	58,2	62.0	65,1
ევროპა	67,8	70.0	71,7	73,8	75,3	77,9
საქართველო	31,5	36,9	43,3	44.0	47,5	59,3
სომხეთი	32.0	37,5	41,9	54,6	59,1	62.0

ალბანეთი	49.0	54,6	57,2	60,1	63,2	66,3
მოლდოვა	38.0	43,3	45.0	46,6	63,3	71.0
ესტონეთი	76,5	78,3	8.00	84,2	88,4	87,2
ლატვია	69,7	73,1	75,2	75,8	79,2	79,8
სლოვაკეთი	74,4	76,7	77,8	79,9	77,6	80,4

წყარო: საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანება (ITU), საქსტატი

6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, რომლებიც 2017 წლის ივნისისთვის ფლობენ მობილურ ტელეფონს, შეადგენდა 80.5%-ს (86.4%-ს ქალაქებში და 72.5%-ს სოფლად). 2016 წელს ეს მაჩვენებელი 78.8% იყო (85.4% ურბანულ რაიონებში და 69.5% სოფლად). 2016-2017 წლებს შორის მობილური ტელეფონების მოხმარება 1.7%-ით გაიზარდა.

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, რომლებმაც უკანასკნელი სამი თვის მანძილზე გამოიყენეს მობილური კავშირის საშუალებები (მობილური ტელეფონი, „ლეპტოპი“, „ტაბლეტი“ და სხვ.) უკაბელო ინტერნეტის წვდომისათვის ნებისმიერ ლოკაციაზე 2017 წლის ივნისში შეადგენდა 79.5%-ს (81.7% სოფლად და 78.5% ურბანულ რაიონებში). 2016 წელს მოცემული მაჩვენებელი იყო 59% (61.8% სოფლად და 57.8% ურბანულ რაიონებში). 2016 და 2017 წლებს შორის ეს მაჩვენებელი 20,5%-ით გაიზარდა.

III.3.4. ტურიზმი

საქართველოში ფიქსირდება ტურიზმის ზრდის მაჩვენებელი. ქვეყანაში საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 2017 წელს 7.5 მილიონს გადააჭარბა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 1.2 მილიონით მეტია. აღნიშნული ქმნის 18.8%-იან წლიური ზრდის მაჩვენებელს. 2016 წელს ანალოგიურმა მაჩვენებელმა 6.36% შეადგინა.
2006 და 2016 წლებში ტურიზმის ინდუსტრიაში შექმნილი დამატებითი ღირებულება გაიზარდა 2.3-ჯერ და 2 მლრდ ლარს მიაღწია. 2016 წელს ტურიზმის წილი ქვეყნის მთლიან ეკონომიკაში 6.8%-ს შეადგენდა. ამჟამად, ხელმისაწვდომია მხოლოდ შიდა ტურიზმის მონაცემები რეგიონულ დონეზე. 2016 წელს შიდა ვიზიტების რაოდენობამ 13 მილიონს მიაღწია. თბილისი რჩება ყველაზე პოპულარულ ტურისტულ ადგილად, რასაც მოჰყვება იმერეთი და აჭარა. გარე ტურიზმის სტატისტიკის მონაცემების რეგულარული გამოქვეყნება მოსალოდნელია 2018 წლის პირველ ნახევარში.

III.3.5 კულტურული მემკვიდრეობა

ქვეყანას აქვს მდიდარი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა, რაც მათ შორის, მოიცავს: არქეოლოგიურ, არქიტექტურულ, საინჟინრო და სხვა ძეგლებს, კომპლექსებს, ისტორიულ ქალაქებსა და დასახლებებს; ადამიანის მიერ სახეცვლილ კულტურულ ლანდშაფტებს; ეროვნულ საგანძურს, რომელიც დაცულია საქართველოს მუზეუმებში; ასევე, მრავალფეროვან ბუნებას, რომლის ნაწილსაც მოიცავს საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მრავალფეროვანი არამატერიალური მემკვიდრეობა, რომელიც ისევე, როგორც კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის სხვა რესურსები, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. [11]

III.3.6 სოფლის მეურნეობა

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, რომელიც ქნის მშპ-ს მხოლოდ **9.3%**-ს. არსებობს რეგიონები, სადაც სამუშაო ძალის 70%-ზე მეტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, მაგალითად გურია, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი. ქვეყანაში დომინირებს მცირე თვითკმარი სასოფლო მეურნეობები, რომელთაგანაც 77% 1 ჰექტარზე ნაკლები ზომის მიწის ნაკვეთს ფლობს. ქვემო ქართლის, იმერეთის, კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონები ნაწილობრივ განლაგებულნი არიან დაბლობებსა და ვაკე ტერიტორიებზე, შესაბამისად, ამ რეგიონების სახნავ-სათესი მიწების წილი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის

[11] დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 598.4 ათასი ჰექტარია, დაცული ტერიტორიები განლაგებულია საქართველოს ყველა რეგიონში.

განსაკუთრებულად მაღალ პროცენტს შეადგენს. სოფლის მეურნეობა იმერეთში ყველაზე ინტენსიურია, რეგიონის სათბურები, რომლის საერთო ფართობი 462 ჰექტარია ქვეყნის ყველა სათბურის 2/3-ს წარმოადგენს.

საქართველოში ყველაზე პოპულარული მარცვლეული სიმინდია. ნათესების ფართობმა 2016 წელს 95,5 ათასი ჰექტარი შეადგინა იმერეთსა და კახეთში, რაც ქვეყნის მასშტაბით მთელი ნათესების 45% -ს წარმოადგენს, ხოლო სიმინდის კულტურის ნათესების 53%-ზე მეტს. ხორბალი და ქერი მეორე და მესამე ყველაზე პოპულარული კულტურები იყო საქართველოში 2016 წელს, რომელთა საერთო ნათესებმა შესაბამისად შეადგინა 50.1 და 24.4 ათასი ჰექტარი. კახეთი ამ ორივე კულტურის მთავარი მწარმოებელია. კახეთის რეგიონში ერთ ჰექტარზე მოსავლიანობის სტაბილური მაჩვენებელი აღინიშნება, მაგრამ სხვა რეგიონებში მოსავლიანობის მაჩვენებელი ერთ ჰექტარზე სეზონიდან სეზონამდე მერყეობს, ძირითადად, ამინდის პირობების შეცვლისა და შეუსაბამო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გამო.

შიდა ქართლი საქართველოს „ხილის კალათაა“, რომელმაც 2016 წელს საქართველოში ხილის წარმოების თითქმის 38% შეადგინა. მას მოსდევს კახეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი. ეს უკანასკნელი, ასევე, წამყვანი მწარმოებელია სხვადასხვა თხილეულის, რაც მთელი საქართველოს თხილეულის წარმოების თითქმის ნახევარს შეადგენს.

სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი და ქვემო ქართლი საქართველოში ყველაზე მსხვილ მეცხოველეობის რეგიონებს წარმოადგენენ. იგივე სამი რეგიონი ლიდერობს მერძეული ძროხების მოშენებაში. მერძეული ძროხების მოშენების შემცირება იწვევს ადგილობრივი წარმოების რძის დეფიციტის მატებას. საქსტატის ცნობით, 2016 წელს ქვეყანაში იმპორტირებული იყო 124,000 ტონა რძე და რძის პროდუქტები, რაც სექტორის დაბალ პროდუქტიულობაზე მიუთითებს. საშუალოდ, ქართული ძროხა უკრაინული ძროხის წარმოებული რძის მხოლოდ 1/5-ს აწარმოებს, მიუხედავად რძის ფერმების იდეალური აგროკლიმატური პირობებისა. რძის ხარისხიც დაბალია, რაც ამცირებს ხარისხიანი რძის პროდუქტების წარმოების შესაძლებლობას. პროდუქტიულობისა და სურსათის უვნებლობის სტანდარტების ზრდა ხელს შეუწყობს ქვეყანაში რძის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ღვინის მწარმოებელია. რელიეფის, სიმაღლის, ნიადაგის, დრენირების და მზის სხივების კომბინაცია უზრუნველყოფს მევენახეობის ოპტიმალურ პირობებს. ამჟამად, საქართველოში 500-მდე ყურძნის ჯიშია და იწარმოება დაახლოებით 126 ათასი ტონა ყურძენი. კახეთი საქართველოში ლიდერია ყურძნის წარმოებაში, რაც ეროვნული წარმოების დაახლოებით 70%-ს შეადგენს. ღვინის წარმოებაში მეორე ადგილზე იმყოფება იმერეთი (14%).

III.4. სოციალური უთანაბრობები

III.4.1. სამუშაო ძალა

დაქირავებით დასაქმებულების წილი სამუშაო ძალის მხოლოდ 42.3% შეადგენს. თბილისი ლიდერობს მოცემულ რეიტინგში 84.5%-ით, მეორე ადგილზე არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 45.6%-ით. ყველა სხვა რეგიონში დაქირავებული დასაქმებულების წილი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. **საქართველოში უფრო მეტი თვითდასაქმებული ადამიანია, ვიდრე დაქირავებული. ამ მხრივ, გამოირჩევა გურია, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი და შიდა ქართლი**, სადაც დაქირავებული მუშახელი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 1/3-ზე ნაკლებია. საქართველოში არსებობს რეგიონები, სადაც პრაქტიკულად არ არის დაქირავებით დასაქმების შესაძლებლობები, რასაც უნდა ქმნიდნენ ადგილობრივი ბიზნესი, ეკონომიკური სუბიექტები ან საჯარო სექტორი. მაგალითად, გურიაში სადაც 112.6 ათასი მაცხოვრებელია მხოლოდ 5.7 ათასი არის დაქირავებულ სამსახურში (5%), სამცხე-ჯავახეთში 160.6 ათასიანი მოსახლეობით ადგილობრივ ბიზნესში და საჯარო სამსახურში დასაქმებულია 8.6 ათასი ადამიანი (5.3%).

რუკა 5. დასაქმება რეგიონების მიხედვით, 2016



მათ, ვინც დასაქმდა დაქირავებით, უწევთ შეჯახება დაბალი ანაზღაურების პრობლემასთან. დამსაქმებლები ყველაზე მაღალ ხელფას იხდიან თბილისში, სადაც საშუალო ხელფასი შეადგენს 1,006 ლარს. სხვაგან საშუალო ხელფასი დედაქალაქში არსებული საშუალო ხელფასის 40-60%-ია, მაგალითად გურიაში - 641.1 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 573.9 ლარი, კახეთში - 521.8 ლარი, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - 414,5 ლარი. ასეთი დაბალი ხელფასები გავლენას ახდენს ოჯახის ბიუჯეტზე. საქართველოში ხელფასი ოჯახების საშუალო ბიუჯეტის მხოლოდ 37.5%-ს შეადგენს. ოჯახის ბიუჯეტში ხელფასის ყველაზე დაბალი წილი შეინიშნება კახეთში, გურიასა და სამცხე-ჯავახეთში, რაც მერყეობს 20 და 23 პროცენტს შორის. ეს მაჩვენებელი თითქმის უტოლდება პენსიებით, სტიპენდიებით და სხვა სოციალური გრანტებით მიღებულ შემოსავალს. 2016 წლის მდგომარეობით, რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში, ოჯახების 32.4% სოციალურ დახმარებას იღებდა. 2017 წლის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 30.5%-ზე ჩამოვიდა. საქართველოში უმუშევრობის დონე 11.8%-ს შეადგენს, ძირითადად იმის ხარჯზე, რომ დიდია სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა რაოდენობა. ამ მაჩვენებლის მიხედვითაც ლიდერობს თბილისი, სადაც უმუშევრობის მაჩვენებელი 22%-ს აღწევს, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლები არის სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, რომლებიც ყველაზე მეტად სოფლის ტიპის რეგიონებია. აქ უმუშევრობის დონე 4.1%-ით განისაზღვრება, ხოლო კახეთში - 5.4%-ით.

დიაგრამა 12. უმუშევრობის მაჩვენებელი რეგიონებში, 2016



წყარო: საქსტატი

ტენდენციები, როცა ურბანულ ადგილებში მაღალია უმუშევრობის დონე, საპირისპიროა იმ ტენდეციებისა რომლებიც შეიმჩნევა ევროპაში, სადაც უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე არის სოფლად და გაღატაკებულ რეგიონებში, მაგ. სამხრეთ ესპანეთში, საბერძნეთში ან თურქეთის იმ ტერიტორიებზე, რომელიც ესაზღვრება სირიასა და ერაყს. ასეთი ფენომენი საქართველოში შეიძლება აიხსნას წარმოებისა და მომსახურეობის სექტორების შედარებით ნელი განვითარებისა და ბიზნესის დაბალი მდგრადობის მაჩვენებლებით. ასევე, შეიძლება არსებობდეს ადამიანების დიდი რაოდენობა, რომლებიც უმუშევართა კატეგორიიდან ისე გადადიან არასამუშაო ძალის კატეგორიაში, რომ ვერასოდეს პოულობენ სამსახურს. მსგავსი მაგალითი გვხვდება მოლდოვაში.

ცხრილი 9. უმუშევრობა, % (საერთაშორისო შედარება)

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2016
საქართველო	15,1	15	14,6	12,4	12.0	11,8
სომხეთი	18,4	17,3	16,2	17,6	18,5	18,8
მოლდოვა	6,7	5,6	5,1	3,9	4,9	4,2
ალბანეთი	14.0	13,4	16.0	17,5	17,1	16,1
ესტონეთი	12,3	10.0	8,6	7,3	6,1	6,9
ლატვია	16,2	15.0	11,8	10,8	9,8	9,6
სლოვაკეთი	13,7	13,9	14,2	13,1	11,4	9,6

წყარო: IMF

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ეკონომიკა ყველაზე კონკურენტუნარიანი და პროდუქტიულია, სპეციალიზებული ღირებულების ჯაჭვების არარსებობა და სამუშაო ძალის დაბალი პროდუქტიულობა უთანასწორობისა და დაბალი ეკონომიკური ზრდის ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს. თბილისში აღინიშნება სამუშაო ძალის ძალიან დაბალი პროდუქტიულობა, უფრო დაბალი ვიდრე ერევანში, ბაქოში, სკოპიეში, ბელგრადსა და მოსკოვში[12]. ვინაიდან, შრომის პროდუქტიულობა გამოხატავს დამოკიდებულებას წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობასა და დახარჯულ დროს შორის, მისი დაბალი დონე მიუთითებს როგორც სამუშაო ძალის, ასევე წარმოებული საქონლისა და მომსახურების არაეფექტიანობაზე. ეს წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ გამოწვევას საქართველოს ეკონომიკაში,რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნილ და მიწოდებულ უნარ-ჩვევებს შორის არსებული შეუსაბამობით.

III.4.2 სიღარიბე

საქართველოში არსებული სიღარიბის მაჩვენებელი ევროკავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლის ანალოგიურია, მაგ. ხორვატიის, საბერძნეთის, ბულგარეთის (19.5%, 21.2% და 22.9% შესაბამისად). ფარდობითი სიღარიბის დონე ყველაზე მაღალია შიდა ქართლში (32.6%) და ქვემო ქართლში (32.7%).[13] გარდა ამისა, აჭარაში, ბოლო წლების მანძილზე აღინიშნა სიღარიბის მაჩვენებელის ზრდა (2013 წელს 21.9%, ხოლო 2016 წელს 25.5%). თბილისის გარდა, ყველა რეგიონი, ძირითადად, სოფლის ტიპისაა და ქალაქსა და სოფელს შორის არსებული ფარდობითი სიღარიბის დონეებს შორის ვლინდება უთანასწორობა, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ სოფლად სიღარიბის დონე პრაქტიკულად უცვლელი რჩება, ურბანული დასახლებების სიღარიბის მაჩვენებელი მცირდება. ეს ტენდენციები გამოწვეულია ურბანული ადგილების გაფართოებით და შემოსავლის, კაპიტალისა და შრომის ძალის კონცენტრირებით ქალაქებში. 2016 წელს ეროვნული ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი აღწევდა 21.3%-ს, აქედან, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო შიდა ქართლში (32.6%) და ქვემო ქართლში (30.9%), ხოლო ყველაზე დაბალი - თბილისში (13.7%).

მსგავსი ტენდენციები შეინიშნება აბსოლუტურ სიღარიბესთან მიმართებაშიც. აბსოლუტური სიღარიბე ყველაზე მაღალია შიდა ქართლში და ქვემო ქართლში, ხოლო ყველაზე დაბალი - თბილისში.

ცხრილი 10. აბსოლუტური სიღარიბე საქართველოს რეგიონებში, 2013-2016, %

რეგიონი	2013	2014	2015	2016
საქართველო	25,6	22,4	20,8	21,3
თბილისი	17,3	15,3	14,9	13,7
აჭარა	22,4	21,5	20,6	26,8
გურია, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი	28,0	22,1	19,8	20,0
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	25,5	19,8	20,1	19,4
კახეთი	32,4	28,3	28,8	25,8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	27,9	24,0	17,8	18,4
ქვემო ქართლი	34,0	32,4	27,3	30,9
შიდა ქართლი	33,7	32,0	30,8	32,6

წყარო: საქსტატი

[12] საქართველოს ურბანული სტრატეგია, ძირითადი ქალაქების ეკონომიკური როლი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მსოფლიო ბანკი, 2016 წლის იანვარი.

[13] ფარდობითი და აბსოლუტური სიღარიბის დონე ასევე განსაკუთრებით მაღალია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო-სვანეთში. თუმცა, საქსტატის მიერ მეთოდოლოგიური თავისებურებების გამო, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო-სვანეთის სტატისტიკა ცალკე არ იწარმოება, არამედ იმერეთთან ერთად. ცალკეულად, ხელმისაწვდომი არ არის აგრეთვე გურიის, სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის სტატისტიკური მონაცემებიც.

მთელი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონების მოსახლეობაში მაღალია მოსახლეობის ის პროცენტი, რომელიც საპენსიო და სოციალურ პაკეტებს (23.8%) იღებს. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობის 38.3% სოციალურ დახმარებაზეა დამოკიდებული.

III.4.3 საბაზისო სოციალური სერვისები

ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა ზოგიერთ რეგიონში საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას. მხოლოდ თბილისში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და იმერეთში არის საავადმყოფოების და ჰოსპიტალური საწოლების ისეთი რაოდენობა, რაც უახლოვდება ან აჭარბებს ქვეყნის მასშტაბით 100 000 სულ მოსახლეზე საავადმყოფოებისა და ჰოსპიტალური საწოლების საშუალო მაჩვენებელს[14]. ამასთან, საქართველოში საავადმყოფოების ზომა ნაკლებია, ვიდრე ევროკავშირში. აუცილებელია ჯანდაცვის სერვისების მიწოდების ობიექტების შემდგომი ოპტიმიზაცია, რამდენადაც ჯანდაცვა განიხილება ეკონომიკის მნიშვნელოვან სეგმენტად, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის და მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

რუკა 6. საავადმყოფოებისა და ექიმების რაოდენობა მოსახლეობის მიხედვით, თითოეულ რეგიონში



წყარო: საქსტატი

საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, წარმოადგენს პირველი რიგის პრობლემას. განსაკუთრებით საყურადღებოა პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტები. დღესდღეობით, გურიაში არ არსებობს არც ერთი უნივერსიტეტი, ხოლო მცხეთა-მთიანეთში, ისევე როგორც რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში თითო-თითო უმაღლესი სასწავლებელია. ასევე, პრობლემას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხი. აბიტურიენტების შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, რეიტინგის პირველ ათეულში მყოფი ყველა უმაღლესი სასწავლებელი თბილისშია განთავსებული. დედაქალაქის ფარგლებს გარეთ მხოლოდ ნაკლებად მოთხოვნადი უმაღლესი სასწავლებლებია. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ყველაზე დაბალია საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლების ხელმისაწვდომობა.

[14] ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში მომზადებული კვლევა „სოციალ-ეკონომიკური და ტერიტორიული უთანაბრობები“, 2017 http://www.regpol.ge/images/Socio-economic%20and%20territorial%20disparities_Georgia_Report_final%2012.12.2017.compressed.pdf

III.5. საჯარო მმართველობა

III.5.1. ადგილობრივი თვითმმართველობა

საქართველოში ადგილობრივმა თვითმმართველობამ რამდენიმე ეტაპი გაიარა. 1991 წლიდან 1998 წლამდე, ადგილობრივი მმართველობის სისტემა შეიცვალა ადგილობრივი მმართველობიდან ადგილობრივ თვითმმართველობადე. მუნიციპალური მმართველობა ხორციელდებოდა მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის სახით. 1998-2006 წლებში ორჯერ შედგა წარმომადგენლობითი ორგანოების, აღმასრულებელი ორგანოებისა და ასევე, ქალაქის მერის სამი არჩევნები. დედაქალაქისა და ფოთის მერის დანიშვნაზე უფლებამოსილი იყო საქართველოს პრეზიდენტი. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიღების შემდეგ, 2006-2010 წლებში, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები კონსოლიდირდნენ მათ შესაბამის რაიონებში (გარდა აჟარის, თიღვის, ქურთისა და ერედვის თემებისა, რომლებიც მუნიციპალიტეტებად ჩამოყალიბდნენ, და იმ ქალაქებისა, რომლებიც არ შედიოდნენ რაიონის შემადგენლობაში, და რომლებიც თვითმმართველ ქალაქებად ჩამოყალიბდნენ). ზემოაღნიშნული ორგანული კანონი ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმართველობის ერთეულების შემცირებას 1,110-დან 69-მდე. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები, მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდა (ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე). ამავდროულად, საქართველოს დედაქალაქის - თბილისის საკრებულოს არჩევნებზე თბილისის მოსახლეობამ პირველად აირჩია თბილისის მერი პირდაპირი არჩევნების წესით. 2014 წლიდან მოქალაქეები ირჩევენ მუნიციპალიტეტების უმაღლეს თანამდებობის პირს - მერს.

განხორციელებული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების მიუხედავად:

- საქართველოს მუნიციპალიტეტებისა და აგერთვე, დასახლებების აბსოლუტურ უმრავლესობაში ჯერ კიდევ არ არის დადგენილი საზღვრები;
- ადგილობრივ დონეზე ფინანსური რესურსები არ არის საკმარისი;
- მოქალაქეებისა და ბიზნესისათვის გაწეული საჯარო სერვისების დიდი ნაწილი იმართება ცენტრალურ დონეზე;
- გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულა საჭიროებს დახვეწას;
- მუნიციპალიტეტების როლი ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში არ არის სრულად გამოკვეთილი.

თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს კონსტიტუცია ანიჭებს უფლებას, მოაწესრიგონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები მათ მიერ არჩეული მუნიციპალიტეტის ორგანოების მეშვეობით. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების საკუთარ უფლებამოსილებებს, ასევე, მუნიციპალიტეტებისთვის უფლებამოსილებათა დელეგირებასთან დაკავშირებულ დებულებებს. ქვეყანაში განხორციელდა სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების დელეგირება, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.

III.5.2. ფისკალური მდგრადობა

მუნიციპალური ბიუჯეტის მოცულობა ნათლად გვაჩვენებს ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს და რეგიონულ უთანაბრობებს. საქართველო ჯერაც ითვლება ფისკალურად ცენტრალიზებულ ქვეყნად. ფისკალური მდგრადობის მაჩვენებელი (შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე) დაბალია და მერყეობს 86 ლარიდან (შიდა ქართლის მუნიციპალიტეტები) 422 ლარამდე (თბილისი). სხვა რეგიონებში ეს მაჩვენებელი მერყეობს 100 ლარიდან დაახლოებით 260 ლარამდე. შიდა ქართლის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, კახეთის და გურიის რეგიონებში ყველაზე ღარიბი და ყველაზე მოწყვლადი მუნიციპალიტეტებია.

ცხრილი 11. მუნიციპალური შემოსავლების სტრუქტურა, რეგიონების მიხედვით, 2014-2016 წწ, მლნ ლარი

რეგიონი	2014		2015		2016		
	ჯამური შემოსავალი	საგადასახადო შემოსავლები	ჯამური შემოსავალი	საგადასახადო შემოსავლები	ჯამური შემოსავალი	საგადასახადო შემოსავლები	ფისკალური მდგრადობა (ლარი)
თბილისი	673,3	130,9	853,7	158,2	717,3	326,0	422
აჭარის არ	143,7	16,7	179,6	22,9	204,1	51,7	266
გურია	50,9	3,4	57,6	4,0	60,9	8,1	115
იმერეთი	176,4	16,1	193,4	15,6	201,0	41,9	118
კახეთი	89,6	15,5	100,3	16,8	103,8	26,9	112
მცხეთა -მთიანეთი	45,0	9,5	44,7	9,7	52,8	16,7	238
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	24,8	0,8	31,8	0,8	34,2	1,6	103
სამეგრელო-ზემო სვანეთი	120,3	16,3	135,0	17,3	147,5	39,6	151
სამცხე-ჯავახეთი	52,8	6,0	64,4	7,2	83,6	26,5	257
ქვემო ქართლი	105,0	23,7	127,4	31,6	138,3	55,2	188
შიდა ქართლი	78,8	7,2	81,1	6,3	86,4	14,4	86

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფისკალური მდგრადობის ინდექსი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაიზარდა, რადგან სამეწარმეო საქმიანობის საშემოსავლო გადასახადი, ქონების გადასახადთან ერთად, შეყვანილ იქნა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსულობებში. თუმცა, ფისკალური მდგრადობის ინდექსი კრიტიკულად დაბალია, როდესაც ვადარებთ ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებსაც კი, სადაც მდგრადობის ინდექსი ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ტერიტორიებზე 150 ევროს უტოლდება.

საქართველოს ახლად მიღებული კონსტიტუცია შეიცავს მუნიციპალიტეტების განვითარების, მათ შორის, ფისკალური დეცენტრალიზაციის მნიშვნელოვან ასპექტებს. გარდა ამისა, საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგია (რომელიც ამჟამად შემუშავების პროცესშია) ითვალისწინებს ისეთი ზომების მიღებას, რომელიც მიზნად ისახავს ფისკალურ მდგრადობას ადგილობრივ დონეზე და შექმნის ინვესტიციებისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებს.

IV. ტერიტორიული განვითარების საჭიროებანი და პოტენციალი

IV.1. შესავალი

II თავში წარმოდგენილმა ინფორმაციამ, სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტებმა (ზოგადი, დარგობრივი და რეგიონული დოკუმენტების ჩათვლით) და მომიჯნავე კვლევებმა შექმნეს SWOT ანალიზის მომზადების საფუძველი (იხ. ქვემოთ).

SWOT ანალიზი ხელს უწყობს განვითარების იმ გადამწყვეტი საჭიროებებისა და პოტენციალის გამოვლენას, რაზეც საქართველოს რეგიონული პოლიტიკა უნდა კონცენტრირდეს უახლოესი წლების მანძილზე. მხოლოდ პროგრამა ვერ უპასუხებს ყველა გამოვლენილ საჭიროებას და ვერ მოახდენს ყველა პოტენციალის რეალიზებას. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელება, ისევე როგორც, საუკეთესო ევროპული პრაქტიკის დანერგვა, იძლევა შესაძლებლობას, რომ რეფორმების შემდგომი განხორციელებისა და ადმინისტრაციული პოტენციალის ამაღლების პირობებში, გაფართოვდეს განვითარებისათვის აუცილებელ ქმედებათა მასშტაბი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.

IV.2. SWOT ანალიზი

ცხრილი 12. SWOT ანალიზი

	ძლიერი მხარეები		სუსტი მხარეები	
სფერო	ფაქტორი	კონცენტრაცია სპეციფიურ რეგიონზე/ ტერიტორიაზე	ფაქტორი	კონცენტრაცია სპეციფიურ რეგიონზე / ტერიტორიაზე
მაკრო-ეკონომიკური პოლიტიკა	• განხორციელებული მაკროეკონომიკური რეფორმები • დაბალი ინფლაცია		• მზარდი ფისკალური რისკები, რაც დაკავშირებულია დანახარჯის ზრდასთან და შემოსავლების შეზღუდულ მატებასთან • ფისკალური დეფიციტი, რაც დიდწილად განპირობებულია სოციალური ხარჯების ზრდით • მაღალი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი	
ეკონომიკა				
მშპ / მდღ	• მშპ-ს ზრდა 2010 წლიდან • ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ურყევი ზრდა	• თბილისში ეკონომიკური საქმიანობის მაღალი კონცენტრაცია • თბილისი უზრუნველყოფს მდღ-ს 49%-ს	• ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მნიშვნელოვანი უთანასწორობა (უმდიდრესი და უღარიბესი რეგიონები განსხვავდება 2.7-ჯერ, ხოლო უმდიდრესი და სიმდიდრის მიხედვით მეორე ადგილზე მყოფი რეგიონები - 1.8-ჯერ) • ეკონომიკის დაბალი პროდუქტიულობა	• ზრდა ხდება მხოლოდ თბილისსა და ბათუმში • გურია, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი უზრუნველყოფენ მდღ-ს მხოლოდ 2%-დან 5%-მდე

ეკონომიკის სტრუქტურა / სექტორები / ექსპორტი	• ბოლო 20 წლის განმავლობაში ექსპორტის მოცულობის სტაბილური ზრდა. ექსპორტირებული პროდუქციაა: ნედლეული, ავტომობილები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (ძირითადად ღვინო) და მედიკამენტები. • ტურიზმის პოტენციალი, რაც ეფუძნება კულტურულ, სოციალურ და ბუნებრივ მემკვიდრეობას • სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის სასარგებლო პირობები		• მონოცენტრული ეკონომიკა: რეგიონებს შორის ბიზნეს აქტივობის არათანაბარი გადანაწილება. იგულისხმება: ბრუნვა, კომპანიების და თანამშრომლების რაოდენობა, წარმოების ღირებულება და ა.შ. • თვითდასაქმებულთა მაღალი წილი, რაც სავარაუდოდ შედეგია წარმოების შენელებული ტემპის და დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობის ზრდის • ექსპორტის შეზღუდული მრავალფეროვნება, გადაუმუშავებელი ექსპორტის მაღალი წილი: ნედლეული, ავტომობილები (რეექსპორტი), სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (ძირითადად ღვინო) და მედიკამენტები • წარმოებული პროდუქციის შეზღუდული მრავალფეროვნება • სუსტადაა გამოყენებული სოფლის მეურნეობის პოტენციალი, მათ შორის, წარმოებული პროდუქციის მოცულობის, დამატებითი ღირებულების შექმნის, გადამამუშავებელი მრეწველობისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით	• თბილისში წარმოებულია ყველა საქონლისა და მომსახურების 67%, აჭარაში 8% და იმერეთში 7% • პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 86% ხორციელდება თბილისში, 8% - აჭარაში, დანარჩენ რეგიონებში, მათ შორის ურბანულ ცენტრებში, მათი შემოდინება მარგინალურია და არ ხასიათდება მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით.

ინვესტიციები /პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	• ბოლო 5 წლის განმავლობაში სამი რეგიონის (თბილისი, ქვემო ქართლი და აჭარა) ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების ზრდა • პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტაბილური შემოდინება, თითქმის 1 მლრდ. ლარის ინვესტირება ინტენსიურად დასაქმების სექტორებში (წარმოება, მშენებლობა, ტრანსპორტი, სასტუმროები და რესტორნები)		• ინვესტიციების, მათ შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოკვეთილად არათანაბარი ტერიტორიული გადანაწილება	• თბილისზე მოდის ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ყველა ინვესტიციის 76% და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 86%, მაშინ როცა დანარჩენ რეგიონებში (გარდა აჭარისა) ეს მაჩვენებელი ძალზედ დაბალია • ინვესტიციების დონე და ტენდენციები გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, შიდა ქართლში და მცხეთა-მთიანეთში მცირდება • ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ ძირითადად მოიმატა აჭარაში, მცხეთა-მთიანეთში და თბილისში

საწარმოები / მცირე და საშუალო საწარმოები / ბიზნეს გარემო	• დერეგულირებული ეკონომიკა, ნებართვებისა და ლიცენზიების გამარტივებული პროცედურები • ბიზნესის სექტორში სამუშაო ადგილების ზრდა • მთავრობის მიერ ინიცირებული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები		• რეგიონების დონეზე ვლინდება მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში კომპანიების რაოდენობის მნიშვნელოვანი დისბალანსი • სამეწარმეო სუბიექტების, მათ შორის, ახლად შექმნილი მცირე კომპანიების შეზღუდული ხელმისაწვდომობა დამხმარე პროგრამებზე (მაგ.: გირაოს უზრუნველყოფის საშუალებების სიმწირის გამო) • კომპანიების ხელმისაწვდომობა დაფინანსებაზე ჯერ კიდევ საჭიროებს გაუმჯობესებას • რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისა და გამოყენების დაბალი დონე	• თბილისში რეგისტრირებულია ყველა კომპანიის 41%, მას მოსდევს იმერეთი (13.9%) და აჭარა - (9.7%)

ინოვაცია /კვლევა	• ინოვაციური აქტივობა ძირითადად შეინიშნება დიდ კომპანიებში (განსაკუთრებით სატელეკომუნიკაციო სექტორში, კომუნალურ და საბანკო სექტორებში), ასევე კომპანიებში, რომლებიც ახორციელებენ ექსპორტს და უცხოური მფლობელობის ქვეშ მყოფ კომპანიებში		• კომპანიების დაბალი ინოვაციურობა. მსოფლიო ბანკის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით ინოვაციების კუთხით, საქართველო 113 ადგილზეა (138-დან) • კომპანიების ინოვაციური საქმიანობა ძირითადად გამოიხატება მხოლოდ ტექნოლოგიების მოხმარებაში აპარატურისა და აღჭურვილობის შეძენის გზით, რისი უშუალო გავლენაც ადგილობრივი ინოვაციური პროდუქტების ან/და პროცესების შექმნაზე მინიმალურია • კომპანიების საქმიანობა კვლევისა და განვითარების მიმართულებით უკიდურესად დაბალია • თითქმის არ არსებობს წარმოებისა და კვლევითი ორგანიზაციების თანამშრომლობა • სამეცნიერო სექტორი ძირითადად ორიენტირებულია ბაზისურ კვლევებზე, ვლინდება ციტირების და საპატენტო საქმიანობის დაბალი დონე	• კვლევითი საქმიანობა კონცენტრირებულია თბილისში და ასევე შეზღუდული რაოდენობის ცენტრებში

ადამიანური რესურსები				
დემოგრაფიული ტენდენციები	• ახალგაზრდა მოსახლეობა (საშუალო ასაკი 38.1 წ) • ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის დადებითი ბუნებრივი მატება		• ბოლო 25 წლის მანძილზე მოქალაქეებისა და სამუშაო ძალის რაოდენობის შემცირება • დეპოპულაციის ტენდენციები (განსაკუთრებით სოფლის რეგიონებში და მაღალმთიან ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებზე) • მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ძირითადად ურბანულია, თბილისისა და აჭარის გარეთ დომინირებს სოფლის მოსახლეობა • დიდი სხვაობა მოსახლეობის სიმჭიდროვეში • ზოგიერთ რეგიონში მოსახლეობის დაბერება	• დეპოპულაციით ყველაზე მეტად დაზარალდა რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი, ყველაზე ნაკლებად - თბილისი
ეკონომიკური აქტივობა /სამუშაო ძალა	• უმაღლესი განათლების მქონე პირთა მაღალი მაჩვენებელი • უმუშევრობის შედარებით მცირე და კლებადი მაჩვენებელი		• თვითდასაქმებულთა დიდი რაოდენობა; დაქირავებული მოსამსახურეების დაბალი მაჩვენებელი, ბიზნესისა და დაწესებულებების მიერ შეთავაზებული სამსახურების 2/3 თბილისშია ლოკალიზებული • შეუსაბამობის მაღალი დონე მუშახელის უნარებსა და სამუშაო ბაზრის მოთხოვნილებებს შორის	• თბილისში ქვეყნის მასშტაბით ყველაზე დაბალი ეკონომიკური აქტივობაა • უმუშევრობის დონე თბილისში და აჭარაში მეტია ვიდრე მთელს ქვეყნაში დაფიქსირებული უმუშევრობის მაჩვენებელი, თბილისში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია და უტოლდება 22%-ს

შემოსავალი /სიღარიბე/ სოციალური უთანაბრობა	• ბოლო წლებში ნომინალური ხელფასების მნიშვნელოვანი ზრდა (ხელფასები კვლავაც რჩება დაბალი) • GINI კოეფიციენტის შემცირება		• თვითდასაქმებულთა დიდ უმრავლესობას არ გააჩნია შემოსავლის ალტერნატიული წყარო, სოფლის მეურნეობისა და ზოგიერთი ბაზისური მომსახურების გარდა. • დასაქმების დონე მნიშვნელოვნად მაღალია მამაკაცებისთვის, ვიდრე ქალებისათვის • ფარდობითი სიღარიბე (საშუალო მოხმარების 60%) შეადგენს 20.6% -ს და ხასიათდება მნიშვნელოვანი რეგიონული უთანასწორობით. • სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია საერთო დასაქმებულთა რიცხვის თითქმის ნახევარი, ამავე დროს სექტორი ხასიათდება დაბალი ხელფასით / შემოსავლით (საშუალო ხელფასის 64%); ეს ქვეყანაში არსებული სიღარიბის ერთ-ერთ მთავარი გამომწვევი ფაქტორია • საქართველოში დასაქმებულთა უმრავლესობა დაბალანაზღაურებადია ("დასაქმებული ღარიბის“ ფენომენი) • სოციალურ დახმარებებზე მაღალი დამოკიდებულება, სოციალური დახმარება შეადგენს საშუალოდ შინამეურნეობების შემოსავლების 15%-ს	• სხვადასხვა რეგიონებში საშუალო ხელფასის დონეებს შორის დიდი განსხვავება • ფარდობითი სიღარიბე თბილისში 3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში • ზოგიერთ რეგიონში საშუალო ხელფასი თბილისში საშუალო ხელფასის ნახევარს უტოლდება (მაგ. სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში) • საქართველოს რამდენიმე რეგიონში საარსებო შემწეობაზე დამოკიდებულება არის უფრო მაღალი, ვიდრე საქართველოში არსებული საშუალო მაჩვენებელი

განათლება	• პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ზრდა და მათი გეოგრაფიული დაფარვის გაუმჯობესება		• განათლებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს დეპოპულაცია • უმაღლესი განათლების ობიექტების გადანაწილება არათანაბარია • რეიტინგის პირველ ათეულში მყოფი ყველა უმაღლესი სასწავლებელი თბილისშია განთავსებული	• თბილისში სკოლები გადატვირთულია, ხოლო რეგიონებში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა არ არის სრულად გამოყენებული • დედაქალაქის ფარგლებს გარეთ მხოლოდ ნაკლებად მოთხოვნადი უმაღლესი სასწავლებლებია; ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ყველაზე დაბალია საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლების ხელმისაწვდომობა, ხოლო გურიაში არ არსებობს არცერთი უმაღლესი სასწავლებელი
ჯანდაცვა	• ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირება (თუმცა EU-28-თან შედარებით სიკვდილიანობა მაინც მაღალი რჩება) • საქართველოში საავადმყოფოების საწოლების რიცხვი ოდნავ ჩამორჩება EU-ს 28 ქვეყნების საშუალოს (შესაბამისად 372.1 და 394 – 100000 მოსახლეზე)	• თბილისზე მოდის საავადმყოფოების 49% და საავადმყოფო საწოლების 54%	• ნაკლებად განვითარებული პირველადი ჯანდაცვა	ზრდის მიუხედავად, დაბალია ერთ სულ მოსახლეზე პჯდ (პირველადი ჯანდაცვის დონე) დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა (4.0 – 2016) EU-28-თან შედარებით

ინფრასტრუქტურა				
ტრანსპორტი	• საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნებში ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა (აღმოსავლეთ - დასავლეთი, სამხრეთ-ჩრდილოეთი); • საავტომობილო გზების მშენებლობისა და რეაბილიტაციის მაღალი ტემპი • სარკინიგზო ტრანსპორტის გაფართოება ორი მსხვილი პროექტით: რკინიგზის მოდერნიზაცია და ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზი • სამი საერთაშორისო აეროპორტი	• ანაკლიის პორტის (სამეგრელო) გაფართოება	• შიდა სამგზავრო ტრანსპორტი თითქმის მთლიანად დაკავშირებულია საავტომობილო გზასთან • ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა • საგზაო ინფრასტრუქტურა (ძირითადად, ადგილობრივი მნიშვნელობის) არათანაბრად არის გადანაწილებული მთელი ქვეყნის მასშტაბით • შეზღუდული სარკინიგზო ქსელი, რომელიც ძირითადად, ერთხაზიანია ელექტრიფიცირებული; სარკინიგზო ქსელის ინფრასტრუქტურა მოიცავს მოძველებულ გვირაბებს და ხიდებს • მგზავრთათვის ფინანსურად ხელმისაწვდომი მატარებლებისა და საქალაქთაშორისო ავტობუსების ნაკლებობა • ავტომობილების მზარდი რაოდენობის გამო, საქართველოს ცალკეულ ქალაქებში ადგილი აქვს საგზაო საცობებს, სახეზეა საგზაო მოძრაობის მართვის ნაკლებობა და მუნიციპალურ დონეზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზებისთვის სახსრების ნაკლებობა	• უმრავლესობა მთიანი რეგიონებისა ძნელად მისაწვდომია • ზოგიერთ რეგიონში (მაგ. კახეთი) სახეზეა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის ქსელის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა

გარემო /ბუნებრივი რესურსები	• მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები, მათ შორის, წყლის რესურსები (მინერალური წყლები), ტყეები და სხვა • მანგანუმის, სპილენძის, ოქროს, ვერცხლისა და რკინის მდიდარი რესურსები • 88 სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორია		• სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის დაბალი დონე • წყლის გამწმენდი ნაგებობების არასაკმარისი რაოდენობა • მყარი ნარჩენების შეგროვების სისტემის დაბალი ეფექტურობა • ბოლო წლებში ადგილი ჰქონდა ტემპერატურის მატებას , ზღვის დონის აწევას, მდინარის ნაკადის ცვლილებებს, ხშირ დატბორვას, მეწყერსა და ნაპირთა ეროზიას • მატულობს ჰაერის დაბინძურება, განსაკუთრებით საწარმოო ადგილებში, და ასევე ჭარბი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის შედეგად	• თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით მდებარე რეგიონებს ახასიათებს დატბორვა და უეცარი წყალდიდობები. • ქვემო ქართლსა და კახეთში ხშირია გვალვები
მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურა	• ოჯახების ინტერნეტთან წვდომის მაღალი პროცენტი (71.5%)	• ქალაქის ტიპის დასახლებებში ინტერნეტთან წვდომის მაღალი პროცენტი (81.8%)	• სოფლის დასახლებებში ინტერნეტთან წვდომა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ მთელ ქვეყანაში (56.2%)	• სხვადასხვა რეგიონში ოჯახების მიერ ინტერნეტის ხელმისაწვდომობა განსხვავებულია (84.9% თბილისში და 53.7% კახეთში)
ელექტროენერგია	• ოჯახების მიერ ელექტროენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა • ჰიდროენერგეტიკის მნიშვნელოვანი პოტენციალი		• ამორტიზირებული ინფრასტრუქტურის გამო თბილისის გარეთ ბევრ ადგილას ელექტროენერგიის მიწოდების დონე დაბალია • თბილისის გარეთ მცხოვრები მოსახლეობისთვის გაზმომარაგების ქსელი კვლავ საჭიროებს გაფართოებას	

დასახლებების მახასიათებლები	• საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორებში კარგი გეოგრაფიული ლოკაცია (აღმოსავლეთ-დასავლეთი, სამხრეთ-ჩრდილოეთი) • ევროპული სტანდარტების მიხედვით ურბანული მოსახლეობა მცირეა (57.2% 2017 წელს) • ურბანული ტერიტორიები (და მუნიციპალიტეტები მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით) ძირითადად მდებარეობს აღმოსავლეთ-დასავლეთ კორიდორის გასწვრივ და შავ ზღვასთან.	• თბილისი ყველაზე დიდი ურბანული ტერიტორიაა, რომლის მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობის 1/3-ია	• თბილისის დომინანტური პოზიცია, რაცთითქმის ყველა ეკონომიკურ ფაქტორში ვლინდება, განსაკუთრებით კი ერთ სულ მოსახლეზე წარმოებულ მდღ-ში • საშუალო ზომის ქალაქების, როგორც ეკონომიკური მიზიდულობის ცენტრების ნაკლებობა, რაც ასევე, ხელს არ უწყობს სოციალ-ეკონომიკური უთანაბრობების დაძლევას ქვეყნის შიგნით • საქართველო გამოკვეთილად მონოცენტრული ქვეყანაა	• მხოლოდ თბილისისა და აჭარის მოსახლეობაა მეტი სოფლის მთელ მოსახლეობაზე; ყველა სხვა რეგიონი ძირითადად სოფლის დასახლებებისაგან შედგება, მათ შორისა: სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონები (სოფელში ცხოვრობს 8-დან 10 მოსახლემდე). • მხოლოდ 3 ქალაქში (ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი) ცხოვრობს 100 ათასზე მეტი მოსახლე • ზოგიერთ მაღალმთიან და საზღვრისპირა რეგიონებში მოსახლეობის უკიდურესად დაბალი სიმჭიდროვე
ინსტიტუციები – ხელისუფლების ხარისხი ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე				
	• ბოლო ფისკალური დეცენტრალიზაციის რეფორმა (საშემოსავლო გადასახადის რეფორმა) • კორუფციის დაბალი დონე	• მთავრობის მიერ აღებული ვალდებულება სოფლის განვითარებისათვის • მაღალმთიანი რეგიონების მხარდასაჭერი სამართლებრივი ჩარჩო	• მაღალი ფისკალური ცენტრალიზაცია • ადგილობრივი ხელისუფლების შეზღუდული პასუხისმგებლობა (მერი/მერია, მუნიციპალური დაწესებულებები) • ადმინისტრაციული შესაძლებლობების დაბალი ხარისხი (განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე)	

	შესაძლებლობები	საფრთხეები
გარე ფაქტორები	• ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან; ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან; თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთთან • ცვლილებები ტურიზმის გლობალურ მოდელებში (მიმართულებები, მოლოდინები) • პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, მათ შორის, დიასპორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები და ინვესტიციები ყოფილ საწარმოო ტერიტორიებში • დონორების ძლიერი ჩართულობა სტრატეგიული რეფორმებისა და პროგრამების მომზადებისა და განხორციელების პროცესში	• პოლიტიკური არასტაბილურობა რეგიონში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის ჩათვლით (ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია) • მაკროეკონომიკური სტაბილურობის ნაკლებობა, რაც განპირობებულია ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ვითარებით • ზეწოლა ეროვნული ვალუტის გაუფასურებაზე • ბუნებრივი კატასტროფები
შიდა ფაქტორები	• განვითარების პოლიტიკების სინქრონიზაციისა და კოორდინაციის მაღალი ხარისხი • ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტიანი მართვა და გამოყენება • უკეთ სპეციალიზირებული და გადამზადებული იაფი სამუშაო ძალა • ქვეყნისა და ცალკეული რეგიონების პოტენციალის გამოყენება უფრო თანამედროვე, „გონივრული სპეციალიზაციის“ მიდგომებზე დაყრდნობით; შესაძლო წამყვან სექტორებს შორის, მაღალი პოტენციალით გამოირჩევა: ○ საქონლის ტრანზიტი ○ ჰიდრო და მზის ენერგია ○ საკვების გადამუშავება (განსაკუთრებით რძის და ხილის გადამუშავება) ○ ტურიზმი ○ მევენახეობა და მასთან მომიჯნავე ღირებულებათა ჯაჭვები	• პოლიტიკური არასტაბილურობა რეგიონში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის ჩათვლით • განვითარების პოლიტიკების სუსტი სინქრონიზაცია და საკმარისი ფინანსური რესურსების ნაკლებობა

IV.3. განვითარების ძირითადი გამოწვევები, საჭიროებები და პოტენციალი

SWOT ანალიზის თანახმად, საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც განვითარების მრავალი საჭიროება აქვს. აღნიშნულ საჭიროებათა დაკმაყოფილება სრულად ვერ მოხდება განვითარების დონისა და გეოგრაფიულად განპირობებული ფაქტორების გამო.

აღნიშნული ფაქტორების მიუხედავად, ქვეყანას აქვს საკმარისი პოტენციალი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური მდგომარეობისა და მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მრავალ საჭიროებასა და პოტენციალს აქვს ნათლად გამოხატული ტერიტორიული თავისებურება, ზოგი მათგანი მხოლოდ კონკრეტულ ადგილს ან ტერიტორიის ტიპს უკავშირდება ეს მოითხოვს კომპლექსურ და ამბიციურ რეგიონულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მდგრადი კონკურენტუნარიანობის ფაქტორების გაძლიერებისაკენ და ამავე დროს, ხელს უწყობს ქვეყნის უფრო დაბალანსებულ სოციალურ და ტერიტორიულ განვითარებას (დეტალურად იხ. პროგრამის მე-4 და მე-5 თავები).

IV. 3.1. საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ჰორიზონტალური გამოწვევები

ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე გამოწვევა, რომელიც საქართველოს წინაშე დგას და რომელსაც ნათლად გამოკვეთილი ტერიტორიული თავისებურებები აქვს.

აქედან უმნიშვნელოვანესია ეკონომიკის კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებული გამოწვევა. საერთაშორისო შედარებების ჭრილში, საქართველოს კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნად დაბალია, თუმცა, ბოლო პერიოდში, გარკვეული გაუმჯობესება შეინიშნება. სხვა რეგიონებთან შედარებით, თბილისს გააჩნია ეკონომიკის უკეთესი სტრუქტურა, პროდუქტიულობა, მომსახურეობაზე და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობა, ადამიანური რესურსების უფრო მაღალი დონე, მათ შორის, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა და მმართველობის ხარისხი. მიუხედავად ამისა, დედაქალაქის პოტენციალიც კი ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის, ისევე როგორც, რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე მოთხოვნაა **კონკურენტუნარიანობისა და ზრდის ფაქტორების ინტეგრირებული და თანმიმდევრული განვითარების ხელშეწყობა**. აღნიშნული ფაქტორები, როგორც წესი, განსხვავდება რეგიონების მიხედვით და მათი საფუძველი სწორედ ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურებში უნდა ვეძებოთ. ტერიტორიული კონკურენტუნარიანობის ამ სპეციფიური ფაქტორების ეფექტიანი გამოვლენა და გამოყენება თანამედროვე განვითარების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისი რეგიონული პოლიტიკა უნდა ახდენდეს არსებული დარგობრივი პოლიტიკის ადაპტირებას კონკრეტული ტერიტორიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ქმნიდეს დამატებითი რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტებს ტერიტორიული განვითარების პრობლემების მოსაგვარებლად. ანალოგიურად, უმნიშვნელოვანესია ცალკეული ტერიტორიების ეკონომიკური პოტენციალის სწორი იდენტიფიცირება და მისი სრულად, ეფექტიანად გამოყენება. მაგალითად. უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, წარმოების ან სხვა სექტორების კონკრეტული პოტენციალის გამოვლენა, რათა ხელი შეეწყოს, მათ შორის, ინოვაციაზე და ცოდნაზე დაფუძნებული სისტემებისა და პროცესების დინამიურ განვითარებას.

მეორე აშკარა დასკვნა SWOT ანალიზიდან არის ის, რომ საქართველოში არსებული უთანაბრობები, რომელიც გამოვლინდა დაგეგმვის რეგიონების[15] შეფასებისას, ძალიან მაღალია ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, თუმცა ის მსგავსია რეგიონის სხვა ქვეყნებისა. ეკონომიკური ცხოვრება გამოკვეთილად კონცენტრირებულია თბილისის ფუნქციურ ტერიტორიაზე. დედაქალაქის დომინანტური პოზიცია თითქმის ყველა ეკონომიკურ ფაქტორში ვლინდება, განსაკუთრებით კი ერთ სულ მოსახლეზე მთლიან დამატებით ღირებულებაში და ეკონომიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ სხვა ფაქტორებში. უკანასკნელ წლებში, უთანაბრობების ზრდა, პრაქტიკულად, მთლიანად

[15] უფრო NUTS III რეგიონის ექვივალენტი, ვიდრე NUTS II -ის

განპირობებულია თბილისის ფაქტორით. სხვა რეგიონების წვლილი უთანაბრობების ზრდაში მათი ეკონომიკური განვითარების დონის პროპორციულია.

ეკონომიკური საქმიანობა და სტრუქტურა გავლენას ახდენს სოციალური უთანასწორობის ტერიტორიულ მახასიათებელზე. თბილისის გარეთ სოფლის მეურნეობაში მაღალი დასაქმება (ასევე, ცალკეულ მუნიციპალიტეტებში) და შემოსავლიანი სამუშაოების არარსებობა წარმოადგენს სიღარიბის ფართოდ გავრცელების და სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს. მეორე მხრივ, დასაქმების დაბალი აქტივობა და დასაქმების დაბალი დონე თბილისში გვაჩვენებს, რომ დედაქალაქის სოციალური პრობლემების გაუმჯობესება ცალკე სამიზნეს უნდა წარმოადგენდეს. მოსახლეობის დეპოპულაცია და დაბერების ტენდენცია, რაც ძირითადად, სოფლად ვლინდება, აფერხებს მეწარმეობის განვითარების წახალისებას მოსახლეობის დიდი რაოდენობა იღებს სოციალურ დახმარებას და ზოგიერთ რეგიონში პენსიონერთა წილი კრიტიკულად მაღალია. დედაქალაქსა და რეგიონებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა სიღარიბის კუთხით. რეგიონების უმრავლესობაში სიღარიბის მაჩვენებელი ეროვნულ საშუალო მაჩვენებელზე მაღალია. ასევე, სახეზეა მნიშვნელოვანი ტერიტორიული უთანაბრობა ძირითადი მომსახურების ხელმისაწვდომობის კუთხით, განსაკუთრებით უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. ანალოგიურად, რეგიონებში ჯანდაცვის ზოგიერთი სერვისის მიწოდების ობიექტების კუთხით, ჯერ კიდევ შეიმჩნევა არათანაბარი გეოგრაფიული განაწილება.

ანალიზით გამოიკვეთა მესამე ჰორიზონტალური საჭიროება: აუცილებელია რეგიონული განვითარების პოლიტიკის ინსტრუმენტების შემდგომი გაუმჯობესება, მათ შორის პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართული სტრუქტურების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების კუთხით. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გაძლიერება საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით. ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ უფრო ეფექტიანი მომსახურების მიწოდება, საჭიროებს მათი უფლებამოსილებებისა და რესურსების შემდგომ გაძლიერებას.

არსებული პროგრამული ბაზა (2010-2017 წლების რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია, რეგიონების განვითარების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები) საჭიროებისამებრ, შესაძლოა საჭიროებდეს მეტ სინქრონიზაციას განვითარების საერთო ეროვნულ პოლიტიკასთან. პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისათვის საჭიროა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მაკოორდინირებელი ფუნქციის შემდგომი გაძლიერება და მომდევნო წლებში ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე (დაწყებული ზოგიერთი საპილოტე რეგიონით) ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პროგრამების ხელშეწყობა. ამ პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები.

ამავდროულად, საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის სისტემაში განხორციელებული რამდენიმე რეფორმის მიუხედავად, ჯერ კიდევ სახეზეა რეგიონების შესახებ მნიშვნელოვანი მონაცემების ნაკლებობა. კერძოდ, მწირია ინფორმაცია რეგიონების კონკურენტუნარიანობის, ვაჭრობის, მიგრაციის, ინოვაციების, შრომითი ბაზრისა და სხვა მონაცემების შესახებ. ცალკეული გამონაკლისების გარდა, მუნიციპალური სტატისტიკა პრაქტიკულად არ არსებობს მისი შეგროვებისა და დამუშავების სირთულისა და ფასის გამო.

ცხრილი 13. საჭიროებები და პოტენციალი, რომელიც უნდა განვითარდეს (ძირითადი მიმართულებების მიხედვით)

ძირითადი მიმართულებები	რეგიონული განვითარების პოლიტიკის თვალსაზრისით არსებული საჭიროებანი
ძირითადი ინფრასტრუქტურა	1. ძირითადი სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტების შემდგომი განვითარება, რაც მოიცავს სატრანსპორტო დერეფნებში საავტომობილო მაგისტრალების შემდგომ განვითარებასა და სხვა ტიპის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას, როგორიცაა რკინიგზა, აეროპორტები, საზღვაო პორტები. 2. გარემოს დაცვითი ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება და მოდერნიზაცია, მათ შორის: ა. წყალმომარაგების სისტემის მოდერნიზაცია, რაც ქვეყნის მთელ მოსახლეობას მაღალი ხარისხის სასმელი წყალის მიწოდებას უზრუნველყოფს; ბ. ნარჩენების მართვის სისტემების განვითარება; გ. ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვის სისტემისმოდერნიზაცია; 3. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც განახლებადი რესურსების უფრო ფართოდ გამოყენებასა და მოსახლეობის მიერ იაფი და ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყაროების (მაგ. ბუნებრივი აირი) ხელმისაწვდომობის ზრდას უზრუნველყოფს. ამ ტიპის ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს შეუწყობს რეგიონების საწარმოო ბაზისა და პოტენციალის დივერსიფიცირებას. 4. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტისა და სხვა ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის ინტერნეტზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ეს ეკონომიკურ პროცესებში მოსახლეობის მონაწილეობისა და ადამიანური რესურსების განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. 5. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი გამოყენება ადგილობრივი მდგრადი განვითარებისა და ტურისტების მოზიდვისთვის. 6. ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა, ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების წინაამდეგ ღონისძიებების ჩატარება (მათ შორის, მრეწველობის და ტრანსპორტისგან დაბინძურების შემცირება). 7. ქალაქებში ინტეგრირებული სატრანსპორტო გადაწყვეტილებების ხელშეწყობა, სატრანსპორტო საცობების, ჰაერის დაბინძურებისა და ჯანმრთელობის სხვა საფრთხეების აღმოფხვრისთვის.
ეკონომიკა	1. საწარმოთა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა მხარდაჭერა. ადგილობრივი მეწარმეობისა და ადგილობრივი სამიმწოდებლო ბაზის განვითარების დონე წარმოადგენს კერძო ინვესტიციების განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას. ამდენად, მიზანშეწონილია განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს დაბალი ეკონომიკური აქტივობის დონით გამორჩეულ რეგიონებზე. 2. ინოვაციური კომპანიებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და ინოვაციურ პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში, ბიზნესთან ერთად, არსებული სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური ინსტიტუტების ჩართულობის გაზრდა. (ამჟამად ეს საჭიროება მხოლოდ თბილისსა და რამდენიმე სხვა ქალაქში იკვეთება). 3. მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის ზრდის მიზნით, საქართველომ უნდა გაზარდოს მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქციის ექსპორტის მოცულობა. რეგიონების დიდი ნაწილის პოტენციალი არ არის სათანადოდ გამოყენებული. შესაბამისად, რეგიონულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ტერიტორიული ნიშნით გამოკვეთილ და შედარებით უპირატესობებზე დაყრდნობილ ექსპორტის ბაზის განვითარებას. მათ შორის, ეს მოითხოვს „გონივრული სპეციალიზაციის“ (smart specialisation) უახლესი მიდგომების გამოყენებას, შესაბამისი სექტორებისა და პროდუქციის განსაზღვრისთვის. 4. ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში არსებობს ორი სექტორი, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა, სადაც უკვე შემუშავებულია ბრენდული ტიპის პროდუქცია. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს ამ სექტორებში ბაზრის განვითარებისა და შემოსავლების ზრდის პოტენციალი. 5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძალზედ მნიშვნელოვანია ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და რეგიონების ეკონომიკის დივერსიფიკაციისათვის, რისთვისაც საჭიროა გეოგრაფიულად უფრო დაბალანსებული ინვესტიციების განხორციელება. აღნიშნული მოითხოვს თბილისს გარეთ სტიმულირების ახალი ფაქტორების (სავაჭრო და საინვესტიციო ზონების) შექმნას.

ადამიანური რესურსები	**1.** ანალიზი გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მომსახურების, როგორიცაა დაწყებითი განათლება, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება არამარტო ინფრასტრუქტურის ხარისხის, არამედ მომსახურების დონის შემდგომი გაუმჯობესებაც, რაც განსაკუთრებით აქტუალურია დაშორებულ სოფლებში. აღნიშნული საჭიროებს განათლებისა და ჯანდაცვის სექტორებში შემდგომი რეფორმების გატარებას, რათა ეს სერვისები მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ქვეყნის რეგიონებში. ამ სერვისებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეგიონების შემდგომ განვითარებას. აგრეთვე, აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა არამარტო რეგიონებში, არამედ დედაქალაქშიც, სადაც ამ ტიპის სერვისებზე დიდი მოთხოვნილება არსებობს. **2.** პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა წარმატებით მიმდინარეობს, თუმცა იმისათვის რომ, პროფესიული განათლების სისტემა ყველა რეგიონში ეფექტური, ეფექტიანი და ხელმისაწვდომი გახდეს, საჭიროა შემდგომი ინვესტიციები ინფრასტრუქტურისა და მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. **3.** უმაღლესი განათლების სასწავლებლები ძირითადად თავმოყრილია თბილისში. იმისათვის, რომ შეიქმნას სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებისათვის აუცილებელი შესაძლებლობები და ამგვარად, ხელი შეეწყოს რეგიონების პროდუქტიულობის ზრდას, საჭიროა შეზღუდული რაოდენობის ქალაქების პოტენციალის (მათ შორის, თბილისის) განვითარება. აღნიშნულის ფარგლებში, მნიშვნელოვანია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, მისი აკადემიური ბაზის გაძლიერების, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერა. **4.** იმისათვის რომ, საქართველოს კვლევითმა ინსტიტუტებმა შეძლონ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის საჭირო ინოვაციების შექმნის ხელშეწყობა, მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს კვლევითი ინსტიტუტების პოტენციალი გამოყენებითი კვლევების მიმართულებით, მათ შორის საერთაშორისო ინტიტუტებთან, საჯარო და ბიზნეს სექტორებთან ქმედითი თანამშრომლობის კუთხით. **5.** იმისათვის რომ შემცირდეს ქალაქად და სოფლად შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული სხვაობა, აუცილებელია მოსახლეობის უნარების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება. ეს მოითხოვს შრომის ბაზრის დივერსიფიცირებას და ადგილობრივ სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოყვანას. **6.** მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განსხვავებულია საქართველოს რეგიონებში. ამასთან, შემოსავლების გეოგრაფიული განაწილების მაჩვენებლები მიუთითებს პროაქტიული პოლიტიკის შემდგომი განხორციელების საჭიროებაზე, რომელიც განსაკუთრებით იქნება ფოკუსირებული უფრო ღარიბ რეგიონებში მცხოვრები და ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. თუმცა თბილისში უმუშევრობის მაღალი და რეგიონებში დასაქმების დაბალი დონის მაჩვენებლები ნათლად ასახავენ შესაბამისი ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ენდოგენური განვითარება	1. ანალიზი გვიჩვენებს მოქალაქეთა დაბალ ჩართულობას საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროცესში მუნიციპალიტეტების დონეზე. რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში საჭიროა ხელი შეეწყოს ქვემოდან ზემოთ წამოსულ ინიციატივებს, რათა განხორციელდეს ადგილობრივ ენდოგენურ განვითარებასთან დაკავშირებული პროექტები და ამავდროულად, მოსახლეობამ მიიღოს აქტიური მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროცესში. 2. ანალიზი, აგრეთვე, გვიჩვენებს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების დიდ საჭიროებას; მაგ: ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის სისტემების, წყალმომარაგების, გარე განათების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, სპორტული ობიექტებისა და სხვა. შესაბამისი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, მუნიციპალიტეტების განკარგულებაში თანხების სიმწირის გათვალისწინებით, იკვეთება მუნიციპალიტეტების შემდგომი მხარდაჭერის საჭიროება. 3. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება მიუთითებს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიცირებისა და სოფლებში ინფრასტრუქტურის (გზების, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების და ა.შ.) გაუმჯობესების საჭიროებაზე. 4. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მაღალმთიან რეგიონებში არსებული დეპოპულაციის ტენდენცია და მოსახლეობის ცხოვრების დაბალი ხარისხი. ამ დასახლებების ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს მათი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა განათლების, ჯანდაცვის, ძირითადი ინფრასტრუქტურის და სხვა სერვისების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა. 5. ანალიზი გვიჩვენებს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის დიდ პოტენციალს, მაგრამ ეს პოტენციალი კვლავაც საჭიროებს შემდგომ განვითარებას. შავი ზღვის სანაპიროზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ლოგისტიკური ცენტრი შეიძლება გახდეს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი და თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. ანაკლიის პორტში ინვესტიციებმა უნდა გაზარდონ მისი როლი საერთაშორისო ვაჭრობაში და ლოგისტიკაში, რაც მათ შორის, დიდ გავლენას მოახდენს მეზობელ მუნიციპალიტეტებზე. 6. საქართველოს რეგიონების უმრავლესობის განვითარების დაბალი დონე საჭიროებს ისეთ დივერსიფიცირებული ინსტრუმენტების გამოყენებას, რაც გავლენას მოახდენს მათ ეკონომიკურ და სოციალურ სტატუსზე. ერთ-ერთი ინსტრუმენტი უნდა იყოს რეგიონების თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან და რეგიონებთან, მათ შორის მონაწილეობა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამებსა და პროექტებში, რომელიც მიზნად ისახავს საზღვრისპირა სავაჭრო შესაძლებლობების ზრდას, წარმატებული მაგალითების გაზიარებას, ერთობლივი ინიციატივების განხორციელებას ბიზნესის სფეროში, კულტურულ ან გარემოსდაცვით თანამშრომლობას. 7. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი არის საქართველოში ყველაზე განვითარებული რეგიონი, ჯერ კიდევ სუსტად განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და დედაქალაქის მეზობელ მუნიციპალიტეტებთან დამაკავშირებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობის გამო, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის საკმაოდ მცირეა თბილისის პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობა. საჭიროა განხორციელდეს მნიშვნელოვანი ინვესტიციები საზოგადოებრივ სატრანსპორტო სისტემებში (გზებში, რკინიგზასა და მეტროში), რათა გაუმჯობესდეს მეზობელი მუნიციპალიტეტების კავშირი დედაქალაქთან, გაიზარდოს რეგიონის მოსახლეობის მობილურობა და უზრუნველყოფილი იყოს მისი თბილისში მუშაობისა და სწავლის პირობები.

ინსტიტუციური განვითარება	1. ანალიზისა და შეფასების შედეგების მიხედვით, რეგიონული განვითარების პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, ასევე, პროგრამის განმახორციელებელი სხვა ორგანოებისა და ინსტიტუციების შესაძლებლობების განვითარება. 2. ეფექტიანი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული განვითარების პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭიროა სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების ანალიტიკური შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება. მათ შორის, საჭიროა საქსტატის შემდგომი გაძლიერება, რათა მან შეძლოს ადმინისტრაციის უზრუნველყოფა მოსალოდნელი ტენდენციების ანალიზითა და ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვისა და შეფასებისათვის აუცილებელი მონაცემებით. 3. პოლიტიკის ციკლში თანამშრომლობისა და პარტნიორობის პრინციპების განვითარება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა იმისათვის, რომ განხორციელდეს ანგარიშვალდებული და ეფექტიანი რეგიონული განვითარების პოლიტიკა. ანალიზი გვიჩვენებს, რომ საჭიროა დაინტერესებულ მხარეთა შესაძლებლობების გაზრდა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ეფექტიანი მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ: განვითარების პარტნიორები, ეკონომიკური ინტერეს-ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემიური ინსტიტუტები, ადგილობრივი მოსახლეობა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. 4. როგორც სხვა ქვეყნების მაგალითები გვიჩვენებს, საუკეთესო საშუალება ინსტიტუციური შესაძლებლობების ზრდისა და ხელშესახები განვითარებისათვის არის საპილოტე ტერიტორიულ ერთეულებში ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ამგვარი საპილოტე პროგრამა (პროგრამები), რომლის თანადაფინანსებას და მართვას პირველ ეტაპზე განახორციელებს უშუალოდ ევროკავშირი, შემუშავებულ უნდა იქნეს რეგიონული განვითარების სტრატეგიული ხედვების შესაბამისად. პილოტური პროგრამები უნდა მოიცავდეს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს, რაც იძლევა მრავალმხრივი თანამშრომლობის საშუალებას, მრავალდონიანი მმართველობის მიდგომების გამოყენებით.

IV.3.2. ცალკეული ტერიტორიების საჭიროებები და პოტენციალი

ცალკეული რეგიონების საჭიროებებს შორის არსებობს დიდი მსგავსება, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ძირითად საჭიროებებს, ბიზნესის მხარდაჭერის სქემებსა და საბაზისო საჯარო სერვისებს (მაგ. სატრანსპორტო და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება, ბიზნესის მხარდაჭერის ინსტიტუციები, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის პოტენციალის განვითარება, ისეთი საბაზისო სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა, როგორიცაა პირველადი განათლება, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება). თუმცა, არსებობს მრავალი სხვა ფაქტორი, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ კონკრეტული რეგიონისათვის ან ვრცელდება რეგიონების მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობაზე. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია დაგეგმვის რეგიონების უნიკალური მახასიათებლები. აღნიშნული მახასიათებლები გამოიკვეთა რამდენიმე დოკუმენტის ანალიზის შედეგად, მათ შორის: რეგიონული უთანაბრობების კვლევა, მე-2 თავში მოცემული ინფორმაცია, SWOT ანალიზის დასკვნები და კვლევები, რომლებიც ჩატარდა რეგიონების განვითარების სტრატეგიების მომზადების დროს.

ცხრილი 14. საჭიროებები და პოტენციალი დაგეგმვის (გეგმარებითი) რეგიონების დონეზე

დაგეგმვის რეგიონი	სპეციფიური დასაძლევი ბარიერები	სპეციფიური პოტენციალი, რომელიც საჭიროებს განვითარებას
კახეთი	• ახალგაზრდების მიგრაციის მაღალი დონე და მოსახლეობის დაბერება • ადგილობრივი მოსახლეობის თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი, უმაღლესი განათლების მქონე პირებს შორის უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობა • წყალარინების სისტემისა და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, გაზის მიწოდების დეფიციტი • სუსტად განვითარებული სივრცითი დაგეგმვის სისტემა დასივრცითი დაგეგმვის დოკუმენტების ნაკლებობა • ამორტიზებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი • ტურისტული მომსახურების დაბალი ხარისხი • მიწის აღრიცხვიანობის საკითხების მოუწესრიგებლობა, რომელიც არსებული კანონმდებლობით არ რეგულირდება • სოფლებისა და მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების არასრული გაზიფიცირება	• ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა (ახლო მდებარეობა თბილისთან და აზერბაიჯანის საზღვართან) • მეღვინეობის შემდგომი მოდერნიზაცია (სტრატეგიული ექსპორტის სექტორი) • სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო სექტორის შემდგომი განვითარება და მოდერნიზაცია • მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა ტურიზმის განვითარებისათვის • არსებული დასაჯდომი ზოლი თელავის აეროპორტში • ტყის რესურსები • ტურიზმის განვითარების მაღალი პოტენციალი (აგრო, კულტურული, ღვინის, სათავგადასავლო, ეკო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი), განსაკუთრებით სიღნაღის, თელავის, ყვარლის, საგარეჯოსა და ახმეტის (მათ შორის, თუშეთში) მუნიციპალიტეტებში • არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი), როგორც საფუძველი ინოვაციების განვითარებისათვის • ჰიდრო და მზის ენერგიის პოტენციალი
ქვემო ქართლი	• ლოგისტიკური სერვისების და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრების ნაკლებობა • სამრეწველო ნარჩენების დიდი რაოდენობა, რაც უარყოფითად ზემოქმედებს გარემოზე • წყალარინების სისტემის არარსებობა • ამორტიზებული წყალმომარაგების სისტემა	• ახლო მდებარეობა და სატრანსპორტო კომუნიკაცია თბილისთან, თბილისის აეროპორტთან, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებთან • მდებარეობა სატრანსპორტო დერეფანში (რეგიონში გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები და რკინიგზა) • მდიდარი ბუნებრივი რესურსები სამთო-მოპოვებითი მრეწველობისათვის (მათ შორის ოქროს მოპოვება) • განახლებადი ენერგორესურსები (წყლის, მზის და ჰიდრორესურსები) • მწვანე ეკონომიკის განვითარების მაღალი პოტენციალი • ტური ზმის განვითარების პოტენციალი შემდეგი მიმართულებებით (აგრო, კულტურული და ეკო ტურიზმი) • ხელსაყრელი კლიმატური პირობები სოფლის მეურნეობისა და აგრო-მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის

გურია	• ახალგაზრდების მიგრაციის მაღალი დონე და მოსახლეობის დაბერება • უმუშევრობის მაღალი დონე, კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობა • ნაკლებად ტურისტული ინფრასტრუქტურა • სახნავ-სათესი მიწების მცირე ფართობი, ძველი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ტექნოლოგიები, ლოგისტიკის განუვითარებელი სისტემა • სკოლების ამორტიზებული ინფრასტრუქტურა • პროფესიული განათლების ობიექტების სიმცირე • ამორტიზებული წყალმომარაგების სისტემა და წყლის დაბალი ხარისხი • სუსტად განვითარებული სივრცითი დაგეგმვის სისტემა და სივრცითი დაგეგმვის დოკუმენტების ნაკლებობა	• ახლო მდებარეობა ფოთისა და ბათუმის პორტებთან, ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებთან • სუფსის ნავთობტერმინალი • სამთო, ზღვისპირა და სამედიცინო ტურიზმის განვითარების პოტენციალი • წყლის, ქარის, ბიომასისა და მზის ენერგიის გამომუშავების პოტენციალი • ტყის რესურსები
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	• უმუშევრობის მაღალი დონე, არაკვალიფიციური სამუშაო ძალა. • ეკონომიკური განვითარების და დივერსიფიკაციის დაბალი დონე • ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა • ამორტიზებული ტურისტული ინფრასტრუქტურა • ამორტიზებული სოფლის მეურნეობის ტექნიკა და ტექნოლოგიები, განუვითარებელი ლოგისტიკური მომსახურეობა და აგროგადამუშავება • სკოლებისა და საბავშვო ბაღების ამორტიზებული ინფრასტრუქტურა • პროფესიული განათლების ობიექტების სიმცირე • სათემო განათლების, კულტურული და ახალგაზრდული ცენტრების, ბიბლიოთეკების და სპორტული დაწესებულებების ნაკლებობა • წყლის დაბალი ხარისხი • სუსტად განვითარებული სივრცითი დაგეგმვის სისტემა და სივრცითი დაგეგმვის დოკუმენტების ნაკლებობა	• ტყეებისა და საძოვრების დიდი ფართობი • წყლის რესურსები • ნედლეული (დარიშხანი) • სათავგადასავლო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის პოტენციალი
შიდა ქართლი	• ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა • ამორტიზებული წყალმომარაგების სისტემა • ამორტიზებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი • მოსახლეობის დაბალი შემოსავალი და იძულებით გადაადგილებულ პირთა ცუდი საცხოვრებელი პირობები • სოფლის მეურნეობის დაძველებული ტექნიკა და ტექნოლოგიები • სკოლამდელი განათლების ობიექტების ნაკლებობა	• ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა: აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა, რკინიგზა რომელიც გადის რეგიონში, თბილისთან ახლო მდებარეობა. • სახნავი მიწებისა და საძოვრების დიდი ტერიტორიები გამოყენებული სოფლის მეურნეობასა და აგროგადამამუშავებელ მრეწველობაში • მეცხოველეობის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი • კულტურული ძეგლები ტურიზმის განვითარებისთვის • ღვინის ტურიზმის განვითარების პოტენციალი • არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი), როგორც ინოვაციების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი • განახლებადი ენერგიის წარმოება (ქარის, მზის და ჰიდრო ენერგია)

სამცხე-ჯავახეთი	• ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, წყალმომარაგების, საკანალიზაციო და ნარჩენების მართვის სისტემების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა • ამორტიზებული სოფლის მეურნეობის ტექნიკა და ტექნოლოგიები, განუვითარებელი ლოგისტიკური სისტემები • შრომის ბაზარზე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის შეუსაბამობა • სკოლების ამორტიზებული ინფრასტრუქტურა • ამორტიზებული ტურისტული ინფრასტრუქტურა	• წყლის რესურსები ექსპორტისათვის (ბორჯომი) • რეგიონში გადის ბაქო-თბილისი-ყარსის (თურქეთი) რკინიგზა • გამაჯანსაღებელი, კულტურული, სამთო და სათავგადასავლო ტურიზმის პოტენციალი (ბორჯომი, ვარძია და სხვა) • არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (ახალციხის უნივერსიტეტი), როგორც ინოვაციების განვითარების საფუძველი • ხელსაყრელი კლიმატური პირობები სოფლის მეურნეობისა და აგრო გადამუშავების შემდგომი განვითარებისა და მოდერნიზაციისათვის • ჰიდრო, მზისა და ქარის ენერგიის გამომუშავება
სამეგრელო-ზემო სვანეთი	• დიდი მანძილი თბილისამდე, ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვე (აფხაზეთი) • სწრაფად მზარდი უმუშევრობა და სიღარიბე • იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი რაოდენობა დაბალი გრძელვადიანი საცხოვრებელი პირობებით • განსახლებული დევნილების, მასპინძელ თემებთან სრულფასოვნად ინტეგრაციის საჭიროება • განუვითარებელი ინდუსტრიული სექტორი • სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია • სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დაბალი დონე	• ხელსაყრელი მდებარეობა: ფოთის პორტის, ყულევის ნავთობტერმინალის, ფოთის ინდუსტრიული ზონების, ანაკლიის პორტის და თავისუფალი ეკონომიკური ზონის სიახლოვე • ჰიდროენერგეტიკული რესურსები • გეო-თერმული წყლის რესურსები, მზის და ბიომასის ენერგეტიკული პოტენციალი • კულტურული, სამთო, სათავგადასავლო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების პოტენციალი • სოფლის მეურნეობისა და აგროწარმოების შემდგომი განვითარებისა და მოდერნიზაციისათვის ხელსაყრელი კლიმატური პირობები
იმერეთი	• ახალგაზრდების მიგრაციის მაღალი დონე და მოსახლეობის დაბერება • დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალა • სკოლების ამორტიზებული ინფრასტრუქტურა • იძულებით გადაადგილებულ პირთა ზოგიერთი დასახლებისთვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეზღუდული ხელმისაწვდომობა • ძველი ტურისტული ინფრასტრუქტურა • ამორტიზებული სოფლის მეურნეობის ტექნიკა და აღჭურვილობა	• ქუთაისი - მოსახლეობით მესამე დიდი ქალაქი ქვეყანაში • საზღვაო პორტებთან ახლო მდებარეობა (ფოთი, ბათუმი, ანაკლია) • ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი • რკინიგზა და აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა გადის რეგიონში • 2 თავისუფალი ზონის არსებობა ქუთაისში • ჰიდრო, ქარის, მზის და ბიო-მასის ენერგორესურსები • კულტურული, ღვინის და გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების პოტენციალი • არსებული და დაგეგმილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორც ტექნოლოგიური წინსვლისა და ინოვაციების საფუძველი
მცხეთა-მთიანეთი	• სუსტად განვითარებული სივრცითი დაგეგმვის სისტემა და სივრცითი დაგეგმვის დოკუმენტების ნაკლებობა • უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე, სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია • ტურისტული ინფრასტრუქტურის ცუდი ხარისხი • სოფლის მეურნეობის დაძველებული ტექნიკა და ტექნოლოგიები, ლოგისტიკური სისტემების არარსებობა • ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა • სკოლამდელი და ზოგადი განათლების ობიექტების სიმცირე	• საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების კარგი მდგომარეობა • თბილისთან ახლო მდებარეობა • საძოვრებისა და ტყეების დიდი ფართობი • წყლის რესურსები • კულტურული, სათავგადასავლო, სამთო ტურიზმის განვითარების პოტენციალი • ჰიდრო, ქარის, მზის და ბიომასის ენერგეტიკული პოტენციალი

აჭარა	• ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა • ურბანული და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ცუდი მდგომარეობა • ენერგო გადაცემის ამორტიზებული ინფრასტრუქტურა	• რკინიგზა, აეროპორტი, ბათუმის საზღვაო სატვირთო და სამგზავრო პორტები, სუფსის ნავთობტერმინალის სიახლოვე • აჭარაში გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა (E70) და ასევე სარკინიგზო მაგისტრალი • საზღვაო, სათავგადასავლო, ეკო და სამთო ტურიზმის შემდგომი განვითარების პოტენციალი • საზღვარი თურქეთთან, როგორც ვაჭრობისა და ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პოტენციალი • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებობა, როგორც ინოვაციების საფუძველი • ჰიდრო და ქარის ენერგიის პოტენციალი
თბილისი	• სივრცითი განსხვავებები საქალაქო სერვისების არათანაბარი განაწილების გამო • საქართველოს დანარჩენი რეგიონებიდან მიგრაციის მაღალი დონე • უმუშევრობის მაღალი დონე • ამორტიზებული ტრანსპორტი, რაც იწვევს ჰაერის დაბინძურების მაღალი დონეს და ხმაურს • განუვითარებელი საჯარო სივრცეები და მწვანე ადგილები • სატვირთო ტრანსპორტი / ტრანზიტული გზა რომელიც გადის ქალაქის ცენტრში; ავტოსადგომების ნაკლებობა • კაპიტალური ინვესტიციებისთვის ადგილობრივი ფინანსური რესურსების ნაკლებობა • იძულებით გადაადგილებულ პირთა და სახლებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეზღუდული ხელმისაწვდომობა.	• სტრატეგიული მდებარეობა - ტრადიციულად აღიარებულია სამხრეთ კავკასიის ცენტრად • აეროპორტი, რკინიგზის სადგურები • ევროპა-კავკასიის სატრანსპორტო დერეფანში („ტრასეკა“) მდებარეობა • საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის ცენტრი მაღალგანვითარებული ფინანსური ინსტიტუტებით • მიმზიდველი ბაზარი ტურიზმისა და ბიზნესის შემდგომი განვითარებისათვის • განათლების, კვლევისა და ინოვაციების ცენტრი, თანამედროვე კომუნიკაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაღალი დონე • გეოთერმული და მზის ენერგიის პოტენციალი.

IV. 3.3. პოლიტიკის საჭიროებანი

განვითარების საჭიროებების ფართო სპექტრის, მათი მასშტაბისა და გამოუყენებელი პოტენციალის გათვალისწინებით, საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკა უნდა განხორციელდეს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ადგილობრივი სპეციფიკის მხედველობაში მიღებით. ცალკეული ტერიტორიების საჭიროებებისა და პოტენციალის ანალიზი აჩვენებს, რომ არსებობს რეგიონების რიგი უნიკალური თვისებები, რაც საჭიროებს განსხვავებული მიდგომების გამოყენებას. აღნიშნულის განსახორციელებლად, არსებული დარგობრივი და რეგიონული განვითარების ინსტრუმენტები უკეთ უნდა იქნეს მისადაგებული იმ საჭიროებებსა და პოტენციალს, რომელიც გამოვლინდა რეგიონების განვითარების სტრატეგიებში. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას დაგეგმვის რეგიონების განვითარების პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელებას ინტეგრირებული, უფრო სისტემური და თანმიმდევრული ფორმით. პროგრამები მორგებულ უნდა იქნეს რეგიონის კონკრეტულ მახასიათებლებზე და მიზნად უნდა ისახავდეს როგორც მინიმუმ, ადგილობრივ განვითარებას, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას და ადამიანური რესურსების განვითარებას.

პირველ ეტაპზე, შეიძლება რაციონალური იყოს **ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამების მომზადება მინიმუმ ორი საპილოტე რეგიონისთვის**. მიზანშეწონილია ისეთი რეგიონების შერჩევა, სადაც კონცენტრირებულია

ყველა სხვა რეგიონისათვის ან ტერიტორიისთვის დამახასიათებელი განვითარების ბარიერები. ასევე, ამ რეგიონებში უნდა არსებობდეს გამოუყენებელი პოტენციალი, რომელიც მოითხოვს ქმედებებს სახელმწიფოს პოლიტიკის მხრიდან, რათა მოხდეს ამ პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. ამგვარი საპილოტე პროექტების მომზადება, რეგიონული განვითარებისა და გამოთანაბრების პოლიტიკის პრინციპების შესაბამისად, შესაძლებელს გახდის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ თანამედროვე რეგიონული პოლიტიკის მიდგომების გამოყენებას (სხვა დაინტერესებულ მხარეთა აქტიური მონაწილეობით), საჭირო დამატებითი წყაროების მოპოვებას (ნოუ-ჰაუ და ფინანსები) რეგიონების განვითარებისათვის.

წინამდებარე თავში მოცემული ანალიზის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე იკვეთება 4 დაგეგმვის რეგიონი შესაძლო პილოტური პროგრამების ინიცირებისთვის:

- **სამცხე-ჯავახეთი** - ეს არის უპირატესად სოფლის ტიპის დასახლებებისაგან შემდგარი რეგიონი (სამუშაო ძალის 70%-ზე მეტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში). ამავე დროს, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მიხედვით, ის არის უღარიბეს რეგიონებს შორის (ერთ სულ მოსახლეზე მშპ შეადგენს 5 ათას ლარს). ინდუსტრიული მთლიანი დამატებული ღირებულების წილი მთლიან მდღ-ში 5%-ია, რაც არის სოციალური და ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობის ინდიკატორი. სამცხე-ჯავახეთი იმ რეგიონების რიცხვშია, სადაც შინამეურნეობების ბიუჯეტში დაქირავებულ მოსამსახურეთა ხელფასის წილი უმცირესია და მერყეობს 20%-დან 23%-მდე. რეგიონში მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე ფართოდ არის წარმოდგენილი სომხური ეთნიკური უმცირესობა (48%), რასაც თან სდევს მათი ინკლუზიის პრობლემა სასწავლო პროცესში და სოციალურ ცხოვრებაში. ინფრასტუქტურის ხარისხი კვლავ საჭიროებს გაუმჯობესებას: მოსახლეობის უმეტესობას არ აქვს 24 საათიანი წყალმომარაგება და წყალარინება, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები მძიმე მდგომარეობაშია. ასევე, ცუდ მდგომარეობაშია სატრანსპორტო კომუნიკაცია სოფლებს შორის. სასოფლო სამეურნეო აღჭურვილობა და სარწყავი სისტემები ამორტიზებულია, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ინფრასტრუქტურა მოძველებულია. ამავე დროს, რეგიონში წარმოდგენილია როგორც ზოგადი, ასევე, უმაღლესი განათლების დაწესებულებაც და აგრეთვე, აბასთუმნის ობსერვატორია, რაც ქმნის საფუძველს შემდგომი სამეცნიერო და საინოვაციო განვითარებისათვის. რეგიონი ესაზღვრება სომხეთსა და თურქეთს, რაც ზრდის მის სატრანზიტო მნიშვნელობას. თუმცა, აღნიშნული, ასევე, არის მნიშვნელოვანი ბარიერი განვითარებისათვის, რასაც სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება და საზღვრისპირა განვითარების პროგრამების ინიცირება. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი და საქონლის შენახვის საწყობები შექმნის სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყველაზე მსხვილ რკინიგზის სადგურს, რომელიც დააკავშირებს საქართველოს აზერბაიჯანთან, თურქეთთან და შუა აზიის რეგიონის სხვა ქვეყნებთან. აღნიშნული გახდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა. უნიკალური პოტენციალი, რომლის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვანია, მოიცავს: ჰიდრორესურსებს, როგორც განახლებადი ენერგიის წყაროს; წყალს, მათ შორის სამედიცინო დანიშნულების (მათ შორის ყველაზე ცნობილია ბორჯომი). ბორჯომის მუნიციპალიტეტის საზღვრებშია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამთო-სათხილამურო, ასევე, საზაფხულო კურორტი - დაბა ბაკურიანი. რეგიონში არის ბევრი ისტორიული ძეგლი, რაც ქმნის ტურიზმის განვითარების საფუძველს (ვარძიის სამონასტრო კომპლექსი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია).
- **იმერეთი** - საქართველოს დასავლეთ ნაწილში მდებარე რეგიონი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოდან გამოყოფილია რიკოთის უღელტეხილით. რეგიონის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის E60 და E70 საავტომობილო გზები, და ამჟამად მიმდინარეობს მათი მოდერნიზაცია. ეს გზები რეგიონს აკავშირებს აღმოსავლეთ საქართველოსა და მის დედაქალაქთან, ხოლო დასავლეთით - შავი ზღვის პორტებთან. რიკოთის უღელტეხილის მოდერნიზაცია, რაც დაგეგმილია 2018-2021 წლების განმავლობაში, გაზრდის სატრანსპორტო შესაძლებლობებს და შეამცირებს ტრანზიტის დროს. იმერეთი არის ყველაზე დიდი რეგიონი 529.7 ათასი მაცხოვრებლით, ხოლო მისი რეგიონული ცენტრი, ქალაქი ქუთაისი, წარმოადგენს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით სიდიდით მესამე ქალაქს (147 ათასი მცხოვრები) თბილისისა და ბათუმის შემდეგ. იმერეთი ერთ-ერთი ის რეგიონია, სადაც ადგილი აქვს მზარდ უმუშევრობას, რაც თანხლებულია სოციალურ დახმარებებზე მოსახლეობის დამოკიდებულების მაღალი მაჩვენებლებით. რეგიონში არის ბევრი ტურისტული მნიშვნელობის ადგილი (კულტურული ძეგლები, სამედიცინო დანიშნულების კურორტები). თბილისთან და აჭარასთან ერთად, იმერეთი წარმოადგენს ტურიზმისთვის განსაკუთრებით მიმზიდველ რეგიონს, შესაბამისად, მოცემული სექტორი მომავალში მეტად უნდა იყოს განვითარებული. რეგიონში მშპ ერთ სულ მოსახლეზე უტოლდება ქვეყნის საშუალო მონაცემს. რეგიონის ძირითადი ცენტრი არის ქალაქი ქუთაისი, რომელიც წარსულში წარმოადგენდა ინდუსტრიულ ქალაქს.

უკანასკნელი 26 წლის მანძილზე ქალაქში მკვეთრად შემცირდა ეკონომიკური აქტივობა, და ამავე დროს, მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის რაოდენობაც. რეგიონში არის სხვა ინდუსტრიული ქალაქებიც - ზესტაფონი ჭიათურა და ტყიბული. ისინი საჭიროებენ ინდუსტრიულ მოდერნიზაციას და დივერსიფიკაციას. რეგიონის ამჟამინდელი ეკონომიური აქტივობა, ძირითადად, დაფუძნებულია სოფლის მეურნეობაზე. სოფლის მეურნეობა იმერეთში ყველაზე ინტენსიურია. რეგიონის სათბურების მთლიანი ფართობი 462 ჰექტარია, რაც ქვეყანაში არსებული სათბურების 2/3 -ს ქმნის. იმერეთი საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი მეცხოველეობის რეგიონია, ის ერთ-ერთი ლიდერია რძის პროდუქტების წარმოებაში. ტრადიციულად, იმერეთი წარმოადგენდა ცენტრს სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციისთვის, თუმცა დღეს ეს კავშირები მეტწილად მოშლილია. აუცილებელია მოხდეს საკვების გადამამუშავებელი მრეწველობის მოდერნიზაციის მხარდაჭერა, ასევე, მარკეტინგისა და ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების მხარდაჭერა. ახალი დიდი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება (თბილისი-ქუთაისი-ბათუმის საავტომობილო გზის შემდგომი გაფართოვება), ქართული რკინიგზის ხაზის მოდერნიზაცია და ქუთაისის აეროპორტის განვითარება ხელს შეუწყობს რეგიონის მზარდი პოტენციალის გამოყენებას. ქალაქ ქუთაისში ორი თავისუფალი ზონაა. ქალაქ ქუთაისში მდებარეობს უნივერსიტეტი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მნიშნელოვანი საფუძველი ინოვაციებისა და რეგიონის შემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის. იმერეთის განვითარება ხელს შეუწყობს მეზობელ ღარიბ რეგიონთან, გურიასთან, ბიზნესკავშირებისა და ვაჭრობის განვითარებას.

- **სამეგრელო-ზემო სვანეთი** - რეგიონი გადაჭიმულია შავი ზღვის სანაპიროდან კავკასიონის მაღალ მთებამდე, რომელიც ზღვის დონიდან 5 ათას მეტრს ზევით მდებარეობს. რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის პირობებში, რეგიონს ნაწილობრივ პერიფერიული მდებარეობა უჭირავს. ის ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას, თუმცა საზღვარი გადის მაღალ მთებში, რის გამოც საზღვრის გადაკვეთა არ ხდება. რეგიონში თბილისის შემდეგ ყველაზე მაღალია იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა (26.4%), რომელთა საყოფაცხოვრებო პირობები არადამაკმაყოფილებელია. სასაზღვრო ზონებიდან დეპოპულაციის პროცესი დღემდე გრძელდება. რეგიონი მდებარეობს სატრანსპორტო დერეფანში. რეგიონში არსებული მაღალი ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ფაქტორებია ფოთის სატვირთო პორტი და ყულევის ნავთობტერმინალები, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, მშენებლობის პროცესშია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი და თავისუფალი ეკონომიკური ზონა. რეგიონი მდიდარია ჰიდროენერგეტიკული რესურსებით. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობს უმსხვილესი ჰიდროელექტროსადგური - ენგურჰესი. კლიმატური პირობები ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. რეგიონი თხილის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ექსპორტიორია. ასევე, არსებობს ციტრუსის წარმოებისა და ექსპორტის მნიშნელოვანი პოტენციალი, თუმცა დარგის განვითარებისათვის საჭიროა სოფლის მეურნეობის აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების მოდერნიზება. რეგიონი თავისი შავი ზღვის სანაპირო ზოლითა და ზემო სვანეთის ტერიტორიებით ხელსაყრელია საზღვაო და სამთო ტურიზმის განვითარებისათვის, რაც მოსახლეობისთვის დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის.
- **კახეთი** - საქართველოს უდიდესი რეგიონი ფართობის თვალსაზრისით, რომელიც შედგენს 11,375 კვადრატულ კილომეტრს. არ შეიძლება სათანადოდ არ შეფასდეს კახეთის სტრატეგიულ-გეოგრაფიული მდებარეობა, რადგან ის აღმოსავლეთით და სამხრეთით ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკას, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან - რუსეთის ფედერაციას. ეს ორივე ქვეყანა, წარმოადგენს საქართველოს ძირითად საექსპორტო ბაზარს, თუმცა სასაზღვრო გამშვები პუნქტი მხოლოდ აზერბაიჯანის რეპუბლიკასთან აქვს. კახეთი სასოფლო ტიპის რეგიონია, სადაც ქვეყნის მასშტაბით სიღარიბის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (25.5%). ერთ სულ მოსახლეზე წლიური მშპ 5,000 ლარზე ნაკლებია. მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში მთავრობის ძალისხმევისა, რომელიც მიმართული იყო რეგიონში არსებული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, ჯერ კიდევ სახეზეა წყალმომარაგების, წყალარინების სისტემის, ნარჩენების მართვისა და გზების პრობლემები, განსაკუთრებით სოფლებში. ახალგაზრდების მიგრაცია და მოსახლეობის დაბერება რეგიონის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. რეგიონი ქვეყნის მასშტაბით უდიდესი ღვინის მწარმოებელი და ექსპორტიორია. კახეთში არის ქვეყნის მასშტაბით მდელოებისა და ზამთრის საძოვრების ყველაზე დიდი ფართობი, ამავე დროს, კახეთში ყველაზე მეტად არის განვითარებული მეცხვარეობა სხვა რეგიონებთან შედარებით. კახეთიდან ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი ექსპორტირდება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საფუძველი აგროტექნოლოგიური კვლევებისა და ინოვაციებისათვის. რეგიონი თავისი ისტორიული ძეგლებით და უნიკალური ტრადიციებით არის მეტად მომხიბვლელი ადგილი, როგორც უცხოელი, ასევე, ადგილობრივი ტურისტებისათვის. უნდა აღინიშნოს ყოველწლიურად მზარდი ტურისტული ნაკადების რაოდენობა, მათ შორის,

კულტურული, ღვინის, აგრო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების პოტენციალი. რეგიონის შემდგომი ეკონომიკური განვითარება ხელს შეუწყობს ქართული საექსპორტო პოტენციალის ზრდას, ასევე, ახალი ბიზნეს საქმიანობებისა და სამუშაო ადგილების შექმნას. აღნიშნული გახდის რეგიონს მიმზიდველს საცხოვრებლად, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისათვის.

ამ ტერიტორიებისა და ფუნქციური სივრცეების ამსახველი რუკა მოცემულია თავში IX.3 - ცხრილი 51.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიური პრობლემა და პოტენციალი ყოველთვის ადმინისტრაციული ან დაგეგმვის რეგიონის ლოგიკით არ არის განპირობებული. რიგ შემთხვევებში, უფრო ეფექტურია შესაბამისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების დაჯგუფება და განხილვა ე.წ. ფუნქციური რეგიონების ჭრილში. საქართველოში შესაძლებელია ასეთი განსხვავებული ტიპის 3 ფუნქციური რეგიონის გამოკვეთა:

- **შავი ზღვის სანაპირო ზონა.** ხასიათდება ხმელთაშუა ზღვის ტიპის კლიმატური პირობებით. აქ არის მდიდარი ბუნება, მრავალფეროვანი მცენარეები და ხილი, მდიდარი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა. შავი ზღვის ტურისტული პოტენციალი მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოყენებული. სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის გარდა, შავი ზღვის სანაპირო ზონა არის საზღვაო და მეთევზეობის ინდუსტრიის ადგილი. აქ მდებარეობს ბათუმისა და ფოთის საზღვაო პორტები, სუფსის და ყულევის ნავთობის ტერმინალები. რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, იგეგმება სამეგრელოში ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის და ანაკლიის ტერიტორიის ურბანული განვითარება. რეგიონი მნიშვნელოვანი სატრანზიტო დერეფანია აზერბაიჯანიდან თურქეთისაკენ და პირიქით. ყველაზე დიდი ურბანული ცენტრია ბათუმი.
- **თბილისის ფუნქციური ზონა.** ანალიზი გვიჩვენებს, რომ დედაქალაქის განვითარების პრობლემებისა და პოტენციალის უკეთ გადასაჭრელად მნიშვნელოვანია ქალაქის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს მის ადმინისტრაციულ საზღვრებს. პრობლემების გრძელი ჩამონათვალი მოითხოვს ქალაქის მმართველობის, მეზობელი მუნიციპალიტეტების, ცენტრალური ხელისუფლებისა და დედაქალაქის მოსაზღვრე ორი რეგიონის (მცხეთა-მთიანეთი და ქვემო ქართლის) სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორებისა და მერების საერთო ჩართულობას. თბილისის ფუნქციური ზონის პრობლემებია: კერძო მანქანების მოძრაობის რეგულირება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემების მოგვარება (რკინიგზა, ავტობუსები, მეტრო და სხვა სატრანსპორტო საშუალებები) სივრცითი დაგეგმვა და მიწების ათვისება, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობა, მომსახურეობის მიწოდების სისტემები (მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულებები გადატვირთულია) საინვესტიციო მიწების მომზადება, მყარი და თხევადი ნარჩენების გადამუშავება, წყალმომარაგება და ა.შ.
- **მაღალმთიანი რეგიონები.** საქართველოს თითქმის ყველა მაღალმთიანი დასახლების პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე (გამონაკლისს წარმოადგენს მთიანი აჭარა), საბაზო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და ნებისმიერი საზოგადოებრივი მომსახურეობის დაბალი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული იწვევს დეპოპულაციის გაღრმავებასა და ეკონომიკური აქტივობის (რომელიც ძირითადად სასოფლო-სამეურნეოა) შემცირებას. მთიანი რეგიონების კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ამ რეგიონების პერიფერიული მდებარეობა, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ ხელმისაწვდომობაზე და განვითარების შესაძლებლობებზე.

V. საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ფართო ხედვა რეგიონული პოლიტიკის მიზნები და პრინციპები

V.1. რეგიონული პოლიტიკის საფუძველი და მნიშვნელობა

გლობალიზაცია, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესი, რომელიც შეიმჩნევა ევროპაში, ხალხებს და ქვეყნებს აძლევს ახალ შესაძლებლობებს, მაგრამ ამავდროულად, ქმნის გამოწვევებს იმ მოქალაქეებისა და ტერიტორიებისთვის, რომლებიც ვერ ეწევიან მიმდინარე ცვლილებებსა და უჭირთ ახალ გარემოებებთან ადაპტაცია. აკადემიური კვლევები, ევროკავშირის და ეკონომიური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პოლიტიკის დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ე.წ. *დაწევის პროცესი* წარმოადგენს ეკონომიკისა და საზოგადოების მრავალგანზომილებიან ტრანსფორმაციას, რათა საზოგადოება მოემზადოს ახალი გამოწვევებისთვის. ეს მოიცავს მოსახლეობის მიერ იმ პროდუქციის წარმოებას ან იმ მომსახურეობისა და სპეციალიზაციის გონივრულ ათვისებას, რაც ხელს შეუწყობს მათი პროდუქტიულობისა და ცხოვრების დონის ამაღლებას.

2007-2008 წლებში დაწყებული კრიზისის ნეგატიური შედეგები ჯერ კიდევ სახეზეა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. აღნიშნული ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ახალ ვითარებაში, დაწევის პროცესი არ უნდა იყოს განხილული როგორც მხოლოდ ეროვნული და რეგიონული მშპ-ს ზრდა სხვა ტერიტორიებთან შედარებით. კრიზისამდე ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში მოხდა მშპ-ს მკვეთრი ზრდა, რაც მოქალაქეების ნომინალური ხელფასის ზრდაზე აისახა. თუმცა, როგორც შემდგომში გამოჩნდა, ასეთი გაუმჯობესება არ შეიძლება იყოს მდგრადი გრძელვადიან პერიოდში, თუკი ის არ არის თანხლებული პროდუქტიულობის ზრდის სხვა ფაქტორებით, როგორიცაა: ინსტიტუციების მაღალი კვალიფიკაცია, შემოქმედებითი ადამიანური რესურსები, ინოვაცია ან საერთაშორისოდ კონკურენტუნარიანი სამრეწველო და მომსახურეობის სექტორები.

2016 წლის მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებში 34-ზე მეტი რეგიონია, რომელთა მშპ, შეფასებული მსყიდველობითი უნარის სტანდარტებით, შემცირდა ევროკავშირის იმ საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც ფიქსირდებოდა კრიზისამდე. ამავე დროს, ზოგიერთმა ქვეყანამ და რეგიონმა შეძლო ახალ სიტუაციასთან შედარებით ხანმოკლე ადაპტაციის პერიოდის მერე დაბრუნებოდა განვითარების კრიზისამდელ დონეს და მეტიც, გამხდარიყო უფრო კონკურენტუნარიანი.[16]

როგორც OECD-ის უკანასკნელი კვლევები აჩვენებს, კრიზისის შემდეგ ქვეყნების განსხვავებულ მაჩვენებლებს, ძირითადად, განაპირობებს პროდუქტიულობის ისეთი ტერიტორიულად განსხვავებული ფაქტორები, როგორიცაა: კაპიტალი, ინფრასტრუქტურა, ინოვაცია, მომსახურეობისა და მრეწველობის კონკურენტუნარიანობა, ადამიანური რესურსები, ინსტიტუციების ხარისხი. ასევე, ხაზი უნდა გაესვას სწორ მაკროეკონომიკურ და საჯარო პოლიტიკას.

განსხვავებული ეკონომიკური თეორიები პროგნოზირებენ, ხოლო ემპირიული დაკვირვებები ცხადყოფენ, რომ ზემოთ აღნიშნული პირველი ჯგუფის ფაქტორები ხელს უწყობენ ისეთი აგლომერაციებისა და ინტენსიურად ურბანიზებული ზონების წინსვლას, რომლებიც უკვე განვითარებულნი და კონკურენტუნარიანი არიან საერთაშორისო მასშტაბით. მათ აქვთ საკმარისი საკუთარი რესურსები და შეუძლიათ რესურსების მოზიდვა სხვა რეგიონებიდან (დამატებითი კაპიტალის ან ადამიანური რესურსის სახით), რათა შეინარჩუნონ მოწინავე პოზიცია, როგორც ფინანსური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების გლობალურმა ან ევროპულმა ჰაბებმა.

ფაქტორების მეორე ჯგუფი, მჭიდროდ დაკავშირებულია პოლიტიკურ საკითხებთან. კარგი მაკროეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფო მხარდაჭერა ქვეყნებისა და რეგიონების სტრუქტურული ტრანსფორმაციის ხელშეწყობისთვის, განაპირობებს იმ ტერიტორიების დაბალანსებულ განვითარებას, რომლებიც არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებიან ისტორიული, გეოგრაფიული და პოლიტიკური მიზეზების გამო (მაგალითად, ყოფილი სოციალისტური ქვეყნები).

ევროკავშირის და მრავალი წევრი ქვეყნის მაგალითმა აჩვენა, რომ კარგი მაკროეკონომიკური პოლიტიკა და კოორდინირებული განხორციელება სტრუქტურული პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია კონკურენტუნარიანობის ფაქტორების განვითარებისაკენ, ხელს უწყობენ სამუშაო ძალის პროდუქტიულობისა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას. აღნიშნული კი განაპირობებს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

[16] საუკეთესო მაგალითებია გერმანია, ავსტრია, სკანდინავიის ქვეყნები და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის (CEE) ქვეყნები

V.2. საქართველოს რეგიონული პოლიტიკის პრინციპები

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის კონკურენტუნარიანობისა და ინკლუზიურობის კომპონენტების ხორცშესხმა გრძელვადიან პერსპექტივაში მოითხოვს თანმიმდევრული და მძლავრი რეგიონული პოლიტიკის არსებობას. OECD-ის მიხედვით, ნაკლებად განვითარებული რეგიონების პროდუქტიულობის ზრდა მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს მთელი ქვეყნის პროდუქტიულობის მატებას. ამისათვის საჭიროა კონკრეტული ტერიტორიული პოტენციალისა და შესაბამისი მმართველობის მოდელის სრულფასოვანი გამოყენება ხელისუფლების ყველა დონეზე. ევროკავშირის გამოცდილების გათვალისწინებით იმისათვის, რომ რეგიონულმა პოლიტიკამ ეფექტიანად შეუწყოს ხელი საერთო ეროვნული განვითარების სტრატეგიული მიზნების მიღწევას. შესაბამისი დაგეგმვისა და განხორციელების პროცესები უნდა დაეყრდნოს სამ ძირითად პრინციპს:

- ეროვნული, სექტორული და რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და შესაბამისი სტრატეგიული თუ პროგრამული დაგეგმვის პროცესში, **მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ცალკეული რეგიონებისა და ტერიტორიების განვითარების სპეციფიური საჭიროებები და პოტენციალი.** აღნიშნული უნდა მოიცავდეს როგორც ფუნდამენტურ ტერიტორიულ ანალიზს, ასევე, ტერიტორიული ნიშნის მიხედვით შესაბამისად დასაბუთებულ და დიფერენცირებულ საჯარო ინტერვენციებს.
- უმნიშვნელოვანესია **კოორდინაციის გაძლიერება** იმ სამთავრობო მიდგომებსა და საინვესტიციო ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც მიმართულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისაკენ. რეგიონული პოლიტიკა უნდა იყოს მჭიდროდ კოორდინირებული დარგობრივ პოლიტიკასთან, ხოლო დარგობრივი პოლიტიკა, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს როგორც ქვეყნის საერთო, ასევე, კონკრეტული რეგიონების ტერიტორიულ საჭიროებებს. ამასთან, აუცილებელია გაძლიერდეს კავშირი იმ საჯარო ინტერვენციებს შორის, რომელიც ხორციელდება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. ამგვარი კოორდინაცია მიზანშეწონილია პოლიტიკის ციკლის ყველა ეტაპზე.
- **პარტნიორობა და მრავალდონიანი მმართველობა** უნდა წარმოადგენდეს რეგიონული განვითარების პოლიტიკის საფუძველს. თავისთავად, აღნიშნული მოითხოვს მმართველობის სხვადასხვა დონეზე პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილე ყველა მხარის შესაძლებლობების გაზრდას, ასევე, ბიზნესის, აკადემიური და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას.

ერთად აღებული ეს 3 პრინციპი წარმოადგენს განვითარების უფრო ფართო, **ინტეგრირებული ტერიტორიული მიდგომის** ნაწილს, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს რეგიონული განვითარების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარისა და განვითარების პარტნიორის (მათ შორის სხვადასხვა საერთაშორისო, ეროვნული, ადგილობრივი, კერძო და სოციალური მოთამაშის) რესურსების, ცოდნისა და ინტერესების ეფექტიანი გამოყენება. ამასთან, გამართულად ფუნქციონირებადი, მრავალდონიანი მმართველობის სისტემა ეყრდნობა ადგილობრივ ცოდნას, კრეატიულობასა და ინოვაციურობას. როგორც ევროპის კარგად განვითარებული რეგიონების მაგალითები ცხადყოფენ, აღნიშნული წარმოადგენს სწრაფი განვითარების საუკეთესო წინაპირობას. ამავე მიდგომებს ეფუძნება საქართველოს 2020 წლის სტრატეგიაში გაწერილი მიზნები, რომლებიც ხაზს უსვამენ ყველა დონეზე ეფექტიანი და გამჭვირვალე მმართველობის აუცილებლობას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს კერძო სექტორის განვითარებასაც.

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესი, რომელიც ეფუძნება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, ხელს უწყობს იმას, რომ რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისას, მხედველობაში იყოს მიღებული საუკეთესო ევროპული გამოცდილება. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა რამდენიმე ჰორიზონტალური საჭიროება, მათ შორის:

- რესურსების ფოკუსირების აუცილებლობა ინვესტირების მაქსიმალური ეფექტიანობის ხელშესაწყობად. იმ პირობებში, როდესაც სახეზეა განვითარებისათვის საჭირო რესურსების ნაკლებობა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საჯარო და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევა ქვეყნის განვითარებისათვის.
- ჰორიზონტალური პოლიტიკის იმ მიზნების გათვალისწინება, რაც დაკავშირებულია მდგრად განვითარებასთან, გენდერულ თანასწორობასთან და სოციალურ ინკლუზიურობასთან. გარდა ამისა, რეგიონული განვითარების პოლიტიკა ითვალისწინებს ახალ გამოწვევებს, მათ შორის დემოგრაფიულ სიტუაციას და კლიმატურ ცვლილებებს. აღნიშნული აგრეთვე წარმოადგენს ევროპის რეგიონული და ტერიტორიული პოლიტიკის მნიშვნელოვან მიზანს.

V.3. საქართველოს რეგიონული პოლიტიკის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნები 2030 წლისთვის

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება, ქვეყნის პოლიტიკური არჩევანი (ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის დაწყება) და განვითარების საერთო მიზნები.

დღესდღეობით, განვითარების საერთო მიზნები (საქართველოს სტრატეგია 2020) დაკავშირებულია ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდასთან და კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან ეროვნულ დონეზე. თავის მხრივ, რეგიონული განვითარება განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად. თუმცა აქამდე, სრულფასოვნად არ ხდებოდა სპეციფიური სტრატეგიული მიზნების თანმიმდევრული დასახვა. კონკურენტუნარიანობის ზრდა, პროდუქტიულობის მატება და უმუშევრობის შემცირება (რაც, საქართველოს 2020 წლის სტრატეგიის მოსალოდნელი შედეგია), მკვეთრადაა დამოკიდებული განვითარების ხელშემშლელი ბარიერების აღმოფხვრაზე და ადგილობრივი და რეგიონული პოტენციალის გამოყენებაზე.

შესაბამისად, საქართველოს რეგიონული პოლიტიკის პირველი რიგის ამოცანაა ხელი შეუწყოს ეროვნული პოლიტიკის მიზნებს, ტერიტორიული პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ხელშემშლელი ბარიერების აღმოფხვრის გზით მმართველობის სხვადასხვა დონეზე. აღნიშნული მოითხოვს კარგად კოორდინირებულ ქმედებებს, რომელიც მიმართულია საკანონმდებლო და ინსტიტუციური განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვისაკენ. ინვესტიციები განიხილება როგორც სახელმწიფოს მიერ (ქვეყნის მთავრობა, ადგილობრივი ხელისუფლებები და სხვა პარტნიორები, მათ შორის დონორები) ძირითადი საჯარო სერვისების უზრუნველყოფა (ტრანსპორტის, ჯანმრთელობის, განათლების და სამუშაო ბაზრის სფეროში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება). აღნიშნული ზრდის კერძო ინვესტიციებს და დასაქმებას, ხელს უწყობს ინოვაციებს, წარმოების (განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების), ბიზნეს ორგანიზაციებისა და ასევე, ადამიანური რესურსების განვითარებას. ეს კი გადამწყვეტ როლს ასრულებს განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში, გლობალიზაციისა და ევროკავშირთან ინტეგრაციის კონტექსტში.

ეროვნული რეგიონული პოლიტიკის ფოკუსირება კონკურენტუნარიანობაზე საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, როგორც მთლიანად ქვეყანას, ასევე მის რეგიონებს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ ევროკავშირსა და სხვა განვითარებულ ეკონომიკებს. თითოეული რეგიონის წინსვლა ხელს უწყობს მთელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითი აჩვენებს, რომ ამგვარი რეგიონული განვითარების ხედვა გავლენას მოახდენს ქვეყნის შიგნით უთანაბრობების აღმოფხვრაზე, რადგან ბუნებრივია, რომ უფრო განვითარებულ რეგიონებს ექნებათ მეტი შესაძლებლობა ისარგებლონ ევროპული ინტეგრაციით და ღია ბაზრის შესაძლებლობებით. სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის როლი მდგომარეობს ღარიბი ტერიტორიების მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში. აღნიშნული გულისხმობს ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფას, ადამიანური რესურსების გაუმჯობესებას, სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის დაძლევას, ინსტიტუციების ხარისხის გაუმჯობესებასა და ენდოგენური განვითარების ხელშეწყობას.

კონტექსტის გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა **სტრატეგიული ინდიკატორები**, რომლებიც ადეკვატურად შეაფასებენ რეგიონული პოლიტიკის გრძელვადიან შედეგებს. იხ. ქვემოთ, ცხრილი 15:

ცხრილი 15. სტრატეგიული ინდიკატორები

ინდიკატორი	შეფასების ერთეული	საწყისი ღირებულება და წელი	2021 წლის სამიზნე ღირებულება	ინდიკატორის წყარო
მშპ ერთ სულ მოსახლეზე ეროვნულ დონეზე	აშშ დოლარი	3.8 ათასი, 2015 წ	ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან დაახლოების დადებითი დინამიკა (გარე კოჰეზია)	საქსტატი
პროდუქციისა და სერვისების ექსპორტი, როგორც მშპ-ს პროცენტი	%	44.7%, 2015 წ	ქართული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა	საქსტატი
თბილისის წილი საერთო მთლიან დამატებულ ღირებულებაში	%	თბილისი შეადგენს მდღ-ის 49%-ს, 2015 წ	თბილისის წილი მცირდება, იზრდება ქვეყნის შიგნით გათანაბრების მაჩვენებლები (შიდა კოჰეზია)	საქსტატი
სიღარიბის ზღვარს ქვევით მცხოვრები მოსახლეობის წილი ეროვნულ დონეზე.	%	9.7%, 2015 წ	მცირდება სიღარიბის ზღვარს ქვევით მცხოვრები მოსახლეობის პროცენტი	საქსტატი
ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების წილი, როგორც მშპ-ს პროცენტი, რეგიონულ დონეზე.	%	13.6%, 2015 წ	თბილისის წილი მცირდება (2015 წელს ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების 76% მოდიოდა თბილისზე) – იზრდება ქვეყნის შიგნით გათანაბრების მაჩვენებლები (შიდა კოჰეზია).	საქსტატი

VI. რეგიონული განვითარების პროგრამის მიზნები და პრიორიტეტები

VI.1. რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიზნები საშუალოვადიან პერსპექტივაში

მე-2 და მე-3 თავებში მოცემული ანალიზი აჩვენებს, რომ ქვეყანაში უფრო მდგრადი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, მომავალი 10-15 წლის მანძილზე უნდა განხორციელდეს ამბიციური, განვითარებისაკენ მიმართული და ყოვლისმომცველი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, ძლიერი ტერიტორიული კომპონენტით, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიულ ასპექტებს და ხელს უწყობს განვითარების სტრატეგიის საერთო მიზნების მიღწევას.

საშუალოვადიან პერსპექტივაში, ეს ნიშნავს, რომ რეგიონული პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს მიზნებისა და ამოცანების გარკვეულ შეზღუდულ რაოდენობაზე, რომლებიც გაზომვადი იქნება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. მათი მოსალოდნელი შედეგებია: კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სხვადასხვა ტიპის ხარვეზების აღმოფხვრა (ინფრასტრუქტურული, ადამიანური რესურსების, პროდუქტიულობის, ფინანსური). აღნიშნული ხელს შეუწყობს ერთის მხრივ, საქართველოსა და მის რეგიონებში არსებული უთანაბრობის მაჩვენებლების დაახლოებას ევროკავშირისა და მისი რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებლებთან, ხოლო მეორეს მხრივ, საკუთრივ ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული უთანაბრობების შემცირებას.

გამოიკვეთა საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის 3 საშუალოვადიანი სტრატეგიული მიზანი, რომლებიც პასუხობს საჭიროებებს და ითვალისწინებს გამოვლენილ პოტენციალს:

1. **ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ყველა რეგიონის პოტენციალის გამოყენებით, მათი სპეციფიური შესაძლებლობების შესაბამისად**

   მოსალოდნელი შედეგები (საშუალო და გრძელვადიანი):

- ყველა რეგიონის პროდუქტიულობის მაჩვენებლის დაახლოების დადებითი დინამიკა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით;
- თბილისს გარე რეგიონების უფრო მაღალი წილი ეროვნულ მშპ-ში (ასევე, მთლიან დამატებულ ღირებულებაში);
- ყველა რეგიონში უმუშევრობის დონის შემცირება / დასაქმების დონის ზრდა;
- კერძო ინვესტიციების ზრდა ყველა რეგიონში - მეტი ინვესტიციები თბილისის გარეთ;
- დანახარჯების ზრდა ინოვაციებზე (მშპ-ს პროცენტული მაჩვენებელი).

2. **სოციალური თანასწორობისა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდა მოქალაქეთა განვითარებისათვის, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა**

   მოსალოდნელი შედეგები (საშუალო და გრძელვადიანი):

- სიღარიბის დონის შემცირება ყველა რეგიონში;
- ბავშვზე ზრუნვის ამაღლება;
- სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა რაოდენობის შემცირება;
- ყველა რეგიონში სკოლის მოსწავლეთა მიერ სწავლის შეწყვეტის მაჩვენებლის კლება;
- ძირითადი საზოგადოებრივი მომსახურების (ჯანდაცვა, სკოლამდელი და ზოგადი განათლება, სოციალური სერვისები, პროფესიული სერვისები) ხელმისაწვდომობის ზრდა, განსაკუთრებით ღარიბ რეგიონებში.

3. **ქვეყნის ტერიტორიულად დაბალანსებული მდგრადი განვითარების ხელშეწყობა**

   მოსალოდნელი შედეგები (საშუალო და გრძელვადიანი):

- საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ხელმისაწვდომობის ზრდა (საავტომობილო გზების ქსელის სრულყოფა და განვითარება);
- ინფრასტრუქტურული უთანასწორობის შემცირება დაგეგმვის რეგიონებსა და ფუნქციურ ზონებს შორის (მაღალმთიანი და სოფლის ტიპის დასახლებებისგან შემდგარი რეგიონები);
- მთელი ქვეყნის დაფარვა მაღალსიჩქარიანი ოპტიკური ინტერნეტით;
- ეკონომიკური აქტივობის ზრდა რეგიონებში (იზომება ბიზნეს სექტორის ბრუნვით).

ამ მიზნების მისაღწევად, საჭიროა შესაბამისი საინვესტიციო, სამართლებრივი და ინსტიტუციური ღონისძიებების გატარება ეროვნული, სექტორული და რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში იმ ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელიც დაფინანსებულია სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების, საერთაშორისო დონორებისა და განვითარების პარტნიორების, მათ შორის, ევროკავშირის მიერ.

VI.2. 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის როლი

2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. ის გვთავაზობს ჩარჩოს მთავრობის სხვადასხვა დარგობრივი საქმიანობის კოორდინაციისთვის და ასევე, აკავშირებს ამ საქმიანობებს სპეციფიურ ინსტრუმენტებთან (მაგალითად, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი). საშუალოვადიანი მიზნები გვთავაზობენ რეგიონული განვითარების პროგრამის მიღწევისათვის შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს, ასევე გვაჩვენებენ თუ რა სახის ღონისძიებები (და ასევე რა ძირითადი პროექტები - სამართლებრივი, ინსტიტუციური, საინვესტიციო) უნდა განხორციელდეს და როგორი უნდა იყოს პროექტების შერჩევის კრიტერიუმები, რათა მიღწეულ იქნეს მაქსიმალური ტერიტორიული ეფექტი.

პროგრამის შემუშავებისას, ასევე, წარმოჩინდა გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრის საჭიროება საშუალოვადიან ბიუჯეტთან მიმართებაში („ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი“), არსებულ ან 2021 წლამდე დაგეგმილ განვითარების ქმედებებში, რომელიც დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტით (ეფუძნება „2018-2021 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების“ დოკუმენტს), მუნიციპალიტეტებისა და საერთაშორისო დონორების მიერ. პროგრამული აქტივობების თანმიმდევრული განხორციელება შესაძლებელს გახდის გაუმჯობესდეს პოლიტიკის შესაბამისობა რეგიონული განვითარების სტრატეგიულ მიზნებთან მიმართებაში. ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია დამატებით დაფინანსდეს საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო დონორების მიერ და განხორციელდეს თანდათანობით, როგორც ამ პროგრამის ნაწილი ან მომდევნო პროგრამის ფარგლებში 2021 წლის შემდეგ.

2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნა ის ღონისძიებები, რომელიც შეფასდა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე არამარტო ქვეყნის საერთო განვითარებისათვის, არამედ რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიზნებისთვისაც. ქვემოთ მოცემულია იმ პრიორიტეტების მოკლე აღწერილობა, რომელიც უნდა განხორციელდეს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში. ასევე, მოცემულია ინფორმაცია შესაბამისი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც საუკეთესოდ შეუწყობენ ხელს საქართველოს რეგიონული პოლიტიკის საშუალოვადიანი მიზნების მიღწევას.

პროგრამის მიზნები განისაზღვრა მე-2 თავში მოცემული ანალიზის საფუძველზე. ამასთან, გათვალისწინებულ იქნა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია **„საქართველო 2020"**, რომელმაც განსაზღვრა ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის სამი სახელმძღვანელო პრინციპი.

ცხრილი 16. „საქართველო 2020“ პოლიტიკის პრინციპები

პრინციპი 1. - ეფექტური და სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარების გზით.

- ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა
- სამუშაო ადგილების შექმნა
- სიღარიბის შემცირება

პრინციპი 2. - ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას [მათ შორის]

- მოსახლეობის უნივერსალური ჩართულობა ეკონომიკური განვითარების პროცესში
- საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობა, განპირობებული ეკონომიკური ზრდით
- სოციალური თანასწორობა
- მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება

პრინციპი 3. - ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, გარემოს დაცვისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილება ეკონომიკური განვითარების პროცესში

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ სახელმწიფო სტრატეგიამ, რომელსაც შეეძლო დამატებითი ორიენტირები მიეცა 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამისთვის, თავისი მოქმედების ვადა უკვე ამოწურა. თუმცა, გარკვეული მისი ელემენტები რომლებიც ამავდროულად წარმოადგენდა საფუძველს 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამისთვის, კვლავაც აქტუალური რჩება. შესაბამისად, რიგი მისი საერთო და სპეციფიური ამოცანებისა, ასევე, გათვალისწინებულ იქნა წინამდებარე პროგრამაში.

ცხრილი 17. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ სახელმწიფო სტრატეგია- მიზნები და პრიორიტეტები

საერთო მიზნები:

- რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მოსახლეობის საცხოვრებელი სტანდარტებისა და პირობების გაუმჯობესება.

აღნიშნული მიიღწევა შემდეგი გზებით:

- რეგიონების დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;
- კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- რეგიონებს შორის სოციალურ-ეკონომიკური დისბალანსის შემცირება.

არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაზე დაყრდნობით და ასევე, საერთაშორისო გარემოში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით (რაც აღწერილია SWOT ანალიზში და მე-3-ე თავში), შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს საერთო განვითარების საჭიროებები ევროკავშირის ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისა და ასევე, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების საჭიროებების ანალოგიურია, რომლებიც ევროკავშირის წევრობის წინარე საფეხურზე იმყოფებიან. საქართველომ უნდა გააგრძელოს სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რაც მოითხოვს ეკონომიკის შემდგომ დივერსიფიკაციას, მაგრამ ასევე, გონივრულ სპეციალიზაციას იმ სექტორებში, რომლებიც საუკეთესოდ წარმოაჩენს საქართველოს ფარდობით უპირატესობებს. შესაბამისად, ადამიანური რესურსების განვითარებას, ზოგადი განათლების, პროფესიულ განათლებისა და ცხოვრების მანძილზე მუდმივი განვითარების თვალსაზრისით, გადამწყვეტი როლი ენიჭება. ინფრასტრუქტურის განვითარებამ კვლავ უნდა შეინარჩუნოს მისი პრიორიტეტულობა. სატელეკომუნიკაციო და სატრანსპორტო ქსელები უნდა გაფართოვდეს, რადგან მასზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას მთელი საქართველოს მასშტაბით. ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გარეშე, მნიშვნელოვნად რთულდება მსხვილი ქალაქური აგლომერაციების გარეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდა. გარდა ამისა, აუცილებელია გაფართოვდეს გადაადგილებისათვის გამოყენებული ტრანსპორტის სახეობები; გაიზარდოს რკინიგზის გამოყენების შესაძლებლობა და გაგრძელდეს „ჭკვიან“ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემებში ინვესტირება. ასევე, საჭიროა გაგრძელდეს ენერგეტიკის, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაცია და გაფართოება, მყარი ნარჩენების მართვის სერვისების გაუმჯობესება.

როგორც საქართველოს რეგიონებს შორის, ასევე, რეგიონების შიგნით არსებული მკვეთრი უთანაბრობებიდან გამომდინარე, ქვეყნის განვითარება უნდა იყოს უფრო დაბალანსებული და ინკლუზიური. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს არასახარბიელო დემოგრაფიული მდგომარეობა, უმეტესწილად სოფლებში, ასევე მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სირთულეები. რეგიონული განვითარების პოლიტიკამ, ასევე, უნდა გაამახვილოს ყურადღება იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებებზე, რომელთაც დატოვეს საკუთარი სახლები შეიარაღებული კონფლიქტებისა და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად.

ცხადია, რომ არსებობს განვითარების დადასტურებული საჭიროებები ყველა მიმართულებებით. რეგიონული განვითარების პროგრამის რესურსები, მიუხედავად მათი საკმაოდ დიდი მოცულობისა, ვერ შეძლებენ ერთდროულად ყველა საჭიროების დაფარვას. შესაბამისად, თუკი გავითვალისწინებთ ევროკავშირის გამოცდილებას აუცილებელია:

- მოხდეს კონცენტრირება დარგობრივი განვითარების პრიორიტეტებზე ;
- მოხდეს თითოეული რეგიონისა და ტერიტორიის კონკრეტული რესურსების თანმიმდევრული და მაქსიმალური გამოყენება.

განვითარების ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტები, რომელიც მოცემულია **2016-2020 წლების სამთავრობო პროგრამაში**, შეიცავს **ოთხპუნქტიანი რეფორმის გეგმას**, რომელიც ხელს უწყობს ერთიან ეკონომიკურ ზრდას,

განათლებას, სივრცითი დაგეგმვის გაუმჯობესებას და სახელმწიფო მართვის გაძლიერებას (დეტალებისათვის იხ. თავი 1.3). რეფორმის ოთხივე პუნქტი შეესაბამება რეგიონული განვითარების პროგრამის ანალიზის დასკვნებს და ასახულია პროგრამულ პრიორიტეტებს შორის.

გარდა ამისა, პროგრამა ეფუძნება გაძლიერებულ ტერიტორიულ მიდგომას. ანალიზმა კონკრეტულად მიმოიხილა ყველა სექტორში არსებული რეგიონული განსხვავებები ბუნებრივი, სოციალური და ეკონომიკური პირობების კუთხით. საინვესტიციო ღონისძიებების შერჩევისას, ამ რეგიონული განსხვავებების დაძლევა უნდა იყოს რეგიონული განვითარების პროგრამის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი. კერძოდ:

- **მნიშვნელოვანი სახელმწიფო საინვესტიციო პროექტები,** რომელთაც მხარს უჭერს რეგიონული განვითარების პროგრამა, თავის პრიორიტეტად უნდა მიიჩნევდეს ხელმისაწვდომობას და ხელს უნდა უწყობდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის აუცილებელი საბაზისო ინფრასტრუქტურის თანმიმდევრულ შექნა-გაუმჯობესებას და კერძო ინვესტიციების მოზიდვას ყველა რეგიონში.
- **ინტეგრირებული ტერიტორიული საინვესტიციო ღონისძიებები** (ITI) უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა ტერიტორიების განსხვავებულ და მრავალფეროვან საჭიროებებს. ეს ეხება ასევე სოფლის დასახლებებს და მაღალმთიან რეგიონებსაც, აგრეთვე, დასახლებებს დევნილთა დიდი რაოდენობით კონცენტრაციით. რეგიონული განვითარების პროგრამები უკვე მოქმედებს ყველა რეგიონში და წარმოადგენს საფუძველს სხვადასხვა სექტორების რესურსების სინერგიული გამოყენებისთვის. რეგიონული განვითარების პროგრამა მიზანმიმართულად განახორციელებს ინვესტირებას ამ შესაძლებლობათა გაძლიერებისათვის.
- რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ჩარჩო ეფუძნება **პარტნიორობასა და გაძლიერებულ კოორდინაციას**, მეტად, ვიდრე ეს წინა პროგრამის დროს იყო. საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ხელს უწყობენ ეფექტურ დარგთაშორის კოორდინაციას და უწყვეტ დიალოგს ადგილობრივ ხელისუფლებებთან. ამასთან, მიზანშეწონილია თანდათანობით დაიხვეწოს სპეციფიური პროექტების შერჩევის ინსტრუმენტები, რათა ისინი შესაბამისობაში იყოს პროგრამის საერთო ხედვასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამული ინტერვენციის ლოგიკა მდგომარეობს შემდეგში:

პროგრამის საერთო მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, რეგიონული უთანაბრობების შემცირებასა და ტერიტორიულ განვითარებას.

საერთო მიზანი მიიღწევა პროგრამის სამი სპეციფიური მიზნის მიღწევით:

1. **სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა,** დინამიურ საერთაშორისო კონტექსტში საქართველოს შედარებითი უპირატესობების სისტემური გამოყენების, მმართველობის სხვადასხვა დონეზე შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ხელშემშლელი ბარიერების აღმოფხვრის გზით.
2. ინფრასტრუქტურის, ენერგო და საკომუნიკაციო ქსელებისა და კომუნალური მომსახურების **მდგრადი განვითარება**, რეაბილიტაცია და გაფართოება უსაფრთხო გზებით.
3. **სოციალური და ტერიტორიული უთანაბრობების დაძლევის ხელშეწყობა** - თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველა მოქალაქისათვის, მათი სოციალური კუთვნილებისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ამ მიზნების მიღწევისათვის, რეგიონული განვითარების პროგრამა იყენებს **5 პრიორიტეტზე** დაფუძნებულ სტრუქტურას. ამ პრიორიტეტების როლი პროგრამის მიზნების განხორციელებაში და ასევე პროგრამის დეტალური სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ, დიაგრამებში 13 და 14.

დიაგრამა 13. 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა, ინტერვენციის ლოგიკა



დიაგრამა 14. პროგრამის სტრუქტურა



VI.2.1. პრიორიტეტი 1. ქვეყნის და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საქართველოს განვითარების დონისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში (კავკასია, შავი ზღვის რეგიონი) მისი სტრატეგიული ტრანზიტული პოზიციის გათვალისწინებით, სტრატეგიული ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის განვითარება განიხილება, როგორც ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი სტრუქტურული ცვლილების წინაპირობა. როგორც კვლევები ცხადყოფენ, ამ მიმართულებებით ინფრასტრუქტურული ხარვეზების გამოსწორება წლების მანძილზე დადებითად აისახება ეკონომიური აქტივობის დონეზე, საინვესტიციო შესაძლებლობების გაფართოების, ვაჭრობის დონის ამაღლებისა და გაყიდვადი სერვისების პროდუქტიულობის ამაღლების გზით. უკანასკნელი და მომავალი წლების მანძილზე, სახელმწიფო ახორციელებდა და კვლავაც განახორციელებს სტრატეგიულ სატრანსპორტო პროექტებს, რომელიც ზრდის ქვეყნის ეკონომიკურ მიმზიდველობას და გვაძლევს საშუალებას უკეთ გამოვიყენოთ ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი. აღნიშნულ სატრანსპორტო პროექტებს მიეკუთვნება: ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის საავტომობილო გზების (წითელი ხიდი-თბილისი-ქუთაისი-ბათუმი-სარფი) გაუმჯობესება; ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება; თბილისი-ყარსის რკინიგზის ხაზის გაყვანა; თბილისის აეროპორტის გამტარუნარიანობის გაზრდა 4 მლნ მგზავრამდე; თბილისისა და ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობა.

საჭიროა მაქსიმალურად იქნეს მიღებული მხედველობაში ეკოლოგიური საფრთხეები, ასევე, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებები და გათვალისწინებულ იქნეს მოცემული პროექტების გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ასპექტები, რაც ნიშნავს იმას, რომ დროთა განმავლობაში, უპირატესობა მიენიჭება საზოგადოებრივი ტრანსპორტის სხვადასხვა საშუალებებს.

რეგიონული განვითარების პოლიტიკის თვალსაზრისით, იმ რეგიონების სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, სადაც ეს ინფრასტრუქტურა მდებარეობს (სატრანსპორტო კორიდორები, აეროპორტები, საზღვაო პორტები), ხდის გარემოს უფრო მიმზიდველს ინვესტიციებისთვის, რაც ხელს უწყობს წარმოების განვითარებას. საერთაშორისო, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე გამართულ სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით სოფლის და უღარიბესი რეგიონების მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობები მატულობს. ეროვნულ ეკონომიკაში დიდი ურბანული ცენტრების მნიშვნელობის მხედველობაში მიღებით, მნიშვნელოვანია ინვესტიციების განხორციელება ისეთ სტრატეგიულ ინფრასტრუქტურაში, როგორიცაა საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემები და სხვადასხვა ტიპის სატრანსპორტო მოდალობები. უპირველესად დიდ ქალაქებში, როგორიცაა თბილისი და ქუთაისი.

ამავდროულად, სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება კომბინირებული უნდა იყოს შეთავაზებული სერვისის ხარისხის გაუმჯობესებასთან და მუნიციპალური მნიშვნელობის ტრანსპორტის განვითარებასთან სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ საწარმოებში ინვესტირებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ამასთან, შეამცირებს მოსახლეობის გადინებას მსხვილ ურბანულ ცენტრებში.

რეგიონის განვითარების პერსპექტივას, თანამედროვე პირობებში, განაპირობებს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ და სხვა ტიპის ინფრასტრუქტურა, რომელიც ამაღლებს მოსახლეობის და კომპანიების მიერ ინტერნეტის გამოყენების შესაძლებლობას. მომდევნო წლებში საჯარო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი იქნება არსებული ქსელის გაფართოება და უზრუნველყოფა იმისა, რომ ყველა მოქალაქემ შეძლოს (როგორც ფიზიკურად, ასევე, უნარების თვალსაზრისით) ინტერნეტქსელთან დაკავშირება. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც მუდმივად ესაჭიროება გამართული გარემოსდაცვითი და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა, რაც დღესდღეობით არ აკმაყოფილებს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საბაზისო საჭიროებებსაც კი. აღნიშნული წარმოადგენს ხელშემშლელ ბარიერს წარმოების განვითარებისა და ინვესტიციებისათვის. ამ პრობლემას აქვს თვალსაჩინო ტერიტორიული ხასიათი - საბაზისო გარემოსდაცვითი და სუფთა ენერგიის ინფრასტრუქტურის ნაკლებობა უზღუდავს განვითარების პერსპექტივას ბევრ, განსაკუთრებით კი, უღარიბეს რეგიონებს, მოქმედებს რა ნეგატიურად მოქალაქეების ცხოვრების დონეზე და სამუშაო ადგილების შექმნაზე. ეს კი, შესაბამისად, იწვევს აღნიშნული ტერიტორიებიდან მიგრაციის მატებას.

რეგიონული პოლიტიკის თვალსაზრისით, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, ყურადღება იქნება გამახვილებული მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხებისადმი და ასევე, წყლისა და მყარი ნარჩენების მართვის სისტემების გაუმჯობესებისაკენ. გაზიფიკაციის პროცესის გაგრძელება და ახალი მომხმარებლების დაკავშირება გაზმომარაგების სისტემასთან უნდა განვიხილოთ, როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი ენერგიაზე

მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით. გაზის ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე, ზრდის მომხმარებლების, მუნიციპალიტეტებისა და სხვა სუბიექტების შესაძლებლობებს დაფარონ საწარმოთა ოპერირების ხარჯები. ამ მიმართულებით შედეგი თვალსაჩინო უნდა იყოს, როგორც დიდ ურბანულ ცენტრებში, ასევე სოფლად, განსაკუთრებით კი ყველაზე არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ რეგიონებში. ეს ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურული უთანაბრობის შემცირებას ქვეყნის რეგიონებში.

ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი მხარე, რომელიც ამაღლებს მის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას, არის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის სიმდიდრე და მრავალფეროვნება. ეს მოიცავს როგორც მატერიალურ (ეროვნული პარკები, მთები, ტყეები, მონუმენტები, მონასტრები, ისტორიული ქალაქები და სხვა), ასევე, არამატერიალურ (სამზარეულო, მუსიკა, ცეკვა, ფოლკლორი, თეატრი, ტრადიციული სოფლის მეურნეობა და რეწვა და სხვა) სიმდიდრეს. ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სხვა ფაქტორებისაგან განსხვავებით, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა კარგად არის გადანაწილებული ქვეყნის შიგნით, რაც საქართველოს ყველა კუთხეს მატებს მიმზიდველობას ტურიზმის განვითარებისათვის. ხორციელდება მრავალი სხვადასხვა ტიპის აქტივობა, რაც ხელს უწყობს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, მის წარმოჩენას და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდას. ამ პროცესში ჩართულია სახელმწიფო, მოქალაქეები, კერძო კომპანიები და ასევე, საერთაშორისო პროექტები. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არსებობს ბევრი საჭიროება ამ მიმართულებით, განსაკუთრებით კი მოშორებულ და ძნელად მისადგომ რეგიონებში.

მოცემული პრიორიტეტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- **1.1.** საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება;
- **1.2.** საავტომობილო გზების გარდა სხვა სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- **1.3.** მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარება;
- **1.4.** ენერგო-ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალის გაფართოება;
- **1.5.** ბუნებრივი კატასტროფებისაგან დამცავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- **1.6.** წყალმომარაგების, წყალარინების და ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- **1.7.** კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია;
- **1.8.** ბუნებრივი მემკვიდრეობის (ეროვნული პარკები, ნაკრძალები და სხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიები) შენარჩუნება და პოპულარიზაცია;
- **1.9.** ინტეგრირებული მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება.

VI.2.2 პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო საწარმოების, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორებისა და ექსპორტის ხელშეწყობის მხარდაჭერა

ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნისათვის მთავრობის მუდმივი ძალისხმევის მიუხედავად (2018 წელს ბიზნესის კეთების კუთხით საქართველო მოხსენიებულია 20 ქვეყანას შორის, რომელმაც განახორციელა ბიზნესის რეგულირებისთვის ყველაზე დიდი რაოდენობით რეფორმები, კერძოდ საქართველომ 2003 წლიდან განახორციელა 47 რეფორმა), ქართული კერძო კომპანიების წარმოებისა და ინვესტიციების დონე ძალზედ დაბალია ევროპულ ქვეყნებთან შედარებით. აღნიშნული ასახავს ქვეყნის განვითარების დონეს, მაგრამ ასევე, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც დაგეგმვის ცენტრალიზებული სისტემის და ჯერ კიდევ შედარებით სუსტი ინსტიტუციური სტრუქტურის შედეგი. როგორც ანალიზმა გამოავლინა, არსებული კომპანიების და კონკრეტულად მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ბიზნესის დაწყებისთვის და/ან გაფართოებისათვის საჭიროა გაძლიერდეს კაპიტალთან ხელმისაწვდომობა, ბიზნესის წარმოებისა და მართვის უნარები, ასევე ინსტიტუციური ჩარჩო უნდა გახდეს უფრო ეფექტიანი.

უკანასკნელ პერიოდში ბიუჯეტიდან დაფინანსებულმა პროგრამებმა, რომელიც ხელს უწყობდნენ კერძო კომპანიების ფუნქციონირებას, არსებული საჭიროებების მხოლოდ მცირედი ნაწილი დააკმაყოფილა. ეს პროგრამები, ძირითადად, ფოკუსირებული იყო უკვე არსებული და შედარებით გამართულად ფუნქციონირებადი კომპანიების ან მოწინავე სექტორების (მეღვინეობა, ტურიზმი) ექსპორტის ზრდაზე. ცალკეული რეგიონების პოტენციალის განვითარებისა და სრული გამოყენებისათვის, რაც ხელს შეუწყობს სტრუქტურულ ცვლილებებს, რეგიონულმა პოლიტიკამ ფართოდ უნდა დაუჭიროს მხარი მცირე და საშუალო ბიზნესს და სხვადასხვა რეგიონისათვის სპეციფიური ინსტიტუციური გარემოს განვითარებას. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა უნდა განხორციელდეს სხვადასხვა

მიმართულებით[17], მათ შორის, იმ კომპანიების მხარდაჭერით, რომელთაც გააჩნიათ ზრდის მაღალი პოტენციალი (სტარტაპი ან უკვე არსებული კომპანიები) და ასევე იმ კომპანიების მხარდაჭერით, რომლებიც ოპერირებენ რეგიონის თვალსაზრისით ყველაზე მეტად პროდუქტიულ ან მომგებიან სექტორში. გარდა ამისა, ვინაიდან მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ასეთი ტიპის დახმარების გაწევა დიდად არის დამოკიდებული ტერიტორიულ ფაქტორებზე, ეფექტურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა გაიზარდოს ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუციების (მაგ.: ბიზნეს ინკუბატორები, რეგიონული განვითარების მხარდამჭერი სხვა ინსტრუმენტები და ინსტიტუციები) მიერ გაწეული სერვისების რაოდენობა და ხარისხი. თუკი მხედველობაში მივიღებთ რეგიონებში მეწარმეობის განვითარების დაბალ დონეს, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები და ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება მეტად აუცილებელია ღარიბ რეგიონებში. თუმცა, ასეთი ტიპის დახმარება საქართველოს მთელს ტერიტორიაზეა საჭირო (თბილისის ჩათვლით), რაც გააჩენს შესაძლებლობას უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყენებული თითოეული ტერიტორიის სპეციფიური პოტენციალი.

ანალიზმა აჩვენა, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესების გამო წარმოშობილი შესაძლებლობების სრულად გამოყენებისათვის საქართველოს ეკონომიკამ უნდა გაზარდოს საერთაშორისოდ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. აღნიშნულს ჭირდება აქტიური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ახალი და უკვე კონკურენტუნარიანი სექტორების საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდაზე. ასევე, აუცილებელია სტარტაპის და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება. აღნიშნული ინსტიტუტები თავისთავად ხელს უწყობენ მეწარმეების მენეჯერული და ინოვაციური უნარების განვითარებას. თვალსაჩინოა, რომ ამ სფეროში დახმარებას აქვს ტერიტორიულად დიფერენცირებული ხასიათი. აუცილებელია შესწავლილ და გამოყენებულ იქნეს თითოეული რეგიონის განვითარების პოტენციალი, რაც გააძლიერებს მოწინავე სექტორებში ექსპორტის შესაძლებლობას (მაგალითად სოფლის მეურნეობა, ტურიზმი). ამავდროულად, უნდა განვითარდეს ექსპორტისათვის სრულიად ახალი ნიშები, მათ შორის მაღალი ხარისხის კულტურული პროდუქტის შექმნის გზით. ტერიტორიულ კონტექსტში ასეთი ახალი ნიშებისა და სექტორების იდენტიფიკაციის ნაკლებობა თვალსაჩინოა და რეგიონულმა პოლიტიკამ ეს სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს.

გარდა საექსპორტო შესაძლებლობების ზრდისა, ეკონომიკა ასევე საჭიროებს კერძო ინვესტიციების მატებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჩათვლით (განსაკუთრებით რეგიონებში). ამისთვის, აუცილებელია კარგი მაკროეკონომიკური სიტუაცია და სტაბილური ინსტიტუციური სტრუქტურა, რაც საერთაშორისო შედარებების მიხედვით (მაგალითად ქვეყნების შედარება ბიზნესის კეთების კუთხით) საქართველოში განვითარებულია. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, სათანადო სტიმულირებისას, ქვეყნისათვის მოაქვს ნოუ-ჰაუ, დასაქმების შესაძლებლობა და ინოვაცია. რეგიონული განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ეს ახალი ინვესტიციები (განსაკუთრებით წარმოებისა და ვაჭრობის სექტორში) განხორციელდეს თბილისისა და ბათუმის გარეთ. რეგიონულ პოლიტიკას ჭირდება მეტი ძალისხმევა, რომ ინვესტიციები განხორციელდეს ჯერ კიდევ ნაკლებად მიმზიდველ რეგიონებში.

ინოვაციების კუთხით საქართველოს შეზღუდული პოტენციალი თანდათან უნდა გაფართოვდეს, რასაც ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების სათანადო გამოყენება, ევროპული ინტეგრაცია (მონაწილეობა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტებში) და აკადემიური და კვლევითი პოტენციალის ამაღლება. არსებული ვითარების გათვალისწინებით, რეგიონული პოლიტიკის ბუნებრივი ფოკუსირება უნდა მოხდეს ინოვაციების შექმნისათვის არსებული შეზღუდული პოტენციალის სრულ გამოყენებასა და გაფართოებაზე თბილისში და ასევე, სხვა შეზღუდული რაოდენობის აკადემიურ და კვლევით ცენტრებში. იმისათვის, რომ მოიმატოს ინოვაციურობის დონემ, განსაკუთრებით კი ახლადშექმნილ და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში, საჭიროა ახალი ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საწარმოებს ახალი ინოვაციური პროექტების შექმნაში.

მოცემული პრიორიტეტის ქვეშ უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- **2.1.** საწარმოების, მათ შორის მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა;
- **2.2.** ინოვაციების მხარდაჭერა;
- **2.3.** სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: ტურიზმი;
- **2.4.** სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: სოფლის მეურნეობა;
- **2.5.** ექსპორტის ხელშეწყობა;
- **2.6.** ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

[17] საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულია ქვეყნის „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების“ 2016-2020 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმები, რაც ითვალისწინებს 5 სტრატეგიული მიმართულების განვითარებას.

VI.2.3 პრიორიტეტი 3. ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესება

ადამიანური კაპიტალი არის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელიც ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს გლობალიზაციის პროცესი. როგორც ევროკავშირის ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, ადამიანური კაპიტალი ასევე არის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს რეგიონული და ადგილობრივი კონკურენტუნარიანობის დონეს. ამრიგად, მას აქვს პირდაპირი კავშირი ქვეყნების ეკონომიკის პროდუქტიულობასთან და მოქალაქეთა ცხოვრების დონესთან. შესაბამისი კვლევები ცხადყოფენ, რომ საქართველო საჭიროებს დიდ ინვესტიციებს ადამიანური კაპიტალის განვითარებისათვის ყველა მიმართულებით. ამ კუთხით, კონკრეტული საჭიროებანი გამოვლენილია, როგორც საქართველოს მთავრობის მიერ, ასევე ევროკავშირი-საქართველოს პარტნიორობის ფარგლებშიც. ეს საჭიროებები მოიცავს: განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, ბიზნეს სექტორის მოთხოვნილებასა და მოსახლეობის უნარებს შორის დისპროპორციის შემცირებას, აქტიური სამუშაო პოლიტიკის შემუშავებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს სამუშაო ბაზრის ანალიზს, პროფესიული განათლების პოლიტიკის განხორციელებას.

ამ პრობლემას, ასევე აქვს გამოკვეთილი ტერიტორიული თავისებურებანი, - განათლების ხარისხი და სხვა სოციალური სერვისები ძალზედ მწირია თბილისს და სხვა შეზღუდული რაოდენობის ქალაქების გარეთ. მაღალია უთანაბრობა სოციალური ინფრასტრუქტურის, კარგი ხარისხის ზოგადი და პროფესიული განათლების, ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ქალაქისა და იმ მოსახლეობას შორის რომელიც ცხოვრობს სოფლად, მოცილებულ და მაღალმთიან რეგიონებში, სადაც ძალზედ შეზღუდულია როგორც სერვისების არჩევანი, განსაკუთრებით ახალგაზრდა ადამიანებისათვის, ასევე, მოსახლეობის უნარები. სწორედ ეს არის ამ რეგიონებიდან თბილისში და ქვეყნის გარეთ მიგრაციის მიზეზი.

სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს განვითარების პერსპექტივაზე არის სოციალური უთანაბრობების და ინკლუზიურობის დონე. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, საქართველოში კიდევ არსებობს კლებადი, მაგრამ ჯერ კიდევ მაღალი უთანაბრობები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებსა და სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს შორის. ეს შეიძლება აიხსნას ეკონომიკური (დასაქმების დაბალი დონე, სამუშაო ადგილების სიმცირე, უნარების შეუსაბამობა) და სოციალური ფაქტორებით, რომელიც გარკვეულ ჯგუფებს არასახარბიელო პირობებში აყენებს შრომით ბაზარზე, მაგალითად ქალები, ახალგაზრდები, იძულებით გადაადგილებული პირები.

მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, უკანასკნელი წლების მანძილზე ხდებოდა სიღარიბის თანდათანობითი დაძლევა, მოსახლეობის 20%-ზე მეტი მაინც ღარიბია (იგულისხმება მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვევით[18]), განსაკუთრებით კი მოშორებული და ძნელად მისაწვდომი ტერიტორიების მოსახლეობა. ეს საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას ამ კუთხით კონკრეტულ რეგიონში არსებული გამოწვევების დასაძლევად.

[18] 2014 წლის მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მოსახლეობის 32% დღეში 2,5 აშშ დოლარზე ნაკლებს მოიხმარს.

უმაღლესი განათლების სისტემას და კვლევით ინსტიტუტებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ქვეყნის ეკონომიკისა და ასევე იმ კონკრეტული რეგიონის განვითარებაში, სადაც ისინი მდებარეობენ. აღნიშნულს განაპირობებს ამ ინსტიტუტების საინოვაციო შესაძლებლობები, ასევე მათ მიერ რეგიონის დადებითი შემოქმედებითი იმიჯის შექმნა და კვალიფიციური ადამიანური რესურსების შეთავაზება რეგიონისათვის და ქვეყნისთვის. უმაღლესი განათლების და კვლევითი ინსტიტუტები ჭარბად კონცენტრირებულნი არიან - მათი უმრავლესობა, განსაკუთრებით კი ის ინსტიტუტები, რომელთა ცნობადობა შედარებით მაღალია საზღვარგარეთ, თბილისში არიან განლაგებულნი. თუმცა ამ მხრივ არსებობს ამბიციური გეგმები და ინიციატივები, განსაკუთრებით კერძო სექტორის მხრიდან, რათა მოხდეს აკადემიური და კვლევითი პოტენციალის განვითარება ისეთ ადგილებში, როგორიც არის ქუთაისი (ტექნოლოგიური ინსტიტუტი) ან ბათუმი. ამ სფეროში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლობას პარტნიორებთან ევროკავშირის ქვეყნებიდან (მაგალითად პროგრამა „Horizon 2020“-ის ფარგლებში). თუმცა ზემოთ აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობა შეუძლებელია კონკრეტულ ტერიტორიებზე სათანადო საინოვაციო სისტემების არსებობის გარეშე, რაც გამოიწვევს მკვლევარების საზღვარგარეთ გადინებას, ქვეყნის შიგნით დაბალანაზღაურებადი და დაუფასებელი სამუშაოს ნაცვლად. გრძელვადიანი პერსპექტივით, რეგიონულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანის კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებას. აკადემიურ და კვლევით ინსტიტუტებს შორის, ასევე, საჯარო ინსტიტუტებსა და ბიზნესს შორის ეფექტურ, კომერციალიზაციაზე ორიენტირებულ ურთიერთთანამშრომლობას, რაც გაითვალისწინებს იმ ტერიტორიების სპეციფიურ ნიშან-თვისებებსა და საჭიროებებს, სადაც აღნიშნული ინსტიტუტები არიან განლაგებულნი. ბუნებრივია ეს აქტივობები ჯერჯერობით უნდა განხორციელდეს შეზღუდული რაოდენობის ქალაქებში.

მოცემული პრიორიტეტის ქვეშ უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- **3.1.** ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;
- **3.2.** პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესება;
- **3.3.** უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდა;
- **3.4.** კვლევითი სექტორის მხარდაჭერა;
- **3.5.** შრომის ბაზრისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- **3.6.** მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- **3.7.** სოციალური ინკლუზია.

VI.2.4. პრიორიტეტი 4. ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე

საჯარო პოლიტიკის სექტორული ინსტრუმენტების დანერგვა მთელს ქვეყანაში, იმ პირობებში, როცა არ არის შესაბამისად გათვალისწინებული კონკრეტული ტერიტორიული საჭიროებები, ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური აქტივობების კონცენტრირებას ე.წ. მეტროპოლიურ არეალში (საქართველოს შემთხვევაში, თბილისში) და სხვა შეზღუდული რაოდენობის ტერიტორიებზე, რაც აღრმავებს ქვეყნის შიგნით უთანაბრობებს. რეგიონული პოლიტიკის როლი მდგომარეობს იმაში, რომ დაუპირისპირდეს ამ დარგობრივი პოლიტიკის ბუნებრივ, მაგრამ ტერიტორიების უმრავლესობისათვის ნეგატიურ ზემოქმედებას, რისთვისაც რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივ სპეციფიურ საჭიროებებზე ორიენტირებული დახმარება. ასეთი ტიპის დახმარება, რომლის დაფინანსებაში მონაწილეობს სახელმწიფო ბიუჯეტი ან საერთაშორისო საზოგადოება, დღესდღეობით ძალიან შეზღუდულია. უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და სსიპ - „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“. ორივე ამ ინსტრუმენტით ფინანსდება სხვადასხვა, ძირითადად კი მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტები, რომელთა შერჩევა ხდება რეგიონული განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დებულებების შესაბამისად. ფისკალური დეცენტრალიზაციის დაბალი დონის გათვალისწინებით (სახელმწიფო შემოსავლების მხოლოდ 5% ამოღება ხდება ადგილობრივ დონეებზე), ძალიან ხშირად, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი აფინანსებს მუნიციპალიტეტების საბაზისო ინფრასტრუქტურულ საჭიროებებს, რასაც რეგიონის ფართო განვითარებაზე შეზღუდული ეფექტი აქვს.

ქვეყნის მდგრადი და დაბალანსებული განვითარება მოითხოვს რეგიონული პოლიტიკის მხრიდან ყურადღების გამახვილებას ისეთი პროექტების დაფინანსებაზე, რომლებიც მომზადებულია და ხორციელდება ლოკალურად და გააჩნიათ უფრო ფართო და ძლიერი ეფექტი რეგიონის განვითარებაზე. ასეთი მიდგომის ეფექტიანი განხორციელებისათვის საჭიროა არა მარტო საკმარისი თანხები, არამედ მუნიციპალიტეტების შემოსავლების ზრდა და ახალი ინსტრუმენტების თანმიმდევრულად დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ხელისუფლებების პროგრამირებისა და პროგრამების შემდგომი განხორციელების უნარების გაძლიერებას. ასევე, აუცილებელია ადგილობრივ დონეზე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების უფრო ფართო ჩართულობა. ნათელია, რომ რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს ქვევიდან წამოსული ინიციატივები, რათა განხორციელებულმა პროექტებმა ხელი შეუწყონ ადგილობრივ განვითარებას. ამასთან, აუცილებელია რეგიონული პოლიტიკა აქტიურად იყოს ჩართული ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით, რეგიონული პოლიტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს შემდეგ ძირითად ტერიტორიებზე:

- **მეტწილად სოფლის ტიპის დასახლებებისგან შემდგარი ტერიტორიები,** - სადაც არასასოფლო-სამეურნეო აქტივობების დაბალი მაჩვენებელი, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და შეზღუდული ადამიანური რესურსები ფიქსირდება. ამ ტიპის ტერიტორიებზე, მეჩხრად დასახლებული **მაღალმთიანი რეგიონებისათვის** სპეციფიური ინსტრუმენტებია საჭირო. სოფლის ტიპის დასახლებებისგან შემდგარი ტერიტორიებისთვის, მათ შორის, მთიანი რეგიონებისათვის, სპეციფიური ქმედებების საჭიროება უკვე განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის მიერ. თუმცა, ეს დახმარება ჯერჯერობით შეზღუდულია, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე, უცხოური პარტნიორების მხრიდან. სოფლის განვითარებას დიდწილად მხარს უჭერს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და სსიპ - „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“.
- **დაგეგმვის ყველა რეგიონი** - განსაკუთრებით კი ისეთი რეგიონები, სადაც ეკონომიკური და სოციალური პრობლემებია კონცენტრირებული. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ პროექტების დაფინანსების შესაძლებლობებზე, რომელთა შერჩევა მოხდება კონკრეტული რეგიონის განვითარების სტრატეგიის დებულებების მიხედვით და რომელთაც ექნებათ მაქსიმალური ტერიტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი. ის ეროვნული ინსტრუმენტები, რაც დღესდღეობით გამოყენებულია რეგიონების დონეზე, დროთა მანძილზე საჭიროებენ ადაპტირებას[19], გაუმჯობესებულ კოორდინირებას (მათ შორის, კოორდინირებას ადგილობრივ დონეზე განხორციელებულ პროექტებთან, რომელიც ფინანსდება საერთაშორისო წყაროებიდან) და გაფართოებას, როგორც რაოდენობრივად, ასევე, ზომისა და მასშტაბის მიხედვით (რათა მოიცვან ადამიანური რესურსებისა და ეკონომიკური განვითარების მიმართულებები). იმისათვის რომ, რეგიონული და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, პრაქტიკულად განხორციელდეს რეგიონული განვითარების სრულად ინტეგრირებული მიდგომა, მიზანშეწონილია, უახლოეს მომავალში ამოქმედდეს მინიუმ ორი საპილოტე რეგიონის საოპერაციო პროგრამა. მათ უნდა ჰქონდეთ განხორციელების ეფექტიანი სისტემა შესაბამისი მხარდამჭერი ინსტრუმენტებით. ამავე დროს, ისინი უნდა ეფუძნებოდნენ რეგიონის განვითარების სტრატეგიას და მოიცავდნენ რეგიონული და ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების განვითარებას, სიღარიბის დაძლევას, ეკონომიკური-არასასოფლო-სამეურნეო აქტივობების გაფართოებას.
- **სტრატეგიული პოტენციალის მქონე ტერიტორიები** (ეროვნული თვალთახედვით), - რომელთაც სჭირდებათ სპეციფიური ინსტრუმენტები საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და პოტენციალის გასაძლიერებლად. ზოგიერთ გეოგრაფიულ ტერიტორიას, რომელთა საზღვრები არ ემთხვევა ადმინისტრაციული დაყოფის საზღვრებს, შეუძლია მეტი წვლილი შეიტანოს საერთო ეკონომიკურ ზრდაში, თუკი მათი განვითარებისათვის გამოყენებულ იქნება რეგიონული პოლიტიკის სპეციფიური ინსტრუმენტები, რომლებიც მხოლოდ ამ ტერიტორიების საჭიროებებზე იქნება მორგებული. ასეთი ტიპის ტერიტორიებში შედის:
    - **საზღვრისპირა ტერიტორიები,** განვითარების პრობლემებითა და პოტენციალით, რომლის ეფექტიანი გამოყენება შეიძლება საზღვრისპირა თანამშრომლობის განვითარების გზით;

[19] მთიანი რეგიონების განვითარების კანონი, რომელიც შეიცავს კონკრეტულ ქმედებებს ამ რეგიონების განვითარებისათვის მიღებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წელს.

- **დიდი ქალაქების ფუნქციური ზონები** (ძირითადად თბილისის, ასევე ქუთაისისა და ბათუმის ფუნქციური ზონები) საჭიროებენ სპეციფიურ ინსტრუმენტებს, რათა გადაიჭრას ისეთი პრობლემები, როგორიცაა ტრანსპორტის მოძრაობა, ენერგოეფექტურობა, ურბანული სიღარიბე, ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება მოსაზღვრე და მსგავსი გამოწვევების მქონე მუნიციპალიტეტებთან (სივრცითი გეგმარება, საერთო მაკოორდინირებელი მექანიზმები, ორგანიზებული სერვისები, მ.შ. აგლომერაციების საზოგადოებრივი სატრანსპორტო სერვისი);
- **ტერიტორიები, რომლებიც საჭიროებენ დამატებით მხარდაჭერას, რათა სრულად გამოიყენონ მიმდინარე ან დაგეგმილი სტრატეგიული ინვესტიციები.** უახლოეს წლებში, თბილისი-ქუთაისი-ბათუმის საავტომობილო გზის განვითარება, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება და ქუთაისში დაგეგმილი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ახალ შესაძლებლობებს მოუტანს არამარტო მთელს ქვეყანას, არამედ უშუალოდ იმ რეგიონებსაც, სადაც ეს ინვესტიციები ხორციელდება (შავი ზღვის რეგიონი და განვითარების დერეფანი საავტომობილო გზის გასწვრივ). აღნიშნული მოითხოვს რეგიონული პოლიტიკის მხრიდან სპეციფიურ ქმედებებს, რომელიც სხვა დანარჩენთან ერთად გვთავაზობს დარგობრივ პოლიტიკასთან კოორდინაციის გაძლიერებას, საწარმოებისა და ადგილობრივად არსებული კვლევების სტიმულირებას, მეორადი საგზაო ქსელისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებას, ადგილობრივი სამუშაო ძალის პროფილის ადაპტირებას.

დღესდღეობით, პოლიტიკის არსებული ინსტრუმენტები ნაკლებად შეიცავენ ამ ტიპის აქტივობებს. თუმცა, ადგილებზე მაინც არსებობს გარკვეული შეზღუდული საშუალებები, რომლებიც ხელს უწყობენ საზღვრისპირა თანამშრომლობას (ფინანსდება ევროკავშირის მიერ), შავი ზღვის რეგიონის მაკრო-ეკონომიკურ ურთიერთთანამშრომლობას, ასევე, ურთიერთთანამშრომლობას ქალაქებს შორის („მერები ეკონომიკური ზრდისთვის“), ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარებას (სპეციალური საგენტოები). დროთა განმავლობაში, უნდა შემუშავდეს ახალი სპეციფიური ინსტრუმენტები, განსაკუთრებით კი ისეთი საშუალებები, რაც ხელს შეუწყობს თბილისის ფუნქციურ ზონაში განვითარების სუბიექტებს შორის თანამშრომლობას, ასევე, - ეკონომიური და სოციალური გარიყულობის დაძლევას.

მოცემული პრიორიტეტის ქვეშ უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- **4.1.** რეგიონების განვითარების სტრატეგიების განხორციელების ხელშეწყობა: მცირე ზომის ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- **4.2.** სოფლის განვითარება;
- **4.3.** მაღალმთიანი რეგიონების განვითარება;
- **4.4.** ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა;
- **4.5.** ტრანსსასაზღვრო და მაკრო-რეგიონული თანამშრომლობა;
- **4.6.** საქართველოს ურბანული ტერიტორიების ფუნქციური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

VI.2.5. პრიორიტეტი 5. რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდა და საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამების მომზადება

ინსტიტუციების ხარისხი და ასევე მათ მიერ მოქალაქეებისა და მეწარმეებისათვის გაწეული მომსახურეობის ხარისხი ეკონომიკური და ტერიტორიული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სახელმწიფო ინსტიტუტების, ადგილობრივი ხელისუფლების, ისევე როგორც განვითარების სხვა პარტნიორების, მათ შორის - ბიზნესის, არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის უნარი, რეგიონული განვითარების პრობლემების მართვის ნებისმიერ ასპექტში (მათ შორის რეალისტური პროგრამების და ინსტრუმენტების შემუშავება, განხორციელების ქმედითი სისტემების შექმნა, ეფექტური მონიტორინგი და შეფასება საჯარო პოლიტიკის ხარისხის კონტროლისათვის) დიდწილად განაპირობებს რეგიონული პოლიტიკის ეფექტიანობას (ანუ თუ რამდენად შეძლებს რეგიონული პოლიტიკა შეესაბამებოდეს სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემულ საჭიროებებსა და პოტენციალს).

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მიხედვით, ინსტიტუციების გაძლიერება და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია მხარეებს შორის თანამშრომლობისათვის. რეგიონული განვითარების პოლიტიკის საჭიროებებთან დაკავშირებული დაგეგმილი ღონისძიებებია: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაძლებლობების გაზრდა, რათა მათ შეძლონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული საჯარო პოლიტიკის განხორციელება; საჯარო ფინანსების პოლიტიკის პროცესების შემდგომი გაუმჯობესება, ასევე, მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა და ხარისხი. 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელებამ გაზარდა საქართველოს სახელმწიფო მმართველობის შესაძლებლობები განვითარების ღონისძიებების შემუშავებისა და მონიტორინგის კუთხით. ასევე, აამაღლა საჯარო მოხელეთა ცნობიერება, ტერიტორიული მიდგომის მნიშვნელობის შესახებ. თუმცა, ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევების თანახმად[20], რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების ახალი ეტაპის ინიცირებისათვის და ევროკავშირის მიერ თანადაფინანსებული რეგიონების განვითარების პროგრამების განხორციელებისთვის, საჭიროა უახლოეს წლებში განხორციელდეს რამოდენიმე კარგად კოორდინირებული აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავს:

- ინსტიტუციური შესაძლებლობების ამაღლებას ეროვნულ დონეზე, რათა ხელი შეეწყოს თანამედროვე რეგიონული განვითარების პოლიტიკის (მათ შორის, ამ პროგრამის) განხორციელებას, განსაკუთრებით ისეთ კომპონენტებთან მიმართებით როგორიცაა ტერიტორიულად ორიენტირებული საჯარო ინტერვენციის კოორდინაცია, პროგრამირება, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება;
- ტერიტორიული მონაცემების ხარისხის გაუმჯობესებას და მათზე ხელმისაწვდომობის ზრდას სხვადასხვა დონეზე (ცენტრალური, ადგილობრივი, რეგიონული/ფუნქციონალური), თანამედროვე რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით ინსტიტუციების ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარებას;
- რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელებისთვის ადგილობრივი ინსტიტუციების შესაძლებლობების განვითარებას და რეგიონული პოლიტიკის არასამთავრობო დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობის ხელშეწყობას;
- რეგიონული განვითარების პოლიტიკის ისეთი ახალი ინსტრუმენტების დანერგვას (ან არსებულის გაუმჯობესებას), რომელიც ერგება კონკრეტული ტერიტორიების განვითარების საჭიროებებსა და პოტენციალს; მათ შორის, საპილოტე რეგიონული განვითარების ინტეგრირებული პროგრამ(ებ)ის მომზადებასა და განხორციელებას.

რეგიონული განვითარების პროგრამის მოცემული პრიორიტეტი მიზნად ისახავს კომპლექსური სისტემის ორგანიზების ხელშეწყობას რეგიონული განვითარების ინსტიტუტების გაძლიერებისათვის, რათა მათ შეძლონ გაუმკლავდნენ რეგიონული განვითარების კომპლექსურ საკითხებს და ეფექტურად გამოიყენონ შერჩეულ რეგიონებში არსებული და პოტენციური დაფინანსების წყაროები, მათ შორის, ევროკავშირის დაფინანსება. გრძელვადიან პერსპექტივაში, პრიორიტეტის განხორციელების სავარაუდო შედეგს წარმოადგენს ისეთი ინსტიტუციური სისტემის ამოქმედება, რომელიც მზად იქნება მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის ტიპის რეგიონული განვითარების პოლიტიკაში.

ამ პრიორიტეტის ქვეშ საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- **5.1.** რეგიონული განვითარების ინსტიტუციების შესაძლებლობათა გაძლიერება ცენტრალურ დონეზე;
- **5.2.** ანალიტიკური ბაზის გაძლიერება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელებისათვის;
- **5.3.** ადგილობრივი ხელისუფლებების აქტიური ჩართულობა და პარტნიორობისა და განვითარების პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- **5.4.** რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავება: რეგიონული განვითარების პროგრამ(ებ)ის მომზადება საპილოტე რეგიონებისთვის.

[20] იხილეთ ტექნიკური დახმარების პროექტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები: „რეგიონული განვითარების პოლიტიკის კოორდინაციის სისტემა საქართველოში“ (სამუშაო ვერსია) და „უწყებების ფუნქციები რეგიონული განვითარების კუთხით“

VII. პროგრამის ღონისძიებები და ინსტრუმენტები

შენიშვნა; ქვემოთ აღწერილი თითოეული პრიორიტეტის ქვეშ განსახორციელებელი ღონისძიებები, შესაბამისი აქტივობები და ბიუჯეტები, ძირითადად, საორიენტაციოა და დამოკიდებულია რესურსების არსებობასა და შესაბამისი უწყებების მიერ განხორციელებულ ცვლილებებზე. ინდიკატური ბიუჯეტები, ასევე, მყისიერი და საბოლოო შედეგების ინდიკატორები შესაძლოა დაექვემდებარონ კორექტივებს მიმდინარე წლის და ყოველი შემდგომი წლის ბოლოს, საქართველოში არსებული საბიუჯეტო ციკლის, ამ პროგრამის დამტკიცების პერიოდისა და პროგრამის მონიტორინგის გეგმის გათვალისწინებით. ინდიკატური ბიუჯეტები მოცემულია დეტალურ ფინანსურ გეგმაში (იხ. დანართი 4).

VII.1. პრიორიტეტი 1 - ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

VII.1.1. ღონისძიება 1.1. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება

საქართველოში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვა, თითქმის მთლიანად, საავტომობილო გზებზე ხორციელდება. ხარისხიანი გზები ხელს უწყობს ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების მობილურობის ზრდას და მათ შორის კავშირს. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვანია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის სრულყოფა და განვითარება, მათ შორის, საავტომობილო გზის ზედაპირის რეაბილიტაცია და ახალი ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა. ამ ღონისძიების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე სატვირთო ტრანსპორტის მოცულობის ზრდას, მოსახლეობის მობილურობის და სამეწარმეო შესაძლებლობების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ფინანსური თვალსაზრისით მომავალ წლებში საჯარო ფინანსები კონცენტრირებული იქნება:

- აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დარჩენილი მონაკვეთების დასრულებაზე, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო სატრანზიტო ტვირთბრუნვის ზრდას და საქართველოს დიდ ქალაქებს შორის ფუნქციური ურთიერთობების გაძლიერებას. რიკოთის გვირაბის მოდერნიზაცია და ხიდების მშენებლობა ქ. ფოთში, მდინარე რიონზე და მდინარე დებედაზე;
- გაუმჯობესებულ წვდომაზე ბათუმის, ფოთისა და ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტებთან, რაც დადებითად აისახება მთლიანად შავი ზღვის რეგიონის განვითარების პერსპექტივებზე;
- სომხეთის რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრამდე მიმავალი საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე.

ღონისძიების ბენეფიციარები, ფართო გაგებით, იქნებიან იმ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა და არსებული საწარმოები, სადაც პროექტები განხორციელდება, ასევე, სატრანსპორტო და ლოგისტიკური კომპანიები და ტურისტები.

მიზანი

- პირობებისა და საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება საქონლის ტრანსპორტირების მოცულობის, მოსახლეობისა და ტურისტების მობილურობის ზრდისთვის.

აქტივობები

- E60 და E70 საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორებისა და სხვა ჩქაროსნული ავტომაგისტრალების განვითარება საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოდერნიზაციით;
- არსებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის სრულყოფა და განვითარება;
- ხიდების მშენებლობა და რეაბილიტაცია.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 7.3 მილიარდ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- აშენებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სიგრძე (კმ);
- რეაბილიტირებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სიგრძე (კმ);
- რეაბილიტირებული და აშენებული ხიდების რაოდენობა.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო საშუალებების მგზავრობისა და ტვირთების გადაზიდვის შემცირებული დრო;
- შემცირებული საგზაო შემთხვევების რაოდენობა.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

VII.1.2. ღონისძიება 1.2. საავტომობილო გზების გარდა, სხვა სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება

გარდა საავტომობილო გზებისა, საქართველოში, სხვა სტრატეგიულ სატრანსპორტო სექტორებს სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი წარმოადგენს . ამორტიზებულ ინფრასტრუქტურასა და დაბალ სატრანზიტო შესაძლებლობებთან დაკავშირებული პრობლემები აფერხებს ამ სექტორებს დააკმაყოფილოს სწრაფად განვითარებადი გლობალური ვაჭრობის მოთხოვნები.

რკინიგზა

2017 წელს ბაქო-თბილისი-ყარსის ახალ დამაკავშირებელ სარკინიგზო ხაზზე დასრულებულია ძირითადი სამუშაოები და დაწყებულია საპილოტო გადაზიდვების განხორციელება (დღეისათვის შესრულებულია სამუშაოების 74.5%). მშენებლობის დასრულება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გაძლიერებისთვის. აღნიშნული ხაზის სამშენებლო სამუშაოები 2008 წელს დაიწყო და მოიცავდა მარაბდა-კარწახის 180კმ სიგრძის სარკინიგზო უბნის რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და მშენებლობას, რომელიც შედგება: მარაბდა-ახალქალაქის სარეკონსტრუქციო სარეაბილიტაციო უბნისგან - საექსპლუატაციო სიგრძით 153 კმ და ახალქალაქი-კარწახი (თურქეთის საზღვარი) - 27კმ სიგრძის ახალი სამშენებლო უბნისგან. პროექტის მიზანია აზია-ევროპის სარკინიგზო დერეფნის განვითარება და იგი ითვალისწინებს როგორც სატვირთო გადაზიდვებს, ასევე მგზავრთა გადაყვანას.

მომდევნო წლებში ინვესტიციები მობილიზებული იქნება ერთის მხრივ, არსებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და ახლის მშენებლობაზე, ხოლო მეორეს მხრივ, ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან მისასვლელი სარკინიგზო ხაზის მშენებლობაზე.

აეროპორტები

საქართველოში 3 საერთაშორისო აეროპორტია: ქალაქ თბილისში, ქალაქ ქუთაისსა და ქალაქ ბათუმში, ხოლო ადგილობრივი აეროპორტებია - მესტიასა და ამბროლაურში, აგრეთვე თელავსა და ნატახტარში. საჰაერო გადაყვანა ქვეყანაში, ბოლო წლების მანძილზე, ყველა აეროპორტში თანდათანობით გაიზარდა. თბილისის აეროპორტი, წარმოადგენს რა ქვეყნის დედაქალაქში არსებულ ერთადერთ საერთაშორისო აეროპორტს და ამავე დროს, ქვეყნის ყველაზე დიდი აეროპორტია, ძირითადად, იზიდავს იმ ავიაკომპანიებს, რომლებიც ქვეყნის მთავარ აეროპორტში ავიარეისების შესრულებით არიან დაინტერესებულნი. 2017 წელს თბილისის აეროპორტის შენობას ახალი ტერმინალი დაემატა. ასევე, განხორციელდა საერომდრომო ინფრასტრუქტურის გაფართოება და რეაბილიტაცია და ასაფრენი ზოლის მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები. ქუთაისის აეროპორტი, ძირითადად, დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების მოზიდვაზეა ორიენტირებული და როგორც შემომსვლელი, ისე გამსვლელი ტურისტული ნაკადისათვის ხელმისაწვდომი სატრანსპორტო ჰაბის სახით ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.

აეროპორტი მომხმარებელს იაფ ავიარეისებს სთავაზობს, რაც ზრდის მოთხოვნას მომსახურების გაფართოებაზე. 2016-17 წლებში განხორციელდა სააეროდრომო ინფრასტრუქტურის გაფართოების სამშენებლო სამუშაოები - გასამმაგდა საჰაერო ხომალდების სადგომების ოდენობა, აშენდა სადგომებისა და ასაფრენი ზოლის დამაკავშირებელი, საჰაერო ხომალდების სამიმოსვლო მეორე ბილიკი (taxiway), აშენდა რამდენიმე ადმინისტრაციული და ტექნიკური დანიშნულების შენობა. უახლოეს წლებში ინვესტიცია ქუთაისში სამგზავრო ტერმინალის გაფართოებისკენ იქნება მიმართული, რომლის სამშენებლო სამუშაოებიც უკვე დაწყებულია 2017 წლის სექტემბრიდან. ბათუმის აეროპორტი, ძირითადად, საკურორტო სეზონურ ფრენებზეა ორიენტირებული, ხოლო მესტიისა და ამბროლაურის ადგილობრივი აეროპორტები (სადაც ნატახტარის აეროდრომიდან დაფრინავენ), მაღალმთიან რეგიონებში მდებარეობენ და შიდა საავიაციო მიმოსვლას უწყობენ ხელს როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე მზარდი ტურისტული ნაკადისათვის.

საზღვაო პორტები

გლობალური ვაჭრობის ზრდის შედეგად, იზრდება ინტერესი საქართველოს ზღვის პორტების გაფართოების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობით საზღვაო პორტების არსებულ ქსელს ქალაქ ბათუმსა და ქალაქ ფოთში კიდევ ერთი პორტი შეემატება.

ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს გააჩნია ძალზედ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები დიდი მოცულობის გემების მისაღებად. პორტი დაკავშირებული იქნება არსებულ სარკინიგზო და საგზაო ინფრასტრუქტურასთან და მომავალში ის რეგიონის კონკურენტ პორტებს ჩაანაცვლებს. იგი აღჭურვილი იქნება მაღალი დონის ტექნიკითა და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურით, ნავმისადგომზე შესაძლებელი იქნება 65,000 TEU მოცულობის გემების მიღება, შესაძლებელი გახდება ერთდროულად სხვადასხვა ტიპის ტვირთებისა და დიდი ზომის გემების შემოსვლა, აგრეთვე, გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვა.

2016 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს მთავრობასა და ანაკლიის განვითარების კონსორციუმს (ADC) შორის ხელი მოეწერა საინვესტიციო ხელშეკრულებას, რომელიც ანაკლიის ღრმაწყლოვანი შავი ზღვის პორტის მშენებლობას და ოპერირებასა და სახელმწიფოსთვის გადმოცემას უკავშირდება. ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური აშენდება რამდენიმე ეტაპად, პროექტი მოიცავს 9 ფაზას. ამჟამად, წინასამშენებლო ფაზის სამუშაოები (ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, დეტალური დიზაინი, სასესხო ხელშეკრულებები და ა.შ) სრულდება და 2017 წლის დეკემბერში დაიწყო და მიმდინარეობს სამშენებლო (მოსამზადებელი რიგის) სამუშაოები.

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში დასაქმებულთა უდიდესი წილი თბილისზე მოდის (იხ. მოკლე შინაარსი) სატრანსპორტო სექტორის განვითარება მნიშვნელოვან სამუშაო ადგილებს შექმნის რეგიონების მოსახლეობისთვის.

ლოგისტიკური ცენტრები

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, რომელიც მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, მომზადდა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება საქართველოში ორი თანამედროვე ლოგისტიკური ცენტრის განვითარების მიზნით. დოკუმენტი ცნობილმა გერმანულმა კომპანია Dornier Consulting International-მა მოამზადა. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტის შესაბამისად, შეირჩა 2 საუკეთესო ლოკაცია - აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის ლოგისტიკური ცენტრი) და დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის აეროპორტის მიმდებარედ (ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრი). ასევე, მომზადდა თითოეული ლოგისტიკის ცენტრის კონცეპტუალური დიზაინი, ბიზნესმოდელი, გაკეთდა ბაზრის ანალიზი და სოციალური და გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

თბილისის ლოგისტიკური ცენტრის ჯამური ღირებულება შეადგენს 80.3 მილიონ აშშ დოლარს (პირველი ფაზის ღირებულება 60.7 მილიონი), ხოლო ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრის ჯამური ღირებულება - 72.5 მილიონს (პირველი ფაზა - 27.1 მილიონი). ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტის შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, საქართველოს მთავრობის სახელით, გამოაცხადა ინტერესთა გამოხატვა ლოგისტიკური ცენტრების განვითარების მიზნით. ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა ცალკე თბილისის ლოგისტიკური ცენტრისა და ცალკე ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრის განვითარების მიზნით. შესარჩევი პროცესი წარიმართება რამდენიმე ფაზად, კერძოდ: პირველ ეტაპზე, დაინტერესებული პირები წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტაციას, მათ შორის, ინფორმაციას კომპანიაზე, მის გამოცდილებაზე, ფინანსურ რესურსზე და მიმდინარე დავებზე. მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაში, სამთავრობო კომისიის მიერ მოხდება რამდენიმე საუკეთესო კანდიდატის შერჩევა, რომელთაც მომდევნო ფაზაზე წარედგინებათ მოთხოვნა წინადადებათა წარმოდგენის შესახებ (RFP). აღნიშნული წინადადებები უნდა მოიცავდეს სრულ ტექნიკურ და კომერციულ წინადადებებს ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობის, ოპერირებისა და ფინანსების მოზიდვის თაობაზე.

ლოგისტიკური ცენტრების განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოში ლოგისტიკური მომსახურების, მათ შორის დამატებითი ღირებულების სერვისების განვითარებას, გაზრდის ქვეყნის სატრანზიტო და ლოგისტიკურ პოტენციალს, ასევე, წაახალისებს ექსპორტს. ამასთან, ორივე ლოგისტიკურ ცენტრში ჯამურად შეიქმნება 800-ზე მეტი პირდაპირი ახალი სამუშაო ადგილი და ქვეყანა დამატებით მიიღებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.

ინტერესთა გამოხატვის ვადა დასრულდა 2018 წლის 29 იანვარს. თბილისის ლოგისტიკური ცენტრის მიმართ ინტერესი გამოხატა 5-მა კომპანიამ, ქუთაისის ლოგისტიკურ ცენტრზე შემოვიდა 3 განაცხადი.

მიზანი

- ინტერმოდალური სატრანსპორტო, სამგზავრო და ლოგისტიკური შესაძლებლობების გაძლიერება.

აქტივობები

- არსებული რკინიგზის მოდერნიზაცია (მ.შ. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სადგურებისა და დეპოების ოპტიმიზაცია, სატვირთო და სამგზავრო მატარებლების ოპტიმიზაცია და ახალი მატარებლების შეძენა);
- ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარების ხელშეწყობა; ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზისა და რკინიგზის მშენებლობა;
- აეროპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტთან (კოპიტნარი) სატრანსპორტო კვანძის ჩამოყალიბება;
- თბილისისა და ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრების განვითარება.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 732 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- მოდერნიზებული/გაფართოებული და აშენებული რკინიგზის სიგრძე (კმ-ის რაოდენობა);
- შეძენილი ახალი ვაგონების რაოდენობა;
- მოდერნიზებული/აშენებული სადგურების და დეპოების რაოდენობა;
- დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის აეროპორტის მიმდებარედ მოწყობილი სარკინიგზო სადგური;
- გაფართოებული აეროპორტის ტერმინალები ($მ^2$);
- თბილისისა და ქუთაისის (ახალი) ლოგისტიკური ცენტრები ($მ^2$).

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- თბილისსა და ბათუმს შორის რკინიგზით მგზავრობის დრო;
- თბილისისა და ქუთაისის აეროპორტებში მგზავრთა რაოდენობა;
- სატრანზიტო ტვირთის მოცულობა (საჰაერო, სარკინიგზო, საზღვაო, საავტომობილო).

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება, სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური, სს „საქართველოს რკინიგზა“, შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“, შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“, სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო, საავტომობილო გზების დეპარტამენტი / საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

VII.1.3. ღონისძიება 1.3. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარება

თანამედროვე სამყაროში, მათ შორის, საქართველოში ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებას ადამიანის ფუნდამენტურ სხვა უფლებებთან ერთად. ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული ციფრული უთანაბრობის დაძლევა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ზრდა წარმოადგენს ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების აუცილებელ პირობას. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი მნიშვნელოვან ბიძგს აძლევს მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს განვითარდეს უფრო სწრაფი ტემპებით, გაზარდოს საკუთარი კონკურენტუნარიანობა როგორც ადგილობრივ, ასევე, გლობალურ ბაზრებზე. ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე ხელმისაწვდომობას

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიული ინსტიტუციების გაძლიერების, კერძო და საჯარო მომსახურებების მიღების, ცოდნის გაღრმავებისა და სხვა მიმართულებებით.

მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის შესაძლებლობების და პოტენციალის განვითარების მიზნით, როგორც კერძო, ასევე საჯარო ორგანოები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აშენებენ ქსელებს ინტერნეტის, როგორც ამჟამინდელი, ასევე მომავლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების მანძილზე, სფეროში გატარებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, ეს მაჩვენებელი 71.5% შეადგენს (2017 წლის ივლისი), რაც ახლოსაა ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან (79%). თუმცა, ამ თვალსაზრისით, პროცენტულად მნიშვნელოვანი განსხვავებებია - 81,8% ქალაქად და მხოლოდ 56,5% სოფლად. რაც შეეხება რეგიონულ განზომილებას, ინტერნეტის მაღალი ხელმისაწვდომობა ფიქსირდება თბილისსა და აჭარაში (დაახლოებით 85%), ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი კახეთსა და გურიაში (60%-ზე ნაკლები). ინტერნეტის ხელმისაწვდომობა გავლენას ახდენს მოსახლეობისა და კომპანიების მიერ ინტერნეტით სარგებლობაზე. საქართველოში 6 წლის და უფროსი ასაკის ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად დაბალია (59,6%), ვიდრე ევროკავშირის (77,9%), დსთ-სა და მეზობელ ქვეყნებში. ინტერნეტის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ანალოგიურად დიდი რეგიონული განსხვავებები არსებობს შინამეურნეობების მიხედვითაც.

აღნიშნული გარემოებების, მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვისა და დიდ ურბანულ ცენტრებს გარეთ მსყიდველუნარიანობის დაბალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, ძალზედ მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიზნობრივი პროექტებისა და ინვესტიციების განხორციელება ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის, რაც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ბიზნესის განვითარებისა და სამუშაო ადგილების შესაძლებლობების განვითარებისთვის, განსაკუთრებით კი საქართველოს პერიფერიებზე. უახლოეს წლებში, ძალისხმევა მიმართული იქნება მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის ქსელის გაფართოებაზე მსოფლიო ბანკის სესხით განხორციელებული საინვესტიციო გეგმის ფარგლებში, რაც მოსახლეობის ციფრული და ელექტრონული წიგნიერების გაზრდას და მათთვის მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომას ითვალისწინებს. ამასთან, იგეგმება შემდეგი ინიციატივების განხორციელებაც:

- მსოფლიო ბანკის სესხით განხორციელებული საინვესტიციო გეგმა, მოსახლეობის ციფრული და ელექტრონული წიგნიერების გაზრდას და მათთვის მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომას ითვალისწინებს (ვაუჩერიზაციის პროგრამა).

- „ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის (HDM)“ ევროკომისიის პროექტის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს „ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიის“ შემუშავება, რომელიც საქართველოში ციფრული უთანაბრობის დაძლევის მიზნით ორიენტირებული იქნება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისი პოლიტიკის და რეგულირების გატარების საკითხებზე.

- ქვეყანაში ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრის და ფართოზოლოვანი ქსელების და მომსახურებების განვითარების ხელშესაწყობად, შემუშავდება შესაბამისი რეგულაციები. ეს შესაძლებლობას შექმნის გამარტივებულ იქნეს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის დაშვება ელექტრონული საკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოსადეგ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე (ხაზები, მილები, კაბელები, კანალიზაცია, კოლექტორები, ჭები, ანძები, შენობები, შენობის შემყვანები, შენობის საინჟინრო სისტემები, სადისტრიბუციო კარადები და სხვა). ასევე, შესაძლებლობას მისცემს სატელეკომუნიკაციო ოპერატორებს ნაკლები ფინანსური დანახარჯებით გააფართოვონ საკუთარი ქსელები, გამარტივებულად მიიღონ ინფორმაცია საკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოსადეგი ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ და სხვა.

- ფართოზოლოვანი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ეტაპობრივი განხორციელება, რაც ემსახურება ქვეყნის მასშტაბით ფართოზოლოვან სერვისებსა და მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან წვდომის ხელშეწყობას. ეს იგეგმება ერთი მხრივ, დარგში მოღვაწე კომპანიების წახალისებით, ხოლო მეორე მხრივ ინვესტირებით იქ, სადაც საბაზრო მექანიზმები არ უზრუნველყოფენ შესაბამისი მიზნის მიღწევას. შედეგად, ქვეყანა დაიფარება ოპტიკური მაგისტრალებით, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ოპერატორების მიერ საცალო ქსელის განვითარებას და ინტერნეტის აბონენტებამდე მიყვანას. საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა კი ისარგებლებს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით და ისეთი პროგრამებით და სერვისებით, როგორიცაა: ელექტრონული ჯანდაცვა, ელექტრონული განათლება, ელექტრონული მმართველობა, კომერცია და სხვა. ეს კიდევ უფრო გაზრდის მოქალაქეების ჩართულობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამასთანავე, ხელი შეეწყობა სატელეკომუნიკაციო სფეროში თავისუფალ სამეწარმეო საქმიანობას, კონკურენციის განვითარებას და კერძო ინვესტიციების მოზიდვას.

მიზანი

- ციფრული უთანასწორობის დაძლევა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომისა და მისი გამოყენების ზრდა მოსახლეობისა და სამეწარმეო სუბიექტების მიერ.

ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან რეგიონების შინამეურნეობები და სამეწარმეო სუბიქტები.

აქტივობები

- ინტერნეტი განვითარებისთვის - ციფრული წიგნიერების ტრენინგის ჩატარება საქართველოს რეგიონებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი 60 ათასი ოჯახისთვის და ტრენინგის წარმატებით გავლის შემთხვევაში, მათი ინტერნეტში ჩართვის საფასურის ანაზღაურება ვაუჩერის მეშვეობით (150 ლარიანი ვაუჩერი); აგრეთვე, საქართველოს რეგიონებში მოქმედი 10 ათასი მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ტრენინგი ელექტრონულ კომერციაში, ელექტრონულ ბიზნესში და ელექტრონულ მმართველობაში. ტრენინგის წარმატებით გავლის შემთხვევაში 10 000 საწარმოს ინტერნეტში ჩართვა/ინტერნეტის სიჩქარის გაზრდა ვაუჩერის მეშვეობით (200 ლარიანი ვაუჩერი);
- ფართოზოლოვანი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც კერძო ოპერატორი არ ოპერირებს უწყვეტი მაგისტრალური ოპტიკური ინფრასტრუქტურით ან არ აპირებს ასეთის მშენებლობას უახლოესი 3 წლის განმავლობაში, მათ შორის: ინფრასტრუქტურის პროექტირება და მშენებლობა; ქსელის დაგეგმარება და მოწყობა; ინფრასტრუქტურისა და ქსელის მომსახურება; საბითუმო ფართოზოლოვანი მომსახურების მიწოდება;
- ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების მიზნით, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ კანონპროექტის შემუშავება (მსოფლიო ბანკის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში);
- საქართველოს „ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიის“ და ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების მიზნით ინფრასტრუქტურის გაზიარების რეგულაციების პროექტების შემუშავება.

ბიუჯეტი

ღონისძიების მთლიანი სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 166 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების მიზნით, შემუშავებულია სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ კანონპროექტი;
- შემუშავებულია საქართველოს „ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიის“ და ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების მიზნით ინფრასტრუქტურის გაზიარების რეგულაციების პროექტები;
- ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;
- შინამეურნეობების რაოდენობა, რომელთაც ინტერნეტის მონტაჟის ვაუჩერი მიიღეს;
- მცირე მეწარმეთა რაოდენობა, რომელთაც ინტერნეტის ვაუჩერები მიიღეს;
- პირველ ეტაპზე, ტექნიკური და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, პასიური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა დაგეგმილია ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის, ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის, სამტრედია-ჩოხტაური-ოზურგეთისა და ქუთაისი-ცაგერი-ლენტეხის მიმართულებით.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- მოსახლეობის წილი რეგიონებში, რომელთაც აქვთ წვდომა ინტერნეტზე;
- სამეწარმეო სუბიექტების წილი რეგიონებში, რომელთაც აქვთ წვდომა ინტერნეტზე.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო; ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი“; საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; სხვადასხვა დონორები/პარტნიორები (მ.შ. საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“); ევროკავშირის პროექტი ციფრული ბაზრების განვითარება; მსოფლიო ბანკი.

VII.1.4. ღონისძიება 1.4. ენერგო-ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალის გაფართოება

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მდიდარია ჰიდრო რესურსებით და აწარმოებს ელექტროენერგიის ექსპორტს, ქვეყნის ენერგეტიკული სექტორი კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. ამორტიზირებული ინფრასტრუქტურის გამო, ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხი თბილისის ფარგლებს გარეთ ბევრ ლოკაციაზე დაბალია. საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო გაზსადენის პროექტში, თუმცა ქვეყნის მოსახლეობის გაზიფიკაცია, განსაკუთრებით სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში, ჯერ კიდევ არ არის სრულად განხორციელებული. ამავდროულად, საქართველოს ბუნებრივი რესურსები ხელს უწყობს ქვეყანაში ჰიდრო, მზის, ბიომასის და ქარის ელექტროსადგურების განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

მომდევნო წლებში საჯარო ფინანსები კონცენტრირებული იქნება ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ქსელის გაფართოებასა და მოდერნიზაციაზე იმ რეგიონებში, სადაც ენერგეტიკის ამ ქსელებზე მოსახლეობას დაბალი წვდომა აქვთ. ასევე, ხელს შეუწყობს კერძო კომპანიების ინვესტირებას განახლებად ბუნებრივ რესურსებში (ჰიდრო, მზის, ქარის, ბიომასის).

მიზანი

- შერჩეულ რეგიონებში მოსახლეობისთვის ელექტროენერგიისა და გაზის მიწოდების გაუმჯობესება

ღონისძიება განხორციელდება ქვეყანის რამდენიმე ადგილას (იხ. ქვემოთ).

ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან იმ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა და განთავსებული ბიზნესები, სადაც პროექტები განხორციელდება.

აქტივობები

ღონისძიება შემდეგი აქტივობებით განხორციელდება:

- მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება;
- ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EU);
- სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (რომელიც მოიცავს ახალციხე-ბათუმის ხაზის მშენებლობას (ADB, IBRD, WB), ჯვარი-ხორგას ქსელის მშენებლობას, ქსანი-სტეფანწმინდის გადამცემი ხაზის მშენებლობა, საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების შეფასება და სხვა);
- კერძო კომპანიების მიერ განახლებადი ენერგიის წყაროებში ინვესტირების ხელშეწყობა (მგფ).

ბიუჯეტი

ღონისძიების მთლიანი სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 256 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- დამონტაჟებული ახალი გაზსადენის სიგრძე (კმ);
- გაზის ქსელზე მიერთებული დამატებითი მომხმარებლების რაოდენობა;
- ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებიც იღებენ გაზის მოხმარების სუბსიდიებს;
- აშენებული ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძე (კმ);
- ჯვარში აშენებული ჰიდროელექტრო ქვე-სადგური.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- გაზმომარაგების სისტემაზე მიერთებულ შინამეურნეობათა წილი;
- ახალი/რეაბილიტირებული ჰიდროელექტრო სადგურების საშუალო წლიური გამომუშავება.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სს საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა.

VII.1.5. ღონისძიება 1.5. ბუნებრივი კატასტროფებისგან დამცავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ბუნებრივი კატასტროფები ერთ-ერთი საფრთხეა, რომელიც გავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხსა და ბიზნეს აქტივობების განხორციელების შესაძლებლობებზე. გამოვლენილ საფრთხეებს

შორის შედის წყალდიდობა და წყალმოვარდნები, ხშირი გვალვები, მეწყერი და ქარიშხალი მეწყრები იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, აჭარის, გურიის რეგიონებში. ღვარცოფები ხშირია მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, კახეთის, ზემო სვანეთის რეგიონებში. აჭარის, იმერეთის, გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში ეკომიგრანტების დიდი რაოდენობა აღინიშნება, რომლებიც ისეთი სტიქიური უბედურებისგან დაზარალდნენ, როგორიცაა მეწყერი, ღვარცოფი, ძლიერი ნალექი, თოვლის ზვავი, ქვათაცვენა და ა.შ. ღონისძიება მიზნად ისახავს სტიქიური უბედურების შედეგების წინააღმდეგ რეგიონებისა და მოსახლეობის დაცვის მიზნით ინფრასტრუქტურის მშენებლობას და მოვლა-პატრონობას. განხორციელდება აქტივობები საქართველოს ტერიტორიაზე, მიმდინარე და მოსალოდნელი ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების და გეოლოგიური სიტუაციის ობიექტურად შეფასების მიზნით, რათა გაიზარდოს ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების სიზუსტე და მოსალოდნელი ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეების შესახებ შეტყობინების ეფექტიანობა.

ღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად, მოხდება მდინარის ნაპირების ეროზიის შეკავება და სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაცია, მათ შორის გზების დაზიანებული ნაწილის აღდგენა და მასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა.

მიზანი

- რეგიონებისა და მოსახლეობის დაცვა ბუნებრივი კატასტროფების შედეგებისგან.

ღონისძიება განხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან იმ რეგიონის მცხოვრებლები და მეწარმეები, სადაც პროექტები განხორციელდება.

აქტივობები

ღონისძიება შემდეგი აქტივობებით განხორციელდება:

- ზღვის და მდინარეების სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- ბუნებრივი კატასტროფების წინააღმდეგ ინფრასტრუქტურის აშენება/მოწყობა;
- გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია;
- ეკომიგრანტებისთვის გრძელვადიანი საცხოვრისის უზრუნველყოფა.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 521 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- დაცული სანაპირო ზოლის სიგრძე (კმ);
- ბუნებრივი კატასტროფებისგან დასაცავად აშენებული და მოწყობილი ნაგებობების რაოდენობა (გარდა მონიტორინგის სადგურებისა);
- შექმნილი ჰიდრომეტეოროლოგიური, რადარული და აეროლოგიური სადგურების რაოდენობა.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- ნაპირსამაგრი სამუშაოების შედეგად 2 კმ ბუფერული ზონების გასწვრივ კატასტროფისგან დაცული მოსახლეობის ჯამური რაოდენობა;
- კატასტროფების პრევენციის გეგმის მქონე მუნიციპალიტეტების წილი;
- ამინდის და ჰიდროლოგიური მაღალგამართლებადი პროგნოზები. მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ გაცემული გაფრთხილებების გაზრდილი ეფექტურობა.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი; სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

VII.1.6. ღონისძიება 1.6. წყალმომარაგების, წყალარინების და ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება

მოსახლეობის მზარდი მოთხოვნისა და ტურისტების გაზრდილი რაოდენობიდან გამომდინარე, საქართველოს ბევრ რეგიონში წყალმომარაგებაზე დიდი მოთხოვნა შეინიშნება, განსაკუთრებით კი კახეთის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონებში. შავ ზღვაზე უარყოფითი გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, რომელსაც ამ რეგიონის უმეტესი ქალაქები წყალარინების სისტემებით უკავშირდება, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა დაფინანსდა. წყალარინების სისტემების ძირითადი მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები მოიცავს: წყალმომარაგების ახალ ინფრასტრუქტურას ქალაქ ქუთაისში, ქალაქ ჭიათურაში, ქალაქ ზუგდიდში, ქალაქ ფოთში, ქალაქ აბაშაში, ქალაქ ჯვარსა და დაბა ურეკში, ასევე, სანიტარულ ინფრასტრუქტურას ქალაქ ფოთში, ქალაქ ზუგდიდსა და დაბა ურეკში. გარდა ამისა, სოფელ ანაკლიასა და დაბა ურეკში მიმდინარეობს, ხოლო ქ. ქუთაისში, ქალაქ ზუგდიდში, ქალაქ ფოთში, დაბა გუდაურში, ქალაქ ჭიათურაში, ქალაქ მარნეულსა და დაბა მესტიაში დაგეგმილია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, მყარი ნარჩენების მართვის სისტემა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა: რეაბილიტირებულ იქნა 31 მუნიციპალური ნაგავსაყრელი, დახურულ იქნა 23 ნაგავსაყრელი, მოწყობილ იქნა 5 გადამტვირთი სადგური. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად შეამცირა მავნე ზეგავლენა გარემოზე და მოსახლეობაზე. სამომავლოდ, 2023 წლამდე დაგეგმილია არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელების დახურვა და პარალელურად, ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელების აშენება.

მიუხედავად ამისა, უმეტეს რეგიონში, არა მარტო სოფლად, არამედ ზოგიერთ დიდ ქალაქში, ნაგავსაყრელების პირობები კვლავ არასახარბიელოა და ნარჩენების მართვის პროცესი არაეფექტურია, განსაკუთრებით კი არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელების შემთხვევაში. როგორც წესი, ნარჩენები მდინარისა და ხევების მიდამოებში იყრება; მსგავსი პრაქტიკა ბევრ სოფელში ფიქსირდება. აღნიშნული უარყოფითად აისახება გარემოსა და მოქალაქეების ჯანმრთელობაზე, ქმნის ცხოვრების, დასვენებისა და რეგიონების ტურისტული პოტენციალის ექსპლუატაციისთვის არახელსაყრელ პირობებს.

ამ ღონისძიების მოსალოდნელი შედეგია ნაგავსაყრელების უარყოფითი ზემოქმედების შემცირება გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ასევე, ნარჩენების მართვის სისტემისა და ინფრასტრუქტურის გაფართოება, რაც საერთაშორისო სტანდარტებს და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას უზრუნველყოფს.

ზემოაღნიშნული გავლენას მოახდენს ბიზნესის შესაძლებლობების გაფართოებაზე, განსაკუთრებით კი, ტურიზმის განვითარებაზე რეგიონებში.

მიზანი

- მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება ხარისხიანი სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდების და ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით.

ღონისძიება განხორციელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, თბილისის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა.

ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან მუნიციპალიტეტები, იმ რეგიონის მოსახლეობა და მეწარმეები, სადაც პროექტები განხორციელდება, ასევე, ამ რეგიონის ვიზიტორები.

აქტივობები

ღონისძიება შემდეგი აქტივობებით განხორციელდება:

- წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მოდერნიზაცია და განვითარება, მათ შორის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- მყარი ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება (ძველი ნაგავსაყრელების დახურვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა).

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 841 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- განხორციელებული წყალმომარაგების პროექტების რაოდენობა;
- განხორციელებული წყალარინების პროექტების რაოდენობა;
- წყალმომარაგების სისტემებზე მიერთებული აბონენტების რაოდენობა;

- დახურული ნაგავსაყრელების რაოდენობა;
- აშენებული ახალი ნაგავსაყრელების რაოდენობა.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- მოსახლეობის წილი, რომელთაც სასმელი წყალი უწყვეტად მიეწოდება;
- ნაგავსაყრელის წილი, ნეგატიური ზემოქმედების შემცირებული რისკით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი და მუნიციპალიტეტები.

VII.1.7. ღონისძიება 1.7. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია

ქართული კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიოში მაღალი ცნობადობით გამოირჩევა. მუზეუმებისა და კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალური და არამატერიალური) ძეგლების, როგორც ტურისტული და ხანგრძლივი სასწავლო ცენტრების მიმართ თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მდგრადი გამოყენებით მნიშვნელოვანი სარგებლის მიღების პოტენციალი აქვს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და მუზეუმების გეოგრაფიული განფენა საქართველოს ყველა რეგიონს საშუალებას აძლევს, მიიღოს კულტურული, სოციალური და ეკონომიკური სარგებელი ვიზიტორთა მომსახურების შესაბამისი სფეროების განვითარებით, სუვენირების წარმოებაში, ტრადიციულ რეწვასა და სოფლის მეურნეობაში ჩართულ პირთა შემოსავლების ზრდით, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკურ საქმიანობაში ინტეგრაციის გზით.

ღონისძიება მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიკაციას, დაცვას, მუზეუმებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების ინფრასტრუქტურის მოდერნიზების ხელშეწყობას, მართვის შესაძლებლობებისა და უნარების გაძლიერებასა და საერთაშორისო ინტეგრაციას. ღონისძიების ფარგლებში, ასევე, გათვალისწინებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის კულტურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საჭიროებები შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით.

ღონისძიება განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის გრძელვადიანი სტრატეგიის საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ხელშეწყობისთვის გამოყოფილი გრანტების სისტემის, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან და საერთაშორისო დონორებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიერ გამოყოფილი დაფინანსების საშუალებით.

ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან საქართველოს მოსახლეობა, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ასევე, საერთაშორისო ვიზიტორები.

მიზანი

- მდგრადი, ტერიტორიულად დივერსიფიცირებული კულტურული მემკვიდრეობის მხარდაჭერა რეგიონების კულტურული, ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის გაზრდის მიზნით.

აქტივობები

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის გაუმჯობესება;
- კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარება და ფინანსური მდგრადობა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარშემო მცირე ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერა;
- რეგიონებში კულტურის მხარდაჭერა - კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალური და არამატერიალური) დაცვის მიმართულებით მცირე ინვესტიციების (მატერიალური და არამატერიალური) მხარდაჭერა.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 124 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- რეაბილიტირებული ისტორიული ძეგლების რაოდენობა;
- მოდერნიზებული მუზეუმების რაოდენობა;

- მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების, ასევე, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის გადამზადებულ შესაბამის თანამშრომელთა რაოდენობა.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- მუზეუმებში ვიზიტორების გაზრდილი რაოდენობა;
- მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების შემოსავლების გაზრდილი რაოდენობა.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და სამინისტროს სხვა სსიპ უწყებები.

VII.1.8. ღონისძიება 1.8. ბუნებრივი მემკვიდრეობის (ეროვნული პარკები, ნაკრძალები და სხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიები) შენარჩუნება და პოპულარიზაცია

ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა და ხელშეწყობა თანამედროვე და მომავალი თაობებისთვის უნიკალურ ღირებულებას წარმოადგენს. საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური პოტენციალის, ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის, საქართველოს მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფისა და ტურიზმის განვითარების გარანტს წარმოადგენს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება და ტერიტორიული გაფართოება. რეგიონულ დონეზე, საჭიროა შესაბამისი პოლიტიკის გაუმჯობესება და ბუნებრივი კაპიტალის დაცვისა და მდგრადი გამოყენებისათვის ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველყოფა. ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემები გამომდინარეობს გეოგრაფიული სპეციფიკიდან და განპირობებულია სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებით.

ღონისძიება, მთელი საქართველოს მასშტაბით, დაცულ ტერიტორიებზე განხორციელდება. ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა, მეწარმეები და ვიზიტორები.

მიზანი

ბუნებრივი ეკოსისტემების, ბიომრავალფეროვნების, გეოლოგიური სტრუქტურებისა და დაცული ტერიტორიების მდგრადი გამოყენების გაუმჯობესება რეგიონების ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის გამოყენებისთვის.

აქტივობები

ღონისძიება შემდეგი აქტივობებით განხორციელდება:

- ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებები;
- საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემების ჩამოყალიბება და მართვა;
- ალგეთის, ყაზბეგის, კინტრიშის და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონების განვითარება (მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება) და ცნობიერების ამაღლებასა და ეკო-განათლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები ამ ტერიტორიებზე;
- საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარება (კავკასიის ბუნების ფონდი/CNF).

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 37.8 მილიონ ლარს.

(შენიშვნა: 2019-2021 წლებში დონორი ორგანიზაციებიდან მისაღები დაფინანსების ზუსტი ოდენობა ამ ეტაპზე უცნობია. დაზუსტდება პროგრამის მონიტორინგის გეგმის ფარგლებში).

მყისიერი შედეგების ინდიკატორი

- განახლებული და განვითარებული ინფრასტრუქტურის რაოდენობა (შენობები, ეკოტურისტული ბილიკები, ვიზიტორთა ცენტრები);
- დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების რაოდენობა (ახალი ან განახლებული).

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა;

- ბიზნესების და შინამეურნეობების გაზრდილი რაოდენობა, რომელთა შემოსავლის წყაროს წარმოადგენს დაცული ტერიტორიები. (რეგიონების მიხედვით).

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო / საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW); კავკასიის ბუნების ფონდი (CNF).

VII.1.9. ღონისძიება 1.9. ინტეგრირებული მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება

ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოს სოციალურმა და ეკონომიკურმა ტრანსფორმაციამ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სექტორზეც იქონია გავლენა. საქართველოს საავტომობილო გზებზე ავტომობილების მზარდი რაოდენობაა, რომელთა დიდ ნაწილს მეორადი ავტომობილები (საშუალოდ 10 წლის სატრანსპორტო საშუალებები) შეადგენენ. ემისიები და საწვავის სტანდარტებზე დადგენილი დაბალი დონე, საგზაო მოძრაობის არასათანადო მართვა და მუნიციპალურ დონეზე საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილი ფინანსების დეფიციტი არსებობს. საქართველოს ბევრ ქალაქში სატრანსპორტო მოძრაობის გადატვირთულობა და საზიანო გამონაბოლქვის ზრდა შეინიშნება. ამ თვალსაზრისით, ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობა თბილისშია, თუმცა ქალაქ ბათუმსა და ქალაქ ქუთაისში, ისევე როგორც სხვა პატარა ქალაქებში, მსგავსი პრობლემები ფიქსირდება.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესების მზარდი მოთხოვნა ქალაქების უმრავლესობაში არ არის საკმარისად დაკმაყოფილებული, რაც გამოწვეულია რესურსების ნაკლებობით, არასაკმარისი ურბანული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურითა და მომსახურებით, კვალიფიციური კადრების და სათანადო მართვის სტრუქტურების, მათ შორის, ფართო ფუნქციურ ტერიტორიებზე სხვადასხვა მოთამაშეებისთვის (სატრანსპორტო კომპანიები, მოქალაქეები, მუნიციპალიტეტები, მთავრობა) თანამშრომლობის პლატფორმების ნაკლებობით.

მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაფინანსების ძირითადი წყარო მუნიციპალიტეტების ბიუჯეტია, თუმცა მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფო და აჭარის არ-ის ბიუჯეტებსაც აკისრიათ; განსაკუთრებით თბილისისა და ბათუმის გარდა სხვა მუნიციპალიტეტებში.

საქართველოში მუნიციპალური ტრანსპორტის გამოწვევების დასაძლევად საჭიროა ინტეგრირებული მიდგომები, სატრანსპორტო სისტემის ტრანსფორმირების ორგანიზება და დაფინანსება, ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე მოსახლეობისა და ბიზნესების მობილურობის ტიპებისა და ქცევის შეცვლა და სატრანსპორტო საშუალებების მიერ წარმოქმნილი ემისიების შემცირება. რასაკვირველია, ამგვარი რეფორმა უნდა განხორციელდეს დიდი ქალაქების ფუნქციურ არეალში: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი - საჭიროებისამებრ სხვა ქალაქებიც, უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების რეორგანიზებისთვის გრძელვადიან საინვესტიციო გეგმებთან ერთად. მომავალი წლების განმავლობაში ურბანულ ტერიტორიებზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში დაგეგმილი შეზღუდული რაოდენობის აქტივობები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ინტეგრირებული გზით მოგვარდეს ყველა დაკავშირებული საკითხები და პრობლემები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, რგპ-ს ფარგლებში კონკრეტული აქტივობები განხორციელდება.

ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან: მუნიციპალიტეტის ორგანოები, ურბანულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა და არსებული ბიზნესები.

მიზანი

- საქართველოს შერჩეულ ქალაქებში მდგრადი მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემების განვითარება.

აქტივობები

ღონისძიება შემდეგი აქტივობებით განხორციელდება:

- მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია;
- დაბალ ემისიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსები, საბაგიროების მშენებლობა-რეაბილიტაცია) განვითარება თბილისსა და ბათუმში;
- ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის უკეთესად ორგანიზებისა და გადაადგილების ალტერნატიული საშუალებების გამოყენების უზრუნველყოფა (მულტიმოდალური ჰაბები, პარკირების ადგილები, ველოსიპედის ბილიკები, და ა.შ.);
- საგზაო ქსელის გადატვირთული მოძრაობის შემცირების უზრუნველმყოფი ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა თბილისსა და სხვა ქალაქებში;

- შიდა საქალაქო სატრანსპორტო სისტემის ორგანიზება და თბილისის რაიონების დაკავშირების გაუმჯობესება თბილისის ფუნქციური არეალის ინტეგრირებულ სატრანსპორტო სისტემასთან (თბილისის ფუნქციური არეალის ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა).

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 225 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- მოდერნიზებული მეტროს სადგურების რაოდენობა თბილისში;
- შეძენილი ახალი ეკოლოგიურად სუფთა და ადაპტირებული ავტობუსების რაოდენობა.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- CO2-ით ჰაერის დაბინძურების დაღმავალი ტენდენცია თბილისში;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მგზავრთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი / საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; 5 თვითმმართველი ქალაქი.

VII.2. პრიორიტეტი 2 - მცირე და საშუალო ბიზნესის, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორების და ექსპორტის ხელშეწყობის მხარდაჭერა

VII.2.1. ღონისძიება 2.1. საწარმოების, მათ შორის მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა

საქართველოში, ბოლო წლებში, ბიზნესის წარმოების პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული მრავალი ცვლილების მიუხედავად, მცირე და საშუალო ბიზნესი კვლავ განიცდის განვითარების პრობლემებს. ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, დაბალი კონკურენტუნარიანობა და პროდუქტიულობა, საწარმოო კომპანიების შემთხვევაში ტექნიკის ამორტიზაციის მაღალი დონე, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ღირებულებათა ჯაჭვებში თანამშრომლობის ნაკლებობა, ასევე, სამუშაო ძალის მოძიების კუთხით არსებული პრობლემები მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითად ბარიერებს წარმოადგენს. ექსტენსიური სოფლის მეურნეობა აგროპროდუქტების ერთეულის ღირებულებას ზრდის და არაკონკურენტულს ხდის საერთაშორისო ბაზარზე, იწვევს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩანაცვლებას იმპორტირებული იაფფასიანი პროდუქტებით, ფერხდება ინვესტიციები და სამუშაო ადგილების შექმნა, განსაკუთრებით სოფლად. გარდა ამისა, მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეებს და ფერმერებს პრობლემები ექმნებათ მათი საქმიანობის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, რადგან ისინი ბანკებისთვის ნაკლებად მიმზიდველ სეგმენტს წარმოადგენენ, აქვთ სირთულეები საგარანტიო ქონების უზრუნველყოფის და მაღალი პროცენტის გადახდის კუთხით. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე, ასახულია მცირე და საშუალო კომპანიების მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების შეზღუდულ რაოდენობაზე.

ღონისძიება მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საქმიანობის უკეთესი პირობების შექმნას ფინანსებზე ხელმისაწვდომობის, პროდუქტის წარმოების, მომსახურების განვითარების, სამუშაო ადგილების შექმნის, საწარმოების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მხარდაჭერის გზით.

ბენეფიციარები არიან: მცირე და საშუალო მეწარმეები ურბანულ და სოფლის ტიპის დასახლებებში, ფერმერები.

მიზანი

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის უკეთესი პირობების შექმნა

აქტივობები

- მცირე და საშუალო საწარმოებისათვის დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა პროცენტის თანადაფინანსებით და საბანკო სესხებისთვის გარანტიის უზრუნველყოფით;
- მიკრო და მცირე საწარმოებისათვის მცირე გრანტების უზრუნველყოფა საწარმოო და მოწინავე სერვისების განვითარებისათვის საჭირო აღჭურვილობის შესყიდვაზე, ასევე, ბიზნეს საქმიანობის განხორციელებისათვის საკონსულტაციო მომსახურებით უზრუნველყოფა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ადამიანური რესურსების განვითარება (ტრეინინგ პროგრამები მფლობელთათვის, მენეჯერებისა და მცირე და საშუალო საწარმოების თანამშრომლებისათვის);

- კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის / მხარდამჭერი ინსტიტუციების ხელშეწყობა (კარგი მმართველობის ფონდი/გაერთიანებული სამეფო);
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი/გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება).

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 133 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- მცირე და საშუალო საწარმოებისათვის გაცემული სესხების რაოდენობა;
- მოდერნიზებული საწარმოების რაოდენობა (რეგიონების მიხედვით);
- ახლად შექმნილი საწარმოების რაოდენობა (რეგიონების მიხედვით).

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- მხარდაჭერილი ბიზნესების მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

სსიპ - აწარმოე საქართველოში, სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ); ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი (მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე).

VII.2.2. ღონისძიება 2.2. ინოვაციების მხარდაჭერა

საქართველოში საწარმოო სექტორის ინოვაციების დონე რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია. ინოვაციების ყველაზე მაღალი დონე შეინიშნება დიდ კომპანიებში (განსაკუთრებით ტელეკომუნიკაციების, კომუნალურ და საბანკო სექტორებში) ექსპორტიორებში, ასევე, საქართველოში არსებულ უცხოურ კომპანიებში. ქართული კომპანიების ინოვაციური საქმიანობა, ძირითადად, აპარატურისა და აღჭურვილობის შეძენის გზით არის მოცემული. საქართველოში ძალიან დაბალია სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის დონე, თავად მეცნიერების სექტორიც არ არის საკმარისად ინოვაციური და იგი ძირითადად ფუნდამენტურ კვლევებზე ფოკუსირდება.

ღონისძიება ხელს შეუწყობს საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას ტექნოლოგიური პარკებისა და საინოვაციო ცენტრების შექმნით, ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდებით, საწარმოებისა და კვლევითი დაწესებულებების ერთობლივი პროექტების მხარდაჭერით და მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებით განავითაროს ინოვაციური პროექტები.

ბენეფიციარები: დამწყები ბიზნესები, მეწარმეები, უნივერსიტეტები და მკვლევარები.

მიზანი

საქართველოში ინოვაციების ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობა.

აქტივობები

- საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა;
  - ინოვაციების ინფრასტრუქტურის განვითარება;
  - ფინანსებებზე წვდომის უზრუნველყოფა (მათ შორის მიკრო გრანტების პროგრამის განხორციელება);
  - საქართველოს მასშტაბით ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება;
- საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD)
  - ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა; მიზანშეწონილობის კვლევის შედეგად შერჩეულ საქართველოს მუნიციპალიტეტებში (თავდაპირველად 13 საპილოტე მუნიციპალიტეტი. პროექტის დასასრულისთვის რიცხვმა უნდა მიაღწიოს 50 მუნიციპალიტეტს) რეგიონული ინოვაციების ჰაბებისა და/ან ინოვაციების ცენტრების რემონტი, აღჭურვა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
  - ინოვაციების სერვისების განვითარება;
  - ინოვაციების თანადაფინანსება, მ.შ. სტარტაპების საგრანტო თანადაფინანსება, არსებული საწარმოების ინოვაციური საქმიანობის თანადაფინანსება, ინოვაციების დაფინანსების სხვადასხვა სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 92 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- განვითარებული ინოვაციების ინფრასტრუქტურის რაოდენობა; შექმნილი/აღჭურვილი რეგიონული ინოვაციების ჰაბების და ინოვაციის ცენტრების რაოდენობა;
- მხარდაჭერილი საწარმოების/სტარტაპების რაოდენობა;
- ორგანიზებული ტრეინინგებისა და ღონისძიებების რაოდენობა.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- რეგიონული საინოვაციო ჰაბების და/ან საინოვაციო ცენტრების მხარდაჭერით შექმნილი სტრატაპების მთლიანი რაოდენობა (წლების და რეგიონების მიხედვით);
- ინოვაციური საწარმოების წილიმცირე და საშუალო ბიზნესის მთლიან რაოდენობაში.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო / საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო; რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD).

VII.2.3. ღონისძიება 2.3. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: ტურიზმი

საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ბუნებრივი რესურსებისა და კლიმატური პირობების, ასევე, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, ტურიზმის სექტორს შემდგომი განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით დიდი პოტენციალი გააჩნია. 2016 წლის მდგომარეობით ტურისტებისგან მიღებული შემოსავლის წილი მთლიანი სერვისების ექსპორტიდან 64%-ს შეადგენს. ტურიზმისგან მიღებული უცხოური ვალუტის შემოდინება ხელს უწყობს ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.

ღონისძიების მიზანია ტურისტული ინდუსტრიის პოტენციალისა და ცალკეული რეგიონების განვითარებაზე მისი გავლენის ზრდა, რაც უცხოელი ტურისტების რაოდენობის ზრდით, საზღვარგარეთ მარკეტინგული აქტივობებისა და სარეკლამო კამპანიების ორგანიზებით, შიდა ტურიზმის სტიმულირებით, მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით, ტურიზმის სექტორში ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარების გზით მიიღწევა.

ამ ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობები უნდა იყოს ტერიტორიებზე აქცენტირებული და ემსახურებოდეს საქართველოს კონკრეტული რეგიონებისთვის ტურისტების მოზიდვას.

ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან ტურისტულ ლოკაციებში მცხოვრები მოსახლეობა (სასტუმროების, რესტორნების და სექტორის სხვა მხარდამჭერი სერვისების მფლობელები და თანამშრომლები, სუვენირების და ხელნაკეთი ნივთების მწარმოებლები), უცხოელი და ადგილობრივი ტურისტები.

მიზანი

ქვეყანაში ტურისტული ნაკადის მოზიდვა, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

აქტივობები

ღონისძიება შემდეგი აქტივობებით განხორციელდება:

- საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობები და პრეს და ინფო ტურები;
- რეკლამა და მარკეტინგული კამპანიები/აქტივობები;
- ტურისტული პროდუქტების განვითარება;
- მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა;
- ტურიზმის სფეროში ხარისხის განვითარება;
- პროექტი „Ckeck-in Georgia“.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 132 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- ტურისტული სექტორის გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა;
- ტურიზმის მარკეტინგული ღონისძიებების რაოდენობა;
- ახალი ტურისტული პროდუქტების რაოდენობა;
- მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტების რაოდენობა.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- ტურიზმისგან მიღებული უცხოური ვალუტის მოცულობა;
- საერთაშორისო ტურისტების ვიზიტების რაოდენობა (წლების მიხედვით).

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სსიპ - „აწარმოე საქართველოში“ / საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

VII.2.4. ღონისძიება 2.4. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა - სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი ქვეყნის მთლიანად დასაქმებულთა თითქმის ნახევარს - 49%-ს შეადგენს, ხოლო აგრობიზნესის წილი ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში მხოლოდ 16%-ს. სხვა სიტყვებით, მცირემასშტაბიანი, თვითკმარი სოფლის მეურნეობა ქვეყნის მასშტაბით დასაქმების ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ექსტენსიური სოფლის მეურნეობა აგროპროდუქტების ერთეულის ღირებულებას ზრდის და არაკონკურენტულს ხდის საერთაშორისო ბაზარზე, იწვევს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩანაცვლებას იმპორტირებული იაფფასიანი პროდუქტებით, ფერხდება ინვესტიციები და სამუშაო ადგილების შექმნა სოფლად. მოძველებული ტექნიკა და აღჭურვილობა, შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოების, ტექნოლოგიური პროცესის, მწირი ლოგისტიკისა და ფინანსების ნაკლებობა უარყოფით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის წარმოებასა და კონკურენტუნარიანობაზე.

ღონისძიება მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის ხელშეწყობას და წარმოებისა და ხარისხის გაუმჯობესებას ფინანსებზე ხელმისაწვდომობის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და გაუმჯობესების გზით, მეღვინეობის სექტორის ექსპორტის პოტენციალის ზრდით, ჩაის წარმოების განახლებით და დასავლეთ საქართველოს რეგიონებში განვითარებული ტრადიციული სექტორებით.

ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან ინდივიდუალური ფერმერები, სოფლის მეურნეობის კოოპერატივები და შინამეურნეობები.

მიზანი

- სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

აქტივობები

ღონისძიება შემდეგი აქტივობებით განხორციელდება:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა და არსებულის გაფართოება იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, ლიზინგით, საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებით, სესხის უზრუნველყოფითა და აგროდაზღვევით;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა;
- მეღვინეობის განვითარება;
- სოფლის მეურნეობის სხვა სექტორების განვითარება/დივერსიფიკაცია.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 390 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- გაცემული სესხების მოცულობა;
- მხარდაჭერილი კოოპერატივების რაოდენობა.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი საწარმოების ბრუნვის გაზრდა.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ და სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო; აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID); ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA).

VII.2.5. ღონისძიება 2.5. ექსპორტის ხელშეწყობა

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ექსპორტის მოცულობა ბოლო 20 წლის განმავლობაში სტაბილურად იზრდება, უარყოფითი სავაჭრო დეფიციტის მზარდი ტენდენცია ფიქსირდება, რაც გამოწვეულია ექსპორტირებული პროდუქციის შეზღუდული მრავალფეროვნებით (ძირითადად ნედლეული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და მედიკამენტები) და ექსპორტირებული საწარმოო პროდუქციის სახეობების სიმცირით. ექსპორტის მოცულობისა და ხარისხის გაზრდის მიზნით, მთავრობამ დაიწყო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას მიზნობრივ ბაზრებზე და ქართველი ექსპორტიორებისათვის ბიზნეს-ანალიტიკის სისტემაზე ხელმისაწვდომობის მხარდაჭერას, პროდუქციის გამოფენების ორგანიზებას, გარე და შიდა სავაჭრო მისიების ორგანიზებას, ონლაინ მარკეტინგს და პროდუქტის დასრულებას.

ამ ღონისძიების მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობა, საერთაშორისო ბაზრებზე ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის და ადგილობრივი წარმოების პროდუქტის ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია.

ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან ბიზნესები და იმ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა, სადაც ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებია განთავსებული.

მიზანი

- საერთაშორისო ბაზრებზე ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია.

აქტივობები

- საქართველოს საექსპორტო სტრატეგიის შემუშავება;
- საერთაშორისო გამოფენებისა და სავაჭრო მისიების ორგანიზება;
- უცხოელი მყიდველების დაკავშირება ქართველ მწარმოებლებთან;
- ქართული პროდუქციისა და მომსახურების პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე;
- საზღვარგარეთ ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა;
- საქართველოში საექსპორტო პროცედურების შესახებ ინფორმაციისა და უცხოურ ბაზრებზე საბაჟო გადასახდელების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- ექსპორტის გზამკვლევის მომზადება (აშშ განვითარების სააგენტო);
- ექსპორტის მენეჯერების გადამზადება;
- ექსპორტის სასერტიფიკატო პროგრამა.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 35 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- ექსპორტის ხელშეწყობისა და ექსპორტის განვითარების მხარდამჭერი საქმიანობის ბენეფიციარი კომპანიების რაოდენობა;
- გადამზადებული ექსპორტის მენეჯერების რაოდენობა.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- ექსპორტირებული ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების მზარდი მოცულობა.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ / საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა; აშშ განვითარების სააგენტო.

VII.2.6. ღონისძიება 2.6. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

საქართველოს ლიბერალური სავაჭრო რეჟიმები ინვესტორებს ხელსაყრელ პირობებს უქმნის დაუკავშირდნენ არა მარტო ქვეყნის 3.7 მილიონ მოსახლეობას, არამედ უფრო ფართო რეგიონულ ბაზრებს, რაც იმპორტის გადასახდელების არარსებობის უშუალო შედეგია. დღეის მდგომარეობით საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს თურქეთთან და დსთ-ს ყველა ქვეყანასთან, ასევე, ხელმოწერილია ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება. საქართველომ ხელი მოაწერა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებთან, რის შედეგადაც ქართულ პროდუქტს ისლანდიის, ლიხტენშტეინის, ნორვეგიისა და შვეიცარიის ბაზრებზე უტარიფო წვდომა აქვს. ასევე, საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის (GSP) რეჟიმის ბენეფიციარი: აშშ, კანადა და იაპონია. (GSP) ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. საქართველომ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს ერთობლივ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას. გარდა ამისა, 2000 წლიდან საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია.

სასაზღვრო კონტროლის თვალსაზრისით, საქონლის 80% იმპორტის გადასახდელებისგან თავისუფლდება რაოდენობრივი შეზღუდვების გარეშე. განბაჟების საშუალო დრო დაახლოებით 20 წუთს შეადგენს.

ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი დედაქალაქზე მოდის (მთლიანი ინვესტიციების 76%), შემდეგ მოდის ქვემო ქართლი და აჭარა.

ბოლო 5 წლის განმავლობაში მხოლოდ ამ სამ რეგიონში შეინიშნება ინვესტიციების ზრდა. გურიაში, რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში კი პირიქით, საინვესტიციო დონეები და მათი ტენდენციები მცირდება.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობამ 2016 წელს 1.584 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ამ თანხის თითქმის 2/3 ინვესტიცია განხორციელდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, საფინანსო, ენერგეტიკისა და უძრავი ქონების სექტორებში, 254 მილიონ აშშ დოლარის ინვესტიცია ჩაიდო სამშენებლო და მრეწველობის სექტორებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 86% თბილისზე მოდის. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელ ძირითად ქვეყნებს შორის არიან აზერბაიჯანი, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, აშშ, თურქეთი და არაბთა ემირატები. ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყანაში სამუშაო ადგილების ზრდას. ინვესტიციების განხორციელებას ისეთ სექტორებში, რომელიც დიდი რაოდენობით სამუშაო ძალას მოითხოვს, პირდაპირი დადებითი გავლენა აქვს ახალი სამუშაო ადგილების შესაძლებლობებზე: ინვესტიციებს ფინანსურ სექტორში, სატელეკომუნიკაციო თუ უძრავ ქონებაში, ამ მიმართულებით, დიდი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ, ხოლო ინვესტიციებს მრეწველობის, სამშენებლო, სატრანსპორტო სექტორებში, სასტუმროებსა და რესტორნებში უდიდეს წვლილი შეაქვთ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით.

ინვესტიციების გაზრდის მიზნით, საქართველოში ოთხი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ფოთში, ქუთაისში (2 თავისუფალი ზონა) და თბილისში ჩამოყალიბდა.

თავისუფალი ზონები როგორც ქართველ, ისე უცხოელ ინვესტორებს მნიშვნელოვან ინიციატივებს სთავაზობენ, რათა მოხდეს საწარმოების წახალისება შექმნან კომპანიები აღნიშნულ ზონებში და შესაბამისად, სამუშაო ადგილები.

მიზანი

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ინვესტიციების საშუალებით.

აქტივობები

- პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის მიმართულების ფარგლებში დაინტერესებული მეწარმეებისთვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემა გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებებით;

- თბილისისა და ბათუმის გარდა საქართველოს ყველა რეგიონში სასტუმროების ინდუსტრიაში ჩართული მეწარმეების მხარდაჭერა (ტექნიკური და ფინანსური დახმარება - ფრენჩაიზი/მენეჯმენტის კონტრაქტების თანადაფინანსება და საერთაშორისო ბრენდის სასტუმროების განვითარება, სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება);
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა და პოტენციური უცხოელი ინვესტორების მხარდაჭერა სსიპ „აწარმოე საქართველოში“ საინვესტიციო მიმართულების მიერ.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 11.5 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- „აწარმოე საქართველოში - ინვესტიცია" პროგრამის ფარგლებში წამოწყებული ახალი საინვესტიციო პროექტების რაოდენობა.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- „აწარმოე საქართველოში - ინვესტიცია" პროგრამის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- იმავე პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

სსიპ - „აწარმოე საქართველოში“ / საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

VII.3. პრიორიტეტი 3 - ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესება

VII.3.1. ღონისძიება 3.1. ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა

საქართველოში სკოლების 60%-ში 200 მოწაფეზე ნაკლები სწავლობს, რადგან სკოლების უმრავლესობა მდებარეობს მაღალმთიან და სოციალურ-ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში. ზოგადი განათლების ხარისხი დაბალია მაღალმთიან და საზღვრისპირა რეგიონებში. არსებული პრობლემების მიზეზი არის სკოლების განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და, ამავე დროს, პედაგოგების კვალიფიკაციაა. ამ რეგიონებში შეზღუდულია მოსწავლეთა შესაძლებლობები ძირითადი სასკოლო განათლების გარდა მიიღონ მონაწილეობა მათთვის საინტერესო კულტურულ, სპორტულ და საგანმანათლებლო საქმიანობაში. ასევე, დაბალია მოსწავლეთა მოტივაცია პიროვნული ზრდისა და განვითარების თვალსაზრისით.

შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაგეგმილი აქვს 2017-2020 წლების მანძილზე განახორციელოს მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც ასახულია სამინისტროს 2017-2020 წლის სამოქმედო გეგმაში. ეს ღონისძიებები ეხება სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ასევე, რეგიონებში მცხოვრები მოსწავლეებისათვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას.

ასევე, დაგეგმილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, წარმატებული სტუდენტების წახალისება და საგანმანათლებლო და შემეცნებითი საზაფხულო სკოლების ორგანიზება.

ღონისძიებები დაგეგმილია ყველა რეგიონში, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მაღალმთიან და საზღვრისპირა რეგიონებს, ასევე, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს. ღონისძიება მოიცავს სოციალურად დაუცველ ჯგუფებს, მათ შორის, ახალგაზრდებს, ქალებს და სხვა, აძლევს რა მათ საშუალებას მიიღონ ხარისხიანი განათლება.

ბენეფიციარები არიან შესაბამის რეგიონებში მცხოვრები სკოლის მოსწავლეები, მოზარდები და მასწავლებლები.

მიზანი

ზოგად განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

აქტივობები

- რეგიონებში საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, ადაპტირებული ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესება;
- თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურობის გაზრდა;

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- სასკოლო აქტივობების ხელშეწყობა;
- საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის გაზრდა, მ.შ. წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება და სწავლა და დასვენება ერთად.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 518 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა;
- საზაფხულო სკოლის პროგრამაში ჩართულ მოსწავლეთა რაოდენობა;
- გადამზადებული პედაგოგების რაოდენობა;
- სასკოლო პროექტების რაოდენობა სხვადასხვა მიმართულებით;
- მოსწავლეთა თვითმმართველობების მიერ ჩამოყალიბებული კლუბებისა და წრეების რაოდენობა.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- ზოგადი განათლების საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიტოვების მაჩვენებელი (%).

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო და სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; ააიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო; სსიპ - საგანმანთლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

VII.3.2. ღონისძიება 3.2. პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესება

ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობათა მიუხედავად, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა განათლების პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება. საქართველოში უმუშევრობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. პროფესიული განათლება უნდა გახდეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ყველა ასაკისა და სოციალური ჯგუფისათვის. გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ითვლება ერთ-ერთ ფაქტორად, რომელიც ხელს უშლის პროფესიულ განათლებას, ვინაიდან ბენეფიციართა დიდ ნაწილს ეკონომიკური მდგომარეობა არ აძლევს საშუალებას, განათლების მისაღებად წავიდნენ სხვა რეგიონში. პროფესიული განათლების უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია გაიზარდოს იმ მუნიციპალიტეტების რაოდენობა, სადაც შესაძლებელი იქნება პროფესიული განათლების მიღება. გარდა ამისა, პროფესიული განათლების მიღებისათვის დამატებითი, მიზნობრივი საგანმანათლებლო სერვისები უნდა შეიქმნას ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის: ახალგაზრდებისა და მოზარდებისთვის, ზრდასრულებისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამ მიზნით, სკოლებში გაგრძელდება მოსწავლეთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება. ამასთან, დაგეგმილია ზრდასრულთა პროფესიული განათლების ფორმალიზების მექანიზმების შემუშავება. ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან მოცემულ რეგიონებში მცხოვრები სკოლის მოსწავლეები, მოზარდები, ზრდასრულები, პედაგოგები და მოსახლეობის ყველა ასაკობრივი ჯგუფი.

მიზანი

- ხარისხიან პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

აქტივობები

- არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება ან/და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნება;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება
- შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განვითარებული კვალიფიკაციების საფუძველზე მოდულური და სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) პროფესიული პროგრამების განხორციელება, რომლებიც ავითარებენ სამეწარმეო უნარებს;
- კვალიფიკაციის განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად (TA GIZ);
- საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის განხორციელება.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 72.5 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა ან არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ახალი ფილიალების რაოდენობა;
- შრომითი/პროფესიული უნარების განვითარების პროგრამაში ჩართული პირების რაოდენობა;
- პროფესიული განვითარების აქტივობებში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (კონკრეტული ტრენინგის მოდულის მიხედვით)მოდულური და სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა;
- სისტემაში დანერგილი დუალური / მოდულური პროგრამების რაოდენობა.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- პროფესიულ განათლებაში ჩართული პირების რაოდენობის მზარდი მაჩვენებელი;
- იმ პირთა დასაქმების ინდექსი, რომელთაც მიიღეს პროფესიული განათლება (თვითდასაქმების ინდექსი).

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო.

VII.3.3. ღონისძიება 3.3. უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდა

უმაღლესი განათლების სისტემის პრიორიტეტია გააძლიეროს უმაღლესი განათლების როლი ცოდნის მიღების, დაგროვებისა და გადაცემის პროცესში. კიდევ ერთი პრიორიტეტია სისტემის ხელმისაწვდომობის მატება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე რელევანტურ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების წილი 2012 წელს შეადგენდა მშპ-ს 2.8% -ს, რაც დაბალია მსგავსი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებთან შედარებით.

„საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და ტერიტორიული უთანაბრობების შესახებ" კვლევის თანახმად, ქვეყანაში პირველი რიგის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების, განსაკუთრებით კი პროფესიული და საგანმანათლებლო ტრენინგებისა და უმაღლესი სასწავლებლების, ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ტიპის დაწესებულებები, როგორც პროფესიული, ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უპირატესად კერძოა. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში არ არის არცერთი სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. გურიაში არ არსებობს არცერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო დანარჩენ ორ რეგიონში მხოლოდ თითო-თითო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. ასევე, პრობლემას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხი. პრესტიჟის მიხედვით, პირველ სამ ადგილზე მყოფი ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თბილისშია განთავსებული. დედაქალაქის გარეთ მხოლოდ ყველაზე ნაკლებ პრესტიჟული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებია. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაშია საჯარო პროფესიული სასწავლებლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები არ ემთხვევა შრომის ბაზრის მოთხოვნებს. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის არსებულ სისტემას არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია სისტემის შედეგიანობის შესახებ. თუმცა, გარე კვლევისა და შეფასების მიხედვით, საქართველოში უმაღლესი განათლება ჯერ კიდევ სრულად ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. კერძოდ, ის სუსტად უწყობს ხელს ახალი ცოდნის შეძენასა და კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსების განვითარებას.

საქართველოში სწავლების ალტერნატიული ფორმები და თანამედროვე ტექნოლოგიები სუსტადაა განვითარებული (მაგ.: დისტანციური სწავლება და სხვ.). უმაღლესი განათლების დაფინანსების არსებული სისტემა არ იძლევა უმაღლესი სასწავლებლების უწყვეტი ინსტიტუციური განვითარების გარანტიას. უმაღლესი განათლება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და ეს დაფინანსება ძალიან მცირეა, მეორეს მხრივ, არ არსებობს დაფინანსების სხვა

წყაროები. ძირითადი დატვირთვა მოდის ოჯახებზე, რომელთა ხელმისაწვდომობა უმაღლეს განათლებაზე დაბალია, განსაკუთრებით დაბალია სოციალურად დაუცველი ოჯახების ხელმისაწვდომობა განათლებაზე.

ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან მოსწავლეები, მოზარდები, პედაგოგები და ლექტორები.

მიზანი

- უმაღლესი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა.

აქტივობები

- სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება; უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარება და მართვა;
- უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 518 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგის ინდიკატორი

- ჩატარებულ საერთაშორისო კვლევათა (შეფასებათა) რაოდენობა;
- გაცემული სახელმწიფო სასწავლო გრანტების რაოდენობა;
- წარმატებულ სტუდენტებზე გაცემული სტიპენდიების რაოდენობა;
- პროგრამებისა და პროექტების რაოდენობა, რომლებიც ხელს უწყობენ უმაღლეს განათლებას.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- სტუდენტებისა რაოდენობა, რომელთაც წარმატებით დაასრულეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები;
- უმაღლეს განათლებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების წილი, როგორც მშპ-ს პროცენტი.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

VII.3.4. ღონისძიება 3.4 კვლევითი სექტორის მხარდაჭერა

მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ქვეყანაში უმუშევრობის შემცირება, სამუშაო ადგილების შექმნა, ცოდნაზე და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის ხელშეწყობა. საქართველოს მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის შესაბამისად, განათლება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს ქვეყნის განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით, მთავრობა გეგმავს გააძლიეროს კვლევის კომპონენტი, რაც საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას, ასევე, ინოვაციური მიდგომების დანერგვას.

საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლები საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით სივრცეში არადამაკმაყოფილებელია. ახალი ცოდნის შექმნისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის უაღრესად მნიშნველოვანია მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ეკოსისტემის მოდერნიზაცია, ინტერნაციონალიზაცია და დაფინანსების სქემების დივერსიფიცირება. ღონისძიების მიზანია საქართველოს მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მისი კონკურენტუნარიანობისა და საერთაშორისო ხილვადობის გაზრდა, რაც განხორციელდება შემდეგი გზებით: სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა; სამეცნიერო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარების მხარდაჭერა; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქმიანობის მხარდაჭერა, რათა ხელი შეეწყოს საუკეთესო ხარისხის კვლევების დაფინანსებას, - მეცნიერთა საერთაშორისო მობილობას, - ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვას კვლევებში, - საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი სივრცის მაქსიმალურ ინტეგრაციას, - სამეცნიერო დარგში პროგნოზირების გაუმჯობესებას, - მეცნიერების სექტორის შეფასებას და საერთაშორისო თანამშრომლობას; ასევე, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო სექტორის, ინჟინერიისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებული აქცენტით გარემოსდაცვითი ინჟინერიის საკითხებზე. ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები და ბიზნესორგანიზაციები, ასევე, მკვლევარები, სტუდენტები, მოზარდები, პედაგოგები და ლექტორები.

მიზანი

საქართველოს მეცნიერების კონკურენტუნარიანობისა და საერთაშორისო ხილვადობის გაზრდა.

აქტივობები

ღონისძიება გახორციელდება შემდეგი აქტივობებით:

- სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;
- სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამების შემუშავება;
- მეცნიერების პოპულარიზაცია;
- სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 230 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგების ინდიკატორი

- კვლევებისათვის გაცემული სახელმწიფო გრანტების რაოდენობა;
- ჩატარებულ კვლევათა რაოდენობა;
- სამეცნიერო დაწესებულებების მიერ შემუშავებული პროგრამების რაოდენობა.

საბოლოო შედეგების ინდიკატორი

- ფუნდამენტურ კვლევებზე გაწეული ხარჯები;
- გამოყენებით კვლევებზე გაწეული ხარჯების მზარდი წილი, კვლევებზე გაწეულ მთლიან ხარჯებში.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია; სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

VII.3.5. ღონისძიება 3.5. შრომის ბაზრისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა

საქართველოში უმუშევრობის დონე საკმაოდ დაბალია (11.8%), თუმცა, ამას ძირითადად, სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა დიდი რაოდენობა განაპირობებს. უმუშევრობის 22%-იანი მაჩვენებლით სიაში ლიდერობს თბილისი, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შეინიშნება სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის (ძირითადად სოფლის მოსახლეობა) რეგიონებში. ჯამურად, რაც 4.1%-ს შეადგენს და ასევე, კახეთის რეგიონში, სადაც უმუშევრობის მაჩვენებელი 5.4%-ია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასა და გაყიდვაში თვითდასაქმებით მიღებული შემოსავალი შინამეურნეობების ბიუჯეტების მხოლოდ 15%-ს შეადგენს. 2016 წელს თვითდასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებაში 57.3% იყო. მაშინ, როდესაც ურბანულ მოსახლეობას არ აქვს იგივე შესაძლებლობები, ურბანულ ტერიტორიებზე უმუშევრობის მაჩვენებელი მაღალია. თბილისში ყველაზე დაბალი დასაქმების მაჩვენებელია ქვეყანის მასშტაბით.

საქართველოში უმუშევართა 40%-ს აქვს უმაღლესი განათლება, 50%-ს კი ზოგადი განათლება, მაშინ როდესაც ევროპაში უმუშევრებს ძირითადად ფორმალური განათლების არმქონე პირები არიან. რეგიონებში არსებული დაბალი ხელფასები ხელს უშლის ადგილობრივი მოსახლეობის დაკავებას ადგილზე, ზრდის მიგრაციას უფრო დიდ ქალაქებში და იწვევს დეპოპულაციას. აღნიშნული ძალიან დიდ გავლენას ახდენს, ძირითადად, ახალგაზრდების მდგომარეობაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მომენტისათვის გამოკითხულთა 44% რჩებოდა უმუშევარი (22% დასაქმდა სწავლისას, 34% სწავლის დასრულებისას).

NEET ინდექსის მიხედვით, რომელიც აფასებს სასწავლო დაწესებულებების გარეთ მყოფ უმუშევარ ახალგაზრდებს, საქართველოს აქვს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ტაჯიკეთის რესპუბლიკას, კოსოვოსა ეგვიპტეს შორის.

მეორე მხრივ, როგორც კერძო ბიზნესი, ასევე, საჯარო პროექტები (მაგ. მშენებლობა, ინფრასტრუქტურული პროექტები და ზოგიერთი ტიპის მომსახურება) განიცდის კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობას.

ღონისძიების მიზანია შეამციროს შრომის ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობა დასაქმების (მათ შორის ახალგაზრდობის დასაქმების) ხელშემწყობი სერვისების დანერგვის გზით. შრომის ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობის აღმოფხვრა გაზრდის დაქირავებული მოსამსახურეების რაოდენობას და შეამცირებს თვითდასაქმებას.

ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან სამუშაოს მაძიებლები (ახალგაზრდების ჩათვლით) და დამსაქმებლები.

მიზანი

შრომის ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირება.

აქტივობები

- შრომის ბაზრის ანალიზის, ინფორმაციული სისტემების დანერგვა/განვითარება;
- დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება;
- სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 12 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგების ინდიკატორი

- სახელმწიფო დასაქმების პორტალი შექმნილია და ფუნქციონირებს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა worknet.gov.ge;
- შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა შექმნილია და გამოიყენება;
- შრომის ბაზრის მიწოდება/მოთხოვნის პერიოდული კვლევა ტარდება (მინიმუმ სამ წელიწადში ერთხელ);
- დასაქმებასთან დაკავშირებული ღონისძიებები სამუშაოს მაძიებლებისა და დამსაქმებლებისათვის (წელიწადში მინიმუმ ერთხელ).

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- დასაქმების მაჩვენებლის ზრდა;
- თვითდასაქმებულთა წილის შემცირება მთლიან დასაქმებაში.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო.

VII.3.6. ღონისძიება 3.6. მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა

უმნიშვნელოვანესი სოციალური ჯგუფები, რომელთაც შრომით ბაზარზე არახელსაყრელი მდგომარეობა უჭირავთ არიან იძულებით გადაადგილებული პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები, მათ შორის, სხვადასხვა ჯგუფებს მიკუთვნებული ახალგაზრდები. მათი სოციალური ინტეგრაცია გაზრდის ამ ჯგუფების წარმომადგენელთა ცხოვრების ხარისხს და ხელს შეუწყობს კონკრეტული რეგიონების შიდა ინტეგრაციის გაუმჯობესებას.

იძულებით გადაადგილებულ პირთა უმეტესობამ საცხოვრებელი ადგილი დატოვა 90-იანი წლების დასაწყისში, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში შეირაღებული კონფლიქტის შედეგად. იძულებით გადაადგილებულ პირთა შედარებით მცირე რაოდენობამ დატოვა ცხინვალის რეგიონი 2008 წელს, რუსეთის ფედერაციის თავდასხმის შედეგად. იძულებით გადაადგილებული პირები და ეთნიკური უმცირესობები არ არიან თანაბრად გადანაწილებულნი საქართველოს რეგიონებში. 2017 წლის აგვისტოში იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვი საქართველოში აღწევდა 273,411-ს (მთელი მოსახლეობის 7%). დევნილები, ძირითადად, თბილისსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში დასახლდნენ, რამაც შესაბამისად შეადგინა 38.6% და 32.1%. ძირითადი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია იძულებით გადაადგილებულ პირებთან არის მათთვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა, ასევე, ბავშვზე ზრუნვის სერვისებისა და სკოლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ზრდასრული დევნილების მხარდაჭერა დასაქმების პროცესში. ეს უკანასკნელი უნდა განხორციელდეს ტრენინგებისა და საკუთარი ბიზნესის შექმნაში დახმარების გზით.

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობა აზერბაიჯანელები (6.2%) და სომხები (4.5%) არიან. აზერბაიჯანული მოსახლეობის 76% ცხოვრობს ქვემო ქართლში, ხოლო სომხური მოსახლეობის 48% ცხოვრობს სამცხე-ჯავახეთში, 32% - თბილისში. უმცირესობებთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევა არის მათი სოციალური ინტეგრაცია. აღნიშნული შეიძლება დაძლეულ იქნეს უმცირესობების დახმარებით განათლების მიღებაში (ზრდასრულთა განათლების ჩათვლით, განსაკუთრებით ქართული ენის შესწავლის უზრუნველყოფა), შრომით ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობით (ტრენინგები და გადამზადება, სამუშაო ადგილების მოძიების მხარდაჭერა) და აგრეთვე, მათი მხარდაჭერით ბიზნესისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაში.

საქართველოში ჩატარებული კვლევების თანახმად, განსაკუთრებით მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა ახალგაზრდების წინაშე. 2016 წელს ჩატარებულმა კვლევამ[21] გამოავლინა, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა (85%) დასაქმების თვალსაზრისით, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას საგანგაშოდ მიიჩნევს, ხოლო ათიდან ოთხი რესპონდენტი ფიქრობს, რომ აღნიშნული საკითხი დღესდღეობით ქვეყანაში ყველაზე პრობლემატურია. შრომითი რესურსების დაქირავების პროცესში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას საჭირო უნარებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა წარმოადგენს. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2017–2018 წლის რეიტინგის მიხედვით, საქართველოში ბიზნესის ხელისშემშლელ მთავარ ფაქტორს სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია წარმოადგენს (17%), ასევე, მნიშვნელოვანი ბარიერია დაბალი სამუშაო ეთიკა (9.7%) და ინოვაციის შესაძლებლობის ნაკლებობა (9.7%). ახალგაზრდების გააქტიურების და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ახალგაზრდულ საქმიანობას, რაც წარმოადგენს სოციალური სამუშაოს ერთ-ერთი სახეობას (რომელიც თავის საქმიანობაში იყენებს მეცნიერულ მეთოდებს, მიდგომებს და გამოცდილებას). მის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს ახალგაზრდებთან საგანმანათლებლო საქმიანობა წარმოადგენს, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი კომპეტენციების და „არაპირდაპირი“, გარდამავალი უნარ-ჩვევების განვითარებას. ევროპარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაციის თანახმად (2006/962/EC), საკვანძო კომპეტენციების განვითარება წარმოადგენს სამუშაო ძალის მოქნილობის გარანტიას, რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს სწრაფად მოახდინონ ადაპტირება მუდმივად ცვალებად, თანამედროვე, გლობალიზირებულ სამყაროში. ასევე, ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კომპეტენციების განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინოვაციის, პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდაზე და ხელს უწყობს დასაქმებულთა მოტივაციის, კმაყოფილებისა და შრომის ხარისხის ამაღლებას[22].

ბენეფიციარები იქნებიან იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები სხვადასხვა რეგიონებიდან, მათ შორის, სხვადასხვა ჯგუფებს მიკუთვნებული ახალგაზრდები.

მიზანი

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უკეთესი სოციალური ინტეგრაცია.

აქტივობები

- განსახლების ადგილებში იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დახმარება და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები; სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობა ახალგაზრდების პიროვნული და პროფესიული განვითარების, მათი დასაქმებისა და შემოსავლის ზრდისათვის (ეხმიანება ევროპის პარლამენტისა და ევროპული საბჭოს მიერ მიღებული „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის საკვანძო კომპეტენციების შესახებ“ დოკუმენტით განსაზღვრული უნარების განვითარების მიზნებს);
- ეთნიკური უმცირესობების პროფესიული გადამზადება;
- ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა და დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაცია;
- მოწყვლადი ჯგუფების (იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები, ეკომიგრანტები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ა.შ.) დახმარება თვითდასაქმებაში.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 1.1 მილიარდ ლარს.

მყისიერი შედეგების ინდიკატორი

- იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის აშენებული ან შეძენილი საცხოვრებელი ადგილების რაოდენობა;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ ტრენინგი / გადამზადების კურსები;
- პროფესიულ განათლებაში, ტრენინგებსა და უნარ-ჩვევების განვითარებაში მონაწილე სხვა მოწყვლადი ჯფუფების წარმომადგენელთა (ახალგაზრდები, სსსმ და შშმ პირები) რაოდენობა.

საბოლოო შედეგების ინდიკატორი

[21] „თაობა გარდამავალ პერიოდში: ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო“, ფრიდრიხ ებერტის ფონდი

[22] ევროპის კავშირის ოფიციალური ბიულეტენი, I, 394, 30 დეკემბერი, 2006.

- იმ იძულებით გადაადგილებული ოჯახების წილის შემცირება, რომელთაც საცხოვრებელი ფართები არ აქვთ კერძო მფლობელობაში;
- მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებულ ან თვითდასაქმებულ წარმომადგენელთა წილი მთლიან დასაქმებაში.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

VII.3.7. ღონისძიება 3.7. სოციალური ინკლუზია

სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის საქართველოს სოციალური უსაფრთხოების ბადის და ინკლუზიური განათლების შემდგომი გაუმჯობესება წარმოადგენს ადამიანური რესურსების კონკურენტუნარიანობის გაზრდის მნიშვნელოვან საშუალებას.

დღეისათვის, საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა აერთიანებს ორ ძირითად კომპონენტს: მიზნობრივ სოციალურ დახმარებას, რომელიც განკუთვნილია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების დასახმარებლად (დახმარებას გასცემს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო) და ძირითად საპენსიო სისტემას. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისთვის გათვალისწინებულია სხვა სოციალური პროგრამებიც, რომელთა ადმინისტრირება ასევე, ხორციელდება სსიპ - სოციალური მომსახურეობის სააგენტოს მიერ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და საზოგადოებაში ინტეგრაციის, ასევე, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების მიზნით ხორციელდება სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის პროგრამა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სოციალური მომსახურებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და ალტერნატიული სერვისების განვითარება კვლავინდებურად მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

2009 და 2011 წლებში ფარდობითი სიღარიბის შემცირების მიუხედავად, რაც ნაწილობრივ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის შედეგი იყო, საქართველოში ყოველი მეხუთე ოჯახი (21.8%) და ქვეყნის ბავშვთა მეოთხედი (25.2%) სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. ბოლო წლების მანძილზე, საქართველოს „ჯინი“-ს (Gini) კოეფიციენტი მაღალი რჩება, უტოლდება რა დაახლოებით 0.41-ს.

სიღარიბის შემცირების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობის განხორციელება.

ღონისძიების ბენეფიციარები გახდებიან სოციალურად დაუცველი ჯგუფები.

მიზანი

სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის სოციალური უსაფრთხოების ბადის და განათლებაზე ხელმისაწვდომობის შემდგომი გაუმჯობესება.

აქტივობები

- მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება;
- სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა;
- განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობა;
- ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 3 მილიარდ ლარს.

მყისიერი შედეგების ინდიკატორი

- მიზნობრივი ჯგუფებისთვის გაწეული სოციალური დახმარების ოდენობა;
- ხელშეწყობილი განსაკუთრებულ საგანმანათლებლო საჭიროებათა მქონე ბავშვთა დაწესებულებების რაოდენობა;
- სოციალურად დაუცველი სტუდენტების რაოდენობა უმაღლესი განათლების ხარჯების თანადაფინანსებით.

საბოლოო შედეგების ინდიკატორი

- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის პროცენტული რაოდენობის შემცირება (ფარდობითი და აბსოლუტური, %).

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო / საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

VII.4. პრიორიტეტი 4 - ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე

VII.4.1. ღონისძიება 4.1. რეგიონების განვითარების სტრატეგიების განხორციელების ხელშეწყობა: მცირე ზომის ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა და ხარისხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს მეწარმეების საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე. სათანადო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა თანხლებული მწირი დასაქმების შესაძლებლობებით, უარყოფითად მოქმედებს ყველა მოქალაქის განვითარების შესაძლებლობაზე და ძალიან ხშირად აჩქარებს გადაწყვეტილებას უკეთესად განვითარებულ რეგიონებში მიგრაციის შესახებ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების მხრიდან. ისეთი ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა, როგორიცაა წყალარინების და ნარჩენების მართვის სისტემები, წყალმომარაგება, ასევე, გარე განათება, საბავშვო ბაღები, ბიბლიოთეკები, სპორტული ნაგებობები, პარკები, წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. თუმცა, როგორც ანალიზმა გამოავლინა, არსებული დიდი საჭიროებები და შემოსავლების დაბალი მაჩვენებლები, მიუხედავად არსებული გათანაბრების სისტემისა, შეუძლებელს ხდის ახალი ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებას ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე.

სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალური პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ წყაროს.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რგპფ) მნიშვნელოვანი წილი მიემართება იმ პროექტების დაფინანსებაზე, რომლებიც აუმჯობესებენ ადგილობრივი საჯარო მომსახურეობის ხელმისაწვდომობას (მაგალითად, გზების, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია, მიწისქვეშა კომუნიკაციები, ხიდები, გარე განათება, ნარჩენების მართვა, სახლები და საზოგადოებრივი შენობები).

პროექტების შერჩევა ხდება ცალკეული რეგიონების განვითარების სტრატეგიების საფუძველზე, მუნიციპალიტეტების მიერ შერჩეულ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა აქტიური მონაწილეობით. პროექტების შერჩევა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. აღნიშნულის შემდეგ პროექტების წარდგენა ხდება რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიაზე. თანხების განაწილება ხდება პროექტების განხილვის საფუძველზე. თითოეული პროექტის შესახებ რეკომენდაციას იღებს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

პროექტების შერჩევის პროცესი საჭიროებს ეტაპობრივ დახვეწას. დღესდღეობით, არ არსებობს კონკრეტული ფორმულა, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალური თანხების განაწილებას პროექტებზე. ტრადიციულად, მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი წლიური ხარჯების ოდენობა წინა წლების ხარჯების (ისტორიული ასიგნებები) ტოლფასია. მუნიციპალიტეტები, ასევე, ვალდებულნი არიან, მიიღონ მონაწილეობა პროექტების თანადაფინანსებაში, რაც უტოლდება მიმდინარე წელს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხის 5%-ს.

ასევე, არსებობს სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული ადგილობრივი პროექტები. მაგალითად, ფონდის მიერ განხორციელებული პროექტი მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერას მათი ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების განვითარებით, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და სერვისებში ინვესტირებით, განახლებადი ენერგიის პროექტების შემუშავებით და დანერგვით (მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურები და თერმული სადგურები), იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერით, სარწყავი და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციით. ფონდი ახორციელებს პროექტებს თბილისშიც. მისი პროექტები შეირჩევა მუნიციპალიტეტების მოთხოვნის შესაბამისად. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფონდის სამეთვალყურეო საბჭო კვარტალურ შეხვედრებზე.

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) მიერ განხორციელებული პროექტები სრულად ან ნაწილობრივ ფინანსდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. თანხები უშუალოდ კონკრეტული მუნიციპალიტეტებისთვის არ არის გამოყოფილი, არამედ ეს თანხები, სესხების ან გრანტების სახით, გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

ამჟამად, რგპფ და მგფ, ძირითადად, ადგილობრივ მცირე მასშტაბის პროექტებს აფინანსებს. თუმცა, მთავრობის მიერ გამოცხადებული მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდა, შესაძლებლობას მისცემს ამ ფონდებს დაფინანსდეს ისეთი პროექტები, რომელთაც ექნებათ უფრო ფართო რეგიონული ზეგავლენა და ეკონომიკური მნიშვნელობა.

ამ ღონისძიების მიზანია რეგიონების განვითარების სტრატეგიების განხორციელების ხელშეწყობა ადგილობრივი თემის მიერ გამოვლენილი ისეთი პროექტების მხარდაჭერით, რომელთაც გააჩნიათ თვალსაჩინო სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება. პრიორიტეტი მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადგილობრივ ენდოგენურ განვითარებას (ადგილობრივი კომპანიების საინვესტიციო შესაძლებლობების ზრდას), ადგილობრივ ტურიზმს, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და გამოყენებას, ასევე, ხელს შეუწყობს ისეთი ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომელიც მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მომსახურეობის ხარისხის უზრუნველსაყოფად, მაგალითად სკოლამდელი, საბაზისო განათლების, ჯანდაცვის და სხვა სერვისების ხარისხის ასამაღლებლად.

ღონისძიება განხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც სოფლად, ასევე, ურბანულ დასახლებებში. თუმცა, დაგეგმილია ამოქმედდეს ინვესტიციების განაწილების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტიციების ფოკუსირებას ისეთ რეგიონებში, სადაც ვლინდება ყველაზე მეტი საჭიროებები. აღნიშნული დაეფუძნება ობიექტურ ინდიკატორებს (მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, ინფრასტრუქტურული საჭიროებანი, აუცილებელი საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხი).

განხორციელების მექანიზმი შესაძლებელს გახდის, რომ პროექტების იდენტიფიცირება მუნიციპალიტეტის მიერ მოხდეს. საპროექტო წინადადებების შეფასება მოხდება რეგიონულ დონეზე. ამ პროცესში ჩართულნი იქნებიან სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები, სახელმწიფო რწმუნებულები-გუბერნატორები და სამინისტროები. აღნიშნული უზრუნველყოფს პროექტის შესაბამისობას რეგიონების განვითარების სტრატეგიებთან და ასევე, შექმნის სექტორული პროგრამებიდან დამატებითი ინვესტირების დასაბუთებულ შესაძლებლობას.

პროექტები განხორციელდება მუნიციპალიტეტებისა და სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. პროექტის პირდაპირი ბენეფიციარი იქნება მუნიციპალიტეტი. ბენეფიციარები, ასევე, იქნებიან იმ რეგიონის მკვიდრნი და ბიზნესორგანიზაციები, რომელშიც პროექტი ხორციელდება.

მიზანი

რეგიონების განვითარების სტრატეგიების განხორციელების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტების იმ პროექტების მხარდაჭერით, რომელთაც აქვთ თვალსაჩინო სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება.

აქტივობები

- ადგილობრივი, ენდოგენური განვითარების წახალისება (ადგილობრივი კომპანიების საინვესტიციო შესაძლებლობების ზრდა), ადგილობრივი ტურიზმი, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნება და გამოყენება, ასევე, სხვა სახის საზოგადოებრივი მომსახურეობის ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის:
  - რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები;
  - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია-მშენებლობა (მგფ);
  - წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების განვითარება (მგფ);
  - სპორტული მოედნებისა და კომპლექსების მშენებლობა და მოვლა-პატრონობა (მგფ).

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 851 მილიონ ლარს.

(შენიშვნა: აქედან, 151 მლნ ლარი მგფ-ის ნაწილში, ხოლო 700 მლნ ლარი რგპფ-ის ნაწილში).

მყისიერი შედეგების ინდიკატორი

- აშენებული და რეაბილიტირებული მცირე ინფრასტრუქტურის რაოდენობა;
- აშენებული და რეაბილიტირებული გზების სიგრძე (კმ).

საბოლოო შედეგების ინდიკატორი

- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელებული პროექტების საერთო ღირებულება;
- მცირე და საშუალო ბიზნესების და სხვა ეკონომიკური სუბიექტების/ინიციატივების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ ახალი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურით.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.; მუნიციპალიტეტები, რაც გულისხმობს დაფინანსებას საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან.

VII.4.2. ღონისძიება 4.2. სოფლის განვითარება

სოფლის განვითარება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში და სოფლის და ქალაქის ტიპის დასახლებებისგან შემდგარ რეგიონებს შორის ეკონომიკური უთანაბრობის შემცირებაში.

უკანასკნელ წლებში, საქართველომ გააძლიერა ძალისხმევა, მათ შორის, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, სოფლის განვითარების სისტემური ხელშეწყობის მიმართულებით. ეს გამოიხატა შესაბამისი სტრატეგიული მიდგომებისა და ინსტრუმენტების თანმიმდევრულ დანერგვაში, რაც მოიცავს უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების ინტეგრირებულ განხორციელებას შემდეგი წლების განმავლობაში. ეს ღონისძიებები, რომლებიც იგეგმება და ხორციელდება ყველა შესაბამის უწყების ჩართულობით და **ევროკავშირთან** აქტიური თანამშრომლობით, გაწერილია 2017-2020 წლების საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიაში და მის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში[23] და მოწოდებულია ხელი შეუწყოს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, სოფლის ეკონომიკის დივერსიფიცირებას და მისი განვითარების შესაძლებლობების ზრდას.

ვინაიდან, შესაბამისი პრიორიტეტული სფეროები და ღონისძიებები, განხორციელების ინსტრუმენტები და ინტერვენციის საერთო ლოგიკა უკვე სრულად არის დაფარული 2017-2020 წლების საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მიზანშეუწონელია მოხდეს მათი დუბლირება 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში.

შესაბამისად, სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების მონიტორინგი და მასთან დაკავშირებული ანგარიშგება, მათი კომპლექსურობის გათვალისწინებით, ხორციელდება ცალკე, სოფლის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

სოფლის განვითარების სტრატეგიის და რეგიონული განვითარების პროგრამის შესატყვისი მიზნები, ამოცანები და მიდგომები მჭიდრო კავშირში და თანხვედრაშია ერთმანეთთან. ისინი განიხილებიან როგორც პოლიტიკის ყოვლისმომცველი ინსტრუმენტები ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების უზრუნველსაყოფად.

VII.4.3. ღონისძიება 4.3. მაღალმთიანი რეგიონების განვითარება

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მიზანია მაღალმთიანი რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარება, რაც უნდა განხორციელდეს მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტებისა და პირობების გაუმჯობესების გზით. ასევე, დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ისტორიული გეოგრაფიული რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მაღალმთიან და საქართველოს სხვა რეგიონებს შორის სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება. საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულია მაღალმთიანი რეგიონების სტრატეგია და მის შესაბამისად მომზადდება მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამები.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მაღალმთიანი დასახლებების სტატუსი მიენიჭა თითქმის 1.7 ათას დასახლებას 42 მუნიციპალიტეტში. მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობის 9%-ს შეადგენს (2002 წელთან შედარებით 30%-ით ნაკლები). 400 მაღალმთიან დასახლებაში მოსახლეობა არ აღემატება 10 ადამიანს, ხოლო 200 დასახლებული პუნქტში მოსახლეობა საერთოდ არ არის.

[23] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3529522

ღონისძიება მიმართულია მაღალმთიან დასახლებებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, მათ შორის, საავტომობილო გზების, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების, ასევე, დასახლებების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობასა და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობის გაზრდაზე.

ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან მაღალმთიანი დასახლებების მაცხოვრებლები და ბიზნესი.

მიზანი

მაღალმთიან დასახლებებში ცხოვრების ხარისხისა და მომსახურეობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

აქტივობები

- მაღალმთიანი დასახლებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- მაღალმთიან დასახლებებში დამწყები ბიზნესის, მცირე და საშუალო მეწარმეობისა და ფერმერული მეურნეობების განვითარება;
- სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებებში;
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება.

ბიუჯეტი

ღონისძიების მოსალოდნელი ბიუჯტი შეადგენს 655 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგების ინდიკატორი

- მაღალმთიან დასახლებებში მხარდაჭერილი შესაბამისი სტატუსის ბიზნესორგანიზაციების რაოდენობა;
- მაღალმთიან დასახლებებში მხარდაჭერილი ფერმერების რაოდენობა;
- მაღალმთიან დასახლებებში აშენებული და რეაბილიტირებული საავტომობილო გზების სიგრძე (კმ);
- წყალმომარაგების სისტემებზე მიერთებული სასოფლო დასახლებების რაოდენობა;
- წყალარინების სისტემებზე მიერთებული სასოფლო დასახლებების რაოდენობა.

საბოლოო შედეგების ინდიკატორი

- სამუშაო ადგილების რაოდენობა, რომელიც შექმნეს იმ ორგანიზაციებმა, რომელთაც გაეწიათ დამხარება ღონისძიების ფარგლებში;
- მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

VII.4.4. ღონისძიება 4.4. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მიმდებარე ტერიტორიის განვითარების ხელშეწყობა

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ქმნის პოტენციალს, რომ იგი გახდეს საკვანძო სატრანზიტო ქვეყანა, რომელიც ხელს შეუწყობს ევროპასა და აზიას (განსაკუთრებით ჩინეთს შორის) შორის ინტენსიურ საერთაშორისო ვაჭრობას.

გლობალური ვაჭრობის თვალსაზრისით, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ანაკლიას, თავისი ადგილმდებარეობით, უმნიშვნელოვანესი პოტენციალი აქვს გახდეს თანამედროვე პორტი, რომელსაც შეეძლება დიდი ზომის გემების მიღება. ანაკლიის პორტისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (თიზ) კომბინაცია ხელს შეუწყობს შემდგომ განვითარებას, მოიზიდავს რა რეგიონში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. ასევე, მიანიჭებს ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს რეგიონალურ მნიშვნელობას.

2016 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ ხელი მოაწერეს საინვესტიციო ხელშეკრულებას, რომელიც დაკავშირებულია ანაკლიის ღრმაწყლოვანი შავი ზღვის პორტის მშენებლობა, ოპერირებასა და გადმოცემასთან.

საქართველოს რეგიონული განვითარების თვალსაზრისით, ინდუსტრიული ზონა ხელს შეუწყობს მთელი შავი ზღვის რეგიონის, კერძოდ კი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისა და მიმდებარე ტერიტორიის სტიმულირებას. პირველ რიგში, ინფრასტრუქტურულ სექტორში შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. პორტის ექსპლუატაციის დაწყებასა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირებასთან ერთად, გაიზრდება მოთხოვნა სხვადასხვა პროფესიებზე. ეს კი ხელს შეუწყობს პროფესიული განათლებისა და ადამიანური რესურსების განვითარებას რეგიონში. ანაკლიის პორტთან და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონასთან დაკავშირებულ სამუშაოებთან ერთად, განვითარდება მოკავშირე სექტორები (მაგ. მცირე და საშუალო ბიზნესი ვაჭრობისა და მომსახურეობის სფეროში). ახალ სამუშაო ადგილებთან ერთად გაიზრდება სამიზნე რეგიონის მოსახლეობის შემოსავალი.

ღონისძიების მიზანია რეგიონში ეკონომიკური აქტივობის სტიმულირება და რეგიონის გარდაქმნა მუშაობისათვის და ცხოვრებისათვის მიმზიდველ ტერიტორიად. აღნიშნული მიღწეულ იქნება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებით (ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან ერთად).

შეიქმნება სპეციალური ეკონომიკური ზონა - ქალაქი ანაკლია, რომელიც იქნება განთავსებული 2,000 ჰექტარ ტერიტორიაზე. ქალაქის განვითარება დაეფუძნება *„მწვანე ქალაქების“* და *„გონიერი ქალაქების“* კონცეფციას. აშენდება მსუბუქი მრეწველობის კლასტერი, რაც გაამლიერებს საქართველოს სავაჭრო პოტენციალს. შეიქმნება ლოგისტიკის კლასტერი, რაც გაამყარებს ანაკლიის პორტის, როგორც რეგიონული ჰაბის იმიჯს, რომელიც არის ვაჭრობის ტრანზიტული კერა ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის. ტრენინგისა და განვითარების კლასტერი გაამლიერებს ანაკლიის კონკურენტუნარიანობას, გახდის მას ბიზნესის მნიშვნელოვან ცენტრად ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის. ფინანსური ცენტრი - *სააქციო საზოგადოება ანაკლია სითი* - გეგმავს ანაკლიის გარდაქმნას კავკასიისა და უფრო ფართო რეგიონის კომერციულ და ფინანსურ ცენტრად. შეიქმნება ტურიზმის, გასართობი და უძრავი ქონების კლასტერი, რაც შეავსებს სხვა ბიზნესკლასტერების განვითარებას და მათთან ერთად შექმნის ყველაზე მიმზიდველ ადგილს რეგიონში.

ღონისძიება განხორციელდება ანაკლიაში, თუმცა, მოიცავს მიმდებარე ტერიტორიებსაც. ღონისძიების ბენეფიციარები იქნებიან ანაკლიის მოსახლეობა, სატრანსპორტო და ლოგისტიკური კომპანიები, ტურისტები, იმ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა, სადაც განხორციელდება პროექტები.

მიზანი

ეკონომიკური აქტივობის სტიმულირება რეგიონში, რათა ის გახდეს საცხოვრებლად და სამუშაოდ მიმზიდველი.

აქტივობები

ღონისძიება განხორციელდება 9 ფაზის ფარგლებში. დღესდღეობით, მიმდინარეობს პროექტის პირველი ეტაპის მოსამზადებელი ფაზა, რომელიც მოიცავს ადრეულ სამუშაოებს (ტექნიკური კვლევები, გენერალური გეგმა, წინასწარი დიზაინი და ა.შ.). 2017 წლის დეკემბერში დაიწყო პირველი ეტაპით გათვალისწინებული მშენებლობა.

გარდა ამისა, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის და მისი მიმდებარე ტერიტორიის განვითარების ხელშემწყობი აქტივობები გათვალისწინებულია პროგრამის **1.2** ღონისძიებაში.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 10 მილიონ ლარს.

(შენიშვნა: ამ ბიუჯეტის გარდა, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მიმდებარე ტერიტორიის განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიება 1.2-ის ორი შესაბამისი აქტივობის საერთო სავარაუდო ბიუჯეტია 395.8 მლნ. ლარი)

მყისიერი შედეგების ინდიკატორი

- პორტისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა შესულია აქტიურ ფაზაში.

საბოლოო შედეგების ინდიკატორი

- ტვირთის ბრუნვის მოცულობა;
- ანაკლიის ტერიტორიაზე შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“, სსიპ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

VII.4.5. ღონისძიება 4.5. საზღვრისპირა და მაკრო-რეგიონული თანამშრომლობა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი არინ ითანამშრომლონ სხვა ქვეყნების მუნიციპალიტეტების ორგანოებთან. საქართველოს რეგიონებს აქვთ საზღვრისპირა თანამშრომლობის პრაქტიკა. 2009 წელს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ და სომხეთის სათემო ასოციაციამ შექმნეს პირველი ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის გაერთიანება - ევრორეგიონი "ევროკავკასია". იგი მოიცავს საქართველოს 4 მუნიციპალიტეტს და სომხეთის საზღვრის გასწვრივ 2 სომხურ მაზრას. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია აქტიურად მუშაობს, რათა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის გასწვრივაც შექმნას მსგავსი თანამშრომლობის რეჟიმი.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის (EaPTC - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის (BC CBC - მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი) პროგრამები ხელს უწყობენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში მონაწილე ქვეყნების საზღვრისპირა რეგიონებს შორის თანამშრომლობას და მდგრად განვითარებას ევროკავშირის გარე საზღვრების გასწვრივ. პროგრამა ხელს უწყობს, როგორც მეზობელ, ასევე, პარტნიორ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა - მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ტურიზმი, გარემოს დაცვა, ნარჩენების მართვა. პროგრამების განხორციელებაში ჩართულნი არიან ადგილობრივი ხელისუფლებები, სათემო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

მიზანი

ორივე პროგრამის ზოგადი მიზანია მოსაზღვრე რაიონებს შორის კონტაქტების გაძლიერება და ტრანს-სასაზღვრო კავშირების გამყარება ადგილობრივ ხელისუფლებებს, თემებს, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და ბიზნესს შორის.

აქტივობა

ღონისძიება ხორციელდება ორი აქტივობის ფარგლებში:

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ტერიტორიული თანამშრომლობა;
- ევროკავშირის შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა.

ეს აქტივობები ხორციელდება შემდეგ სფეროებში:

- ტურისტული და სავაჭრო შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა;
- ბიზნესის ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვითი პრობლემების მოგვარება;
- განათლების, კულტურისა და სპორტის მხარდაჭერა;
- ახალგაზრდების ჩართულობა და კონტაქტების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ბიუჯეტი

ღონისძიებასთან დაკავშირებული საერთაშორისო პროგრამების საერთო ბიუჯეტი შეადგენს 16.2 მილიონ ლარს. ამ პროგრამების ფარგლებში საქართველოს მხარე მონაწილეობს 22 პროექტში[24].

(შენიშვნა: პროექტებში პარტნიორების, სხვადასხვა ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ბიუჯეტები და მათი ხარჯვა წლების მიხედვით, დამოკიდებულია პარტნიორებს შორის შეთანხმებაზე. შესაბამისად, ამ ეტაპზე, შეუძლებელია იმ პროექტების ბიუჯეტის განსაზღვრა წლების მიხედვით, რომელშიც მონაწილეობას იღებს საქართველო).

მყისიერი შედეგების ინდიკატორი

საზღვრისპირა და ტრანს-სასაზღვრო რეგიონში:

- ინიციატივების რაოდენობა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას;
- ბიზნეს ორგანიზაციების რაოდენობა;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და მუნიციპალიტეტების ორგანოთა რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ დამხარება.

საბოლოო შედეგების ინდიკატორი

[24] EaPTC – 9 მლნ ლარის ღირებულების 2 პროექტი (თანადაფინანსება 10%); BS CBC – 7.2 მლნ ლარის ღირებულების 20 პროექტი.

- პროგრამებით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში განხორციელებული ინიციატივებისა და ბენეფიციარების რაოდენობა.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (ზოგადი კოორდინაცია); სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია; მუნიციპალიტეტები; საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაცია; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), და სხვა პარტნიორები.

VII.4.6. ღონისძიება 4.6. საქართველოს ურბანული ტერიტორიების ფუნქციური ინტეგრაციის ხელშეწყობა

მსოფლიო მასშტაბით, უდიდესი ქალაქების ურბანული ტერიტორია მათი ადმინისტრაციული საზღვრების მიღმა ვრცელდება. მსგავსი მოცემულობა შეინიშნება საქართველოშიც - თბილისის შემთხვევაში. თუმცა, თუ გავამახვილებთ ყურადღებას ყოველდღიურ მგზავრობაზე, საქმიან კავშირებსა და სხვა სოციალურ, ეკონომიკურ და სივრცით ფაქტორებზე, ქუთაისი და შავი ზღვისპირეთის ცალკეული ქალაქები, ასევე, ვრცელდებიან მეზობელი მუნიციპალიტეტების იმ ტერიტორიებზე, რომლებიც დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენენ და ხშირად სხვადასხვა დაგეგმვის რეგიონებს მიეკუთვნებიან.

ტერიტორიული პოლიტიკის თვალსაზრისით არსებული სიტუაცია დიდ გამოწვევას წარმოადგენს. აუცილებელია განისაზღვროს თუ როგორ იქნეს უზრუნველყოფილი მომსახურეობის ხარისხი და გაძლიერდეს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები ურბანული ცენტრების მთელს ფუნქციურ სივრცეში.

თანამშრომლობის ეფექტიანი გზების (ინსტიტუციური და არაფორმალური) არარსებობა ძირითად ურბანულ ცენტრებსა და მის მეზობელ ტერიტორიებს შორის, ქმნის ბარიერებს ცალკეული მუნიციპალიტეტების და ფუნქციური ზონების განვითარებისათვის. ამ ბარიერების აღმოფხვრისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროებია: ეფექტიანი სატრანსპორტო სისტემა, კოორდინაცია სივრცითი მოწყობის სფეროში (არაკონტროლირებადი სუბ-ურბანიზაცია და ფირმების ადგილმდებარეობა), ნარჩენების დამუშავება და წყალმომარაგება, გარემოს დაცვა, განათლება, ჯანდაცვა და კულტურული მომსახურება, თანამშრომლობა უმაღლესი განათლების დაწესებულებებს, სამეცნიერო დაწესებულებებსა და ბიზნესს შორის.

ამ ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება პირველადი კვლევითი საქმიანობა, რომელიც გამოავლენს უდიდესი ქართული ქალაქების (თბილისი, ქუთაისი, შავი ზღვისპირეთის ცალკეული ქალაქები) ფუნქციური ტერიტორიის ფარგლებში ეფექტიანი თანამშრომლობის სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობებს - განსაკუთრებით, სივრცითი მოწყობის სფეროში და ისეთი სერვისების მიწოდების კუთხით, რომელიც მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის საერთო ინტერესებს წარმოადგენს (სკოლამდელი და ზოგადი განათლება, ჯანდაცვა, ნარჩენების დამუშავება, წყლის მიწოდება), ასევე, კვლევის, უმაღლესი განათლებისა და საქმიანი თანამშრომლობის სფეროებში.

მიზანი

საქართველოს უდიდესი ურბანული ცენტრების (თბილისი,ქუთაისი, შავი ზღვისპირეთის ცალკეული ქალაქები) ფუნქციური ტერიტორიების ფარგლებში, მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობების გამოვლენა. ეს ხელს შეუწყობს გრძელვადიანი პოლიტიკის ეფექტიან შემუშავებას საერთო ინტერესების სფეროში უკეთესი ხარისხისა და უფრო დაბალანსებული მომსახურეობის მიწოდების, ასევე, საინვესტიციო მიმზიდველობის გაღრმავების კუთხით.

აქტივობები

- მეთოდოლოგიური (სახელმძღვანელო, ინსტრუმენტები) წინადადებების მომზადება, რათა მოხდეს ურბანულ ფუნქციურ ზონებში თანამშრომლობის გაძლიერება, ზემოთ აღნიშნულ სფეროებში;
- პირველადი კვლევ(ებ)ის მომზადება თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ფუნქციური ზონებისთვის.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 0.2 მილიონ ლარს.

მყისიერი შედეგების ინდიკატორი

- მომზადებულია შესაბამისი წინადადებები/მეთოდოლოგია;

- მომზადებულია კვლევა თბილისის, ქუთაისის და შავი ზღვისპირეთის ცალკეული ქალაქ(ებ)ის ფუნქციური ზონებისთვის.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი

- მომზადებული წინადადებები/მეთოდოლოგია და კვლევები განხილულია შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე და განვითარების მხარდამჭერ პარტნიორებთან.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

სსიპ – ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი / საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში (პროექტი „რეგიონების მხარდაჭერა მდგრადი განვითარებისათვის“ ევროკავშირის სექტორული დახმარების პროგრამის ფარგლებში).

VII.5. პრიორიტეტი 5 - რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდა, საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამების მომზადება

VII.5.1. ღონისძიება 5.1. რეგიონული განვითარების ინსტიტუციების შესაძლებლობათა გაძლიერება ცენტრალურ დონეზე

ბოლო წლების განმავლობაში, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანმა ძალისხმევამ ხელი შეუწყო ცენტრალურ დონეზე ინსტიტუციური შესაძლებლობების ზრდას თანამედროვე რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელებისთვის. აღსანიშნავია, რომ 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უწყებათაშორისი კოორდინაციისა და მონიტორინგის სისტემების გაძლიერების საქმეში. თუმცა, ამ პროგრამის მე-3 თავში მოცემული განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით, საქართველომ კიდევ უფრო მეტი ინვესტიცია უნდა განახორციელოს ეროვნული დონის ადმინისტრაციული სისტემის შესაძლებლობების განვითარებისთვის და განახორციელოს ისეთი რეგიონული პოლიტიკა, რომელიც ტერიტორიულ გათანაბრებას და ყველა რეგიონისა და მოქალაქის განვითარების პერსპექტივების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

ამ ღონისძიების ფარგლებში მოხდება ცენტრალურ დონეზე რეგიონული განვითარების პოლიტიკაში მონაწილე ინსტიტუციების შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება და განვითარება. ადგილობრივ დონეზე მსგავსი ღონისძიებების განხორციელება გათვალისწინებულია 5.3 ღონისძიების ფარგლებში.

რეგიონული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელი უწყებებისა და ინსტიტუციების უმრავლესობა საქართველოში უკვე არსებობს. მათ უკვე გააჩნიათ პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც მიიღეს 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადების და განხორციელების დროს. თუმცა, აუცილებელია მათი შესაძლებლობების შემდგომი განვითარება. კერძოდ:

- საჭიროა თანამედროვე მეთოდოლოგიების ჩამოყალიბება / გაუმჯობესება და მათი შემდგომი დანერგვა, რათა დარგობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ეფექტურად იყოს გათვალისწინებული ტერიტორიული თავისებურებანი. აღნიშნული მოიცავს პოლიტიკის დაგეგმვას, სტრატეგიულ პროგრამირებას, პროექტის მომზადებასა და განხორციელებას, ფინანსურ მენეჯმენტს და კონტროლს, ასევე, საჯარო ინვესტიციების მონიტორინგსა და შეფასებას. გაუმჯობესებული მეთოდოლოგიები ყველა დაინტერესებულ მხარეთათვის დაამკვიდრებს საერთო სტანდარტებს. მეტიც, ისინი ხელს შეუწყობენ ეროვნული განვითარების პოლიტიკის შემდგომ დაახლოებას საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასთან, რომელიც ეყრდნობა ტერიტორიული განვითარების მიდგომებს.
- ტრენინგების სპექტრი და ადამიანური რესურსების გაძლიერების სხვა შესაძლებლობები შეთავაზებულ იქნება სამინისტროების პერსონალისა და პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული ინსტიტუციებისთვის. ეს უნდა მოიცავდეს საქართველოში და ევროკავშირში რეგიონული განვითარების სამართლებრივ საფუძვლებს, პოლიტიკის ჩარჩოებს, მეთოდოლოგიას და პრაქტიკას. შესაბამისი კურიკულუმი შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს საჯარო ადმინისტრირების ტრენინგის ზოგად ეროვნულ ჩარჩოში შემდგომი გამოყენებისათვის, და შეთავაზებულ იქნეს ასევე უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

მიზანი

- ინსტიტუციური შესაძლებლობების ამაღლება ეროვნულ დონეზე, რათა ხელი შეეწყოს თანამედროვე რეგიონული განვითარების პოლიტიკის (მათ შორის, ამ პროგრამის) განხორციელებას, განსაკუთრებით ისეთ კომპონენტებთან მიმართებით როგორიცაა ტერიტორიულად ორიენტირებული საჯარო ინტერვენციის კოორდინაცია, პროგრამირება, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება.

აქტივობები

- **ადამიანური შესაძლებლობების განვითარება** - მაგ. ტრენინგები, კონსულტაციები, სასწავლო ტურები და ექსპერტების გაცვლა, როგორც საქართველოს ფარგლებში, ასევე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის;
- **ღონისძიებების ორგანიზება** - კონფერენციები, კომიტეტის შეხვედრები, სამუშაო შეხვედრები, შეხვედრები საჯარო ინფორმაციის გაზიარებისათვის, სასწავლო ტურები, საერთაშორისო კონფერენციებში და კონსულტაციებში მონაწილეობა ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაბამის კოლეგებთან ერთად;
- **ცოდნის მართვა** - არქივებისა და ვებ-გვერდების შექმნა, ასევე პუბლიკაციების გამოქვეყნება, რომელიც შეიცვას ძირითად სტრატეგიულ, მეთოდურ დოკუმენტაციას, საინფორმაციო მასალებს და სასწავლო კურიკულუმს; ექსპერტთა ქსელის შექმნა, რეგიონული განვითარების შესახებ ეროვნული ცოდნის ბაზის ჩამოყალიბებისა და საქართველოს მასშტაბით რეგიონული დეველოპერების პროფესიული საზოგადოების გაძლიერების მიზნით.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტია 14 მილიონი ლარი.

შენიშვნა: დაფინანსების ზუსტი მოცულობა დადგინდება განვითარების პარტნიორებთან და საერთაშორისო დონორებთან კონსულტაციების შემდგომ. (გულისხმობს ევროკავშირის დაფინანსებას მიმდინარე და მომავალი საფინანსო შეთანხმებების ფარგლებში და ასევე, სხვადასხვა ორმხრივ წყაროებს).

მყისიერი შედეგების ინდიკატორი

- პერსონალის რაოდენობა, რომელიც მონაწილეობს სპეციალიზებულ ტრენინგებში / კონსულტაციებში / კურსებში / გაცვლით ღონისძიებებში;
- მომზადებული და გამოქვეყნებული სასწავლო კურიკულუმებისა და სასწავლო მასალების რაოდენობა;
- ზოგადად, რეგიონული განვითარების პოლიტიკასთან და კონკრეტულად რეგიონული განვითარების პროგრამასთან დაკავშირებული კონფერენციების და საზოგადოებრივი ღონისძიებების რაოდენობა;
- რგპ-ის პროგრამის მონიტორინგის საინფორმაციო სისტემა შემუშავებულია და ფუნქციონირებს.

საბოლოო შედეგების ინდიკატორი

- რგპ-ის შესაბამისი ღონისძიებების მიხედვით განსაზღვრული მყისიერი და საბოლოო შედეგების ინდიკატორების დროული მიღწევა.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში; სხვა განვითარების პარტნიორები და საერთაშორისო დონორები.

VII.5.2. ღონისძიება 5.2. ანალიტიკური ბაზის გაძლიერება მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისათვის

ეფექტიანი რეგიონული პოლიტიკა უნდა შემუშავდეს სამეცნიერო ცოდნისა და შესაბამისი მონაცემების ერთობლიობის საფუძვლზე. გადაწყვეტილების მიღება და რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა ტერიტორიულ დონეზე (ეროვნული, დაგეგმვის რეგიონები, მუნიციპალიტეტები) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ხარისხობრივ მონაცემებსა და ანალიზს და ასევე, ტერიტორიებზე საჯარო პოლიტიკების გავლენას. როგორც გამოცდილებიდან ჩანს, საქართველოს რეგიონული განვითარების შესახებ მონაცემებისა და ანალიზის ხელმისაწვდომობა ძალზედ შეზღუდულია - არც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და არც ინდივიდუალური სამინისტროები არ აწარმოებენ საკმარისი რაოდენობის

ტერიტორიული მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას, რომელიც საჭიროა ეფექტიანი რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელებისთვის.

ეს ღონისძიება გააუმჯობესებს ტერიტორიული მონაცემების ხელმისაწვდომობას და განავითარებს რეგიონული განვითარების პროგრამაში მონაწილე ყველა სამინისტროს ანალიტიკური და სტრატეგიული დაგეგმვის შესაძლებლობების ამაღლებას. ამ ძალისხმევის ფარგლებში, უზრუნველყოფილი იქნება რეგიონული განვითარების სტატისტიკის გაუმჯობესება და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერება, რაც თანამედროვე რეგიონული პოლიტიკის განსახორციელებლად სანდო ინფორმაციისა და მონაცემების წარმოებას უზრუნველყოფს.

ამავდროულად, ამ ღონისძიების ფარგლებში შეიქმნება აკადემიური წრეების მდგრადი თანამშრომლობის სისტემა (შესაბამისი კვლევა და უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლები) და ხელი შეეწყობა ადმინისტრაციული შესაძლებლობების შემდგომ გაძლიერებას. ამ აქტივობების შედეგები ხელს შეუწყობს რეგიონული და დარგობრივი საინვესტიციო პოლიტიკების ხარისხის გაუმჯობესებას და მათ ქმედით განხორციელებას.

მიზანი

- ტერიტორიული მონაცემების ხარისხის გაუმჯობესება და მათზე ხელმისაწვდომობის ზრდა სხვადასხვა დონეზე (ცენტრალური, ადგილობრივი, რეგიონული/ფუნქციური) და თანამედროვე რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით ინსტიტიციების ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარება.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 1.6 მილიონ ლარს.

შენიშვნა: დაფინანსების ზუსტი მოცულობა დადგინდება განვითარების პარტნიორებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან კონსულტაციების შემდგომ. (გულისხმობს ევროკავშირის დაფინანსებას მიმდინარე და მომავალი საფინანსო შეთანხმებების ფარგლებში და ასევე სხვადასხვა ორმხრივ წყაროებს).

აქტივობები

- თანამედროვე რეგიონული პოლიტიკის განსახორციელებლად სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და საქსტატისა და სხვა ინსტიტუტების მიერ რგპ-ს განხორციელების მონიტორინგი;
- სხვადასხვა დონეზე (ცენტრალური, ადგილობრივი, რეგიონული/ფუნქციური) ტერიტორიული მონაცემების ბაზის შექმნა;
- საჯარო პოლიტიკის ტერიტორიული ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია;
- რეგიონული განვითარების ტენდენციებზე და ანალიზსა და კვლევების მტკიცებულებებზე აკადემიურ წრეებს, საქსტატს, სამინისტროებსა და განმახორციელებელ უწყებებს შორის თანამშრომლობის სისტემის ჩამოყალიბება.

მყისიერი შედეგების ინდიკატორი

- ახალ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონულ ანალიზსა და პოლიტიკის განხორციელებას ეროვნულ, რეგიონულ, ადგილობრივ და ფუნქციურ დონეებზე;
- განვითარების პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების მხარდამჭერი კვლევები;
- სახელმწიფო პოლიტიკის ტერიტორიული გავლენის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ ქსელსა და ტრენინგებში მონაწილე ექსპერტთა რაოდენობა;
- ღონისძიებათა რაოდენობა, რომელიც ორგანიზებულია რეგიონული პოლიტიკის ექსპერტების თანამშრომლობისა და პროფესიული ქსელის განვითრებისთვის.

საბოლოო შედეგების ინდიკატორი

- რეგიონული განვითარების ახალი სასწავლო კურსების რაოდენობა, რომელიც ორგანიზებულია უნივერსიტეტების მიერ სტუდენტებისა და სახელმწიფო მოხელეებისთვის.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში; სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; სხვა შესაძლო განვითარების პარტნიორები და საერთაშორისო დონორები.

VII.5.3. ღონისძიება 5.3. ადგილობრივი ხელისუფლებების აქტიური ჩართულობა და პარტნიორობისა და განვითარების პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა

პარტნიორობისა და მრავალდონიანი მმართველობის პრინციპები თანამედროვე საჯარო პოლიტიკის მთავარ პრინციპებს წარმოადგენენ. აღნიშნული, ასევე, ეხება ევროკავშირის რეგიონულ პოლიტიკას, რაც საქართველოს რეგიონული განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ათვლის წერტილია. ამ პრინციპებზე ყურადღებას ამახვილებს ასევე ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება. მრავალდონიანი მმართველობის გამართულად ფუნქციონირებადი სისტემა და პარტნიორობა ყველა დაინტერესებულ მხარესთან, (მათ შორის: ადგილობრივი ხელისუფლებების წარმომადგენლები, სოციალური პარტნიორები, ეკონომიკური ინტერეს ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემია და სხვა) აძლიერებს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ხარისხს და ეფექტიანობას. დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგი ამდიდრებს საინფორმაციო ბაზას, რომელიც აუცილებელია პოლიტიკის შემუშავებისთვის. ამასთან, ერმნიშვნელოვანია, რომ რეგიონული განვითარების პროგრამა და შესაბამისი ინიციატივები ძირითადი დაინტერესებული მხარეების მიერ აღქმულ იქნეს, როგორც საკუთარი და მათთვის საორიენტაციო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს საქართველოში რეგიონული პოლიტიკის არასამთავრობო დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარებას და მათთან დიალოგს. რეგიონული განვითარების პროგრამა მხარს დაუჭერს ამ დაინტერესებულ მხარეებს (არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალურ პარტნიორები, მუნიციპალური ასოციაციები და ა.შ.), რათა მათ შეძლონ ეფექტური მონაწილეობა პოლიტიკის განხორციელების პროცესში, თავიანთი წინადადებების შემუშავებითა და წარდგენით ეროვნული ხელისუფლებისთვის.

ღონისძიება, ასევე, დააფინანსებს შესაძლებლობების გაძლიერებას ადგილობრივ დონეზე. კონკრეტული აქტივობა მიზნად ისახავს საქართველოში ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე არსებული მუნიციპალური თანამშრომლობის სისტემის განვითარებას. გარდა ამისა, ღონისძიების ფარგლებში, უზრუნველყოფილი იქნება სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლების განვითარების მხარდაჭერა, რათა მოხდეს ინტეგრირებული პროექტების წახალისება, განვითარება და განხორციელება, სადაც ჩართული იქნებიან არსებული ინსტიტუციები (გუბერნატორები და სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები), მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციები, რომელთა აქცენტი დიდ ქალაქებზე იქნება მიმართული (რომელთაც შეეძლიათ „ჰაბების“ ფუნქციის შესრულება თავიანთ მეტროპოლიურ არეალში ურბანული და ურბანულ-რურარული პარტნიორობის განვითარებისთვის).

მიზანი

- რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელებისთვის ადგილობრივი ინსტიტუციების შესაძლებლობების განვითარება და რეგიონული პოლიტიკის არასამთავრობო დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობის ხელშეწყობა.

ბიუჯეტი

ღონისძიების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 37.5 მილიონ ლარს.

შენიშვნა: ოთხი წლის განმავლობაში ფინანსური დახმარების სავარაუდო მოცულობა დაზუსტდება განვითარების პარტნიორებთან და საერთაშორისო დონორებთან კონსულტაციების შემდგომ (გულისხმობს მ.შ. ევროკავშირის დაფინანსებას მიმდინარე და მომავალი საფინანსო შეთანხმებების ფარგლებში და სხვადასხვა ორმხრივ წყაროებს).

აქტივობები

- რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაძლებლობების განვითარება რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში:
  - სასწავლო კურიკულუმი და მდგრადი სასწავლო სისტემა;
  - კონსულტაცია;
  - ქოუჩინგი;
  - სასწავლო ტურები და ექსპერტების გაცვლა საქართველოს ფარგლებში, აგრეთვე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირში;
  - ღონისძიებების ორგანიზება - კონფერენციები, კომიტეტის შეხვედრები, სემინარები, საჯარო საინფორმაციო ღონისძიებები, სასწავლო ტურები, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა და კონსულტაციები ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ხელისუფლებებთან;
- განვითარების პარტნიორების ჩართულობის ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის ინსტრუმენტების შემუშავება.

მყისიერი შედეგების ინდიკატორი

- მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს მხარდაჭერა მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობისა და ქსელის განვითარებისათვის;
- კონფერენციებისა და საჯარო ღონისძიებების რაოდენობა, რომელიც მიეძღვნა რეგიონული განვითარების პოლიტიკას და რეგიონული განვითარების პროგრამას;
- რეგიონული პოლიტიკის პროგრამირებასა და განხორციელებაში ჩართული ადგილობრივი ხელისუფლებებისა და ინსტიტუციების წარმომადგენელთათვის ჩატარებული ტრენინგ კურსების რაოდენობა.

საბოლოო შედეგების ინდიკატორი

- განსაზღვრული და განხორციელებული ინტერმუნიციპალური პროექტების რაოდენობა;
- ექსპერტთა რაოდენობა, რომელთაც გაიარეს სპეციალიზირებული ტრენინგები, კონსულტაციები და მონაწილეობდნენ გაცვლით ღონისძიებებში.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში; აშშ განვითარების სააგენტო; საქსტატი; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება; გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა; სხვა განვითარების პარტნიორები და საერთაშორისო დონორები.

VII.5.4. ღონისძიება 5.4. რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავება: განვითარების პროგრამების მომზადება ორი საპილოტე რეგიონისთვის

საქართველოსათვის ევროკავშირის მხარდაჭერის ერთიანი ჩარჩოს ფარგლებში (2017-2020) გათვალისწინებულია, რომ საქართველოს მთავრობის თანხმობით, მოხდება საპილოტე რეგიონების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ შეიმუშაონ და განახორციელონ ინტეგრირებული საინვესტიციო პროგრამები, რომელიც მოიცავს SSF-ის ფარგლებში შერჩეულ ყველა (ან უმეტეს) სექტორს.

SSF-ის სექტორების ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:

- ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები;
- ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა;
- დაკავშირების საშუალებები, ენერგოეფექტურობა, გარემოსა და კლიმატის ცვლილება;
- მობილობა და ხალხთა შორის კონტაქტები.

დიაგრამა 15. 2017-2020 წლების ევროკავშირის ერთიანი მხარდაჭერის ჩარჩოს ფარგლებში განსაზღვრული სექტორები



წყარო: ევროკავშირის 2017-2020 წლების ერთიანი დახმარების ჩარჩო დოკუმენტი - SSF

სექტორებზე დაფუძნებული მხარდაჭერა ითვალისწინებს სექტორებისათვის საერთო საკითხებსაც, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებებთან, გენდერთან, ციფრულ და ადამიანის უფლებებთან

დაკავშირებულ საკითხებს. ამავდროულად, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის და რამდენიმე ქვეყნისთვის განკუთვნილი პროგრამები გააგრძელებენ დამატებითი დახმარების უზრუნველყოფას.

გარდა სექტორული ინსტრუმენტებისა, ევროკავშირის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ნაწილი, საფინანსო შეთანხმების ფარგლებში, რეგიონულ განვითარებაზე იქნება მიმართული, რაც საპილოტე რეგიონებისთვის დამატებით ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. საპილოტე რეგიონები საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის კონსულტაციების პროცესში განისაზღვრება, პროგრამის III თავში მოცემული ანალიზის გათვალისწინებით. კვლავაც შენარჩუნდება დახმარება მთელი ქვეყნის მასშტაბით და რგპ-ის და დონორთა მხარდაჭერა ხელმისაწვდომი იქნება ყველა რეგიონში.

სხვადასხვა დარგობრივ და რეგიონულ პოლიტიკურ ინსტრუმენტებს შორის ეფექტიანი კოორდინაციის უზრუნველსაყოფად, შემოთავაზებულია საპილოტო რეგიონებისათვის ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკასთან დაახლოებული ინტეგრირებული პროგრამ(ებ)ის მომზადება და განხორციელება, რაც ევროკავშირის დაფინანსების ხილვადობის გაზრდას და მრავალდონიანი მმართველობის სისტემის გაძლიერების საშუალებას იძლევა. აღნიშნულში ჩართული იქნებიან, როგორც ეროვნული, ისე ადგილობრივი ხელისუფლებები და განვითარების პარტნიორები, რომელთაც, ასევე, ეძლევათ დამატებითი შესაძლებლობა, მოახდინონ გავლენა რეგიონების განვითარების პერსპექტივებზე. შესაბამისი პროგრამები საპილოტე რეგიონებისთვის შექმნის დამატებით, ქმედით შესაძლებლობას პრაქტიკულად იქნეს გამოცდილი სპეციფიურ ტერიტორიაზე მორგებული რეგიონული განვითარების მიდგომები, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში სულ უფრო მეტად იკავებს წამყვან ადგილს. ასეთი მიდგომის ძირითადი ელემენტებია:

- პროგრამირების პროცესში ტერიტორიული მიდგომების გათვალისწინება;
- პოლიტიკისა და დაფინანსების წყაროების ეფექტური კოორდინაცია კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში;
- განხორციელების გარკვეული ამოცანების ეტაპობრივი დელეგირება რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

მიზანი

საპილოტე რეგიონებისთვის რეგიონული განვითარების ინტეგრირებული პროგრამ(ებ)ის მომზადება და განხორციელება ევროკავშირისა და დონორთა მხარდაჭერით.

ბიუჯეტი

- პროგრამ(ებ)ის მომზადება იგეგმება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროექტის - "საქართველოში რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა" (ფაზა II, 1.5 მლნ ლარი ჯერ კიდევ ასათვისებელია) და სამომავლო ტექნიკური დახმარების ფარგლებში, რომელიც გამომდინარეობს ევროკავშირის 2017-2020 წლების ერთიანი დახმარების ჩარჩო დოკუმენტზე დაყრდნობით შესაბამისი ფინანსური შეთანხმებიდან.
- თითოეული პროგრამის და დაფინანსების კონკრეტულ მოცულობაზე შემდგომი მოლაპარაკებები გაიმართება ევროკავშირთან.

აქტივობები

- ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამ(ებ)ის მომზადება საპილოტე რეგიონებისთვის, რაც შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ქვე-აქტივობების მეშვეობით:
  - რეგიონული განვითარების პროგრამ(ებ)ის მომზადება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად;
  - ახალი ღონისძიებების შემუშავება[25], მათ შორის შერჩევის კრიტერიუმების მომზადება;
  - დოკუმენტაციის მომზადება, რომლებიც საჭიროა პროგრამების ეფექტიანად და ევროკავშირის სტანდარტების გათვალისწინებით (ნიმუშები, პროცედურები, სახელმძღვანელოები და ა.შ.) განხორციელებლად;
  - მრავალმხრივი კოორდინაციისა და პარტნიორობის მექანიზმის ინსტიტუციური სისტემის განვითარება;
  - ტენდერის ორგანიზებისთვის დოკუმენტაციის მომზადება;
  - პროექტის მომზადება.

[25] ღონისძიებების ჩამონათვალი შეიძლება მოიცავდეს მაგალითად შემდეგს: საშუალო ზომის ურბანული ცენტრების განვითარება და სოციალურ-ეკონომიკური რესტრუქტურიზაცია; რეგიონული მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა, მათ შორის, კონკრეტული საწარმოების მხარდაჭერა, რომლებიც რეგიონულ დონეზე გამოვლენილ კონკურენტულ სექტორში ოპერირებენ; კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნების მხარდაჭერა და მათი ეკონომიკური მიზნებისთვის გამოყენება; მცირე ინფრასტრუქტურის განვიტარების მხარდაჭერა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკური პოტენციალის განვითარებას (მაგ. ტურიზმის სფეროში); CLLD ტიპის საქმიანობის განხორციელება, რომელიც ეკონომიკურ განვითარებაში ადგილობრივების მონაწილეობის წახალისებას უზრუნველყოფს; რეგიონული ინოვაციური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა.

- საპილოტე პროგრამ(ებ)ის განხორციელებაში ჩართული რეგიონული და ადგილობრივი ინსტიტუციების და აგრეთვე, განვითარების პარტნიორების შესაძლებლობების გაძლიერება.

მყისიერი შედეგების ინდიკატორი

- რეგიონული განვითარების ინტეგრირებული პროგრამ(ებ)ის შემუშავება საპილოტე რეგიონებისთვის, რომლებიც 2019 წლის ბოლოსთვის მხარდაჭერილია ევროკავშირის სამსახურების მიერ;
- პროგრამ(ებ)ის განხორციელების სისტემა (პროცედურები, სტრუქტურები) სრულად ამუშავებულია.

საბოლოო შედეგების ინდიკატორი

- ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკის მიდგომებთან დაახლოებული რეგიონული განვითარების ინტეგრირებული პროგრამ(ებ)ის განხორციელება დაწყებულია არაუგვიანეს 2020 წლიდან.

განმახორციელებელი ორგანოები და პარტნიორები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი / ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში; სხვა შესაძლო პარტნიორები.

VIII. ფინანსური გეგმა

2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მთლიანი სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით **18 მილიარდ ლარს.** ეს წლიურად საშუალოდ შეადგენს დაახლოებით **4,5** მილიარდ ლარს, რაც თითქმის **4**-ჯერ აღემატება წინა პროგრამის (რგპ 2015-2017) წლიურ ბიუჯეტს.

რგპ-ის დაფინანსების წყაროებია:

- საქართველოს 2018-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი;
- დაფინანსება დონორების მხრიდან;
  - სექტორული საბიუჯეტო დახმარება, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტში (შესაბამისად, აღნიშნული დახმარება ასახულია ზემოთ მოყვანილ საბიუჯეტო ასიგნებებში). ამ სახსრებს განკარგავს საქართველოს ხელისუფლება;
  - დონორული დაფინანსება, გარდა იმ დახმარებებისა რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტში (მაგალითად ტექნიკური დახმარება). ეს სახსრები შეიძლება მართული იყოს თავად დონორების, ან მათი კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ;
- რეგიონული განვითარების პროგრამის მხარდასაჭერად ბენეფიციართა მიერ გაღებული თანადაფინანსება.

რგპ-ის ფინანსური ცხრილი (დანართი 4) მოიცავს შემდეგ ინფორმაციას, რამდენადაც ეს შესაძლებელია:

- სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ რგპ-ის ღონისძიებების განხორციელებისთვის გამოყოფილი საორიენტაციო ხარჯები;
- ინფორმაცია, თუ რამდენად შეიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ხარჯები დონორთა დაფინანსებას (დიახ / არა);
- ნებისმიერი ფინანსური ინფორმაცია დონორებთა მხრიდან დამატებითი დაფინანსების შესახებ;
- დონორთა პროგრამის დასახელება, რომელიც უზრუნველყოფს დაფინანსებას რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში ან მის პარალელურად.

<u>**ყველა ფინანსური მაჩვენებელი საორიენტაციოა:**</u>

- სახელმწიფო ბიუჯეტის კონკრეტული ვალდებულებები განხორციელდება წლიური ბიუჯეტის დაგეგმვის ფარგლებში, რაც მოითხოვს შემდგომ დამტკიცებას საქართველოს პარლამენტის მხრიდან;
- დონორების მიერ დამატებითი ვალდებულებები განხორციელდება პროგრამირების დადგენილი პროცედურებისა და დონორთან დაფინანსების შესახებ შეთანხმების მიხედვით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მონაწილეობას მიიღებს წლიური ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და რეგიონული განვითარების პროგრამაში მონაწილე შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს, რომ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები დაფუძნებული იყოს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე და სხვა წყაროებზე. თუმცა, ყოველწლიურად, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები შეიძლება შეიცვალოს, სახელმწიფო წლიური ბიუჯეტისა და სხვა წყაროების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ საბიუჯეტო პროცესში, რგპ-ის დაფინანსება ნებისმიერი სამინისტროს ან დონორის მხრიდან შეიცვლება, პასუხისმგებელი სამინისტრო აღნიშნულის შესახებ აცნობებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს რგპ-ში შესაბამისი ცვლილებების ინიცირების პროცესი. ეს ხელს შეუწყობს რგპ-ის დაფინანსების შესახებ ყველა დაინტერესებული მხარის სრულ ინფორმირებულობას და პროგრამული ღონისძიებებისა და მათ განხორციელებაზე მონიტორინგის პროცესის ეფექტიან დაგეგმვას.

ნებისმიერი იმ წყაროს ფინანსური პასუხისმგებლობა, რომელიც მონაწილეობს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელებაში, რეგულირდება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თაობაზე არსებული საქართველოს კანონმდებლობით და ასევე, დამატებითი შეთანხმებებით დონორებთან და განვითარების პარტნიორებთან.

სახელმწიფო უწყებები, რომლებიც ჩართულნი არიან რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელებაში, პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში, პერიოდულად მიაწვდიან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შემდეგ ინფორმაციას:

- რეგიონული განვითარების პროგრამიდან თანადაფინანსებული პროექტების ნუსხა;
- ამ პროექტებისათვის გამოყოფილი/კონტრაქტით შეთანხმებული თანხების რაოდენობა (ვალდებულებები);
- ბენეფიციარებთან შეთანხმებული თანადაფინანსების მოცულობა (საკუთარი რესურსები);
- ფულადი სახსრები, რომელიც რეალურად დაიხარჯა და შემდეგ აუნაზღაურდა ბენეფიციარებს (გადახდა).

ეს ინფორმაცია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ წარედგინება რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას და საქართველოს მთავრობას, როგორც რგპ-ის მონიტორინგის ანგარიშის ნაწილი, რომელიც წელიწადში, მინიმუმ ერთხელ, უნდა იყოს მომზადებული. მონიტორინგის ანგარიშები, როგორც წესი, საჯაროა.

ბენეფიციარების მხრიდან, ასევე, პროგრამის 5 ძირითადი პრიორიტეტის თანადაფინანსების (თუკი ის არსებობს) მოსალოდნელი რაოდენობა უნდა იყოს მოწოდებული.

ბენეფიციართა მხრიდან თანადაფინანსება უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის იმისათვის, რომ ბენეფიციარები დაინტერესებულნი იყვნენ პროექტის განხორციელებაში. ამავე დროს, ეს დახმარება არ უნდა აღემატებოდეს ბენეფიციარების რეალურ შესაძლებლობებს. თანადაფინანსების მაჩვენებელი, მაგალითად, არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ადგილობრივი ხელისუფლებების ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის შეიძლება შეადგენდეს 0%-ს. მცირე საწარმოებისათვის, თანადაფინანსების მაჩვენებელი ითვალისწინებს თანადაფინანსებული პროექტის მიერ შემოსავლების გენერირების შესაძლებლობას. საჯარო დაფინანსება არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ ხარჯების დასაფარავად, რომლის დაფარვაც თავად პროექტს შეუძლია. პროექტისადმი გაწეული (განსაკუთრებით საწარმოების პროექტებისადმი) საჯარო დაფინანსების მაქსიმალური მაჩვენებელი შესაძლოა განისაზღვროს იმ რეგიონის განვითარების დონის მიხედვით, სადაც პროექტი ხორციელდება. საზოგადოებრივი მხარდაჭერის უფრო მაღალი დონე შეიძლება შეთანხმებული იყოს ნაკლებად განვითარებულ ტერიტორიებზე, რაც ხელს შეუწყობს კერძო ინვესტიციებს.

პროგრამის ფინანსური გეგმის ცხრილი მოცემულია ქვემოთ, დანართში #4.

IX. განხორციელების მექანიზმები

პრინციპები

ამ თავის მიზანს წარმოადგენს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოების აღწერა. იმის გათვალისწინებით, რომ რგპ 2018-2021 განხორციელდება დაფინანსების სხვადასხვა წყაროების მეშვეობით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტითა და დონორული წყაროების გამოყენებით, განხორციელების სისტემის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს უზრუნველყოს ეფექტიანი და ეფექტური კოორდინაცია და თანამშრომლობა ამ წყაროებს შორის, იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები. ეს მოითხოვს ამ პროცესების ხელშეწყობისათვის ეფექტური ინსტრუმენტების არსებობას, ასევე, პროგრამების მართვისათვის ადმინისტრაციული შესაძლებლობების შემდგომ განვითარებას, მათ შორის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების კუთხით.

2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელება ეფუძნება პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ სათანადო ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბებას. ეს პრინციპებია:

- **გაძლიერებული კოორდინაცია** *(რეგიონული პოლიტიკა მოითხოვს დარგთაშორის თანამშრომლობას. რეგიონული განვითარების პროგრამის ღონისძიებები სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების კომპეტენციის ფარგლებშია. მიუხედავად ამისა, მათი განხორციელება უნდა იყოს მაქსიმალურად კოორდინირებული. იმისათვის, რომ მოხდეს საჯარო სახსრების ეფექტიანად და ეფექტურად გამოყენება, თავიდან უნდა იქნეს აცილებული კონფლიქტები, ღონისძიებათა გადაფარვა და სინერგიულად გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები. რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის საქმიანობა, ერთის მხრივ, ფოკუსირებული იქნება უშუალოდ უწყებათაშორისი კოორდინაციის საკითხებზე, ხოლო მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს შესაბამის პარტნიორებს შორის კოორდინაციას);*
- **უწყვეტობა** *(ინსტიტუციური ჩარჩო ითვალისწინებს არსებულ, კარგად დამკვიდრებულ პრაქტიკას. ცვლილებები მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს დასაბუთებული მიზანი და მნიშვნელოვანი დამატებითი შედეგის მიღწევის რეალური პერსპექტივა);*

- **პარტნიორობა** *(პროგრამა წარმოადგენს ყველა დაინტერესებული მხარის „საკუთრებას“. ეს არის პროგრამა, რომელიც შემუშავდა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების, სახელმწიფო უწყებების, დონორების, არასამთავრობო დაინტერესებულ მხარეებისა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის არსებული პარტნიორობისა და ალიანსის საფუძველზე, რათა განხორციელებულიყო მათ შორის შეთანხმებული საერთო მიზნები. მხარეები, რომელიც ახორციელებენ პროგრამას, ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთისა და ფართო საზოგადოების წინაშე. მათ ხელი უნდა შეუწყონ ურთიერთთანამშრომლობას, შეიტანონ წვლილი პროგრამის განხორციელებაში საკუთარი ცოდნითა და რესურსებით და ეფექტიანად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები);*
- **განჭვრეტადობა** *(რგპ წარმოადგენს ყველა დაინტერესებული მხარის პოლიტიკურ და ფინანსურ ვალდებულებას დასახულ მიზნებთან, საქმიანობასთან და დაფინანსებასთან დაკავშირებით. დასახული გეგმები და ღონისძიებები, მათი ღირებულება არის საორიენტაციო და შეიძლება დაზუსტდეს ან შეიცვალოს განხორციელების პერიოდში. ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში, თავიდან უნდა იქნეს აცილებული პროგრამის მიზნებიდან ან ბიუჯეტიდან არაკოორდინირებული გადახრა*);
- **გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება** *(ეფექტური მართვა, ეფექტიანობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება მოითხოვს, რომ ფუნქციები იყოს მკაფიოდ და ცალსახად გადანაწილებული. რგპ-ის განხორციელების საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. ფინანსური პასუხისმგებლობა პროგრამული თანხების ხარჯვაზე ეკისრება შესაბამის სამინისტროებს და სხვა ინსტიტუციებს, რომლებიც ჩართულნი არიან კონკრეტული ღონისძიების (ან პროექტის) განხორციელებაში. თანხების ხარჯვა უნდა ხდებოდეს არსებული ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად);*
- **შესაძლებლობების კომპლექსური განვითარება** *(პროგრამის წარმატებისათვის აუცილებელია ინსტიტუციური სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. აქედან გამომდინარე, პროგრამა მოიცავს ღონისძიებებს შესაძლებლობების კომპლექსური განვითარებისათვის (პრიორიტეტი 5) და ასევე რესურსებს, რათა პროგრამის განხორციელებაში მონაწილე უწყებებმა შეძლონ თავიანთი პასუხისმგებლობის სათანადოდ აღსრულება);*
- **პროპორციულობა** *(თითოეული პრიორიტეტისა და ღონისძიების განხორციელების პროცედურები უნდა შემუშავდეს ისე, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ადმინისტრაციული დატვირთვა ბენეფიციარებზე და პროგრამის განმახორციელებელ ორგანოებზე, სადაც შესაძლებელია, პროგრამულმა ორგანომ უნდა გამოიყენოს ერთი და იგივე კოორდინირებული პროცედურები და მოთხოვნები ბენეფიციარების მიმართ, რაც თავიდან აიცილებს რესურსების გაუმართლებელ ხარჯვას. იქ სადაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთო მოსამზადებელი ღონისძიებები, როგორც მინიუმ აუცილებელია იმაში დარწმუნება, რომ ღონისძიებები თავსებადია).*

რგპ-ის განხორციელების სისტემა ეფუძნება საქართველოში უკვე დანერგილ ახალ პრაქტიკას და ამავდროულად, შემოაქვს რიგი ახალი ელემენტებისა, რომლებიც ეყრდნობა საუკეთესო ევროპულ მაგალითებს. სწორედ ამიტომ, პროგრამის განხორციელების სისტემა საქართველოს რეგიონულ პოლიტიკას ერთი ნაბიჯით აახლოებს არსებულ ევროპულ პრაქტიკასთან. აღნიშნული ხორციელდება ხელისუფლების მოსამზადებლად, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, რათა მომავალში შესაძლებელი იყოს დონორთა დამატებითი დაფინანსების მიიღება და მისი ეფექტიანი ათვისება რეგიონული განვითარების პროცესში. წარმატებული მოლაპარაკებები ევროკავშირთან რეგიონული განვითარების პროგრამის პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე, კერძოდ კი საპილოტე რეგიონებისთვის ინტეგრირებული ტერიტორიული პროგრამ(ებ)ის ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე, როგორც მინიმუმ, მოითხოვს ევროკავშირის კარგი მმართველობის სტანდარტებთან შესაბამისობას, რომელიც ნათლად განსაზღვრავს ევროკომისიის გენერალური დირექტორატის აღმოსავლეთის კეთილმეზობლობის საკითხებში (DG Near), ევროკომისიის გენერალური დირექტორატის რეგიონული და ურბანული პოლიტიკის საკითხებში (DG Regio), საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებებისა და უწყებების როლს.

ინსტიტუციური ჩარჩო

2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ძირითადი დაინტერესებული მხარეები და მათი ძირითადი ამოცანები:

- **რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია**. კომისიის ძირითადი ფუნქციაა სამინისტროების საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაციის უზრუნველყოფა. კომისია თავდაპირველად იწონებს ან განიხილავს ყველა სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც დაკავშირებულია რგპ-ის პროგრამირების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესთან. პროგრამირებისა და განხორციელების საკითხებში კომისიის მხარდამჭერ სამოქმედო ინსტრუმენტს წარმოადგენენ *ტექნიკური საკოორდინაციო ერთეული* და *დონორული პროგრამების საკოორდინაციო ერთეული*, რომელთა სხდომებს თავმჯდომარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ამავდროულად, კომისია ხელს უწყობს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან და განვითარების მხარდამჭერ პარტნიორებთან (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, სამინისტროები, განმახორციელებელი ორგანოები, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაცია და მუნიციპალიტეტების ორგანოები, განვითარების სხვა პარტნიორები, დონორების, ახალი და ერთჯერადი პარტნიორების ჩათვლით) თემატურ კოორდინაციას რგპ-ს განხორციელების მიზნებისთვის, განიხილავს რა პროგრამირების შესაბამის საკითხებს და განხორციელების მოსამზადებელ ღონისძიებებს (მ.შ. სპეციფიური პროექტების შერჩევის კრიტერიუმები).
- **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.** სამინისტრო არის რეგიონული განვითარების პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო (სტრატეგიული პროგრამირების ფუნქცია), მას აქვს საერთო პასუხისმგებლობა რგპ-ის განხორციელებაზე (მენეჯმენტის ფუნქცია). მენეჯმენტისა და განხორციელების ფუნქციები შეძლებისდაგვარად უნდა იყოს გამიჯნული სტრატეგიული პროგრამირების ფუნქციისგან. სამინისტრო ახორციელებს კოორდინაციას და აქვს ამოცანა, რომ უზრუნველყოს პროგრამის იმგვარი კოორდინირება და მართვა, რომელიც საშუალებას იძლევა დაგეგმილი პროგრამული ღონისძიებების მეშვეობით მიღწეულ იქნეს მოსალოდნელი შედეგები. ამისათვის, საჭიროა ურთიერთთანამშრომლობა შესაბამის უწყებებთან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პროგრამის განხორციელებაზე, ასევე, თანამშრომლობა პროგრამის სხვა სუბიექტებთან და ბენეფიციარებთან. ამასთან, სამინისტრო უზრუნველყოფს სრული ინფორმაციისა და რგპ-ის პროგრესის შესახებ ანგარიშების შეგროვებას, დამუშავებასა და ხელმისაწვდომობას რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის, საქართველოს მთავრობისა და ფართო საზოგადოებისათვის.
- **ტექნიკური საკოორდინაციო ერთეული** (ტსე). გაფართოებული უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი რგპ-ის პროგრამირებისა და განხორციელების საკითხებში (მოიცავს ყველა შესაბამისი უწყების წარმომადგენლებს და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სუბიექტებს) იკრიბება პერიოდულად, რათა განიხილოს პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროგრესი. კერძოდ, იგი განიხილავს მეთოდოლოგიურ საკითხებს, საოპერაციო გეგმებს, რგპ-ის ყოველდღიური მართვისა და პროგრამირების საკითხებს. *ტსე* იკრიბება პერიოდულად, რათა შეაფასოს პროგრამის პროგრესი, მოამზადოს წინადადებები ნებისმიერი იმ პრობლემის გადაწყვეტის გზებზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროგრამის მიმდინარეობისას.
- **დონორული პროგრამების საკოორდინაციო ერთეული** (დპსე) - არის რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის ფარგლებში შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც რგპ-ს განხორციელების მიზნებისთვის, უფლებამოსილია აწარმოოს თემატური კონსულტაციები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან და განვითარების მხარდამჭერ პარტნიორებთან, - მოამზადოს წინადადებები პროგრამირების შესაბამის საკითხებზე და განხორციელების მოსამზადებელ ღონისძიებებზე (მ.შ. სპეციფიური პროექტების შერჩევის კრიტერიუმები).
- **შუალედური ორგანოები.** თითოეული პრიორიტეტისა და ღონისძიებისათვის შესაბამისი სამინისტრო ან სხვა უწყება წარმოადგენს "შუალედურ ორგანოს". **შუალედურ ორგანოებს** ევალებათ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პროგრამული პრიორიტეტებისა და / ან ღონისძიებების განხორციელება. ამგვარად, მათ უნდა დაიცვან პროგრამის დებულებები, შესაბამისი წესები და პროცედურები. **შუალედური ორგანოები** ატყობინებენ სამინისტროს ღონისძიებების განხორციელების პროგრესის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელი სამინისტროების განმახორციელებელი ორგანოები (შესაბამისი საქვეუწყებო დაწესებულებები) შეიძლება, ასევე, განისაზღვრონ შუალედურ ორგანოებად, თუკი ისინი არ წარმოადგენენ რეგიონული განვითარების პროგრამის მოცემული ღონისძიების ბენეფიციარებს.
- **ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები - სახელმწიფო რწმუნებულები-გუბერნატორები და მუნიციპალიტეტები.** სახელმწიფო რწმუნებულები-გუბერნატორები და მუნიციპალიტეტები შეიძლება ჩართულნი იყვნენ ღონისძიებების შესრულებაში საჭიროებისამებრ, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიისა და მისი საკოორდინაციო ერთეულების მუშაობაში მონაწილეობის გზით. ეს საშუალებას იძლევა მოხდეს დარგობრივი ღონისძიებების უკეთესი მორგება და შესაბამისი პროექტების უკეთ გამოვლენა. ამასთან, აღნიშნული ზრდის ერთიანი ეროვნული პოლიტიკის ეფექტიანობას, რადგან უკეთ ხდება ტერიტორიული პერსპექტივების გათვალისწინება. ზოგიერთი ღონისძიების განხორციელებაში სახელმწიფო რწმუნებულები-გუბერნატორები და მუნიციპალიტეტები შეიძლება პირდაპირ იყვნენ ჩართულნი, პროექტის შერჩევის პროცესში

მონაწილეობის გზით[26]. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტები პროგრამის ბენეფიციარები არიან, ისინი არ მიიღებენ გადაწყვეტილებებს იმ პროექტების თაობაზე, რომელსაც ახორციელებენ.

- **საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.** კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ამოწმებს განმახორციელებელი უწყებების მიერ ბიუჯეტების შესრულებასა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვას.
- **ბენეფიციარები.** პროგრამის ბენეფიციარები მოიცავს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მოქმედი ინსტიტუციების ფართო სპექტრს, ასევე განვითარებასა და სხვა სოციალურ ღონისძიებებში მონაწილე საწარმოებსა და ადამიანებს. ვინაიდან პროგრამა ძირითადად დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტის წყაროებითა და დაფინანსების მექანიზმებით, მოქმედი წესები დგინდება მოცემული სექტორებისა და ინსტრუმენტების შესაბამისი ეროვნული პროცედურებით. თუმცა, ევროკავშირის გამოცდილების შესაბამისად, თანდათანობით, პროექტის განხორციელების პროცესში შემუშავდება და დაინერგება საერთო პროცედურული ჩარჩოები. აღნიშნული ჩარჩოები გაითვალისწინებს საუკეთესო გამოცდილებას პარტნიორობის, ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის და ბიუროკრატიული შეზღუდვების შემცირების მიზნით.

დიაგრამა 16. განხორციელების სტრუქტურა



[26] გასათვალისწინებელია, რომ საპილოტე რეგიონებში ინტეგრირებული ტერიტორიული პროგრამების ფინანსური მხარდაჭერის შესახებ ევროკავშირთან წარმატებული მოლაპარაკებების შემთხვევაში, რგპ-ის განხორციელების პერიოდში, კვლავაც საჭირო იქნება განხორციელების დამატებითი სისტემის შემუშავება სახელმწიფო რწმუნებულები-გუბერნატორების, სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებისა და მუნიციპალიტეტების უფრო აქტიური და პირდაპირი ჩართულობისათვის რეგიონული ღონისძიებების განხორციელებაში. აღნიშნული შეიძლება, ასევე, მოიცავდეს განმახორციელებელ ინსტიტუციებს ადგილობრივ დონეზე, შესაძლო პილოტურ ინსტრუმენტებს და/ან სექტორული პროგრამების განხორციელებაში უკვე ჩართულ სხვადასხვა ინსტიტუციებს.

ფუნქციები და პროცესი

რგპ-ის განხორციელების პროცესი უზრუნველყოფს, რომ მთელი პროგრამული ციკლის განმალობაში ჩატარდეს შესაბამისი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან. ასევე, პროგრამის განხორციელება იყოს კოორდინირებული, ხოლო პროგრამული სახსრების ინვესტიცია განხორციელდეს სხვადასხვა სექტორში (და რეგიონებში) არსებული პროექტების სინერგიის გათვალისწინებით. განხორციელების დეტალური პროცედურები აღწერილია სახელმძღვანელოში, რომელიც შემუშავდება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტროს მიერ პროგრამის მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვის განმავლობაში. სახელმძღვანელოს შემუშავებისას, გამოყენებული იქნება წინა რგპ-ის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. სახელმძღვანელო მოიცავს პროგრამირების (რეპროგრამირების), განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების დეტალურ წესებს. ქვემოთ მოცემულია ძირითადი პროცესების მოკლე აღწერილობა:

პროგრამირება და რეპროგრამირება

რგპ-ის მომზადებას კოორდინაციას უწევს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში რეგიონული განვითარების პოლიტიკაზე. სამინისტრო უზრუნველყოფს სათანადო კონსულტაციების წარმართვას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. მას შემდეგ, რაც შემუშავდება პროგრამის პროექტი, იგი განსახილველად გადაეგზავნება რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას (რგსკ) წინასწარი განხილვისა და მოწონებისთვის. პროგრამა გამოქვეყნებული იქნება საქართველოს მთავრობის მიერ მისი მიღების შემდეგ დადგენილი წესით.

იგივე პროცესი ვრცელდება პროგრამის ნებისმიერ განახლებაზე. ცვლილებების განხორციელების ინიცირება შეიძლება მოხდეს ნებისმიერი ჩართული უწყების ან რგსკ-ს რომელიმე სხვა წევრის მიერ.

განხორციელება

პროგრამის განხორციელება ხდება ინდივიდუალური ღონისძიებების და შესაბამისი საქმიანობის / პროექტების განხორციელების გზით. პროექტები იდენტიფიცირებულია დარგობრივი და/ან რეგიონული განვითარების საჭიროებებისა და დადგენილი წესების შესაბამისად, რაც უკავშირდება სხვადასხვა ღონისძიებებსა და ინსტრუმენტებს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია უფრო რელევანტური წესების განსაზღვრა, რათა უკეთ მოხდეს რგპ-ის და მისი ინდივიდუალური ღონისძიებების მიზნების მიღწევა.

ანგარიშგება და მონიტორინგი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, თანამშრომლობს რა ტექნიკურ საკოორდინაციო ერთეულთან, ამზადებს კონსოლიდირებულ წლიურ ანგარიშს რეგიონული განვითარების პროექტის პროგრესის შესახებ რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიისთვის, რომელიც შემდგომ, ასევე, გადაეგზავნება საქართველოს მთავრობას. ამისათვის, სამინისტრო მოითხოვს ინფორმაციას შესაბამისი შუალედური ორგანოებისაგან და სადაც ასეთი არსებობს, პროექტის ბენეფიციარებისაგან.

ანგარიშგებისა და მონიტორინგისათვის ინფორმაციის შეგროვება ხდება ღონისძიების/პრიორიტეტის დონეზე პასუხისმგებელი შუალედური ორგანოს მიერ. ჩართული სამინისტროები და მათი შესაბამისი ერთეულები მუდმივ რეჟიმში აკვირდებიან ღონისძიებ(ებ)ის განხორცილებას და უზრუნველყოფენ ანგარიშების მიწოდებას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის, დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია განიხილავს წარმოდგენილ ანგარიშებს და საჭიროებისამებრ, აძლევს რეკომენდაციებს განმახორციელებელ სამინისტრო(ებ)ს და შუალედურ ორგანოებს რეგიონული განვითარების პროგრამის ეფექტიანობის გაუმჯობესებისათვის. რეკომენდაციები შეიძლება ეხებოდეს, როგორც შესაბამისი სახსრების ხარჯვას, ისე მენეჯმენტის საერთო პროცესს (ეფექტიანობას) და პროგრამის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ სხვა სპეციფიურ საკითხებს.

პროგრამის განხორციელების წლიური ანგარიშები საჯაროა.

შეფასება

რგპ-ის განხორციელების დაწყებისას, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შეიმუშავებს *საერთო შეფასების გეგმას,* რომელიც მიზნად ისახავს პროგრამის მთლიან ან მისი კონკრეტული ასპექტების შეფასებას. შესაბამისი გეგმა უნდა მოიცავდეს შუალედური ან პროგრამის დასრულების შემდგომი შეფასების მომზადების პროცესს მიღწეული ეკონომიკური და ტერიტორიული ეფექტების შეფასებისთვის. შეფასების გეგმა განხილული უნდა იყოს როგორც ჩართული სამინისტროების, ასევე, რეგიონული

განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ. კომისია განიხილავს და იწონებს გეგმას, განიხილავს და იწონებს შეფასების ანგარიშებს და საჭიროებისამებრ, იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს.

შეფასებები მიზანშეწონილია ჩატარდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დონორთა და განვითარების პარტნიორთა პირდაპირი ჩართულობითა და მხარდაჭერით.

ინფორმაცია და საჯაროობა

რგპ-ის მიღებიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემუშავდება *გასაჯაროების გეგმის პროექტი,* რომელსაც განიხილავს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია.

გამოყენებული ძირითადი წყაროები

- საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია;
- საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, 2015 წელი;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 2014;
- 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმება, ძალაშია 2016 წლის 1 ივლისიდან;
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების კომპონენტი ;
- 2016-2020 წლების სამთავრობო პროგრამა "თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა 2016-2020";
- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია "საქართველო 2020";
- 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა;
- 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა;
- მემკვიდრეობის ფონდის "ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი", 2017 წელი;
- მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების 2018 წლის ანგარიში;
- საქართველოს სატრანსპორტო სექტორის შეფასება, სტრატეგია და გზების რუკა, აზიის განვითარების ბანკი, მეტრო მანილა, ფილიპინები, 2014;
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI) 2016-2017 წლები;
- საქართველოს ურბანული სტრატეგია, ძირითადი ქალაქების ეკონომიკური როლი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მსოფლიო ბანკი, 2016 წლის იანვარი;
- ზომის პროპორციული ალბათობის მეთოდის გამოყენებით მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ევროსტატი, 2017 წლის ივნისი;
- საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია, 2016 წელი;
- პროექტი „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ – ევროკავშირის ფლაგმანი ინიციატივა, რომელიც მოიცავს ბელორუსის, მოლდოვას, უკრაინას, საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს;
- "მწვანე ქალაქების“ ინიციატივით შემუშავებული: „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სახელმწიფო სტრატეგიისა და პოლიტიკის ჩარჩოს განვითარების ხელშეწყობა საქართველოში", ინტეგრირებული მდგრადი სატრანსპორტო სისტემების განვითარება ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისთვის, პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) დაფინანსებით;
- ევროკავშირის "მხარდაჭერის ერთიანი ჩარჩო" (SSF) საქართველოსთვის (2017-2020 წწ.);
- მსოფლიო ბანკის ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგია საქართველოსთვის;
- აზიის განვითარების ბანკის 2014-2018 წლების ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგია;
- საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2016-2019 წლების სამოქმედო გეგმა;
- რეგიონალური სტატისტიკის მიმოხილვის ანგარიში, რომელიც მომზადებულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში II-ის“ მიერ, 2017 წლის მარტი;
- საქართველოს რეგიონალური უთანასწორობის შესახებ ანგარიში, დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში II-ის“ მიერ, 2017 წლის ოქტომბერი.

X. დანართები

დანართი 1: დონორების მხარდაჭერა

განვითარების ღონისძიებები, რომლებიც ფინანსდება დონორების მიერ

რეგიონული განვითარების პროგრამასთან ერთად, საქართველოში მოქმედებს მთელი რიგი პროგრამები და პროექტები, რომლებიც მიმართულია რეგიონული და ადგილობრივი განვითარებისაკენ. მათი შინაარსი და წინა წლებში მიღწეული ძირითადი შედეგები შეჯამებულია ქვემოთ.

ევროკავშირი[27]

ევროკავშირი საქართველოსთან თანამშრომლობს **ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა** და **აღმოსავლეთ პარტნიორობის** (ევროკავშირის პოლიტიკა აღმოსავლეთ მეზობლების მიმართ) ფარგლებში. მთავარი მიზანი არის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტს წარმოადგენს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერა მეზობელი ქვეყნებისადმი 2014-2020 წლების პერიოდში. იგი ჩაანაცვლებს 2007-2013 წლების ევროპის სამეზობლო პოლიტიკის თანამშრომლობის ინსტრუმენტს (ENPI). სხვა დაფინანსების წყაროებს წარმოადგენენ თემატური პროგრამები, რომლებიც ფოკუსირებულია ადამიანის უფლებებზე და სამოქალაქო საზოგადოებაზე.

ევროკავშირის დახმარება საქართველოს მიმართ, ძირითადად, ხდება ქვეყნის სამოქმედო პროგრამების მეშვეობით, რომელიც ყოველწლიურად დაფინანსებულია ENI-ს ფარგლებში. ასევე, საქართველო იღებს დახმარებას ENI-ს ფარგლებში დაფინანსებული რეგიონული და **მრავალმხრივი** სამოქმედო პროგრამებიდან (რომელიც ეხება რამდენიმე ან ყველა პარტნიორულ ქვეყანას).

EU ორმხრივი თანამშრომლობა საქართველოსთან

საქართველოსთან ორმხრივი თანამშრომლობა ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნებს. 2014-2017 წლებში ევროკავშირის საქართველოსთან ორმხრივი თანამშრომლობის სტრატეგიული ჩარჩო, საკვანძო შედეგები და სავარაუდო ფინანსური განაწილება მოცემულია მხარდაჭერის ერთიან ჩარჩოში (SSF). ორმხრივი თანამშრომლობა ხელს უწყობს ეფექტურად განხორციელდეს ასოცირების შესახებ შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (AA/DCFTA) შესახებ შეთანხმება. ამასთანავე, თანამშრომლობის ფარგლებში შესაძლებელია გამოყოფილი იყოს დამატებითი დახმარება საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების მოდერნიზაციისათვის. 2007-2013 წლებში ევროკავშირმა საქართველოსთან ორმხრივი თანამშრომლობისათვის ENPI-ს ფარგლებში 452 მილიონ ევრო გამოყო. 2014-2017 წლებში ENI-ს ორმხრივი დახმარება საქართველოსთვის იქნება 335 მილიონ და 410 მილიონ ევროს შორის. აღნიშნული ციფრები სავარაუდოა: საბოლოო ხარჯები დამოკიდებული იქნება ქვეყნის საჭიროებებზე და რეფორმებისადმი ერთგულებაზე. საქართველომ, ასევე, შეიძლება ისარგებლოს დამატებითი ფინანსური დახმარებით, რომელიც შესაძლებელია განხორცილდეს მრავალმხრივი პროგრამების ქოლგის ქვეშ. აღნიშნული წარმოადგენს სტიმულირების მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს ღრმა და მდგრადი დემოკრატიის შესაქმნელად ქვეყნების მიერ გაწეულ ძალისხმევას გამოყოფს რა დამატებით ფინანსურ დახმარებას.

საჯარო სექტორის მხარდაჭერა და ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების ხელშეწყობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტებს ყველა სექტორში მიმდინარე და სამომავლო თანამშრომლობისათვის. სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივებს მხარს უჭერს სამეზობლო სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმი.

ENPI ორმხრივი პროგრამები საქართველოში 2014-2020 წლების მანძილზე კონცენტრირებულია რეფორმების განხორციელებაზე შემდეგ სფეროებში: რეგიონული განვითარება; მცირე და საშუალო საწარმოები; სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება; პროფესიული განათლება და სწავლება; კონფლიქტის მოგვარება და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება; სისხლის სამართალი; საჯარო ფინანსების მართვა.

რეგიონული განვითარების პროგრამის შემუშავებისას, ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში დამტკიცდა სამი წლიური სამოქმედო პროგრამა (2014, 2015, 2016 წ). ქვევით იხილეთ მიმდინარე ორმხრივი ENPI ქმედებების ძირითადი პუნქტები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია რეგიონული განვითარების პროგრამასთან:

[27]ინფორმაცია ევროკავშირის შესაბამისი ვებგვერდიდან (სტატუსი: ოქტომბერი 2017)

რეგიონული განვითარება

რეგიონული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ორი ჩარჩო პროგრამა განხორციელდა. რეგიონული განვითარების სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა 2012-2014 და 2015-2017 წწ. რომლის საერთო მოცულობა 49 მლნ ევროს შეადგენდა. ორივე პროგრამა ძირითადად კონცენტრირებული იყო შემდეგი მიმართულებების განვითარებაზე:

- რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;
- რეგიონული გათანაბრება და განვითარება (კოჰეზია);
- ფინანსური კონტროლის მექანიზმები;
- ადამიანური რესურსების და მართვის სიტემების განვითარება;
- რეგიონული ინფრასტრუქტურის და ინოვაციური შესაძლებლობების განვითარება;
- სტატისტიკა.

ორივე პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოს რეგიონების განვითარება და უთანაბრობების აღმოფხვრა, საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების გზით.

რეგიონული განვითარების სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის 2015-2017 წლების პროგრამა თავის მხრივ მოიცავს შემდეგ პროექტებს:

<u>რეგიონული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა (ფაზა II)</u>

პროექტის ხანგრძლივობა ორი წელია. ის მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას, რათა მან შექმნას ქვეყნისა და მისი ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო, რეგიონული უთანასწორობის დასაძლევად. პროექტი მოიცავს სამ კომპონენტს:

- პოლიტიკის ფორმულირება და განხორციელება;
- პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება;
- რეგიონული განვითარების სააგენტოების მხარდაჭერა.

<u>საქართველოში რეგიონული განვითარების ხელშეწყობა - გამოყენებითი კვლევების მექანიზმი (ფაზა II)</u>

გამოყენებითი კვლევების ინსტრუმენტი (ფაზა II) უზრუნველყოფს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ეფექტიან ფორმულირებასა და განხორციელებას, რაც შესაბამისი იქნება ევროპის საუკეთესო პრაქტიკასთან. პრიორიტეტები მოიცავს საქართველოს ინსტიტუტების ანალიტიკური და კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერებას რეგიონული / ტერიტორიული განვითარების, ინტეგრაციისა და მასთან დაკავშირებულ კანონმდებლობის სფეროებში.; აგრეთვე, რეგიონული განვითარებისა და მასთან დაკავშირებულ პროცესებში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას და კოორდინაციას.

<u>საჯარო სამსახურების დამმობილების (Twinning) პროექტი</u>

Twinning პროექტის ძირითადი მიზანია ეროვნულ და რეგიონულ/მუნიციპალურ დონეებზე სივრცითი მოწყობის და საინვესტიციო პორტფელების შემუშავების საკითხებზე ევროპული გამოცდილების გაზიარება და მათი გაუმჯობესემის მიზნით, შესაბამისი დოკუმენტებისა და რეკომენდაციების მომზადება.

მცირე და საშუალო საწარმოები

<u>EU სექტორული ბიუჯეტის დახმარების პროექტის</u> მიზანია ხელი შეუწყოს DCFTA-სთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ და მარეგულირებელ რეფორმებს საქართველოში. ამასთან ერთად, პროექტის დახმარება კონცენტრირდება საქართველოში არსებული მცირე და საშუალო საწარმოების შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რათა გაიზარდოს მათი კონკურენტუნარიანობა და ასევე, მოხდეს მათი ადაპტირება ახალ საკანონმდებლო და მარეგულირებელ სივრცესთან. პროექტს გააჩნია 4 კომპონენტი (საწარმოების განვითარების გაუმჯობესებული ჩარჩო და მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობა პოლიტიკურ დიალოგში; მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობების ზრდა; საწარმოთა განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ, სექტორულ და ადგილობრივ დონეზე კლასტერების შექმნით და ბიზნეს ქსელების მხარდაჭერით; ბიზნეს კლასტერებისა და ქსელების ინტეგრირება ევროკავშირის შესაბამის არსებულ ქსელებში, რომლებიც ხელს უწყობენ საწარმოების განვითარებას, ინვესტიციასა და ვაჭრობას).

სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება

საქართველოში სოფლის განვითარების ხელშეწყობა როგორც ENPI-ის, ასევე, ENI-ს ორმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგში დგას. "ENPARD" პირველი და მეორე ფაზის პროექტი მიმართული იყო სოფლის მეურნეობისა და

სოფლის განვითარებისკენ, ხოლო მესამე მხოლოდ სოფლის განვითარებისკენ . პროგრამები მოიცავს ინტეგრირებულ მხარდაჭერას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის, სურსათის უვნებლობის, სანიტარიული მდგომარეობისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. აღნიშნული ემსახურება საერთო მიზანს - საქართველოს სოფლის ტიპის დასახლებებში საცხოვრებელი და დასაქმების პირობების გაუმჯობესებას.

EU რეგიონული პროგრამები [28]

საქართველო, ასევე, მონაწილეობს რეგიონულ პროგრამებში, რომელიც დაფინანსებულია ENPI/ENI მიერ და ხორციელდება შემდეგ სფეროებში:

- საზღვრისპირა თანამშრომლობა;
- მუნიციპალური განვითარება;
- გარემო;
- ენერგია;
- ტრანსპორტი;
- ციფრული ეკონომიკა და საზოგადოება;
- ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება[29];
- საზღვრის მართვა;
- ინიციატივები ყველა მეზობელი ქვეყნისთვის: Erasmus +, TAIEX, SIGMA;
- სამეზობლოს საინვესტიციო მექანიზმი საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავს წყალმომარაგების, ენერგეტიკის, გარემოსა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერას;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ფლაგმანი ინიციატივები.

ქვევით მოცემულია რეგიონული განვითარების პროგრამასთან დაკავშირებული მექანიზმების დეტალები.

ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა[30]

აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამები (EaPTC) ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საზღვრისპირა რეგიონებს შორის მდგრად ტერიტორიულ თანამშრომლობას. აღნიშნული ხორციელდება ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების შესაძლებლობების გაზრდის გზით, რაც მათ მისცემს საშუალებას ეფექტურად მართონ ტერიტორიული პროგრამები; ასევე, მონაწილე რეგიონების შემდგომი სოციალური და ეკონომიკური განვითარებით. პროგრამა მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, საზღვრისპირა ტურიზმი, ბიზნესი, საზღვრისპირა რეგიონების გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარება, კულტურა და სპორტი.

შავი ზღვის აუზის 2004 - 2020 წწ. ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამა მხარს უჭერს ევროკავშირის გარე საზღვრების გასწვრივ მდგრად განვითარებას, საზღვრის გასწვრივ ცხოვრების სტანდარტებს შორის სხვაობის შემცირებას და საერთო გამოწვევების მოგვარებას. პროგრამის პრიორიტეტებია: ტურიზმისა და კულტურის სექტორში ბიზნესისა და მეწარმეობის ერთობლივი ხელშეწყობა; საზღვრისპირა სავაჭრო შესაძლებლობების გაზრდა და სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული სექტორების მოდერნიზაცია, ერთობლივი გარემოსდაცვითი მონიტორინგი; შავი ზღვის აუზში მდინარისა და საზღვაო ნარჩენებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი გამოწვევებისა და ნარჩენების მართვის კარგი გამოცდილების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

მუნიციპალური განვითარება

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფლაგმანი ინიციატივა მდგრადი მუნიციპალური განვითარებისათვის, რომლის მთლიანი სავარაუდო ბიუჯეტი 22.5 მილიონ ევროს შეადგენს, ხელს უწყობს ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ანგარიშვალდებულების გაზრდას, საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას და ადგილობრივი მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერებას ეფექტური და ეფექტიანი ადმინისტრირებისათვის.

რეგიონული გარემოსდაცვითი პროგრამა [31]

ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლიუსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის (EUWI + 4 EaP), 2014 -2015 წლების სამოქმედო დოკუმენტებით, რომლის სავარაუდო ბიუჯეტი არის 24.8 მილიონი ევრო, მიმართულია წყლის

---

[28] შემდგომი ინფორმაციისათვის მიმართეთ ევროკავშირისადმი მიძღვნილ ვებ-გვერდებს; შესაბამის პროგრამულ დოკუმენტებს 2014-2020 წწ და ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული რეგიონული პროექტების მონაცემთა ბაზას.

[29] აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული პროექტის სამოქმედო დოკუმენტი, რომელიც მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ფლაგმან ინიციატივას მდგრადი მუნიციპალური განვითარებისათვის.

[30] შემდგომი ინფორმაციისათვის მიმართეთ ევროკავშირისადმი მიძღვნილ ვებ-გვერდებს და ENI პროგრამულ დოკუმენტებს 2014-2020 წწ .

[31] შემდგომი ინფორმაციისათვის მიმართეთ ევროკავშირისადმი მიძღვნილ ვებ-გვერდებზე ინფორმაციას პოლიტიკისა და მიმდინარე რეგიონული პროექტების შესახებ.

რესურსების ეფექტიანი მართვისაკენ. პროგრამა, კონკრეტულად, მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, რათა ისინი დაუახლოვდნენ ევროკავშირის გამოცდილებას წყლის მართვის სფეროში, რომელიც ითვალისწინებს ტრანს-სასაზღვრო მდინარის აუზების მართვის საკითხებს (როგორც ეს განსაზღვრულია ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მიერ).

პროექტი <u>ერთიანი გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემის პრინციპებისა და პრაქტიკის განხორციელება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (SEIS East)</u> წარმოადგენს ევროპის გარემოსდაცვითი სააგენტოს (EEA) მიერ განხორციელებული რეგიონული EU პროექტის გაგრძელებას. პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის სამეზობლო რეგიონების 16 პარტნიორ ქვეყანაში, გარემოსდაცვითი და სტატისტიკური მართვის სისტემების ჩართულობით. პროგრამის სავარაუდო ღირებულება არის 7.35 მილიონი ევრო. პროგრამა მხარს დაუჭერს SEIS-ს პრინციპების დანერგვას, რადგან ის წარმოადგენს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ინსტრუმენტს და ხელს უწყობს ეფექტიანი და ცოდნაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას და გარემოსდაცვით სფეროში მმართველობის გაუმჯობესებას.

რეგიონული ენერგეტიკული პროგრამა[32]

პროექტი <u>ენერგეტიკული პოლიტიკა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ცენტრალურ აზიაში</u> მიზნად ისახავს უზრუნველყოს ენერგეტიკის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული საშუალო და გრძელვადიანი პოლიტიკის შემდგომი განვითარება და განხორციელება. აღნიშნული დაფუძნებული იქნება სტატისტიკური მონაცემების გაუმჯობესებულ მოხმარებაზე და ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარებაზე. ეს ხელს შეუწყობს პარტნიორ ქვეყნებს განავითარონ კომერციულად და ეკოლოგიურად უსაფრთხო ენერგეტიკული სექტორი, პოლიტიკისა და მმართველობის ადექვატური სტრუქტურებით, რაც იქნება ზოგადი ეკონომიკური სიტუაციისა და განვითარების მიზნების შესაბამისი.

რეგიონული სატრანსპორტო პროგრამა

ამჟამად, შავი ზღვის და კასპიის ზღვის რეგიონებში, ევროკავშირის დახმარებით, მიმდინარეობს რეგიონული სატრანსპორტო თანამშრომლობის პროგრამა საზღვაო უსაფრთხოებისა და საზღვაო გარემოს დაცვის სფეროში. პროექტის მიზანი გახლავთ საზღვაო დაცვისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება, ასევე, ზღვის დაბინძურების თავიდან აცილება, რეგიონში მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაძლიერება. ეს, პირველ რიგში, მიღწეული იქნება ბენეფიციარი ქვეყნების იმ ძალისხმევის ხელშეწყობით, რითაც ისინი ცდილობენ დანერგონ შესაბამისი საერთაშორისო კანონმდებლობა, დააახლოვონ მათი მარეგულირებელი ჩარჩოები ევროკავშირის კანონმდებლობასთან და გაუმჯობესონ მათი საზღვაო საქმიანობა ბენეფიციარი ქვეყნებია: აზერბაიჯანი, საქართველო, ირანი, ყაზახეთი, მოლდოვა, უკრაინა, თურქეთი და თურქმენეთი. პროგრამის სავარაუდო ღირებულებაა 4 000 000 ევრო.

რეგიონული ინტერნეტ-ინფრასტრუქტურა

რეგიონული პროექტის E@P Connectis-ის მიზანია მეცნიერებისა და განათლების მხარდასაჭერად შექმნას აღმოსავლეთ პარტნიორობის კვლევისა და განათლების ქსელი. პროგრამის ფარგლებში მოხდება იმ აღჭურვილობისა და კავშირების დანერგვა და ამოქმედება, რომლებიც შექმნიან მაღალი სიჩქარის მქონე საიმედო ქსელს ექვს პარტნიორულ ქვეყანას შორის ურთიერთკავშირისათვის, ასევე, კავშირს პან-ევროპული ქსელთან GÉANT, რომელიც ემსახურება ევროპის კვლევით და საგანმანათლებლო საზოგადოებას. პროგრამა ხელს შეუწყობს რეგიონში გაიზარდოს ხელმისაწვდომობა მაღალი ხარისხის სამეცნიერო შინაარსის ინფორმაციაზე (პუბლიკაციები, ვებსერვისები, პროგრამული უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო მასალა და ა.შ.) და მოხდეს ინტეგრაცია GÉANT სერვისებთან. პროექტი უზრუნველყოფს ადგილობრივი WiFi ინფრასტრუქტურის ჰარმონიზებულ ხელმისაწვდომობას. პროგრამის სავარაუდო ღირებულება არის 13 684 210 ევრო.

„ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის (HDM)“ პროექტი

მიმდინარეობს „ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის (HDM)“ პროექტი, რომლის მიზანია ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნებს შორის ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა, ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარება ერთობლივი პროექტების განხორციელებით, ეროვნული ICT პოლიტიკის საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ტექნოლოგიური სისტემების ჰარმონიზება და ინტეგრაცია. პროექტით, პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით შექმნილია EU4Digital: „ციფრული უნარების (eSkills)“, „ICT ინოვაციების (ICTinnovation)“, „ელექტრონული იდენტიფიკაციის, სანდო მომსახურებების, საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოების (Trust&Secure), ელექტრონული ვაჭრობის (eTrade), ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების (Telecom) და ელექტრონული ჯანდაცვის (eHealth) ქსელები.

[32] შემდგომი ინფორმაციისათვის მიმართეთ ევროკავშირის ვებგვერდებს.

პროექტში საქართველოს მხრიდან ჩართულია ყველა შესაბამისი უწყება, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო წარმოადგენს საქართველოს მხრიდან HDM პროექტის ყველა მიმართულებების კოორდინატორს. ევროკომისია, ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის გამოყენებით (ENI), მოისაზრებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში EU4Digital მიმართულების განვითარების მიზნით ფინანსური სახსრების ეტაპობრივ გამოყოფას. პირველ ეტაპზე, სახსრები მიმართული იქნება სამ მიმართულებაზე (ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურა, კიბერუსაფრთხოება, ელ-ვაჭრობა). პროგრამის სავარაუდო ღირებულებაა 7 000 000 ევრო.

სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმი (NIF)

სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმი (NIF) ახდენს დამატებითი ფონდების მობილიზებას, რათა დააფინანსოს ძვირადღირებული ინფრასტრუქტურული პროექტები ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. აღნიშნული პროექტები ხორციელდება ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა და სოციალური განვითარება. NIF, ასევე, მხარს უჭერს კერძო სექტორს, ძირითადად, საინვესტიციო გრანტებისა და კაპიტალის რისკებთან დაკავშირებული ოპერაციების საშუალებით, რომლებიც მიზანმიმართულია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისაკენ. NIF სპეციალური ფონდი (Trust fund) საშუალებას აძლევს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეავსონ NIF-ის რესურსები ევროკავშირის საერთო ბიუჯეტიდან. ევროკავშირის წევრმა 15-მა სახელმწიფომ, საერთო ჯამში, აღნიშნულ ფონდში ჩადო 84 მილიონი ევრო (2016). მათ კონტრიბუციას მართავს ევროპის საინვესტიციო ბანკი. დამტკიცების პროცესი NIF პროექტის შეფასებისა და დამტკიცების პროცედურების შესაბამისად ხდება.

NIF მნიშვნელოვან როლს ასრულებს დონორთა კოორდინაციისა და დახმარების ეფექტურობის გაზრდაში. NIF კოორდინაციას ახორციელებს შემდეგ უწყებებთან: ევროპის საინვესტიციო ბანკი; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი; ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი; სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია; სკანდინავიური საინვესტიციო ბანკი; საფრანგეთის განვითარების სააგენტო; გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი; ავსტრიის განვითარების ბანკი; განვითარების საფინანსო ინსტიტუტი და ესპანეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო. 2008–2016 წლებში NIF მხარდაჭერით ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის მობილიზებული იქნა 1,930.0 მლნ ევროს შეღავათიანი კრედიტები. მათ შორის, NIF საგრანტო თანადაფინანსება 86.7 მლნ ევროს შეადგენდა.

წელი	პროექტი	საფინანსო ინსტიტუტი	სექტორი	მთლიანი ღირებულება (მლნ ევრო)	NIF თანადაფ.	დახმარების ფორმა
2008	შავი ზღვის ენერგიის გადამცემი სისტემა	KfW, EIB, EBRD	ენერგეტიკა	280.0	9.3	ტექ. დახმარება
2009	თბილისის რკინიგზის შემოვლითი გზის გარემოსდაცვითი მოწესრიგება	EBRD	ტრანსპორტი	253.5	2.7	ტექ. დახმარება
2010	ენგური/ვარდნილის ჰიდრო ელექტრო სადგურის კასკადის რეაბილიტაცია	EBRD, EIB	ენერგეტიკა	47.0	5.2	გრანტი/ტექ. დახმარება
2010 & 2012	ბათუმის და გარშემო მდებარე სოფლების წყალმომარაგება და წყალარინები (ფაზა 1 და 3)	KfW	წყალმომარაგება	67.0	8.9	გრანტი/ტექ. დახმარება
2010 & 2012	წყლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია (ფაზა 1 და 2)	EIB	წყალმომარაგება	86.0	12.4	ტექ. დახმარება
2011	საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალი	EIB	ტრანსპორტი	592.1	20.4	გრანტი
2013	ჯვარი-ხორგას ურთიერთკავშირი (გადამცემი ხაზი და ქვესადგური)	KfW, EBRD	ენერგეტიკა	71.4	8.2	გრანტი
2015	ქუთაისის წყალარინების პროექტი (KWWP)	EIB	წყალმომარაგება	280.0	5.0	გრანტი
2015	ENPARD - მცირე ფერმერთა და კოოპერატივებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა	ADF	სოფლის მეურნეობა	28.0	4.2	ტექ. დახმარება
2016	საქართველოს ელექტრო გადამცემი ქსელის გაფართოება	KfW	ენერგეტიკა	225.0	10.4	გრანტი/ტექ. დახმარება
ჯამი				**1,930.00**	**86.70**	

ინიციატივა - მერები ეკონომიკური განვითარებისათვის
პროგრამა „მერები ეკონომიკური განვითარებისათვის“ მოქმედებს ბელორუსიაში, მოლდოვაში, უკრაინაში, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ის უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას ადგილობრივ დონეზე ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისათვის. პროგრამა ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადგილობრივ ადმინისტრაციას, რათა მათ შექმნან და განახორციელონ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმები. ასევე, პროგრამა აძლიერებს ადგილობრივი ადმინისტრაციის ტექნიკურ უნარებს, რათა მათ განახორციელონ ეკონომიკური სტრატეგიები კარგი მმართველობის პრინციპების და გამართული ფინანსური მენეჯმენტის შესაბამისად.

EU თემატური პროგრამები
ევროპის სამეზობლო ინიციატივასთან ერთად, საქართველოსათვის ხელმისაწვდომია დაფინანსების მიღება ევროკავშირის სხვა თემატური პროგრამებიდან:

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ადგილობრივი ხელისუფლება;
- ადამიანური რესურსების განვითარება;
- მიგრაცია და თავშესაფარი;
- დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ევროპული ინსტრუმენტი;
- ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს სტაბილურობას და მშვიდობას.

საერთაშორისო ორგანიზაციების და ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერა

მსოფლიო ბანკი

მსოფლიო ბანკის ქვეყანასთან პარტნიორობის სტრატეგია
მსოფლიო ბანკის ქვეყანასთან პარტნიორობის სტრატეგიის მიზნებია უკიდურესი სიღარიბის დაძლევა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში. ქვეყანასთან პარტნიორობის სტრატეგია განსაზღვრავს ორ ძირითად მიმართულებას:

- საჯარო მომსახურების გაძლიერება ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობის მიზნით;
- კერძო სექტორზე ორიენტირებული სამუშაო ადგილების შექმნა კონკურენციის გაუმჯობესების გზით.

ბოლო დროს დამტკიცებული პროექტები:

- კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა;
- ინკლუზიური ზრდის პროგრამული განვითარების პოლიტიკის მეორე ოპერაცია;
- სკოლამდელი განათლების გაუმჯობესება სოციალური ანგარიშვალდებულების პროცესებით, და ა.შ.

ქვემოთ მოყვანილია რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული ძირითადი პროექტები:

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
პროექტის მიზანია შერჩეული მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ეფექტურობისა და საიმედოობის გაუმჯობესება, რაც მიღწეულ იქნება ინვესტირებით მაღალი პრიორიტეტის მქონე ადგილობრივ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში, ასევე, ადგილობრივი მთავრობების მხარდაჭერით, რათა მოხდეს მათი შესაძლებლობების გაზრდა და მომსახურების მიწოდების სისტემების გაუმჯობესება. პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი ითვალისწინებს ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს, პროექტის მენეჯმენტსა და მონიტორინგს. პროექტის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 70 მილიონ დოლარს.

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი
პროექტი მიზნად ისახავს გზით მოსარგებლეებისათვის სოციალურ სერვისებსა და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას პროექტით გათვალისწინებული გზების მეშვეობით და საქართველოში შიდასახელმწიფოებრივი გზების ქსელის აქტივების მართვის გაუმჯობესებას. პროექტი შედგება ორი კომპონენტისგან: 1. შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების გაუმჯობესება და შენარჩუნება; 2. შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესება. კომპონენტს აქვს ორი ძირითადი ამოცანა: შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის გაუმჯობესება; სოციალურ მომსახურეობებსა და ეკონომიკურ საქმიანობაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. პროექტის დასაფინანსებლად ბანკი გამოყოფს 40 მლნ დოლარს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი
პროექტი მიზნად ისახავს შეამციროს აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის აღნიშნული მონაკვეთის მოსარგებლეთა ხარჯები. ასევე, ხელი შეუწყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებას და მდგრად განვითარებას, რათა მათ შეძლონ საგზაო ქსელის მართვა და შექმნან შესაბამისი გარემო პირობები ლოგისტიკური მომსახურების გაუმჯობესებისათვის. პროექტის დასაფინანსებლად ბანკი გამოყოფს 140 მლნ დოლარს.

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი
აღნიშნული პროექტის მიზანია სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ინფრასტრუქტურული სერვისებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება, რაც მიზნად ისახავს ტურიზმის ხელშეწყობას. პროექტი მოიცავს ორ კომპონენტს. პირველი კომპონენტი, ინფრასტრუქტურული ინვესტიციები, დააფინანსებს ძველი ქალაქებისა და სოფლების აღდგენას, მათ შორის, შენობის ფასადების და სახურავების აღდგენას, საჯარო სივრცეებს, მუზეუმებს, საავტომობილო გზებსა და წყალმომარაგებას, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენას, მ.შ. მათი ხელმისაწვდომობის გაზრდას. მეორე კომპონენტი, ინსტიტუციური განვითარება, ხელს შეუწყობს სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის (სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი) და სხვა ადგილობრივი და რეგიონული ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების ზრდას. პროექტის დასაფინანსებლად ბანკი გამოყოფს 60 მილიონ დოლარს.

საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემა

მსოფლიო ბანკის პროექტის მიზანია საქართველოში კომპანიებისა და ფიზიკური პირების ინოვაციური საქმიანობის გაზრდა და ციფრულ ეკონომიკაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მიიღწევა ინოვაციების რეგიონულ და სათემო ცენტრებში ინვესტირების გზით, რაც ოჯახებისა და მცირე ბიზნესისათვის გაზრდის ინტერნეტზე ხელმისაწვდომობას, აამაღლებს მათ უნარებს ციფრულ ეკონომიკაში, ხელს შეუწყობს ბიზნესის ინოვაციურობას და ასევე, ინოვაციებისათვის დაფინანსების ხელმისაწვდომობას. ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი 4 ძირითადი კომპონენტისაგან შედგება:

- ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა;
- ინოვაციების ხელშემწყობი სერვისების უზრუნველყოფა;
- ინოვაციების დაფინანსება;
- პროექტის განხორციელებისათვის ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა.

მსოფლიო ბანკის პროექტის ღირებულება შეადგენს 40 მლნ აშშ დოლარს.

გაეროს განვითარების პროგრამა

ეკონომიკური განვითარება
მდგრადი ეკონომიკური ზრდა და დემოკრატიული რეფორმების გატარება გაეროს განვითარების პროგრამის პრიორიტეტებია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად. გაერო თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან, კერძო სექტორსა და ადგილობრივ მოსახლეობასთან, რათა ხელი შეუწყოს ისეთ ეკონომიკურ აღმავლობას, რომელიც სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობაზე აისახება. გაეროს განვითარების პროგრამა მხარს უჭერს შრომის ბაზარზე მორგებულ პროფესიულ განათლებას, ადგილობრივ განვითარებასა და მცირე ბიზნესს. გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოს ბევრ რეგიონში ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას და უზრუნველყოფს ფერმერების უკეთეს ხელმისაწვდომობას ცოდნაზე, ტრენინგებსა და სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტექნოლოგიებზე.

პროფესიული განათლებისა და ექსტენციის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში
გაეროს განვითარების პროგრამა, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით ხელს უწყობენ პროფესიული განათლების და გადამზადების თანამედროვე სისტემების დანერგვას საქართველოს სოფლის მეურნეობაში და ექსტენციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემა კონცენტრირებული იქნება გადამამუშავებელი და პრაქტიკული ფერმერული მეურნეობის უნარების განვითარებაზე, ხოლო ექსტენციის სერვისი მიმართულია სოფლის მეურნეობაში საჭიროებებზე მორგებულ მიდგომაზე.

პროექტი ითვალისწინებს ფერმერთათვის გამართული სოფლის მეურნეობის ექსტენციის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობას და სოფლის მოსახლეობის საარსებო საშუალებების გაუმჯობესებას საქართველოში. პროექტის საერთო ბიუჯეტი 6,432,729 აშშ დოლარს შეადგენს.

გაეროს განვითარების პროგრამა, ასევე, ჩართულია ENPARD-ის სოფლის განვითარების პროექტში (იხ. ზემოთ, ევროკავშირის ორმხრივი დახმარება საქართველოსთვის).

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა აჭარაში

გაეროს განვითარების პროგრამა ხელს უწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, განახორციელოს რეგიონული და სოფლის მეურნეობის სტრატეგიები და ეხმარება რეგიონის ფერმერებს აწარმოონ წარმატებული, მომგებიანი და მაღალმოსავლიანი მეურნეობა. პროექტი ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ. პროექტის ბიუჯეტი 530,395.76 აშშ დოლარს შეადგენს.

გარემოს დაცვა და ენერგეტიკა

გაეროს განვითარების პროგრამა ეხმარება საქართველოს მთავრობას "მწვანე" გადაწყვეტილებათა დანერგვაში და ხელს უწყობს გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირებას სოციალური და ეკონომიკური განვითარების ყველა სფეროში. გაეროს განვითარების პროგრამა ხელს უწყობს მდგრად გარემოსდაცვით მართვას, კლიმატის ზემოქმედებისა და კატასტროფების რისკის შემცირებას. გაეროს განვითარების პროგრამის პროგრამები მოიცავს გარემოს დაცვისა და კატასტროფების მართვის ძირითად სფეროებს.

მწვანე ქალაქები: მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტის სისტემა ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის

აღნიშნული ინიციატივა ქ. ბათუმში მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საპილოტე პროექტია, რომლის მიზანია მიღებული გამოცდილების გაზიარება აჭარის ა/რ-ის სხვა მუნიციპალიტეტებში. გაეროს განვითარების პროგრამა შემდეგი მიმართულებით იმუშავებს: მდგრადი და ინტეგრირებული მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემების დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესება; ინფრასტრუქტურული ინვესტიციების განხორციელება მდგრადი ურბანული ტრანსპორტისა და მწვანე ურბანული განვითარებისათვის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ ბათუმის გაუმჯობესებული ტურისტული იმიჯი მწვანე ქალაქის ხედვის განხორციელების გზით; საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების შემცირების საქმეში. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 1,133,000 აშშ დოლარს.

აჭარის დაცული ტერიტორიების ხელშეწყობა

გაეროს განვითარების პროგრამა გლობალურ გარემოსდაცვით ფონდთან და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მხარდაჭერას. პროექტის მიზანია: აჭარის დაცული ტერიტორიების ფინანსური და ადმინისტრაციული დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესება; ადაპტირებადი და მონაწილეობითი მიდგომების დანერგვა მართვაში; ადგილობრივი მოსახლეობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა; ადგილობრივი მოსახლეობისთვის დასაქმებისა და ბიზნეს შესაძლებლობების შექმნა; ახლად შექმნილი მაჭახელას ეროვნული პარკის ხელშეწყობა. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 1,323,636 აშშ დოლარს შეადგენს.

აზიის განვითარების ბანკი

აზიის განვითარების ბანკის (აგბ) 2014-2018 წლების ქვეყანასთან თანამშრომლობის სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან (საქართველო 2020). აგბ მხარს დაუჭერს მთავრობას: 1) გაუმჯობესდეს შიდა და რეგიონული საბაზრო კავშირები, რათა გაიზარდოს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა და მოსახლეობას ჰქონდეს უკეთესი წვდომა ეკონომიკურ შესაძლებლობებზე; 2) სასმელი წყალი, კანალიზაცია და სანიტარული მომსახურება გახდეს უფრო ხელმისაწვდომი და საიმედო, განსაკუთრებით პატარა და საშუალო სიდიდის ქალაქებში, რომლებიც აგრობიზნესისა და ტურიზმისათვის პოტენციურ ჰაბებს წარმოადგნენ; 3) ენერგეტიკული სისტემების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით კი ნაკლებად განვითარებული რეგიონების დასახლებებში; 4) შიდა რესურსების მობილიზაციისა და ბიზნესსა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელებისათვის საჯარო სექტორის მენეჯმენტის გაძლიერება; 5) ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, განსაკუთრებით მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის.

2017 წელს, აგბ-ს მიერ მიღებულ იქნა ქვეყანასთან თანამშრომლობის ახალი სტრატეგია 2018-2020 წლებისთვის.

აგბ-ს ძირითადი მიმდინარე პროექტებია:

მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი, რომლის ფარგლებში ხარაგაულის გავლით ძირულა-ჩუმათელეთის დაახლოებით 50 კილომეტრი სიგრძის ორზოლიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია განხორციელდება. პროექტი ხელს შეუწყობს ეკონომიკური აქტივობის ზრდას ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და მიმდებარე რეგიონებში, ასევე, ეროვნული კავშირების გაძლიერებას. პროექტის განხორციელების შედეგად, გაიზრდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და პროექტის განხორციელების არეალში ვიზიტორების მობილურობა და გზებზე ხელმისაწვდომობა; შემცირდება ავტომობილის საოპერაციო ხარჯები და მგზავრობის დრო.

ბათუმის შემოვლითი გზის პროექტის (აზიის განვითარების ბანკი და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი) ფარგლებში 1) აშენდება ახალი 14.3 კმ სიგრძის ორზოლიანი ასფალტის გზა და 2) დაგეგმილია ხელშეკრულების გაფორმება აჭარის რეგიონში საერთაშორისო მნიშვნელობის გზისა და მასთან დამაკავშირებელი მეორადი გზების მოვლა-შენახვის განსახორციელებლად, რომლისთვისაც გამოყენებული იქნება შედეგსა და შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის მოდელი.

საქართველო: ხელსაყრელი ურბანული ტერიტორიები: ინტეგრირებული ურბანული გეგმები დაბალანსებული რეგიონული განვითარებისათვის, ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებული ურბანული დაგეგმარებისა და განვითარების პროცესს, რაც მონაწილეობის გზით ხელს შეუწყოს ურბანული ინვესტიციების დაგეგმვას და პრიორიტეტებად განსაზღვრას, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის და ეკონომიკურად კონკურენტუნარიანი ურბანული ცენტრების და ეკონომიკური დერეფნების განვითარებას და თანხვედრაში იქნება აზიის განვითარების ბანკის 2012-2020 წლების ურბანულ სამოქმედო გეგმასთან. პროექტი მოიცავს ქალაქების განვითარების გეგმების არსებული მოდელების შინაარსობრივ გამოყენებას, როგორიცაა მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმები და უკავშირდება მომდევნო საინვესტიციო პროგრამას. ქალაქების მდგრადი განვითარების საინვესტიციო პროგრამის საშუალებით გადაიჭრება ქალაქების ძირითადი ინფრასტრუქტურული საჭიროებები, რაც სოფელსა და საბაზრო ცენტრებს შორის ეკონომიკურ კავშირს უზრუნველყოფს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (ხევი-არგვეთა მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტის მოსამზადებელი ტექნიკური დახმარება ხელს შეუწყობს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შემდეგი მიმართულებით: 1) დამოუკიდებელი ტექნიკური მიმოხილვის მომზადება, რომელიც მოიცავს ტექნიკურ და სახელშეკრულებო ასპექტებს, ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების სამუშაოების დეტალურ გეგმას და 2) ქვეყნის საგზაო სექტორის ყოვლისმომცველი შეფასების მომზადება ინსტიტუციური, საოპერაციო, ფინანსური და ტექნიკური თვალსაზრისით და რეკომენდაციების შემუშავება. შესაძლებლობების განვითარების აქტივობების უზრუნველყოფა არსებული გზის აქტივების მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და საგზაო უსაფრთხოებისთვის.

ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წყალმომარაგებისა და სანიტარული სისტემების რეაბილიტაცია საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში და კომუნალური დაწესებულებების დაგეგმვისა და მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა ითვალისწინებს ინვესტიციას მდგრად სატრანსპორტო სისტემებსა და სხვა ურბანულ ინფრასტრუქტურაში. ეს პროექტი ხელს შეუწყობს ურბანული გარემოს გაუმჯობესებას, ეკონომიკის გაძლიერებას, ტურიზმის განვითარებას და რეგიონულ ინტეგრაციას.

აგბ-ს ძირითადი დაგეგმილი პროექტებია:

- ხევი-უბისას გზის პროექტის ფარგლებში აშენდება დაახლ. 12.2 კმ სიგრძის ოთხზოლიანი ბეტონის გზა, რაც შეიცავს ჯამში 21 გვირაბს (ჯამური სიგრძით 8.8 კმ ორივე მიმართულებით) და 33 ხიდი (ჯამური სიგრძით 8.3კმ ორივე მიმართულებით). ამ ხელშეკრულების გაფორმება დაგეგმილია 2018 წლის მეორე ნახევარში;
- ქვეშეთი-კობის გზის პროექტის ფარგლებში აშენდება დაახლ. 25კმ სიგრძის 2 ზოლიანი ასფალტის გზა, რომელიც შედგება ორი ლოტისგან. ლოტი 1 დაახლოებით – 9კმ სიგრძის საავტომობილო გვირაბი; ლოტი 2 დაახლოებით - 16კმ სიგრძის გზის მონაკვეთი.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

საქართველოში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ) ყურადღებას ამახვილებს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობაზე, რასაც ინოვაციების, ადგილობრივი სავალუტო და კაპიტალის ბაზრების განვითარების, ბაზრების გაფართოვებით რეგიონებს შორის კავშირის გზით, განახლებადი ენერგიის, რესურსების ეფექტურობის და კლიმატის ცვლილების ადაპტაციის საშუალებით უზრუნველყოფს.

ერგბ-ის დაფინანსებით მდინარე დებედაზე იგეგმება ხიდის მშენებლობა. სესხის მოცულობა შეადგენს 6,000,000 (ექვსი მლნ) ევროს. პროექტის მიზანია საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის სადახლო - ბაგრატაშენის სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ახალი ხიდის მშენებლობა.

ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი; ერგბ-ის დაფინანსებით მიმდინარეობს ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 4,300,000 (ოთხი მილიონ სამასი ათასი) ევროს, ხოლო შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ დამატებით გამოყოფილია 1,843,000 (მილიონ რვაას ორმოცდასამი ათასი) ევრო. პროექტი მიზნად ისახავს ქვემო ქართლის რეგიონში (მარნეული) ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობას.

ერგბ-ის დაფინანსებით მიმდინარეობს **საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი,** რომლის ღირებულებაც შეადგენს 10 მლნ ევროს, ხოლო დამატებით, გრანტის სახით გამოყოფილია 2 მლნ ევრო. პროექტის ფარგლებში შეძენილი იქნა და მუნიციპალიტეტებს გადაეცა დაახლ. 150 ნაგავმზიდი მანქანა და დაახლ. 7200 მყარი ნარჩენების კონტეინერი.

ევროპის საინვესტიციო ბანკი
საქართველოში ევროპის საინვესტიციო ბანკის დაკრედიტების საერთო მიზნებია:

- სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის: სატრანსპორტო, ენერგეტიკის, წყლის, გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ასევე,ჯანმრთელობისა და განათლების სექტორების პროექტები;
- ადგილობრივი კერძო სექტორის განვითარება, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობა;
- კლიმატის მოქმედება, რომელიც მოიცავს კლიმატის ცვლილების შემარბილებელ და ადაპტაციის პროექტებს, განსაკუთრებით სუფთა ენერგიაზე გადასვლა ტრადიციულ ენერგო-ინტენსიურ ეკონომიკაში, ასოცირების ხელშეკრულებაში არსებული შესაბამისი სექტორის თანამშრომლობის შესაბამისად.

EIB-ის ძირითადი პროექტებია:

- <u>სამტრედია-გრიგოლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის პროექტი</u>

ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მოდერნიზაცია-მშენებლობის პროექტი სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთზე. სესხის მოცულობა შეადგენს 200,000,000 (ორასი მილიონი) ევროს. პროექტის მხარდასაჭერად ევროკავშირის მიერ დამატებით გამოყოფილია გრანტი 20,000,000 (ოცი მილიონი ევრო) ევროს ოდენობით. პროექტი ითვალისწინებს სრულიად ახალი ოთხზოლიანი ავტომაგისტრალის მშენებლობას სამტრედიიდან გრიგოლეთამდე.

- <u>საქართველო სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტი (A/B)</u>

ევროპის საინვესტიციო ბანკთან 2016 წლის 9 დეკემბერს ხელი მოეწერა ფინანსურ ხელშეკრულებას „საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაცია - A“, რომლის ღირებულება შეადგენს 250,000,000 (ორას ორმოცდაათი მლნ) ევროს, ხოლო 2017 წლის 14 ივნისს კი ხელმოწერილ იქნა „საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაცია - B“, რომლის ღირებულება, ასევე, შეადგენს 250,000,000 (ორას ორმოცდაათი მლნ) ევროს. აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს საქართველოს საგზაო ქსელის დაახლ. 253 კმ სიგრძის ძირითადი და შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობა/რეაბილიტაციას. პროექტების დასრულება დაგეგმილია 2022 წლისთვის.

- <u>საქართველო სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტი II</u>

დაგეგმილია 250 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსური რესურსის გამოყოფა საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტის დასაფინანსებლად.

- <u>საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი</u>

ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განახლების პროექტს, რომლის ღირებულებაა 100,000,000 (ასი მლნ) ევრო და ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების საინვესტიციო სქემების დაფინანსებას საერთაშორისო რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად. სამიზნე სექტორია: მუნიციპალური გზები, საზოგადოებრივი შენობები, წყლისა და მყარი ნარჩენების ინფრასტრუქტურა. პროექტის დასრულება იგეგმება 2021 წლისთვის.

- <u>საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი</u>

ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს პროექტს საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტს, რომლის ღირებულება შეადგენს 100,000,000 (ასი მილიონი ევრო) ევროს. პროექტი მოიცავს სამ კომპონენტს: მუნიციპალური ინფრასტრუქტურა; ტურიზმის ინფრასტრუქტურა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის გადაუდებელი რეკონსტრუქცია. სამიზნე სექტორი იქნება მუნიციპალური გზები, საჯარო შენობები, ტურიზმის ინფრასტრუქტურა, საბავშვო ბაღები, წყლისა და მყარი ნარჩენების ინფრასტრუქტურა. პროექტის დასრულება დაგეგმილია 2021 წლისთვის.

- <u>წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II</u>

საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის 2013 წლის 20 აგვისტოს ხელი მოეწერა ფინანსურ ხელშეკრულებას „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II“, რომლის ღირებულება შეადგენს 40,000,000 (ორმოცი მილიონი ევრო) ევროს. პროგრამა ეხება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მომსახურების სფეროში წყლისა და წყალარინების პრიორიტეტულ საინვესტიციო პროექტებს და მისი მიზანია, ეფექტურობის, მომსახურების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და გარემოს გაუმჯობესება. პროექტი დასრულდება 2018 წლისთვის.

<u>ქუთაისის წყალარინების პროექტი</u>

საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს ხელი მოეწერა ფინანსურ ხელშეკრულებას „ქუთაისის წყალარინება“, რომლის ღირებულება შეადგენს 100 მილიონ ევროს. ქუთაისის წყალარინების პროექტი მიზნად ისახავს წყალარინების გაუმჯობესებას ქუთაისში. აღნიშნული პროექტის მიზანია წყალარინების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა/რეაბილიტაცია ქალაქ ქუთაისში. პროექტის დასრულება დაგეგმილია 2020 წლისთვის.

<u>საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD)</u>

სააგენტო მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას ისეთი პროექტებისა და პროგრამების განხორციელებაში, რომლებიც ხელს შეუწყობს რეგიონულ განვითარებას, მათ შორის, რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარებას.

სააგენტო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად გეგმავს ხაშურის წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტის დაფინანსებას, რომლისთვისაც გამოყოფს სესხს 44,000,000 (ორმოცდაოთხი მლნ) ევროს ოდენობით. პროექტის მიზანია, ხაშურის წყალმომარაგების ქსელების, წყალარინების ქსელებისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

<u>გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)</u>

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და საქართველოს შორის 2017 წლის 27 ოქტომბრის ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულებას „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II“, რომლის ღირებულება შეადგენს 30,000,000 (ოცდაათი მლნ) ევროს. „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II“ ითვალისწინებს მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემის განხორციელებას კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. პროექტს ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებული შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია.

ზემოაღნიშნული პროექტის მხარდასაჭერად, KfW-ს და საქართველოს შორის 2017 წლის 2 ნოემბერს ხელი მოეწერა დაფინანსების (გრანტის) ხელშეკრულებას „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II თანმდევი ღონისძიებები“, რომლის შესაბამისადაც ბანკი გამოყოფს გრანტს 2,000,000.00 (ორი მლნ) ევროს ოდენობით. პროექტი თვალისწინებს მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II თანმდევი ღონისძიებების („საექსპერტო მომსახურები“) დაფინანსებას, აღნიშნული უზრუნველყოფს კონცეპტუალური და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შემუშავებას ზემოხსენებული პროგრამისათვის.

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოს „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა საქართველოს პრიორიტეტულ რეგიონებში (კერძოდ, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი და სამცხე-ჯავახეთი) ფაზა III-სთვის” ექსპერტის გამოყოფის შესახებ, რომელიც საქართველოს დახმარებას გაუწევს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადებაში.

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა და საქართველოს შორის 2017 წლის 16 ოქტომბერს ხელი მოეწერა ფინანსურ და საპროექტო ხელშეკრულებას პროექტის „კომუნალური ინფრასტრუქტურა გარემოსა და ტურიზმისათვის იმერეთისა და ყაზბეგის რეგიონში“ - ფარგლებში ექსპერტის მომსახურების დაფინანსების თაობაზე. პროექტის ღირებულება შეადგენს 1,650,000.00 (მილიონ ექვსას ორმოცდაათი ათასი) ევროს. პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კონცეპტუალური და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შემუშავება.

პროექტს ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებული შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) დაფინანსებით იგეგმება ქუთაისის მყარი ნარჩენების პროექტის განხორციელება, რომლის ღირებულებაც შეადგენს 20,000,000 (ოცი მლნ) ევროს და რომლის ფარგლებშიც დამატებით გრანტის სახით გამოყოფილია 2,000,000 (ორი მლნ) ევრო. პროექტის ფარგლებში იგეგმება ახალი ნაგავსაყრელის (ქუთაისის შესასვლელი, სოფელი ჭოგნარი) მოწყობა, ასევე, მყარი ნარჩენების ტრანსპორტირებისა და ნაგავსაყრელის ფუნქციონირებისათვის საჭირო მანქანების/აღჭურვილობის შეძენა; ქუთაისის არსებული ნაგავსაყრელის დახურვა. პროექტის დასრულება დაგეგმილია 2018 წლისთვის.

<u>ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB)</u>

ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის (CEB) დაფინანსებით დაგეგმილია ქუთაისისა და მესტიის დამაკავშირებელი გზის 45 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტის განხორციელება. პროექტი მოიცავს გვირაბის და გვირაბთან მისასვლელი გზის მშენებლობას. პროექტის დაფინანსების მიზნით, იგეგმება CEB-ის მიერ დაახლოებით 80 მილიონი ევროს გამოყოფა.

ევროპის საბჭო

<u>ევროპის საბჭოს 2016-2019 წლების სამოქმედო გეგმა</u> მოიცავს შემდეგ პრიორიტეტულ სექტორებს:

- ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვა და ხელშეწყობა, სოციალური უფლებების უზრუნველყოფა;
- სამართლიანობის უზრუნველყოფა;
- დემოკრატიული მმართველობის გაძლიერება;
- რაც საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას: კორუფცია, ფულის გათეთრება, კიბერდანაშაული, სპორტული შეჯიბრებებით მანიპულაციები;
- ნდობის აღდგენის ღონისძიებები.

ორმხრივი დახმარება

ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა

ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა საქართველოში მიზნად ისახავს ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და დემოკრატიზაციის ხელშეწყობას. მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გარდა, მთავარი გამოწვევა ევროპულ ინსტიტუტებთან, სტანდარტებსა და ღირებულებებთან დაახლოებაა. საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად, ავსტრიის განვითარების სააგენტოს მიერ თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებებად სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობისა და კარგი მმართველობის სექტორები განისაზღვრა.

დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო

დანიის დახმარება საქართველოში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობას, ასევე, მდგრადი და ყოვლისმომცველი ზრდის გაძლიერებას. 2017-2021 წლების თანამშრომლობის ორი ძირითადი ამოცანაა: ადამიანის უფლებების და დემოკრატიის ხელშეწყობა და მდგრადი და ინკლუზიური ზრდის გაძლიერება. მიზნების განხორციელება მრავალწლიანი პროგრამების გზით ხორციელდება, რაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მედიის, თანაბარი უფლებების, ადამიანის უფლებების, ანტიკორუფციული, დეცენტრალიზაციის, ზრდის, დასაქმების და ენერგოეფექტურობის მხარდაჭერაში აისახება.

გერმანიის ორმხრივი დახმარება

გერმანიის ეკონომიკური თანამშრობლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს სახელით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება 1992 წლიდან საქართველოს ეხმარება სოციალური საბაზრო ეკონომიკის, სამართლებრივი სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის შექმნის ტრანსფორმაციის პროცესში. GIZ-ის რეგიონული ოფისი საქართველოში 2006 წელს გაიხსნა, რომელიც წარმოადგენს კომპანიას სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყნაში - საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

GIZ ამჟამად ახორციელებს ექვს რეგიონალურ პროგრამას შემდეგი მიმართულებებით: კერძო სექტორის განვითარება, სამართლისა და სასამართლოს რეფორმების მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტების განვითარების ხელშეწყობა, ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა, მთიანი რეგიონების ეროზიებისაგან ინტეგრირებული დაცვის ხელშეწყობა და საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში. მუნიციპალიტეტების განვითარება სამხრეთ კავკასიაში პროგრამის ფარგლებში, 2013 წლის ბოლოს ევროკავშირმა GIZ-ს დაავალა "დელეგირებული თანამშრომლობის" ღონისძიებების ფარგლებში ემოქმედა, სადაც ძირითადი აქცენტი დასმული იქნებოდა

საზღვრისპირა თანამშრომლობაზე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელორუსისა და მოლდოვას ადგილობრივ მთავრობებს შორის.

იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო

იაპონიის პოლიტიკა საქართველოს განვითარების ხელშეწყობისთვის ითვალისწინებს საზოგადოების მდგრად ეკონომიკურ ზრდას და სტაბილურობას შემდეგ სფეროებში: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და საზოგადოების სტაბილურობა.

შვედეთის ორმხრივი დახმარება

შვედეთი მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას გააძლიეროს ევროკავშირთან კავშირები გაზრდილი ეკონომიკური კონკურენტუნარიანობით, გაძლიერებული დემოკრატიისა და გარემოსდაცვითი კუთხით ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების გზით. შვედეთის მხარდაჭერა ხორციელდება 3 მიმართულებით:

- ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერება და საბაზრო ეკონომიკის განვითარება;
- დემოკრატიის გაძლიერება, ადამიანის უფლებების პატივისცემა და კანონის უზენაესობის ფარგლებში უკეთ განვითარებული სახელმწიფო;
- უკეთესი გარემო და შემცირებული კლიმატის გავლენა, გარემოზე ზემოქმედებისა და კლიმატის ცვლილების მიმართ გაუმჯობესებული მდგრადობა. შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო მხარს უჭერს ენერგოეფექტურობას მუნიციპალურ დონეზე რეგიონული პროგრამის „აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობა„ (E5P) მეშვეობით.

შვეიცარიის თანამშრომლობა

შვეიცარია, საქართველოსა და რეგიონში, ორმხრივი დონორული თანამშრომლობის მრავალ აქტივობას ახორციელებს. "შვეიცარიის თანამშრომლობის სტრატეგია სამხრეთ კავკასია 2017-2020" შემდეგი სფეროების მხარდაჭერას ითვალისწინებს: ეკონომიკა (სოფლის მეურნეობაზე მიმართული), მმართველობა და ადამიანის უსაფრთხოება, ასევე, კატასტროფების რისკის შემცირება და კლიმატის ცვლილების ადაპტაცია. სტრატეგიის ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში, რეგიონული თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანას შორის გაძლიერდება რეგიონული პროგრამების მხარდაჭერით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისა და კატასტროფების რისკის შემცირების მიმართულებით.

დანართი 2: დამატებითი სტატისტიკური მონაცემები

ცხრილი 18. ქალაქად მცხოვრები მოსახლეობა – საერთაშორისო შედარება (% მთლიანი რიცხვიდან)

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2016
საქართველო	53.2	53.8	53.6	57.2	57.2	57.2
სომხეთი	63.4	63.1	63.0	62.8	62.7	62.6
მოლდოვა	45.0	45.0	45.0	45.0	45.0	45.0
ალბანეთი	53.2	54.3	55.4	56.4	57.4	58.4
ესტონეთი	68.0	67.8	67.7	67.6	67.5	67.5
ლატვია	67.6	67.5	67.5	67.4	67.4	67.4
სლოვაკეთი	54.4	54.2	53.9	53.7	53.6	53.5
მსოფლიო, საშუალო მაჩვენებელი	51.9	52.4	52.9	53.3	53.8	54.3

წყარო: საქსტატი, მსოფლიო ბანკი

ცხრილი 19. მოსახლეობა საქართველოს რეგიონებში აღწერებს შორის, ათასი კაცი

რეგიონი	2002	2014
საქართველო*	4 371.5	3 718.2
აჭარის არ	376.0	339.0
გურია	143.3	112.6
იმერეთი	699.6	529.7
კახეთი	407.1	317.5
ქვემო ქართლი	497.5	427.4
მცხეთა-მთიანეთი	125.4	93.8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	50.9	31.0
სამეგრელო - ზემო სვანეთი	466.1	328.3
სამცხე-ჯავახეთი	207.6	160.6
შიდა ქართლი*	314.0	263.7
თბილისი	1 081.6	1 114.6

წყარო: საქსტატი, * საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები, ათასი კაცი

ცხრილი 20. მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილება აღწერებს შორის – საერთაშორისო შედარება

	წინა აღწერა	ბოლო აღწერა	% -ლი ცვლილება
საქართველო (2014, 2002)	4 371.5	3 713.8	-15%
სომხეთი (2011, 2001)	3 002.6	2 871.8	-4.4%
მოლდოვა (2014, 2004)	3 383.3	2 804.8	-17%
ალბანეთი (2011, 2001)	3,069	2,907	-5.3%
ესტონეთი (2011, 2000)	1 370.1	1 294.5	-5.5%
ლატვია (2011, 2000)	2 377.4	2 070.4	-12.9%
სლოვაკეთის რესპუბლიკა (2011, 2001)	5 292	5 397	2%

წყარო: ეროვნული სტატისტიკის სამსახურები, (აბსოლუტური მონაცემები - ათასი კაცი)

ცხრილი 21. ნომინალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე, აშშ დოლარი

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2016*
საქართველო	3230,7	3523,4	3599,6	3676,2	3766,6	3852,5
სომხეთი	3417	3575,5	3732	3889	3520,9	3510,6
მოლდოვა	1971,5	2046,2	2244,4	2245,5	1828,4	1900,8
ალბანეთი	4439,6	4249	4413,3	4574,8	3943,2	4203,4
ესტონეთი	17441,4	17398,3	19004,3	19953,5	17111,3	17632,7
ლატვია	13735,6	13762,1	14951,8	15689,5	13614,4	14060,4
სლოვაკეთი	18223,6	17294,6	18205,9	18633,7	16105,1	16498,5

წყარო: სსფ, *წინასწარი მონაცემები

ცხრილი 22. რეალური მშპ-ს ზრდა, %

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2016*
საქართველო	7.2	6.4	3.4	4.6	2.9	2.7
სომხეთი	4.7	7.1	3.3	3.6	3.0	0.2
მოლდოვა	6.8	-0.7	9.4	4.8	-0.4	4.0
ალბანეთი	2.5	1.4	1.0	1.8	2.6	3.4
ესტონეთი	7.6	4.3	1.4	2.8	1.4	1.6

ლატვია	6.4	4.0	2.6	2.1	2.7	1.9
სლოვაკეთის რესპუბლიკა	2.8	1.6	1.5	2.6	3.8	3.2
დაბალ შემოსავლიანი განვითარებადი ქვეყნები	5.3	5.2	6.2	6.0	4.6	3.6
დსთ-ს ქვეყნები	4.6	3.5	2.1	1.1	-2.2	0.3
მოწინავე ქვეყნები	1.7	1.2	1.3	3.5	2.1	1.7
ევროკავშირი	1.7	-0.4	0.3	1.7	2.4	2.0

წყარო: სსფ, *წინასწარი მონაცემები

ცხრილი 23. ბიზნესის ბრუნვა რეგიონების მიხედვით, მლნ ლარი

	2010	2011	2012	2013	2014	2015
საქართველო, სულ	24,400.7	36,726.2	42,048.0	44,327.9	50,064.7	56,984.8
თბილისი	17,847.6	27,088.8	31,323.1	31,957.9	35,996.7	40,873.6
აჭარის არ	1,175.2	1,928.8	2,375.6	2,753.8	3,424.1	4,155.5
გურია	120.6	175.0	174.4	212.9	253.4	355.0
იმერეთი	1,259.1	1,742.3	1,886.0	2,042.4	2,378.6	2,591.4
კახეთი	332.4	541.1	642.0	908.6	1,018.3	963.4
მცხეთა-მთიანეთი	204.0	284.0	413.3	576.9	693.2	730.7
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	29.9	32.7	37.7	42.5	35.4	50.6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	924.5	1,332.0	1,210.2	1,595.4	1,719.8	1,957.7
სამცხე-ჯავახეთი	260.4	367.2	468.6	620.1	635.8	709.7
ქვემო ქართლი	1,726.2	2,302.4	2,506.4	2,661.8	2,830.1	3,347.4
შიდა ქართლი	461.3	886.6	966.6	905.6	1,017.5	1,196.3

წყარო: საქსტატი

ცხრილი 24. მრეწველობის სექტორში წარმოებული დამატებითი ღირებულების წილი მშპ-ში, %

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2016
საქართველო	23,8	24,5	24	24,6	24,6	25,3
სომხეთი	33,8	31,1	30	28,4	28,7	27,4
მოლდოვა	16,8	16,7	17,1	17,2	14,4	14,2
ალბანეთი	28,1	26,4	26,3	24,6	24,3	23,8
ესტონეთი	29,1	28,7	28,7	28,6	27,4	26,7
ლატვია	24,1	24,2	23,7	23,2	22,8	21,8
სლოვაკეთი	35,5	35,3	33	34,5	34,8	34,8

წყარო: მსოფლიო ბანკი

ცხრილი 25. მოსახლეობის წილი სასმელ წყალთან გაუმჯობესებული წვდომით, %

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015
საქართველო	97	98,	99	99,6	100
სომხეთი	99	99,7	99,9	100	100
მოლდოვა	87,6	87,9	88,1	88,4	88,4
ალბანეთი	95,5	95,4	95,2	95,1	95,1
ესტონეთი	99,5	99,5	99,6	99,6	99,6
ლატვია	99	99,1	99,2	99,3	99,3
სლოვაკეთი	100	100	100	100	100

წყარო: მსოფლიო ბანკი

რუკა 1. მაღალმთიანი რეგიონები

მაღალმთიანი რეგიონები
აფხაზეთის არ
რუსეთის ფედერაცია
შავი ზღვა
ოსეთი
ინგუშეთი
ჩეჩნეთი
ყაბარდო-ბალყარეთი
ჩერქეზეთი
ადიღეა
ყარაჩაი-ჩერქეზეთი
ადიგეა
ყაზახეთი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბორჯომი
ბორჯომი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიან

დანართი 3: 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ძირითადი მიღწევები

2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა მოწონებული იყო რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ და მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის ივლისში.

პროგრამის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს დაბალანსებულ და მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ქვეყნის მასშტაბით. მისი ორი კონკრეტული ამოცანაა:

- ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც დასაქმების დონე დაბალია;
- ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, პირველ რიგში, სოფლად და ნაკლებად განვითარებულ ტერიტორიებზე.

გამოვლენილი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების ჩამონათვალიდან, რომელსაც რეგიონული განვითარების პროგრამა ითვალისწინებს, უმთავრესია:

- ტერიტორიული უთანასწორობა, მოქალაქეებისა და ბიზნესისათვის ძირითად ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით;
- დისბალანსი თბილისის მუნიციპალიტეტსა და დანარჩენ ქვეყანას შორის;
- ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე მწირად დასახლებულ მთიან რეგიონებში და ზოგიერთ პოსტ მონო-ინდუსტრიულ ქალაქებში გამოვლენილი გამოწვევები.

რეგიონული განვითარების პროგრამა პასუხობს ამ გამოწვევებს პროგრამის 5 პრიორიტეტის მეშვეობით:

- ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის გაუმჯობესება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა;
- სოფლის განვითარება;
- ტურიზმის განვითარება;
- ადამიანური რესურსების გაუმჯობესება და პროფესიული სასწავლო დაწესებულებების შესაძლებლობების ამაღლება ეროვნულ და სუბ-ნაციონალურ დონეზე.

პროგრამის საერთო ღირებულება 3.9 მილიარდი ლარია და ძირითადად, ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ორი წლის შემდეგ (2015-2016 წწ.) ხარჯების ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 2.232 მლრდ ლარი, რაც წარმოადგენს 2015-2017 წლებისთვის დაგეგმილი მთლიანი ხარჯების 65.8%-ს. 2015-2016 წლებში, პროგრამის ფიზიკურად განხორციელებული პროგრესი თითქმის ყველა მიმართულებით 100%-ს შეადგენს. შესაბამისად, ღონისძიებათა უმრავლესობისათვის მიღწეულია, როგორც ფინანსური, ასევე, ფიზიკური მიზნები. მოსალოდნელია, რომ ასევე წარმატებით შესრულდება 2017 წლის სამიზნეებიც.

ზოგადად, ეს იყო რეგიონული განვითარების პირველი პროგრამული დავალება, რომელიც დაახლოებული იყო მისი ევროპული ანალოგების სტანდარტებთან. მისმა ეფექტიანმა დაგეგმვამ და განხორციელებამ, მნიშვნელოვანწილად გაზარდა საქართველოს საჯარო ადმინისტრაციის შესაძლებლობები, მათ შორის, სტრატეგიული პროგრამირების, რთული კომპლექსური პრიორიტეტების შერჩევისა და რეგიონული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის კუთხით. ამავდროულად, პროცესმა აჩვენა შემდგომი გაუმჯობესების საჭიროებებიც. მნიშვნელოვანია გაიზარდოს განვითარების ინსტრუმენტების ეფექტიანობა, გაფართოვდეს მათი მოქმედების ფარგლები და გაიზარდოს იმ ერთეულების კომპეტენციები, რომლებიც ჩართულნი არიან რეგიონული პოლიტიკის განხორციელებაში. ამასთან, საუკეთესო ევროპულ და საერთაშორისო პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოება ასევე მოითხოვს პოლიტიკის ციკლის ყველა ეტაპზე პარტნიორობისა და მრავალდონიანი მმართველობის პრინციპების უფრო ფართო გამოყენებას.

დანართი 4: ფინანსური გეგმა

ცხრილი 26. ფინანსური გეგმა (**შენიშვნა:** დამატებით შემუშავებულია <u>დეტალური ფინანსური გეგმა)</u>

პროგრამული პრიორიტეტები და ღონისძიებები	2018 წელი						2019						2020						2021						2018-2021 მთლიანი ჯამი
	ეროვნული რესურსები				ბიუჯეტს გარეთ დონორული დაფინანსება, მ.შ. ტექნიკური დახმარება	ჯამი	ეროვნული რესურსები				ბიუჯეტს გარეთ დონორული დაფინანსება, მ.შ. ტექნიკური დახმარება	ჯამი	ეროვნული რესურსები				ბიუჯეტს გარეთ დონორული დაფინანსება, მ.შ. ტექნიკური დახმარება	ჯამი	ეროვნული რესურსები				ბიუჯეტს გარეთ დონორული დაფინანსება, მ.შ. ტექნიკური დახმარება	ჯამი	
	სახელმწიფო ბიუჯეტი	დონორის და განვითარების პარტნიორის დაფინანსება	ადგილობრივი ბიუჯეტი	საკუთარი სახსრები			სახელმწიფო ბიუჯეტი	დონორის და განვითარების პარტნიორის დაფინანსება	ადგილობრივი ბიუჯეტი	საკუთარი სახსრები			სახელმწიფო ბიუჯეტი	დონორის და განვითარების პარტნიორის დაფინანსება	ადგილობრივი ბიუჯეტი	საკუთარი სახსრები			სახელმწიფო ბიუჯეტი	დონორის და განვითარების პარტნიორის დაფინანსება	ადგილობრივი ბიუჯეტი	საკუთარი სახსრები			
<u>პრიორიტეტი 1.</u> **ქვეყნის და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**	878 906.00	1 287 529.00	150 501.00	82 927.66	-	2 399 863.66	1 068 941.00	1 906 263.00	-	83 167.00	-	3 058 371.00	1 234 924.00	1 885 283.00	-	125 967.00	-	3 246 174.00	919 026.00	477 401.00	-	130 167.00	-	1 526 594.00	10 231 002.66
ღონისძიება 1.1. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების საავტომობილო გაუმჯობესება	527 900.00	810 600.00	-	-	-	1 338 500.00	766 445.00	1 515 850.00	-	-	-	2 282 295.00	924 000.00	1 813 000.00	-	-	-	2 737 000.00	592 000.00	375 000.00	-	-	-	967 000.00	7 324 795.00
ღონისძიება 1.2. საავტომობილო გზების გარდა, სხვა სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება	81 000.00	167 900.00	-	60 665.66	-	309 565.66	50 000.00	-	-	60 667.00	-	110 667.00	100 000.00	-	-	56 167.00	-	156 167.00	100 000.00	-	-	56 167.00	-	156 167.00	732 566.66
ღონისძიება 1.3. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარება	-	2 100.00	-	7 000.00	-	9 100.00	-	6 800.00	-	13 000.00	-	19 800.00	-	6 800.00	-	60 000.00	-	66 800.00	-	6 800.00	-	64 000.00	-	70 800.00	166 500.00
ღონისძიება 1.4. ენერგო-ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალის გაფართოება	2 050.00	82 900.00	-	-	-	84 950.00	30 000.00	40 530.00	-	-	-	70 530.00	30 000.00	19 740.00	-	-	-	49 740.00	30 000.00	21 600.00	-	-	-	51 600.00	256 820.00
ღონისძიება 1.5. ბუნებრივი კატასტროფებისგან დამცავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	111 530.00	10 984.00	-	9 433.00	-	131 947.00	111 900.00	-	-	9 500.00	-	121 400.00	121 400.00	-	-	9 800.00	-	131 200.00	126 400.00	-	-	10 000.00	-	136 400.00	520 947.00

ღონისძიება 1.6. წყალმომარაგების, წყალარინების და ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება	64 781.00	192 005.00	-	-	-	256 786.00	79 574.00	334 893.00	-	-	-	414 467.00	28 627.00	39 743.00	-	-	-	68 370.00	34 829.00	68 001.00	-	-	-	102 830.00	842 453.00
ღონისძიება 1.7. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია	25 030.00	2 000.00	-	5 829.00	-	32 859.00	30 147.00	700.00	-	-	-	30 847.00	30 147.00	-	-	-	-	30 147.00	30 347.00	-	-	-	-	30 347.00	124 200.00
ღონისძიება 1.8. ბუნებრივი მემკვიდრეობის (ეროვნული პარკები, ნაკრძალები და სხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიები) შენარჩუნება და პოპულარიზაცია	1 668.00	9 580.00	-	-	-	11 248.00	875.00	7 490.00	-	-	-	8 365.00	750.00	6 000.00	-	-	-	6 750.00	5 450.00	6 000.00	-	-	-	11 450.00	37 813.00
ღონისძიება: 1.9. ინტეგრირებული მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	64 947.00	9 460.00	150 501.00	-	-	224 908.00	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	224 908.00
<u>პრიორიტეტი 2.</u> **მცირე და საშუალო საწარმოების, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორების და ექსპორტის მხარდაჭერა**	193 592.00	10 000.00	-	1 300.00	7 563.90	212 455.90	187 240.00	20 000.00		1 500.00	6 393.00	215 133.00	169 284.00	20 000.00		-	-	189 284.00	168 059.00	20 000.00		-	-	188 059.00	804 931.90
ღონისძიება 2.1. საწარმოების, მათ შორის მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა	28 085.00	-	-	-	7 563.90	35 648.90	30 200.00	-	-	-	6 393.00	36 593.00	30 200.00	-	-	-	-	30 200.00	30 200.00	-	-	-	-	30 200.00	132 641.90
ღონისძიება 2.2. ინოვაციების ხელშეწყობა	20 630.00	-	-	-	-	20 630.00	28 200.00	-	-	-	-	28 200.00	27 200.00	-	-	-	-	27 200.00	26 475.00	-	-	-	-	26 475.00	102 505.00
ღონისძიება 2.3. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: ტურიზმი	49 675.00	-	-	-	-	49 675.00	39 000.00	-	-	-	-	39 000.00	21 684.00	-	-	-	-	21 684.00	21 684.00	-	-	-	-	21 684.00	132 043.00
ღონისძიება 2.4. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: სოფლის მეურნეობა	81 630.00	10 000.00	-	1 300.00	-	92 930.00	77 810.00	20 000.00	-	1 500.00	-	99 310.00	79 170.00	20 000.00	-	-	-	99 170.00	78 670.00	20 000.00	-	-	-	98 670.00	390 080.00
ღონისძიება 2.5. ექსპორტის ხელშეწყობა	11 072.00	-	-	-	-	11 072.00	9 030.00	-	-	-	-	9 030.00	8 030.00	-	-	-	-	8 030.00	8 030.00	-	-	-	-	8 030.00	36 162.00
ღონისძიება 2.6. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	2 500.00	-	-	-	-	2 500.00	3 000.00	-	-	-	-	3 000.00	3 000.00	-	-	-	-	3 000.00	3 000.00	-	-	-	-	3 000.00	11 500.00
<u>პრიორიტეტი 3.</u> **ადამიანური კაპიტალის განვითარება**	1 188 975.00	10 380.00	2 020.00	8 597.00	6 029.36	1 216 001.36	1 410 010.00	14 000.00		7 784.00	3 690.63	1 435 484.63	1 422 430.00	14 000.00		2 484.00	3 288.00	1 442 202.00	1 433 285.00	14 000.00		2 484.00	-	1 449 769.00	5 543 456.99

ღონისძიება 3.1. ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება	97 080.00	10 000.00	-	5 840.00	-	112 920.00	117 680.00	14 000.00	-	5 794.00	-	137 474.00	119 200.00	14 000.00	-	494.00	-	133 694.00	120 000.00	14 000.00	-	494.00	-	134 494.00	518 582.00
ღონისძიება: 3.2. პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესება	7 375.00	-	-	-	3 288.00	10663.00	18 425.00	-	-	-	3 288.00	21 713.00	18 425.00	-	-	-	3 288.00	21 713.00	18 425.00	-	-	-	-	18 425.00	72515.00
ღონისძიება 3.3. უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა	125 220.00	-	-	2 095.00	-	127 315.00	131 520.00	-	-	1 390.00	-	132 910.00	128 070.00	-	-	1 390.00	-	129 460.00	126 970.00	-	-	1 390.00	-	128 360.00	518 045.00
ღონისძიება 3.4. კვლევითი სექტორის მხარდაჭერა	65 440.00	-	-	150.00	-	65 590.00	67 290.00	-	-	150.00	-	67 440.00	66 440.00	-	-	150.00	-	66 590.00	30 170.00	-	-	150.00	-	30 320.00	229 940.00
ღონისძიება 3.5. შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდა	3 165.00	-	-	-	-	3 165.00	3 165.00	-	-	-	-	3 165.00	3 165.00	-	-	-	-	3 165.00	2 790.00	-	-	-	-	2 790.00	12 285.00
ღონისძიება 3.6. მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა	177 360.00	380.00	2 020.00	512.00	2 741.36	183 013.36	315 730.00	-	-	450.00	402.63	316 582.63	320 530.00	-	-	450.00	-	320 980.00	320 530.00	-	-	450.00	-	320 980.00	1 141 555.99
ღონისძიება 3.7. სოციალური ინკლუზია	713 335.00	-	-	-	-	713 335.00	756 200.00	-	-	-	-	756 200.00	766 600.00	-	-	-	-	766 600.00	814 400.00	-	-	-	-	814 400.00	3 050 535.00
<u>პრიორიტეტი 4.</u> ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე	339 083.88	38 419.12	-	-	-	377 503.00	348 284.57	36 165.43		-	-	384 450.00	350 100.17	26 017.83		-	-	376 118.00	352 438.82	26 479.18		-	-	378 918.00	1 516 989.00
ღონისძიება 4.1. რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა: მცირე ზომის ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება	181 893.88	38 194.12	-	-	-	220 088.00	182 284.57	36 165.43	-	-	-	218 450.00	180 300.17	26 017.83	-	-	-	206 318.00	180 438.82	26 479.18	-	-	-	206 918.00	851 774.00
ღონისძიება 4.2. სოფლის განვითარება (შენიშვნა: ანგარიშგება არ ხორციელდება ამ პროგრამის ფარგლებში)																									-
ღონისძიება 4.3. მაღალმთიანი რეგიონების განვითარება	154 690.00	-	-	-	-	154 690.00	163 500.00	-	-	-	-	163 500.00	167 300.00	-	-	-	-	167 300.00	169 500.00	-	-	-	-	169 500.00	654 990.00

ღონისძიება 4.4. ანაკლიის პორტის მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა	2 500.00	-	-	-	-	2 500.00	2 500.00	-		-	-	2 500.00	2 500.00	-	-	-	-	2 500.00	2 500.00					2 500.00	10 000.00
ღონისძიება 4.5. საზღვრისპირა და მაკრო-რეგიონული თანამშრომლობა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-		-	-	-	-	-		-	-	-	16 200.00
ღონისძიება 4.6. საქართველოს ზრდის პოტენციალის გაძლიერება ურბანული ტერიტორიების ფუნქციური ინტეგრაციის ხელშეწყობით	-	225.00	-	-	-	225.00	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	225.00
<u>პრიორიტეტი 5.</u> **რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდა, რეგიონული განვითარების პროგრამ(ებ)ის მომზადება საპილოტე რეგიონებისთვის**																									53 268.50
ღონისძიება 5.1. რეგიონული განვითარების ინსტიტუციების შესაძლებლობათა გაძლიერება ეროვნულ დონეზე	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	14 128.00
ღონისძიება 5.2. ანალიტიკური ბაზის გაძლიერება მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისათვის																									1 622.50
ღონისძიება 5.3. ადგილობრივი ხელისუფლებების აქტიური ჩართულობა და პარტნიორობისა და განვითარების პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	37 518.00
ღონისძიება 5.4. რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავება: განვითარების პროგრამ(ებ)ის მომზადება საპილოტე რეგიონებისთვის	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ჯამი (დაფინანსების წყაროების მიხედვით)	**2 600 556.88**	**1 346 328.12**	**152 521.00**	**92 824.66**	**13 593.26**	**4 205 823.92**	**3 014 475.57**	**1 976 428.43**	**-**	**92 451.00**	**10 083.63**	**5 093 438.63**	**3 176 738.17**	**1 945 300.83**	**-**	**128 451.00**	**3 288.00**	**5 253 778.00**	**2 872 808.82**	**537 880.18**	**-**	**132 651.00**	**-**	**3 543 340.00**	**18 149 650.05**